

ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა

ხელნაწერის უფლებით

სადოქტორო პროგრამა: ისტორია

ვახტანგ შამუგია

დნესტრისპირეთის კონფლიქტი

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის დოქტორი,
პროფ. თეიმურაზ პაპასქირი

თბილისი

2019

ამსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომი ეხება მოლდოვაში 1990-იანი წლების დასაწყისში მომხდარ სისხლიან დაპირისპირებას. მასში დეტალურადაა მიმოხილული ის სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიული გარემოებები, რომლებმაც არსებული რეალობა შექმნა. იგი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისათვის, რადგანაც ჩვენს ქვეყანასაც ანალოგიური პრობლემა აქვს ორი სეპარატისტული რეგიონის სახით. სამწუხაროდ, დნესტრის-პირეთის, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული სხვა დანარჩენი კონფლიქტები, საქართველოში ნაკლებად არის შესწავლილი, შესაბამისად, ქართულენოვან აუდიტორიას სრული ინფორმაცია არ გააჩნია. აღნიშნული ნაშრომი აძლევს ქართულენოვან მკვლევარს საშუალებას გაეცნოს დნესტრისპირეთის კონფლიქტს, მის პრეესკალაციურ პროცესებს, ე.წ. „მესამე ძალის“ როლს ამ დაპირისპირების გაღვივებაში, შეადაროს იგი იმავე პერიოდში საქართველოში მიმდინარე დრამატულ პროცესებს, იპოვოს საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ამ მოვლენებს შორის და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომში მრავლადაა დნესტრისპირეთისა და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მონაწილე პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციები. მათთან ჩაწერილმა სიღრმისეულმა ინტერვიუებმა ბევრ მეტად საინტერესო კითხვას გასცა პასუხი. ქართული საზოგადოებისათვის ალბათ განსაკუთრებით საინტერესო იქნება იმ დნესტრისპირელების მონაყოლი, რომლებიც 1992-1993 წლებში აფხაზეთში ომობდნენ, როგორ და რატომ ჩამოვიდნენ აქ აფხაზი სეპარატისტების მხარეს საქართველოს წინააღმდეგ საომრად და რა როლი ითამაშეს კონფლიქტის მსვლელობაში. ნაშრომში მოყვანილია მათი პატაკის ტექსტებიც, სადაც დეტალურად არის აღწერილი მათ მიერ განხორციელებული საბრძოლო მოქმედებები.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა მოვლენების უშუალო მონაწილე რესპონდენტთა სიღრმისეული ინტერვიუირების მეთოდი, დოკუმენტური წყაროების კრიტიკული ანალიზის მეთოდი, იმდროინდელი მედიასაშუალებების მიერ მომზადებული სიუჟეტებისა თუ სტატიების, აგრეთვე საკითხზე მომუშავე ექსპერტთა შეხედულებების ანალიზი. ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა ოფიციალური შეთანხმებების, ბრძანებების, ხელშეკრულებებისა თუ კანონპროექტების ტექსტები.

აღნიშნული ნაშრომი კონფლიქტური რეგიონის ისტორიით, იქ არსებული რეალობითა და ამ რეალობის განმაპირობებელი გარემოებებით დაინტერესებული ქართული საზოგადოებისათვის საინტერესო და ინფორმატიულია. მასში საქართველოს უახლეს ისტორიაში არსებულ ზოგიერთ შეკითხვასაც გაეცა პასუხი. ნაშრომში საუბარია მხარეთა მიერ დაშვებულ

შეცდომებზე, მშვიდობის ძიების გზებსა და იმ ხელისშემსლელ გარემოებებზე, რომელსაც ე.წ. „მესამე ძალა“ ქმნის. სამწუხაროდ, მოლდოვური რეალობის ზოგიერთი მომენტი ჩვენთვისაც რელევანტურია და ამიტომაც საჭიროა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები სხვათა მაგალითებისა და შეცდომების შესწავლა-გაანალიზების შემდეგ იქნას მიღებული. ეს ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

Abstract

Ph.D. thesis covers the conflict which had place in Moldova in 1990s. It provides a detailed overview of social-political and historical events, which resulted in the present reality. It is important and relevant for Georgian society too, as our country has same problem with her breakaway regions. Unfortunately, Transnistrian conflict, as well as other conflicts in post-Soviet space, is less studied in Georgia. Therefore, Georgians are not well informed about it. The presented work gives the Georgian-language audience an opportunity to get acquainted with the Transnistrian conflict, its pre-escalation processes, the role of so-called “third force” in fuelling up the confrontation; to compare it with the events happening in Georgia at that time; to find similarities and distinctions among them, and draw relevant conclusions.

It should be noted that thesis contains a lot of important information given by ex-combatants of Transnistrian and Georgian-Abkhazian wars. Interviews with them provided to us answers to many interesting questions. The special interest for the Georgian society will have the stories of Transnistrians, who were fighting in Abkhazia during 1992-1993 against Georgia. Why did they do this and what was their role in this conflict? There are transcripts of their military reports, where they cover in details their military activities in Abkhazia.

The following methods are used in Ph.D. thesis: method of interviewing of participants of that dramatic events; critical analysis of documentary sources, articles, TV reports of that period, and the views of experts, who are working on the topic. There were translated and published to Georgian the texts of official agreements, treaties, executive orders, and laws.

This work is very useful and informative for Georgian researchers interested in history and present reality of the conflict region. It also contains answers on some questions from recent history of Georgia. There are parts dedicated to the mistakes made by the conflicting parties; to the peace building process, and to the obstructing circumstances created by the “third party”. Unfortunately, some moments of Moldovan reality are relevant for Georgia as well. That is why we need to make decisions after studying and analyzing the mistakes and examples of the other conflicts. That was the main goal of this Ph.D. thesis.

შინაარსი

შესავალი	1
თავი I. დნესტრისპირეთის ისტორია	12
1.1. დნესტრისპირეთის ტერიტორია უძველესი დროიდან XVI საუკუნეებდე.....	13
1.2. დნესტრისპირეთის ტერიტორია XVI-XIX საუკუნეებში	24
1.3. დნესტრისპირეთის ტერიტორია XIX-XX საუკუნეებში	36
თავი II. კონფლიქტის ესკალაცია	54
2.1 კონფლიქტური ვითარების წარმოქმნა და მისი მიზეზები	54
2.2 კონფლიქტის აქტიური ფაზა	83
თავი III. დნესტრისპირელი მებრძოლები აფხაზეთში	101
თავი IV. მშვიდობის ძიებაში	114
დასკვნა	140
გამოყენებული ლიტერატურის სია	151

შესავალი

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლამ ე.წ. „ცივ ომს“ წერტილი დაუსვა. კაცობრიობამ შვებით ამოისუნთქა, რადგანაც ბირთვული ომის დაწყების საშიშროებამ ჩაიარა. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, უზარმაზარი, მრავალეროვანი და მულტიკულტურული ზესახელმწიფოს დაშლას თან შეუქცევადი და დრამატული პროცესები მოჰყვა, რაც ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე გაჩაღებულ ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტებში გამოიხატა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდა 15 სუვერენული სახელმწიფო, თუმცა რღვევის პროცესი ამით არ დასრულებულა. ამ ახალი ქვეყნების შიგნით, 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში ნაკლებად კომპეტენტური, თუმცა ქარიზმატული და პოპულარული ლიდერები მართავდნენ, „გარკვეულ ძალებს“ ნოუიერ ნიადაგს უქმნიდა საიმისოდ, რომ პოლიეთნიკურ რეგიონებში ცენტრის მიერ დიდი ხნის წინ ჩადებული ერთგვარი „ნაღმები“ აემოქმედებინათ. შედეგად, პოსტსაბჭოთა სივრცეში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვაში და ახლა კი უკრაინაშიც, გაჩნდა ცხელი წერტილები, რომლებიც არათუ ამ ქვეყნების, არამედ მთელი რეგიონებისა და, როგორც აგვისტოს ომმა და უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში განვითარებულმა დრამატულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ წესრიგსაც კი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიან.

როგორც სამეცნიერო, აგრეთვე პოლიტიკურ საზოგადოებაში, მეტად პოპულარულია აზრი იმის შესახებ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული სისხლიანი კონფლიქტების სცენარები „სადღაც მოსკოვში, კრემლის ერთ-ერთ კაბინეტში“ დაიწერა. მიუხედავად ამისა, აბსოლუტურად ყველა კონფლიქტი ინდივიდუალურია და მის წარმოქმნა-განვითარებაზე ძალიან ბევრი ფაქტორი მოქმედებს. ეს შეიძლება იყოს დაპირისპირებული მხარეების მენტალიტეტი, ფასეულობები, თვითშეგნება, გეოგრაფიული მდებარეობა, ადგილობრივთა სოციალური ყოფა და სხვ. მართალია, ამ ცხელ წერტილებში არსებული ურთიერთდაპირისპირებები, ერთი შეხედვით, მართლაც მეტად მსგავსია, რადგანაც ისინი არა მარტო ესკალაციის პერიოდით ემთხვევა ერთმანეთს, არამედ საწყისი მიზეზებითაც.

ნაშრომში საუბარი შეეხება მოლდოვაში განვითარებულ მოვლენებს, კონფლიქტს, რომელმაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დაარღვია და ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. საქართველოსთვის ეს თემა განსაკუთრებით სენსიტიურია, რადგანაც 1990-იან წლებში კრემლმა ქართველების წინააღმდეგ იგივე მეთოდები გამოიყენა, რითაც მან ასევე „ურჩი და თავნება“ მოლდოვა დასაჯა. რატომ არის მნიშვნელოვანი ამ და სხვა მსგავს თემებზე მუშაობა აუცილებელი ჩვენთვის?! პირველ რიგში, რომ აღარ დავუშვათ როგორც ჩვენს, ასევე სხვის მიერ წარსულში დაშვებული შეცდომები, გამოვიტანოთ მართებული დასკვნები და თავიდან ავიცილოთ ის სისხლისღვრა, რომელსაც პოსტსაბჭოთა სივრცეში 1990-იან წლებში ჰქონდა ადგილი.

დნესტრისპირეთის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სახით რუსეთმა მოლდოვასა და საქართველოზე ზეგავლენის მოხდენის მძლავრი ბერკეტი მოიპოვა. მათი საშუალებით ის ხელს უშლის კიშინიოვისა და თბილისის სწრაფვას დასავლეთისაკენ, განვითარებისა და კეთილდღეობისაკენ. სამწუხაროდ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა ამას ვერ აცნობიერებს. მათ თვალში რუსი ჯარისკაცი „მხსნელი და განმათავისუფლებელია“. ის, რომ გაურკვეველი სტატუსის მქონე ტერიტორიებზე ცხოვრება მათ შვილებს ყოველგვარ სამომავლო პერსპექტივას უკლავს, ეს მათ, როგორც ჩანს, არ ესმით. თავის მხრივ, რუსულმა პროპაგანდამ მხარეთა დასაშორებლად და სიძულვილის გასაღვივებლად ყველაფერი გააკეთა და დღეს ახალგაზრდა აფხაზთა, ოსთა თუ დნესტრისპირელთა დიდი ნაწილი-სათვის მოლდოველები და ქართველები ფაშისტურად მოაზროვნე აგრესიულ ბრძოს-თან ასოცირდებიან. თავის მხრივ, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, რომ კონფლიქტის შედეგად გაწყვეტილი ურთიერთობები აღარ აღსდგეს და მხარეები ერთმანეთი-სადმი საბოლოოს გაუცხოვდნენ, ამისათვის მავთულხლართებსაც კი იყენებენ.

როგორც თითქმის ყველა კონფლიქტში, ტირასპოლ-კიშინიოვის დაპირისპირების შემთხვევაშიც, დამნაშავე მხოლოდ ერთი მხარე როდია. თავისი წილი ჰასუხისმგებლობა (ბუნებრივია, სხვადასხვა დოზით) ყველას ეკისრება. როდესაც დაპირისპირებულნი ამას გაათვითცნობიერებენ და მიხვდებიან, რომ დიალოგი უალტერნატივა, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისაკენ მიმავალი გზა უფრო იოლი და ხან-მოკლე იქნება. რა თქმა უნდა, ეს არ აწყობს იმ ე.წ. „გარე ძალას“, რომელმაც 1990-იან

წლებში მხარეთა მიერ დაშვებული შეცდომები სათავისოდ გამოიყენა და „თავისი ხალხის“ მეშვეობით „ცეცხლზე ნავთი დაასხა“. ამ „მესამე ძალას“ ბარიკადების სხვა-დასხვა მხარეს აღმოჩენილთა მხრიდან პრაგმატიზმი, შორსმხედველი პოლიტიკა, ურთიერთმიტევება და ურთიერთგაგება უნდა დაუპირისპირდეს, წინააღმდეგ შემ-თხვევაში ჩვენს მომავალ თაობებსაც კი მოუწევთ ცხოვრება რეგიონში, რომელსაც ცხელი წერტილი ჰქვია. თუ რა მძიმე ხვედრია ეს, ბევრ ქართველ, ოს, აფხაზ და სხვა ახალგაზრდას საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი.

ქრონოლოგიური ჩარჩოები. ნაშრომი მოიცავს საკმაოდ ვრცელ პერიოდს. მასში დნესტრისპირეთის რეგიონის სოციალურ-პოლიტიკური და დემოგრაფიული ფორ-მირების ეტაპებია განხილული. მიზეზი ამისა არის ის, რომ საკითხით დაინტერესე-ბულმა პირმა უკეთ გაიგოს თუ რა ისტორიულ-პოლიტიკური პროცესები უძღვოდა წინ იმ კონფლიქტს, რომელიც რეგიონში 1990-იანი წლების დასაწყისში მოხდა. ვინა-იდან და რადგანაც აღნიშნული კონფლიქტი დღემდე არ მოგვარებულა და „გაყინუ-ლად“ მოიხსენიება, მისადმი ინტერესი საკმაოდ მაღალია. დაპირისპირების არსის უკეთ გასაგებად კი ვრცელი ისტორიული ექსკურსი, მიმაჩნია, რომ აუცილებელია.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. დნესტრისპირეთის კონფლიქტი, რომელსაც ად-გილი ჰქონდა მოლდოვაში, 1990-იანი წლების დასაწყისში მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისათვის. მიზეზი ამისა არის ის, რომ საქარ-თველოსაც აქვს მსგავსი პრობლემა, რომელის მნიშვნელოვნად აფერხებს მის განვი-თარებასა და სწრაფვას დასავლური სამყაროსაკენ.

სამწუხაროდ, დნესტრისპირეთის, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში არსე-ბული სხვა დანარჩენი კონფლიქტები, საქართველოში ნაკლებად არის შესწავლილი, (რაც ერთი შეხედვით უცნაურიც კი არის, რადგანაც ჩვენს ქვეყანაში ორი კონფლიქ-ტური რეგიონია და მსგავსი თემებისადმი მაღალი ინტერესი მათი მშვიდობიანი გზით დარეგულირებისათვის საჭირო მექანიზმების შესამუშავებლად აუცილებლად გამოდგებოდა) შესაბამისად, ლიტერატურის მოძიება ქართულ ენაზე რთულია, რაც ართულებს ამ სივრცეში არსებული კონფლიქტების შესწავლას ქართულენოვანი აუდიტორიისათვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მკვლევართათვის. საგულის-ხმოა ისიც, რომ ქართულენოვანი წყაროების არარსებობა დიდ დაბრკოლებას უქმნის იმ პირებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან აღნიშნული საკითხით. შედეგად,

ჩნდება ინფორმაციული ვაკუუმი, რომელსაც არაქართულენოვანი ნაშრომები ავსებენ, რაც რა თქმა უნდა, არასასურველია. ამ თემაზე არსებული ინფორმაცია მეტწილად მხოლოდ უცხოურ, ძირითადად რუსულ და ინგლისურ (თუმცა მეტწილად უფრო რუსულად, რომელთა ავტორებიც კონფლიქტს მოსკოვის გადმოსახედიდან განიხილავენ და შესაბამისად ძალიან ტენდენციურები არიან.) ენებზე არის ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ ავტორთა დიდი ნაწილის მიკერძოებული პოზიცია მკითხველის ხედვასა და მოვლენების აღქმაზეც დიდ გავლენას ახდენს.

აღნიშნული ნაშრომი ქართულენოვან მკვლევარს საშუალებას აძლევს, გაეცნოს დნესტრისპირეთის კონფლიქტს, მის პრეესკალაციურ პროცესებს, ე.წ. „მესამე ძალის“ როლს ამ დაპირისპირების გადვივებაში, შეადაროს იგი იმავე პერიოდში საქართველოში მიმდინარე დრამატულ პროცესებს, იპოვოს საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ამ მოვლენებს შორის და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ავტორი შეხვდა დნესტრისპირეთისა და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მონაწილე პირებს. მათთან ჩაწერილმა სიღრმისეულმა ინტერვიუებმა ბევრ მეტად საინტერესო კითხვას გასცა პასუხი. ქართული საზოგადოებისათვის ალბათ განსაკუთრებით საინტერესო იქნება იმ დნესტრისპირელების მონაყოლი, რომლებიც 1992-1993 წლებში აფხაზეთში ომობდნენ, როგორ და რატომ ჩამოვიდნენ აქ აფხაზი სეპარატისტების მხარეს საქართველოს წინააღმდეგ საომრად და რა როლი ითამაშეს კონფლიქტის მსვლელობაში. ნაშრომში მოყვანილია მათი სამხედრო პატაკის ტექსტებიც, სადაც საბრძოლო მოქმედებების ზონაში თავიანთ ქმედებებს დეტალურად აღწერენ. ამასთან საინტერესოა მათი ხედვები დნესტრისპირულ-მოლდოვურ კონფლიქტზეც, პასუხი კითხვაზე, თუ რატომ აიღეს იარაღი ხელში და რატომ იბრძოლეს თავიანთი ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ.

ნაშრომის სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი „დნესტრისპირეთის კონფლიქტი“ შედგება შესავალის, სამი თავისა და დასკვნისაგან. მას თან ერთვის გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია.

ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. XIX-XX საუკუნეებში მიღწეული მეცნიერული პროგრესის შედეგად შესაძლებელი გახდა მოვლენათა თავდაპირველად ფოტო, ხოლო მოგვიანებით – ვიდეოფირზე აღბეჭდვა. შედეგად, კაცობრიობის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენებით ყველაზე დახუნძლული, XX საუკუნის შესახებ

მომავალი თაობები ინფორმაციას მხოლოდ წიგნებისა და ხელნაწერების მეშვეობით არ მიიღებენ. შესაბამისად, დნესტრისპირეთის კონფლიქტის შესახებ, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისში მოხდა უამრავი ფოტო თუ ვიდეო მასალა მოიპოვება. ყველაფერს ისიც დაერთო, რომ ციფრული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის განვითარებამ ადამიანებს საშუალება მისცა მისთვის საჭირო ცნობები სახლიდან გაუსვლელად მოიპოვოს. ზოგჯერ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ 2-3 წუთიანმა ვიდეომასალამ ან ერთადერთმა ფოტოსურათმა ამა თუ იმ მოვლენაზე იმაზე მეტი უთხრას საკითხით დაინტერესებულ პირს, ვიდრე რამდენიმე სქელტანიანმა წიგნმა. ცივილიზაციის ამ სიკეთით აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობისას აქტიურად ვსარგებლობდი. მუშაობის პროცესში ძალიან დიდი სამსახური გასწია იმან, რომ ვიდეოსაიტ YouTube-ზე მოიპოვება კონფლიქტის პერიოდში ადგილობრივი თუ უცხოური მედიასაშუალებების მიერ გადაღებული ვიდეომასალები, ინტერვიუები მიმდინარე პროცესებში ჩართულ პირებთან, დოკუმენტური კადრები და ა.შ. სოციალური ქსელების მეშვეობით მოხერხდა გასაუბრება იმ ადამიანებთან, რომლებიც კონფლიქტში მონაწილეობდნენ. ამავე მეთოდით მოხერხდა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ფოტო მასალისა და დოკუმენტების მოპოვება. საკითხით დაინტერესებულ პირებს აღნიშნული მასალის მოძებნა ნაშრომის ავტორის მიერ ისტორიოგრაფიაში მითითებულ ბმულებზე შეუძლიათ. თავისი საქმის პროფესიონალი და მამაცი ტელეოპერატორების, ჟურნალისტებისა თუ ფოტოგრაფების წყალობით, რომლებიც ხშირად საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის ფასად თავიანთ პროფესიულ მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ, კონფლიქტის ამსახველი ვიზუალური მასალა მრავლად მოიპოვება, რაც აღნიშნული კონფლიქტით დაინტერესებულ პირთათვის ძალიან მრავლისმიმცემია.

დნესტრისპირეთის კონფლიქტის მკვლევარისათვის მეტად საინტერესოა რუმინელი ავტორის, მარინ ბოჟესკუს წიგნი “Transnistria 1992: Another Bloody Ethnic Conflict?” მასში დაპირისპირების გამომწვევ მოვლენებზე, მის ისტორიულ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და პოლიტიკურ მიზეზებზეა საუბარი. წიგნში რეგიონში როგორც მეოცე საუკუნის დასაწყისში, აგრეთვე მის შუა პერიოდსა და მიწურულში მოხდარი პროცესებია მიმოხილული. ავტორი თავის ხედვას თანმიმდევრულად და ობიექტურად აყალიბებს, რაც მის ნაშრომს სანდოობასა და ინფორმაციულობას მატებს.

შემდეგი წიგნი, რომელიც სადისერტაციო თემაზე მუშაობისას იყო გამოყენებუ-

ლი, გახდავთ შოთა მალაშხიას „კონფლიქტების ანატომია“. ამ სქელტანიან წიგნში განხილულია ათობით კონფლიქტი, მათი წარმოშობის მიზეზები, ესკალაციის ფაზები და ის შიდა თუ გარე ფაქტორები, რომლებმაც დაპირისპირების გაღვივებაში დიდი როლი შეასრულეს. რაც ყველაზე საინტერესოა, ეს კონფლიქტები ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური დაპირისპირებების ჭრილშია განხილული. მასში საუბარია იმ მსგავსებებსა თუ განსხვავებებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ კონფლიქტებთან. წიგნს სანდოობასა და ინტერესს ისიც სძენს, რომ წიგნის ავტორი, ბატონი შოთა მალაშხია საქართველოს პარლამენტში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით დროებით კომისიას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

წიგნი «Дни затмения. Хроника необъявленной войны» მემუარული ჟანრისაა. მისი ავტორი მოლდოვის შინაგან საქმეთა ექს-მინისტრი, გენერალი იოან კოსტაშია. აღნიშნულ თანამდებობას იგი 1990-1992 წლებში იკავებდა. ეს გარემოება მის მემუარებს დნესტრისპირეთის კონფლიქტის მკვლევარისათვის მეტად საინტერესოს ხდის, რადგანაც ავტორი იმ პერიოდში გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა ვიწრო წრეში შედიოდა. როგორ ღვივდებოდა დაპირისპირება, როგორ და რა ვითარებებში ხდებოდა ოფიციალური კიშინიოვის მიერ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება, რა შეცდომები დაუშვა მოლდოვურმა მხარემ, როგორ მოქმედებდნენ დნესტრისპირელი სეპარატისტი ლიდერები, რა როლი ითამაშა ე.წ. „მესამე ძალამ“ თავისი ქმედებებით, როგორ ასხამდა ცეცხლზე ნავთს, როგორ ვითარდებოდა მოვლენები საბრძოლო მოქმედების თეატრზე და ა.შ. ამ კითხვებზე პასუხს იოან კოსტაში თავისი გადმოსახედიდან გვაძლევს.

დნესტრისპირეთის რეგიონში 1990-იან წლებში დატრიალებულ ტრაგედიას ყველაზე მიუკერძოებლად ფოტოგრაფები გადმოგვცემენ. ფოტოკორესპონდენტებმა საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის ფასად შესძლეს და შეაჩერეს წამები, რომლებზეც ასახულია პროცესებში ჩართული ადამიანებს ემოციები, სახეები, უმნიშვნელოვანესი მოვლენები... 1993 წელს ტირასპოლში გამოცემულ „დუბოსარი, დნესტრისპირეთის სისხლიანი იარა“-ში ომის საშინელება არის ასახული. განსაკუთრებით საშინელი კი თანდართული ფოტომასალაა, სადაც ზოგიერთ შემთხვევაში წამებით დახოცილი მშვიდობიანი მოქალაქეები არის ასახული. ფოტოებს თან ერთვის

ტექსტებიც, რომლებიც განმარტავენ თუ სად და როდის იყო გადაღებული ფოტო და ვინ და რა არის მასზე აღბეჭდილი. ანალოგიური შინაარსისაა 2012 წელს გამოცემული „დნესტრისპირეთის ომი. ისტორია ილუსტრაციებში“, რომელიც ერთგვარ ფოტოატლასს წარმოადგენს. მასზე ასახულია კონფლიქტის ესკალაციის ყველა ეტაპი, რაც მას აღნიშნული თემატიკის მკვლევარისათვის მეტად საინტერესოს ხდის.

დნესტრისპირეთის კონფლიქტის არსში ჩაწვდომა ამ რეგიონის ისტორიის შესწავლის გარეშე შეუძლებელია. მით უფრო, რომ გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე მასზე ბევრი ზესახელმწიფოს ინტერესები იკვეთებოდა. ეს გარემოება კი მის განვითარებაზე თავის კვალს ტოვებდა. აღსანიშნავია, რომ მოლდოველი და დნესტრისპირელი ავტორები ისტორიულ მოვლენებსა და მათ შედეგებს თავ-თავიანთი გადმოსახედიდან აფასებენ. თუ ტირასპოლელი ავტორები 1940 წელს ბესარაბიის გასაბჭოებას ადგილობრივი მოსახლეობის „რუმინული ბატონობის უღლისაგან გათავისუფლებად“ აფასებენ, მათი კიშინიოველი კოლეგები ამ მოვლენებს საბჭოთა ანექსიად და მოლდოვის სახელმწიფოებრიობის ხელყოფად მოიხსენიებენ. თუმცა, როგორც ამბობენ ხოლმე, სიმართლე სადღაც შუაშია და ამიტომ საკითხით დაინტერესებულმა მკვლევარი ორივე მხარის პოზიციას უნდა გაეცნოს და შესაბამისი დასკვნები გამოიტანოს. რეგიონის ისტორიის შესწავლისას გამოყენებულ იქნა როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ავტორების ნაშრომები. ადგილობრივთაგან, განსაკუთრებით აღსანიშნავია მოლდოველი ისტორიკოსების გუნდის (პ. ბრნია, პ. ბოიკო, ვ. ანდრუშკი და სხვ.) მიერ 2002 წელს კიშინოვში დაბეჭდილი „მოლდოვეთის რესპუბლიკის ისტორია უძველესი ხანიდან დღემდე“. წიგნში განხილულია ქვეყნის მიერ განვლილი გზა ქვის ხანიდან დღემდე. აქ დეტალურადაა აღწერილი ის მოვლენები, რამაც განაპირობა რეგიონში დღეს არსებული პოლიტიკურ-დემოგრაფიული მდგომარეობა.

მოლდოვის შესახებ მეტად საინტერესო წიგნის „მოლდოველები. რუმინეთი, რუსეთი და კულტურის პოლიტიკა“ ავტორია ბრიტანელი მკვლევარი ჩარლზ კინგი. ნაშრომში ავტორი ეხება მოლდოველი ხალხის იდენტობისა და ფორმაციის საკითხს. რა როლს ასრულებს ამ პროცესში რუმინელები, რომლებთანაც მოლდოველებს საერთო ენა და რელიგია აქვთ და რუსები, რომლებთანაც მოლდოველებს აგრეთვე საერთო რელიგია და თანაცხოვრების 200 წლიანი ისტორია აქვთ. (ამ გარემოებებს კრემ-

ლი ე.წ. „რბილი ძალის“ პოლიტიკის გატარებისას მოლდოვასა და საქართველოსთან ურთიერთობისას ხშირად იყენებს. ის მეტწილად რიგითი მოქალაქეების გულის მოგებას ემსახურება). კინგი დნესტრისპირეთის კონფლიქტის თემასაც ეხება, საუბრობს მის გამომწვევ მიზეზებზე. იგი მოლდოვაში ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობასა და მათი ინტეგრაციის პროცესში საუბრობს. წიგნი საინტერესო იქნება როგორც დნესტრისპირეთის კონფლიქტის, აგრეთვე მოლდოვის ისტორიითა და დემოგრაფიული საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

დნესტრისპირეთის კონფლიქტის მკვლევართათვის საჭირო ინფორმაციის შემცველია წიგნი, რომელიც იქნა დაბეჭდილი 2014 წელს, დნესტრისპირეთის არაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, «Переговорный процесс между Приднестровской Молдавской Республикой и Республикой Молдова в документах». მასში 1992-2014 წლებში გაფორმებული ყველა ხელშეკრულების ტექსტია თავმოყრილია. ზოგიერთი მათგანი ქვემოთ მოყვანილ სადისერტაციო ნაშრომშიც გახლავთ გამოყენებული. ამ დოკუმენტების გაცნობა ნათელ სურათს ქმნის იმაზე, თუ როგორცდილობებ მხარეები და კონფლიქტის დარეგულირებით დაინტერესებული საერთაშორისო ძალები რეგიონში მშვიდობის დამყარების პროცესის დაჩქარებას და იმასაც თუ როგორ ასრულებენ შეთანხმებებით გათვალისწინებულ პუნქტებს მხარეები.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ბეჭდური მედიასაშუალებებიდან მოპოვებული მასალებიც იქნა გამოყენებული. კიშინიოვისა და ტირასპოლის ეროვნულ ბიბლიოთეკებში დაცულია იმ პერიოდის ჟურნალ-გაზეთების ნომრები, რომელთა ფურცლებზეც კონფლიქტის ესკალაციის წინარე პერიოდით დაინტერესებული პირი ძალიან ბევრ საინტერესო სტატიას, წერილს. ინტერვიუსა თუ ფოტოს ნახავს. აღსანიშნავია, რომ შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის ფარგლებში მოლდოვაში ყოფნის დროს მომეცა შესაძლებლობა, ზემოხსენებულ ბიბლიოთეკებში მემუშავა და გავცნობოდი იმ გამოცემებს, რომლებიც გამოდიოდნენ მაშინ, როდესაც დნესტრისპირეთის კონფლიქტი მიმდინარეობდა, შესაბამისად, მათი ფურცლებზე ბევრი საინტერესო ცნობა მოიპოვება. აი, ზოგიერთი მათგანი: «Советская Молдова», «Рыбницкий металлург», «Вечерний Кишинёв», «Патриот», «Днестровская правда» და სხვ. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგი-

ების განვითარებამ ჟურნალ-გაზეთების ინტერნეტსივრცეში გადანაცვლება განაპირობა. შესაბამისად, ბევრ სტატიასა თუ ინტერვიუს ვებგვერდებზე ნახვაა შესაძლებელი. თემაში გამოყენებული მასალების ვებმისამართები დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სქოლიოებსა და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში იხილონ. აღნიშნულ საიტებზე ამ თემასთან დაკავშირებული სხვა ბევრი საინტერესო მასალაა. მუშაობის პროცესში აქტიურად იქნა გამოყენებული ინტერნეტ საიტები, სადაც ძალიან ბევრი საინტერესო დოკუმენტისა თუ ინტერვიუს ელვერსია მოიპოვება.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ინტერვიუები, რომლებიც მოლდოვაში ყოფნის დროს მოვლენების თვითმხილველებს და უშუალო მონაწილეებთან ჩაიწერა. გამოყოფდი რამდენიმე მათგანს.

ერნესტ ვარდანიანი გახლავთ ასოცირებული პროფესორი, არაერთი სამეცნიერო წაშრომისა და სტატიის ავტორი. მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ქართველ კოლეგა პროფესორებთან მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს. წიგნის, პრეზენტაცია, რომლის ერთ-ერთი თანაავტორიც იგი გახლავთ, 2016 წელს თსუ-ში შედგა. აღსანიშნავია, რომ ერნესტი 1989 წლიდან მოლდოვაში, კერძოდ კი ტირასპოლში ცხოვრობდა. 1990-იან წლებში განვითარებული მოვლენები, შეიძლება ითქვას, მის თვალწინ მოხდა. ის, სამეცნიეროსთან ერთად, ჟურნალისტურ საქმიანობასაც ეწეოდა. 2010 წელს დნესტრისპირეთის სეპარატისტულმა რეჟიმმა იგი მოლდოვის სასარგებლოდ შპიონაჟის ბრალდებით დააკავა, თუმცა მალევე გათავისუფლეს. მან განსაკუთრებით კარგად იცის რეგიონში არსებული დღევანდელი რეალობა, განსაკუთრებით საინტერესო იყო მასთან საუბრები დნესტრისპირეთის რეგიონსა და მოლდოვის ცენტრალური ხელისუფლების მიერ პოსტკონფლიქტურ პერიოდში ურთიერთობასა და მშვიდობის გზების ძიებაზე.

ლეონიდ კონსტანტინეს ძე კარაევი (გარდაიცვალა 2018 წლის 24 იანვარს) გახლდათ მოლდოვის შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი. საბჭოთა არმიის რიგებში სამსახური 1963 წელს დაიწყო. მოლდოვის არმიის რიგებში 1991 წლის 10 დეკემბრიდან ირიცხებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება-განვითარების უშუალო მონაწილე და თვითმხილველია. იბრძოდა დნესტრისპირეთშიც, შესაბამისად, დნესტრისპირეთის კონფლიქტის მიმდინარეობით დაინტე-

რესებული მკვლევარისთვის ძალიან კარგი რესპოდენტი იყო. სამწუხაროდ, 2018 წელს, მძიმე დაავადების შედეგად გარდაიცვალა.

ქართული საზოგადოებისათვის ალბათ ყველაზე საინტერესო სსრკ არმიის თა-დარიგის ოფიცერთან, დიმიტრი ალექსანდრეს ძე ბელოუსოვთან ჩაწერილი ინტერ-ვიუ უნდა იყოს. ის როგორც დნესტრისპირეთის, აგრეთვე ქართულ-აფხაზური კონ-ფლიქტის უშუალო მონაწილეა. სადისერტაციო ნაშრომის ავტორი მას 2016 წლის 25 იანვარს, ტირასპოლში შეხვდა. ინტერვიუში იგი საუბრობს იმაზე, თუ რამ აიძულა აეღო იარაღი ხელში, რატომ ჩავიდა აფხაზეთში და რატომ იომა აფხაზი სეპარატის-ტების მხარდამხარ, საქართველოს წინააღმდეგ. იგი ბევრ საინტერესო დეტალს ყვება. ამასთან, მოლდოვაში ყოფნისას ავტორი ესაუბრა რიგით მოლდოველებს, გაგაუზებს, დნესტრისპირეთის რეგიონის მაცხოვრებლებს, ხალხს, რომელთა თვალწინაც ვითარ-დებოდა მოვლენები და რომელთა სახელითაც საუბრობდნენ პოლიტიკოსები ბარიკა-დების ორივე მხარეს. მათი შეხედულება კონფლიქტზე, მის არსა და რაობაზე, მათი ლიდერების გადაწყვეტილებაზე, ძალიან საინტერესოა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ წლების შემდეგ ამ ადამიანებმა მიმდინარე პროცესები უკეთ გაიაზრეს, გაანალ-იზეს და დღეს უკვე ემოციების გარეშე საუბრობენ იმას, თუ რა ხდებოდა მაშინ, უკვე შორეულ 1990-იანი წლების დასაწყისში.

როგორც აღვნიშნე, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას აქტიურად ვიყენებდი ინტერნეტრესულსებს, მათ შორის დნესტრისპირეთის კონფლიქტის თემატიკაზე გა-დაღებულ დოკუმენტურ ფილმებს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო რამდენიმე მათ-განი. პირველ რიგში კი ქართულენოვანი. 2010-2011 წლებში, საქართველოს „საზოგა-დოებრივ მაუწყებელს“ ჰქონდა მეტად საინტერესო დოკუმენტურ ფილმთა ციკლი, „ოკუპაცია“. პროექტის ფარგლებში ოცამდე ფილმი იქნა გადაღებული, სადაც საუბა-რი იყო საბჭოთა რუსეთისა და ფაშისტური გერმანიის ექსპანსიურ ქმედებებსა და აგ-რესიაზე. ერთ-ერთი მათგანი, სახელად „თვითგამორკვევა რუსულად“ დნესტრისპი-რეთის კონფლიქტსა და მის ესკალაციაში რუსეთის როლს ეხებოდა. საკითხით დაინ-ტერესებული პირისათვის მეტად საინტერესო ინფორმაციას შეიცავდა, რადგანაც გა-დაცემის ავტორები იმყოფებოდნენ მოლდოვაში მათი რესპონდენტები გახლდნენ პო-ლიტიკოსები და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები ადამიანები, რომლებიც

პროცესებში უშუალოდ იყვნენ ჩართულნი. საინტერესოა აგრეთვე 2017 წელს გადაღებული რუსულენოვანი დოკუმენტური ფილმი „ბესარაბია“, რომელიც XX საუკუნეში მოლდოვაში განვითარებულ დრამატულ მოვლენებს ასახავს. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ადგილობრივი ჟურნალისტების მიერ 1992 წლის ზაფხულში, კონფლიქტის მიმდინარეობის პარალელურად გადაღებული დოკუმენტური ფილმი «Кому нужна эта война». გარდა იმისა, რომ მასში ძალიან ბევრი დოკუმენტური კადრია, რომელიც იმდროინდელ რეალობას ასახავს, საინტერესოა ისიც, რომ ფილმის ავტორი ესაუბრება სხვადასხვა ეროვნების რიგით დნესტრისპირელებს, მათ შორის იმათ, ვინც ხელში იარაღი აიღო და საბრძოლო მოქმედებებში აქტიურად ჩაერთო. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტური ფილმების დიდი ნაწილი რუსულენოვანია, მათი ავტორები მეტწილად რუსული მედიასაშუალებების ჟურნალისტები არიან, შესაბამისად ბევრი მათგანი ერთი-ერთში იმეორებს იმ ვერსიას, რომელიც ოფიციალურ მოსკოვს აწყობს. სამწუხაროდ დასავლური მედიასაშუალებები აღნიშნული რეგიონით ჯერჯერობით ნაკლებად ინტერესდებიან, შესაბამისად, აუდიტორიას მეტწილად მხოლოდ რუსულ, ან მოლდოვურენოვანი ვიდეო მასალების ნახვა შეუძლია. საინტერესო ინფორმაციის მიღება შეიძლება ფოტოებიდანაც. ბევრი ფოტოსურათი იმდენად მეტყველია და ნათლად გადმოსცემს მომხდარის ტრაგიკულობას, რომ მას კომენტარიც კი აღარ სჭირდება.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა მოვლენების უშუალო მონაწილე რესპონდენტთა სიღრმისეული ინტერვიუირების მეთოდი, დოკუმენტური წყაროების კრიტიკული ანალიზის მეთოდი, იმდროინდელი მედიასაშუალებების მიერ მომზადებული სიუჟეტებისა თუ სტატიების, აგრეთვე საკითხზე მომუშავე ექსპერტთა შეხედულებების ანალიზი. ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა ოფიციალური შეთანხმებების, ბრძანებების, ხელშეკრულებებისა თუ კანონპროექტების ტექსტები.

თავი I. დნესტრისპირეთის ისტორია

დნესტრისპირეთი, ანუ იგივე დნესტრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკა, ეს არის თვითაღიარებული სახელმწიფო წარმონაქმნი მოლდოვეთის ტერიტორიაზე. არაღიარებულ რესპუბლიკას გეოგრაფიულად საკმაოდ წამგებიანი პოზიცია უკავია. ის მოიცავს ტერიტორიას მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე. დასავლეთიდან მას მოლდოვა, ხოლო აღმოსავლეთიდან კი უკრაინა ესაზღვრება. რეგიონს არ აქვს შავ ზღვაზე გასასვლელი, რაც ოფიციალურ კიშინიოვს ურჩი ტერიტორიის ბლოკადაში მოქცევის საქმეს უადვილებს. ამაში მას მხარს დღეს ოფიციალური კიევიც უჭერს, რადგანაც მსგავსი პრობლემა ყირიმისა და დონბასის სახით მის წინაშეც დგას. არაღიარებული რესპუბლიკის დედაქალაქი ტირასპოლია. დნესტრისპირეთში სულ 8 ქალაქი და 100-მდე დასახლებული პუნქტია.

დნესტრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკის საერთო ფართობი 3 567 კვ. კმ-ს შეადგენს. მოსახლეობა მეტად პოლიეთნიკურია, რაც ამ რეგიონს თავის უნიკალურობასა და ინტერესს სძენს. 2015 წლის აღწერის მიხედვით, არაღიარებული რესპუბლიკის მაცხოვრებელთა რაოდენობა 475 665 იყო¹ (აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის დაწყებამდე რეგიონში 712 500 ადამიანი ცხოვრობდა). მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი – 31% – ეთნიკურად მოლდოველია, 30,4% – რუსია, 28% კი – უკრაინელია. აგრეთვე ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ გერმანელები, ბოშები, გაგაუზები, ებრაელები, სომხები და სხვ.² მოსახლეობის 90%-ზე მეტი მართლმადიდებელი ქრისტიანია. დნესტრისპირელთა 19%-ს – მოლდოვის რესპუბლიკის, 11%-ს – რუსეთის ფედერაციის, ხოლო 8%-ს კი – უკრაინის მოქალაქის დამადასტურებელი პასპორტი აქვს.

რეგიონს ხანგრძლივი, დინამიური, დრამატული და საინტერესო ისტორია აქვს. ის გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან ტერიტორიაზე იყო განთავსებული და წარმოადგენდა იმ ერთგვარი კარიბჭის ნაწილს, რომელიც აღმოსავლეთ ევროპას აკავშირებდა ბალკანეთის ნახევარკუნძულთან, ამ რეგიონზე გადიოდა იმ დიდი სამიგრაციო მარშრუტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლითაც ბარბაროსული ტომები სარგებ-

¹ Краткие предварительные итоги переписи населения Приднестровья 2015 года. <http://gov-pmr.org/item/6831>.

² Национальный состав ПМР. <http://novostipmr.ru/info/vesti/2015-09-nacionalnyj-sostav-pmr/>.

ლობდნენ. ამასთან, მასზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზებიც. სწორედ ალბათ ამიტომ, თითქმის ყველა დიდ, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთევროპულ იმპერიას, ოდითგანვე ჰქონდა ამ ტერიტორიის გაკონტროლების სურვილი. შესაბამისად, სანამ განხილულ იქნება 1990-იან წლებში რეგიონში მომხდარი სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი, საჭიროა მოხდეს მისი წინმსწრები ისტორიული პროცესების მიმოხილვა, რადგანაც, გარკვეულწილად, სწორედ ამ მოვლენებმა განაპირობეს რეგიონში არ-სებული დღევანდელი რეალობის ფორმირება.

1.1. დნესტრისპირეთის ტერიტორია უძველესი დროიდან XVI საუკუნემდე

დნესტრისპირეთის რეგიონის ტერიტორიაზე ადამიანი უძველესი დროიდან, დაახლოებით, ადრე პალეოლითის ხანიდან სახლობს. ამას არქეოლოგების მიერ ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში აღმოჩენილი ათასობით არტეფაქტი მოწმობს. სოფლების ვიხვატნიცისა (რიბნიცას რაიონი) და პოგრებიას (დუბოსარის რაიონი) მახლობლად არსებულ გამოქვაბულებში ძველი ადამიანის მიერ დამზადებული ქვის პრიმიტიული იარაღი და ცხოველთა ძვლებია ნაპოვნი, რაც მოწმობს იმას, რომ ადამიანის მიერ ეს ადგილი უძველესი დროიდან დასახლებული და ათვისებული იყო. არქეოლოგების მიერ კრასნოგოროვკასა და გრიგორიოპოლიტან აღმოჩენილია არტეფაქტებით მდიდარი უძველესი სამარხები, რომლებიც პალეოლითის ხანით თარიღდება.¹

ბრინჯაოს ხანის ეპოქაში, დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე დასახლებულმა ადამიანებმა თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში პრიმიტიული სასოფლო-სამეურნეო იარაღის დანერგვა დაიწყეს. ნელ-ნელა ვითარდება მესაქონლეობა. რკინის გამოჩენამ კი რეგიონის, ისევე როგორც კაცობრიობის, ისტორიაში დიდი რევოლუცია მოახდინა. აქ ის პირველად ძვ.წ. IX-VII საუკუნეებში ჩნდება. ამავე პერიოდში მიწათმოქმედთა და მომთაბარეთა საზღვარი სწორედ მდინარე დნესტრზე გადიოდა. რკინის საბრძოლო იარაღმა და ცხენების მოშინაურებამ ეს უკანასკნელნი სახიფათო მოწინააღმდეგებად აქცია. თრაკიელები, რომლებიც მარცხენა სანაპიროზე სახლობ-

¹ Н. Тельнов. Археологические исследования в Приднестровье. Руссин №1(27), 2012, გვ. 156-158.

დნენ, ძირითადად სამეურნეო საქმიანობას მისდევდნენ, მათმა მეზობელმა კი მერიელებმა კი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში ცხოვრების მომთაბარე წესი არჩიეს. ამავე პერიოდში ამ ტერიტორიაზე ჩნდებიან სკვითები. ისინი, ისევე როგორც თრაკიულები, ამყარებენ აქტიურ სავაჭრო კავშირებს შავი ზღვისპირეთის ჩრდილოეთ სანაპიროებზე გამოჩენილ ბერძენ კოლონიზაციორებთან, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ფეხის მოკიდებას ცდილობდნენ.¹

ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში ბერძნების მიერ შავი ზღვისპირეთის ჩრდილოეთ ნაწილის კოლონიზაციის პროცესი იწყება. ამ ტერიტორიაზე მსხვილი ელინისტური დასახლებებია ტირა და ოლბია. სხვა პატარ-პატარა ბერძნულ სამოსახლოებთან ერთად ისინი ჰქმნიდნენ პოლისს, რომელსაც ტირა პოლისად მოიხსენიებენ. მისი მაცხოვრებლები ეწეოდნენ ეკონომიკურ და სამეურნეო საქმიანობას, ჭედდნენ საკუთარ მონეტებსაც, რომლებიც თავდაპირველად ვერცხლის, შემდეგ კი ოქროსი იყო. ტირა იყო ქვით ნაგები აკროპოლისი, გამაგრებული თავდაცვითი კედლებით, მოკირწყლული, ქვაფენილიანი ქუჩებით, საკანალიზაციო სისტემით, ბაზრობითა და საზღვაო პორტით. კოლონიზაციორებს ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობა ადგილობრივ ტომებთანაც, რომლებიც თავიანთი განვითარების დონით დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ. დაახლოებით ძვ.წ. II-I საუკუნეში დასახლება თრაკიელთა (გეტთა) მიერ იქნა განადგურებული.²

ძვ.წ. I საუკუნის შუა ხანებში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირა რეგიონით რომის იმპერია ინტერესდება. რომაელებმა მდინარე დუნაის სამხრეთ ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ტომები დაიმორჩილეს. მათ აგრეთვე მოუწიათ სარმატებთან შებრძოლებაც, რომლებიც დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში გამოჩენდნენ. ამავე პერიოდში რომაელთა მიერ აღდგენილ იქნა ტირა, რომელსაც ახალი სახელი – ალბა იულია ეწოდა. მან მალევე დაიბრუნა ძველი ფუნქცია და კვლავ მსხვილი სავაჭრო ცენტრი გახდა. ის განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდა და, შესაძლოა ითქვას, რომ თვითმმართველი ტერიტორია იყო რომაული პროვინცია მეზიის შემადგენლობაში. ქალაქს ლეგიონერები და კაპიტალურად ნა-

¹ Приднестровье эпохи бронзы. <http://newspmr.com/istoriya-pmr/pridnestrove-epoxi-bronzy/2>.

² И. В. Буряко. Северо-западное Причерноморье в VII-V вв. до н.э. Начало колонизации Нижнего Поднестровья. Саратов, 1993, გვ. 60-79.

გები კედლები იცავდნენ.¹ რომაელები ცდილობდნენ თრაკიელთა დამორჩილებასა და რომანიზაციას. იმპერატორმა ტრაიანემ (ახ.წ. 98-117), მიუხედავად გეტებისა და დაკების გააფთრებული წინააღმდეგობისა, 101-106 წლებში წარმოებული ომების შედეგად შესძლო მათი დაპყრობა. ამ ტერიტორიაზე მან ახალი პროვინცია – დაკია დააარსა, რომელშიც რომაელი კოლონიზაციორები აქტიურად სახლდებოდნენ. ამავე პერიოდში, იმპერატორმა ტრაიანემ ააგო ე.წ. „ტრაიანეს თავდაცვითი ზღუდე“, რომელსაც რომის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციები მომთაბარე ბარბაროსთა ტომების თარეშისაგან უნდა დაეცვა. ამ თავდაცვითი ნაგებობების სისტემათა ნაშთების ნახვა, მათ შორის დნესტრისპირეთის ქალაქ დუბოსარის მიმდებარე ტერიტორიაზე, დღესაც არის შესაძლებელი.²

ახ.წ. III საუკუნეში ალბა იულია, ისევე როგორც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის რეგიონის სხვა ქალაქები, გუთებმა (გოთებმა) აიღეს და გაძარცვეს. ეს გერმანული ტომი მდინარე დნესტრის ნაპირებზე დაფუძნდა. სწორედ დნესტრი გახდა ერთგვარი საზღვარი ვესტგუთებსა და ოსტგუთებს შორის. დნესტრისა და დუნაის აუზში მათ, სარმატებთან, სლავებთან, თრაკიელებსა და სხვა ტომებთან ერთად, საფუძველი ჩაუყარეს ჩერნიახოვულ კულტურას. IV საუკუნის შუა ხანებში ამ ტერიტორიაზე ჰუნები მოდიან. მათ გაანადგურეს დნესტრი-დუნაის ტერიტორიაზე არსებული დასახლებები. მდინარე დნესტრის პირას გამართულ ბრძოლაში, შუა აზიიდან მოსულმა ამ მომთაბარე ხალხმა მალევე შესძლო ოსტგუთების დამარცხება. ეს უკანასკნელნი იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ ის მიწები, სადაც მომთაბარეთა გამოჩენამდე ცხოვრობდნენ და დასავლეთის მიმართულებით დაეწყოთ მიგრაცია. ჰუნებმა დალაშქრეს შავიზღვისპირა რეგიონის მდიდარი სავაჭრო ქალაქებიც, რომელთა უმეტესობაშიც, შემდეგ, საქალაქო ცხოვრება მალევე ჩაკვდა.³

V-VI საუკუნეებში, დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე, იქ, სადაც ჰუნების შემოსევამდე გუთები ცხოვრობდნენ, აღმოსავლეთიდან მოსული სლავური ტომები მასიურად სახლდებიან. ისინი წინ ნელ-ნელა მოიწევდნენ. დასახლებულ მიწებს საფუძ-

¹ Н. Сон. Тира – Античный полис на рубеже цивилизаций. <http://www.day.kiev.ua/ru/article/ukraina-incognita/tira-antichnyy-polis-na-rubezhe-civilizaciya>.

² Молдавская Советская Социалистическая Республика. Молдавская Советской Энциклопедия, т. 8. Кишинёв, 1979, გვ. 62.

³ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики. Т. 1. Тирасполь, 2000, გვ. 85.

ვლიანად ითვისებდნენ. მათი მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მეტად გაზრდილი პოპულაცია იყო. სლავების ნაწილი დნესტრისა და კარპატის ტერიტორიაზე დასახლდა, ნაწილმა კი გზა გააგრძელა. მათ გადაკვეთეს ბიზანტიის იმპერიის საზღვრები და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დაფუძნდნენ.¹

VI საუკუნის გოთი ისტორიკოსი იორდანი სლავებს სამ ნაწილად – ვენედებად, სკლავინებად და ანტებად ჰყოფს. მისი გადმოცემით, ეს ტომები ძირითადად სამხრეთ ტერიტორიაზე გადაადგილდებოდა, დასავლეთის მიმართულებით.

„მდინარე ვისლის სათავეებიდან მოყოლებული, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე დაფუძნდა ვენედების მრავალრიცხოვანი ტომი. მათი ჯგუფების დასახელებები დროთა განმავლობაში იცვლება. ეს განპირობებულია მათი განსახლების დიდი არეალითა და ამ ადგილების დასახელებებით. თუმცა კი, ძირითადად მათ სკლავინებად და ანტებად მოიხსენიებენ. სკლავინები ცხოვრობენ ქალაქ ნოვისუნტისა და მურსიანის ტბიდან მდინარე დნესტრამდე, ჩრდილოეთით კი მდინარე ვისლამდე. ქალაქების ნაცვლად მათ ჭაობები და ტყეები აქვთ. ანტები კი, რომლებიც მათ შორის ყველაზე ძლიერები არიან, ძირითადად მდინარე დნესტრისა და დნეპრის აუზში სახლობენ, იქ სადაც პონტოს ზღვა ყურეს ჰქმნის. ეს მდინარეები ერთმანეთისგან ძალიან დაშორებულია“.²

სლავების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ბიზანტიიელი ისტორიკოსი, პროკოპი კესარიელი თავის „ომი გუთებთან“-ში. მისი ცნობით, სლავების, ჰუნებისა და სხვა ბარბაროსების მოთარეშე ლაშქრობები აღმოსავლეთ რომის იმპერიასა და მის ჩრდილოეთ რეგიონების მაცხოვრებლებს საგრძნობ ზიანს აყენებდნენ.

„სკლავინებსა და ანტებს საერთო ენა აქვთ, რომელიც სრულიად ბარბაროსულია. ისინი ერთმანეთისაგან არც გარეგნულად განსხვავდებიან, არიან მაღლები და ძლიერები. სკლავინები და ანტები არ არიან ღია ფერისანი, თუმცა არც შავგვრემნები არიან და არც წითურები. ეწევიან ცხოვრების უხეშ წესს, გუთების მსგავსად, ისინი მუდმივად დასვრილნი არიან. მათ ყოფაში ჰუნების გავლენა იგრძნობა. სკლავინებსაც და ანტებსაც „სპორებად“ მოიხსენიებდნენ. მათი დასახლებები მეტად გაფანტულია

¹ Frankis Dvornik. The Slavs: Their Early History and Civilization. Boston, MA, 2005, გვ. 17-20.

² Иордан. «О происхождении и действиях Гетов». Вступительная статья, перевод, комментарий Е. Ч. Скржинской. Москва, Издательство восточной литературы, 1960, გვ. 72.

მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე“.¹

VII საუკუნის დამდეგს, დნესტრისპირეთის რეგიონში დასახლებული სლავების ნაწილი დროთა განმავლობაში იწყებს მიგრირებას დასავლეთის მიმართულებით. მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე აღმოჩენილი არქეოლოგიური არტეფაქტებით მტკიცდება, რომ იმ პერიოდში ადგილობრივი სლავები ცხოვრების მკვიდრ წეს ეწეოდნენ, მისდევდნენ რა მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას. მათი დასახლებები ძირითადად რამდენიმე კომლისაგან შედგებოდა. ეს თემები ნათესაური პრინციპით ერთიანდებოდა და სამეურნეო საქმიანობას საერთო ძალისხმევით ეწეოდნენ. დროთა განმავლობაში განვითარდა და ცალკე დარგებად ჩამოყალიბდა მეტალის მოპოვება და დამუშავება, აგრეთვე, კერამიკისა და თიხის დამუშავების ტექნოლოგიებიც ჩნდება.

VIII საუკუნისათვის სლავური ტომების განსახლების არეალი დიდ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. ის მოიცავდა შავი ზღვის ჩრდილოეთ ტერიტორიას, ბალკანეთის ნახევარკუნძულს, ცენტრალური ევროპის ნაწილს, მდინარე დნესტრისა და დუნაის აუზს. დროთა განმავლობაში ისინი სამ – ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ სლავებად დაიყვნენ. იმ პერიოდის წყაროების მიხედვით, დნესტრისპირეთში ულიჩებისა და ტივერების ტომები ცხოვრობდნენ. მათ IX-X საუკუნეებში კიევის სამთავროსთან ჰქონდათ მჭიდრო სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობა.²

IX საუკუნის 30-იან წლებში დნესტრისპირეთის რეგიონში უნგრული ტომები გამოჩნდნენ. ისინი მდინარეების დუნაისა და დნესტრის აუზში დასახლდნენ. იმავე საუკუნის ბოლოს მათ ბულგარეთის მეფემ, სიმეონმა შეუტია. ამას შუა აზიის სტეპებიდან მოსული თურქული მოდგმის მომთაბარე ტომების – პაჭანიკების შემოსევებიც დაერთო. შედეგად, უნგრელები იძულებულნი შეიქნენ, დუნაის ჩრდილოეთის მიმართულებით აპულოდნენ და სამოსახლოდ ახალი ტერიტორია მოეძებნათ.³

X საუკუნისათვის, დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომები კიევის რუსეთის შემადგენლობაში არიან. კიევისათვის ამ რეგიონს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც სწორედ მისი გავლით ხდებოდა სახმელეთო გზით დაკავშირება

¹ Прокопий Кесарийский. Война с Готами. Ответственный редактор Косминский Е. А. Москва, 1950, გვ. 297.

² В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 89-93.

³ Приднестровье в VIII-X веках. <http://newspmr.com/istoriya-pmr/pridnestrove-v-viii-x-vekax>.

იმ პერიოდის ზესახელმწიფოსთან – ბიზანტიასთან, აგრეთვე სამხრეთ სლავებთან, რომლებიც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ. დნესტრისპირა მიწების დიდ მნიშვნელობაზე კიევის მთავრის, სვიატოსლავის სიტყვებიც მეტყველებს: „არ მსურს კიევში ცხოვრება, უმჯობესია პერეიასლავში ცხოვრება, რამეთუ სწორედ იქ მიედინება ყოველი სიკეთე, ბერძნული მიწებიდან ოქრო, ღვინო, ძვირფასი ნაჭრები, ბეწვეული, სხვადასხვა საუცხოო ხილის ნაყოფები, ჩეხებისა და უნგრელებისაგან ვერცხლი და ცხენები, რუსებისაგან კი ტყავი და ცვილი, ტყვეები და თაფლი“.¹

მეათე საუკუნის მიწურულს, სლავური მოსახლეობის შევიწროებას მომთაბარე პაჭანიკები იწყებენ. ისინი იძულებულნი არიან მდინარე დნესტრის შუა და ქვედა წელი დატოვონ და თავი კიევის რუსეთის სამთავროს შეაფარონ. ნაწილი დასავლეთის მიმართულებით მიგრირებს. ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე VII პორფიროგენეტის ცნობების თანახმად, X საუკუნისათვის მდინარე დნესტრზე ექვსი გაუკაცრიელებული ქალაქი იყო. ამ ქალაქებს პაჭანიკები შემდეგნაირად მოიხსენიებდნენ: ასკრონი (აკერმანი), ტუნგატი (ბენდერი), კრაკნაკატი (სოოკი), სალმაკატი, საკაკატი და გიანკენტი. მომთაბარე ტომების გამუდმებულმა და გამანადგურებელმა შემოსევებმა დროთა განმავლობაში დნესტრისპირეთისა და ზოგადად შავი ზღვისპირეთის ჩრდილოეთ ნაწილის სლავური დასახლებები და აქ მოსახლე თურქული ტომები მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

XI საუკუნიდან, დნესტრისპირეთის პირას დასახლებულ პაჭანიკების შევიწროებას თურქული მოდგმის სხვა მომთაბარე ტომები იწყებენ. XI საუკუნის 50-იან წლებში თურქებმა მდინარე დნესტრის ნაპირებზე მცხოვრები პაჭანიკები დუნაის გაღმა მიწებზე გადადევნეს. ამავე საუკუნის ბოლოს ამ მიწებზე მოსულმა ყივჩაღთა მრავალრიცხოვანმა ტომმა პაჭანიკები აიძულა ეს ტერიტორია დაეტოვებინა.² ყივჩაღები საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას აკონტროლებდნენ: მდინარე დონიდან დუნაიმდე, ბესარაბიის მთელ ტერიტორიას, კარპატისპირეთს, მოლდოვასა და ვლახეთს. ისინი ბიზანტიის იმპერიის ჩრდილოეთ რეგიონებსა და დუნაის მიღმა მიწებსაც ხშირად არ ბევდნენ. დნესტრისა და დუნაის აუზში დარჩენილი სლავური მოსახლეობა თავს

¹ Д. С. Лихачев. Повести древней Руси. Изборник, Москва, 1986, გვ. 35.

² П. Голубинский. Печенеги, торки и половцы до нашествия татар. История южнорусских степей IX-XIII веков. Киевъ, 1884, გვ. 36.

კარგად გამაგრებულ ციხე-სიმაგრეებში, დუნაისპირა დიჩინში (იგივე დიცია), ძველ კილიას, დუნაის მარჯვენა სანაპიროზე, აკოლიატრას, ჩეტატეა ალბას, ჩერნის (დღე-ვანდელ გრიგორიოპოლს), ტირგისა და ასკის აფარებდა.¹

X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში მდინარე დნესტრისა და პრუტის აუზი ორი მართლმადიდებლური სახელმწიფოს, ბულგარეთსა და კიევის რუსეთს შორის აღმოჩნდა. მათ ერთმანეთში აქტიური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ. ალბათ სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ამ რეგიონის სლავური მოსახლეობა ქრისტიანულ რელიგიაზე მოექცა. ამაზე მეტყველებს ის 100-მდე საფლავი, რომელიც დღევანდელი სოფელ ბრანაშტან გაითხარა და რომელიც X-XI საუკუნეებით თარიღდება. გარდაცვალებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ქრისტიანული წესით არის დაკრძალული.²

XII საუკუნეში დნესტრისპირეთის ტერიტორია გალიციის სამთავროს დაქვემდებარებაშია. ამავე პერიოდში, დნესტრისა და დუნაის აუზში იზრდება სლავური მოსახლეობის რაოდენობა. ეს ძირითადად იმ გალიციელების ხარჯზე ხდება, რომლებიც გალიციის მთავარმა, რომან მსტისლავის ძემ (1170-1205) სხვადასხვა მიზეზთა გამო აჰყარა თავიანთი მიწებიდან, მათ შორის იყვნენ როგორც გლეხები, აგრეთვე დიდგვაროვანი ბოიარები.³

XIII საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე ჩნდება ახალი ძალა – მონდოლთა იმპერია. 1223 წლის გაზაფხულზე, მონდოლთა დაახლოებით 20 000 კაციანი ლაშქარი სარდლების, ჯებესა და სუბუდაის მეთაურობით, შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირებს მიადგა. იმავე წლის 31 მაისს მოხდა ბრძოლა მდინარე კალკასთან. ამ ბრძოლაში კიევის, გალიჩ-ვოლინის, ჩერნიგოვისა და სმოლენსკის სამთავროებისა და ყივჩაღთა გაერთიანებული დაახლოებით 100 000-იანი ლაშქარი⁴ (სხვა მონაცემებით კი – 45 000-50 000 მებრძოლი⁵), ჩინგიზ ყაენის მიერ წარგზავნილმა მეომრებმა სასტიკად დაამარცხეს. აღსანიშნავია, რომ მონდოლთა ეს ჯარი დაპყრობითი ომების წარმოებას მიზნად არ ისახავდა. მათი ლაშქრობა მარბიელ-სადაზვერვო ფუნქციას ატარებ-

¹ Бессарабия. <http://oldchisinau.com/lib/bessarabia/bessarabia3.html>.

² Православие в Приднестровье. Деятельность конфессий в ПМР. <http://biblio.fond.ru/view.aspx?id=562894#1>.

³ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 103.

⁴ И. Голыженков. Битва на Калке 31 мая 1223 г. 1994, გვ. 27.

⁵ Р. П. Храпачевский. Военная держава Чингисхана. Москва: АСТ, 2005, გვ. 331.

და. 1227 წელს, ჩინგიზ ყაენის გარდაცვალებამ აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობა ერთგვარად „გადაავადა“.

XIII საუკუნის 40-იან წლებში შავიზღვისპირეთის ჩრდილოეთსა და მდინარეების, დნესტრისა და დუნაის აუზში მონღოლები კვლავ გამოჩნდნენ. 1240 წელს მხედართმთავარ ბათოს მეთაურობით მათ აიღეს და გადაწვეს კიევი. შემდეგ, 1241 წლის დასაწყისში, შეუტიეს გალიჩ-ვოლინის სამთავროს, ტრანსილვანიას, პოლონეთსა და ჩეხეთს. 1242 წელს უგედეი ყაენი გარდაიცვალა. იტალიისა და გერმანიის საზღვრებს მიღწეული მონღოლები იძულებული გახდნენ, უკან დაბრუნებულიყვნენ. სწორედ ამ დროს იქნა მათ მიერ სასტიკად დარბეული და აოხრებული მდინარე დნესტრის ქვედა წელი. ამ ლაშქრობამ დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ სლავებს ძალიან დიდი ზარალი მიაყენა. ისინი, ისევე როგორც მათი მეზობელი სხვა ხალხები, მონღოლთა ბატონობის მძიმე უღლის ქვეშ მოექცნენ. ცნობილია, რომ 1226 წელს შექმნილი ოქროს ურდოს უკიდურესი დასავლეთი საზღვარი მდინარე დუნაიზე გადიოდა.

XIII საუკუნის 50-იან წლებში მონღოლებმა დნესტრისპირეთში ორჯერ ილაშქრეს. შედეგად, დნესტრის აუზზე მონღოლები გაბატონდნენ.¹ აღნიშნულ რეგიონს მონღოლებისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მასზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, აქვე იყო გადასასვლელები მდინარე დნესტრსა და დუნაიზე, რომლითაც ქარავნები სისტემატიურად სარგებლობდნენ. ამასთან, ეს ტერიტორია მათი ურდოებისათვის ერთგვარ პლაცდარმს წარმოადგენდა, საიდანაც მათი მარბიელი ჯარები ლაშქრავდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილსა და ცენტრალური ევროპის ტერიტორიას. მდინარეების, დნესტრისა და პრუტის აუზში ისინი ფლობდნენ ქალაქებს – ჩეტატეა ალბა, ძველი ორპეი (ოქროს ურდოში მას შეჰირ ალ-ჯედიდად ან იენი შეჰირად მოიხსენიებენ, რაც თურქულად ახალ ქალაქს ნიშნავს) და კოსტემტს. ეს უკანასკნელნი, თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით მთელი რეგიონის მასშტაბით დიდი მნიშვნელობის მქონენი იყვნენ.

ოქროს ურდოს შემადგენლობაში ყოფნისას, ცვლილება განიცადა დნესტრისპირეთის ტერიტორიის მოსახლეობის შემადგენლობამაც. ვოლგისპირეთიდან, შავი ჭი-

¹ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, гл. 109-110.

რისა და რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისაგან თავის დასაღწევად, ხალხმა მა-სიურად დაიწყო თვითნებური მიგრაცია დასავლეთის მიმართუ-ლებით. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირებსა და მდინარე დნესტრისა და პრუტის აუზში დასახლდა.¹

XIII საუკუნეში მდინარე დნესტრის აუზსა და შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირებზე ბერძენი და გენუელი ვაჭრები ჩნდებიან. მათ იქ თავ-თავიანთი პატარ-პატარა კოლონიები შექმნეს. მდინარეების დნესტრისა და დუნაის ტერიტორიაზე ამ დღემდეა შემორჩენილი ოდესლაც მძლავრი სიმაგრეების, ისეთების, როგორიც იყო ხოტინი, ოლპიონი, ტიგინა (დღევანდელი ქალაქი ბენდერის მიმდებარე ტერიტორია) და მონკასტროს (აკერმანი) ნარჩენები. აქ მათ გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ვლახებთან, მოლდოველებთან, ასევე თვით მონღოლებთანაც. ამ დროისათვის ადგილობრივი სლავური მოსახლეობა მონღოლთა ბატონობისაგან მეტად შეწუხებული და შევიწროებული იყო. ისინი თავს მდინარე დნესტრის კლდიან ნაპირებს აფარებდნენ. ამას მოწმობს დღემდე შემორჩენილი ქრისტიანული სამლოცველოების ნაშთები, რომლებიც სოფლების: კომაროვოს, შაბოს, ბულაეშტის და სხვა მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ გამოქვაბულებშია აღმოჩენილი. ²

დნესტრისპირეთის ტერიტორია მონღოლთა ბატონობის ქვეშ XIV საუკუნის 60-იან წლებამდე იმყოფებოდა. თანდათანობით, ოქროს ურდოს სიძლიერე და ექსპანსიური პოლიტიკა, შიდა თუ გარე ფაქტორების გათვალისწინებით, შესუსტდა. მან დაკარგა კონტროლი თავის სამფლობელოებზე. ამას დაერთო ისიც, რომ დაახლოებით ამავე პერიოდში აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ რუკაზე გამოჩნდნენ ახალი მოთამაშეები. ესენი იყვნენ: პოლონეთი, აგრეთვე მოლდოვისა და ლიტვის სამთავროები. XIV საუკუნის ბოლოსათვის ამ ძალებმა დნესტრისა და დუნაის აუზიდან მონღოლები თითქმის სრულიად განდევნეს.³

მოლდოვას სამთავრო თვითმყოფად ძალად XIV საუკუნის შუახანებში იწყებს ჩამოყალიბებას. მისი პირველი მმართველი დრაგოშ ვოდე იყო. სამთავროს ტერიტორია, თავდაპირველად, აღმოსავლეთ კარპატების ნაწილს, მდინარე პრუტის აუზს, ქა-

¹ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 111.

² Бессарабия. <http://oldchisinau.com/lib/bessarabia/bessarabia3.html>.

³ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 111.

ლაქების, სიჩოვას, ბიასა და სირეტის მიდამოებს მოიცავდა. ეს უკანასკნელი მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი იყო. სამთავროს დაწინაურება მნიშვნელოვანწილად მონღოლთა დასუსტებამ განაპირობა. ამას დაერთო ისიც, რომ XIV საუკუნის 50-იან წლებში უნგრულმა ჯარებმა ოქროს ურდოელები შავი ზღვის სანაპიროებისა და ვოლგისპირეთისაკენ განდევნეს. უნგრეთის მეფის, ლაიოშ I უნგრელის ბრძანებით, ამ ლაშქრობაში მონაწილეობას მისი ვასალები, მოლდოველებიც იღებდნენ.¹ დრაგოშ ვოდემ მდინარე დნესტრისა და პრუტის აუზი მონღოლებისაგან გაწმინდა, გამოთავისუფლებული ტერიტორია კი თავის სამფლობელოს შემოუერთა.

1359 წელს მოლდავის სამთავროს ვლახი დიდგვაროვანი გამგებელი, ბოგდან I გახდა. იგი უნგრეთის მეფის ლაიოშ I-ის წინააღმდეგ აჯანყდა, რადგანაც აღარ სურდა მისი ვასალი ყოფილიყო. 1365 წელს უნგრეთი იძულებული შეიქნა, მოლდოვას დამოუკიდებლობა ეცნო. ასე შეიქმნა პირველი მოლდავური სახელმწიფო.²

1391 წელს მოლდავეთის სამთავროს მმართველი რომან I მუშატი გახდა. მისი მმართველობის პერიოდში, სამთავროს ტერიტორია გაფართოვდა და გაძლიერდა ის მოიცავდა ტერიტორიებს მდინარე დნესტრსა და პრუტს შორის, მდინარე დუნაიმდე, სამხრეთით კი – შავი ზღვის ნაპირებამდე მიწებს. მისივე მფლობელობაში იყო ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი საზღვაო ციხე-სიმაგრეები, როგორებიც კილია და ჩეტატეა ალბე იყო. ის ატარებდა ტიტულს „მოლდოვური მიწების მფლობელი მთებიდან ზღვის ნაპირებამდე“.³

XIV საუკუნის ბოლოს, პოლონელთა დახმარებით, ტახტზე რომანის ვაჟი, შტეფან I მუშატი ადის. ის პოლონეთის ინტერესების გამტარებელია, რის გამოც მოლდოვის სამთავროსა და უნგრეთის სამეფოს შორის ურთიერთობა დაიძაბა. 1400 წელს ტახტი ალექსანდრე I კეთილმა დაიკავა. მისი მმართველობის პერიოდი სოციალ-პოლიტიკური კეთილდღეობითა და სტაბილურობით ხასიათდება. ის აწარმოებდა სწორ საგარეო და საშინაო პოლიტიკას, რამაც საშუალება მისცა დაერეგულირებინა ურთიერთობა როგორც პოლონეთთან, აგრეთვე ლიტვის სამთავროსა და ძველ მოწინააღმდეგესთან, უნგრეთის სამეფოსთანაც კი.

¹ Бессарабия. <http://oldchisinau.com/lib/bessarabia/bessarabia3.html>.

² შ. მალაშხია. კონფლიქტების ანატომია. თბილისი, 2011, გვ. 230.

³ Бессарабия. <http://oldchisinau.com/lib/bessarabia/bessarabia3.html>.

აღსანიშნავია, რომ XIV საუკუნის ბოლოსათვის მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპირო ლიტვის სამთავროს მფლობელობაში იყო მას შემდეგ, რაც სამთავროს მმართველმა ოლგერდმა 1362 წელს ოქროს ურდოს ჯარები სასტიკად დაამარცხა მდინარე სინიუხთან გამართულ ბრძოლაში. 1387 წელს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ლიტვისა და მოლდოვეთის სამთავროს საზღვარი მდინარე დნესტრზე გადიოდა.¹ სწორედ ამ პერიოდიდან იწყება იმ ეთნიკური სურათის ჩამოყალიბება, რომელიც დღესაა რეგიონში. XV საუკუნის რუკებზე ფიგურირებს რაშვოვი და ტიგინა (დღევანდელი ქალაქ ბენდერის მიმდებარე ტერიტორია), რომელიც თათართა საბაჟო პუნქტად არის მოხსენიებული. ამ პერიოდში რეგიონის ეთნიკური შემადგენლობა მეტად მრავალფეროვანი იყო. აյ როგორც სლავები, ასევე თათრები და მოლდაველები ცხოვრობდნენ.²

XV საუკუნეში რეგიონში ახალი ძალა, ოსმალეთის იმპერია გამოჩნდა. 1420 წელს თურქებმა დაამარცხეს ვლახეთის სამთავრო და დიდი ძალებით მოლდოვეთის სამხრეთ ტერიტორიებზე შეიჭრნენ. თურქები თავისი ჯარით კილიასა და ჩეტატეა ალბეს ციხე-სიმაგრეებს შემოერტყნენ გარს. მიუხედავად რიცხვითი უპირატესობისა, თურქებმა მეციხოვნეთა მედგარი წინააღმდეგობა ვერ გატეხეს და დიდი დანაკარგებით უკან დაიხიეს.³ 1442 წელს ალექსანდრე I გარდაიცვალა და მოლდოვის სამთავრო შინააშლილობამ მოიცვა, რამაც მისი დასუსტება გამოიწვია.

1457 წელს, ვლახეთის მმართველ ვლად ცეპეშის (იგივე დრაკულას) დახმარებით, მოლდოვეთის სამთავროს ტახტზე შტეფან III ჩელ მარე (დიდი) ადის.⁴ მან ბოლო მოუღო შიდაარეულობას. მისი მმართველობის პერიოდში დაიწყო სამთავროს ეპონომიკური და პოლიტიკური აღმასვლა. შტეფანი ოსმალეთის იმპერიას რევულარულად უხდიდა ჯერ კიდევ 1415 წელს ნაკისრ ხარკს, რითაც თავის სამფლობელოში მშვიდობას ინარჩუნებდა. 1469 წელს თურქთა მოკავშირე დიდი ურდოს ხანი აჰმედი თავისი ლაშქრით მოლდოვას სამთავროში შემოიჭრა. მდინარე დნესტრთან გამართულ ბრძოლაში შტეფან ჩელ მარემ ურდოელები სასტიკად დაამარცხა. ამის შემდეგ მან თურქებს ხარკის ძლევა შეუწყვიტა. მისივე მეთაურობით 1475 წელს ვასულის

¹ В. Шурыгин. Белая книга ПМР. 2006, გვ. 5.

² Приднестровье в XI-XV веках. <http://newspmr.com/istoriya-pmr/pridnestrove-v-xi-xv-vekax/3>.

³ Оттоманы: враги христианства. <http://m.moldovenii.md/ru/section/714>.

⁴ В. Стати. История Молдовы. Кишинёв, 2003, გვ. 65.

ბრძოლაში მოლდოველებმა შესძლეს ოსმალთა 120 000 ლაშქრის განადგურება, რომელიც ურჩი სამთავროს დასასჯელად და დასამორჩილებლად იყო წარმოგზავნილი.¹

1476 წელს, სულთანმა მეჰმედ II-მ კვლავ გამოგზავნა ლაშქარი მოლდოველების დასამორჩილებლად. ადგილობრივთა გააფთრებულმა წინააღმდეგობამ თავისი შედეგი გამოიღო და მოწინააღმდეგემ უკან დაიხია. მოგვიანებით, 1484 წელს გაერთანებული თურქულ-თათრულ-ვლახური ლაშქარი, ბალი-ბეგის მეთაურობით, კვლავ შეიჭრა მოლდოვაში. დიდი ბრძოლების შედეგად მათ აიღეს შავიზღვისპირა ციხე-სიმაგრეები კილია და ჩეტატეა ალბე. ეს სამთავროსათვის დიდი დანაკარგი იყო. მოლდოველებს სულ უფრო უჭირდათ ოსმალეთის მძლავრ იმპერიასთან ბრძოლა. დასავლელი ქრისტიანი მონარქები, დაპირებების მიუხედავად, რეალური ძალით დახმარებას არ ჩეარობდნენ. შექმნილ მძიმე ვითარებაში, შტეფან III იძულებული იყო 1498 წელს თურქებთან სამშვიდობო ხელშეკრულება გაეფორმებინა. ზავის პირობების თანახმად, მოლდოველები ყოველწლიურ ხარკს – 3000 ვენეციური ფლორინის ოდენობით – კისრულობდნენ, ხოლო ოსმალები, თავს მხრივ, შტეფანს მოლდოვის ერთპიროვნულ და სუვერენულ მმართველად აღიარებდნენ.²

შტეფან III დიდის გარდაცვალების შემდეგ თურქული ექსპანსია მოლდოვას სამთავროში გაძლიერდა. 1503 წელს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად ოსმალთა უშუალო მფლობელობაში გადავიდა სამთავროს სამხრეთი რეგიონი – ბესარაბია, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას მდინარე დნესტრსა და პრუტს შორის.³ შესაბამისად, XVI საუკუნის დასაწყისში დნესტრისპირეთის ტერიტორია სამი ძლიერ და ექსპანსიურ სახელმწიფოს – ოსმალეთის იმპერიას, პოლონეთისა და ყირიმის სახანოს შორის მოექცა.

1.2. დნესტრისპირეთის ტერიტორია XVI-XIX საუკუნეებში

როგორც აღინიშნა, ოსმალები შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში, სლავებით დასახლებულ მიწებზე, XV საუკუნის მიწურულს გამოჩნდნენ. მათ ლიტვის სამთავროს

¹ В. Стати. История Молдовы, гл. 81.

² В. Стати. История Молдовы, гл. 84.

³ Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон. Энциклопедический словарь. Т. 7. СПб, 1892, гл. 604.

სამხრეთ ტერიტორიების ნაწილი დაიკავეს და ტიგინას (დღევანდელი ბენდერი), ოჩა-კოვისა და კარა-ქერმელის სიმაგრეები ააგეს. ამავე პერიოდში აქტიურდება ყირიმის სახანოც. ისინი სისტემატიურად აწყობენ ლაშქრობებს, რომელიც, როგორც დნესტრისპირეთის რეგიონის, აგრეთვე პოლონეთისა და ლიტვის სამთავროს მაცხოვრებლებს დიდ ზიანს აყენებდა.

XVI საუკუნის დასაწყისში აიგო სამხაზიანი თავდაცვითი ზღუდე, რომლებსაც ყირიმელები უნდა შეეკავებინა. მის წინა ხაზზე კაზაკთა რაზმები იყვნენ განლაგებულნი. ისინი სტეპებს ზვერავდნენ და მტრის გამოჩენის შესახებ ატყობინებდნენ ძირითად ძალებს.

1512 წელს ყირიმის სახანოსა და პოლონეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო, რამაც თათართა შემოსევები საგრძნობლად შეამცირა. აღსანიშნავია, რომ XVI საუკუნის პირველ ნახევარში ხელი პოლონეთსა და ოსმალეთს ერთმანეთთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ, მეტიც, 1528 წელს მათ შორის ხუთწლიანი, ხოლო 1547 წელს სტამბულში, სამუდამო სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდა. ამან თურქებს საშუალება მისცა რეგიონში არსებული სხვა ქრისტიანული სამთავრო-სახელმწიფოების წინააღმდეგ უფრო თამამი და ექსპანსიური პოლიტიკა ეწარმოებინა.¹ მოლდაველები, დნესტრისპირეთში მცხოვრები კაზაკები და რეგიონში მცხოვრები სხვა ქრისტიანები მხოლოდ საკუთარი თავის იმედად უნდა ყოფილიყვნენ.

XVI საუკუნის 30-40-იან წლებში თურქებმა, მათ მიერ დაკავებულ ბესარაბიის ტერიტორიაზე საკუთარი პოზიციების საფუძვლიანად გამყარება დაიწყეს. მდინარე დნესტრის გასწვრივ უკვე არსებული ციხე-სიმაგრეების აღდგენა-გამაგრებას მიჰყეს ხელი. შედეგად, მათ ხოტინის, აკერძანის (ბელგოროდი) და ბენდერის სახით მომავალი ექსპანსიისათვის მნიშვნელოვანი პლაცდარმი შექმნეს.²

მოლდოველები უკმაყოფილონი იყვნენ ოსმალური იმპერიის, განსაკუთრებით, სულეიმან I-ის ექსპანსიონისტური პოლიტიკით, რომელმაც ბესარაბია უშუალოდ დაიქვემდებარა. ყოველივე ეს აშფოთებდათ კაზაკებსაც, რომლებიც თურქების გამეზობლებაში დიდ საფრთხეს ხედავდნენ. საერთო ძალებით მათ XVI საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყეს სისტემატიური ლაშქრობები ოსმალთა მიერ კონ-

¹ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, гл. 134.

² Приднестровье в XVI-XVII веках <http://newspmr.com/istoriya-pmr/pridnestrove-v-xvi-xvii-vekax>.

ტროლირებად ტერიტორიაზე.¹ კაზაკებმა, დიმიტრი მიხეილის მე-თაურობით შესძლეს მდინარე დნესტრისა და ბუგის სამხრეთ ტერიტორიაზე თურქთა და თათართა შევიწროება. თუმცა ვიშნიაკოვსკის მაღევე გაუჩნდა პოლიტიკური ამბიციები მოლდოვას სამთავროს ტახტზე, ამასთან, მოსახლეობის დაბალ ფენებში ოსმალებთან წარმატებული ბრძოლის გამო მისი ავტორიტეტი გაიზარდა. ამან მოლდოველი ბოიარები შეაშფოთა. 1563 წელს იგი შეიპყრეს და თურქებს გადასცეს, რომლებმაც კაზაკთა მეთაური სიკვდილით დასაჯეს.

1569 წელს პოლონეთისა და ლიტვის სამთავროს გაერთიანებამ საფუძველი ახალი ფედერაციული სამეფოს, ჟეჩ პოსპოლიტას შექმნას დაუდო. მის შემადგენლობაში მდინარე დნესტრის მარცხენა შენაკადის, იაგორლიკის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია შევიდა, სამხრეთი ტერიტორია კი ყირიმის სახანოს მფლობელობაში იყო. ათწლეულების განმავლობაში, დნესტრისპირეთის ტერიტორია იყო იმ სლავი თუ მოლდოველი გლეხების თავშესაფარი, რომლებიც ბოიართა ძალადობას გაურბოდნენ. თუმცა XVI საუკუნის შუახანებში შექმნილმა ვითარებამ მას უსაფრთხო თავშესაფრის სტატუსი დააკარგვინა. თათრები ხშირად არბევდნენ ამ ტერიტორიას, რა დროსაც ყველაზე მეტად იქ დასახლებული ხალხი ზარალდებოდა.²

XVI საუკუნის 60-70-იან წლებში დნესტრისპირეთის ტერიტორია იქცა მოლდაველთა და კაზაკთა იმ ძალების ერთგვარ პლაცდარმად, რომლებიც მიზნად რეგიონის ოსმალთა იმპერიის ბატონობისაგან განთავისუფლებას ისახავდნენ. ეს მეტად რთული ამოცანა იყო, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ძლიერი მოკავშირის არყოლა იყო. ამას, ოსმალთა წაქეზებით, 1575 წელს ყირიმელ თათართა გამანადგურებელი ლაშქრობაც დაერთო, რამაც დნესტრისპირეთის მარცხენა სანაპიროსა და პოდოლიეს მოსახლეობა დიდად აზარალა. მიუხედავად ამისა, კაზაკები დროდადრო თავს ესხმოდნენ დნესტრის მარჯვენა ნაპირზე გაბატონებულ თურქებს და დიდ ზიანს აყენებდნენ მათ.³ მოლდოველებსა და კაზაკებს დნესტრისპირეთისა და პოდოლიეს ტერიტორიაზე კაზაკურ-მოლდოვური სახელმწიფოს შექმნაც კი სურდათ. ამ მიზნით 1594-1596 წლებში აჯანყებაც კი მოაწყეს ნალივაიკო სევერნისა და გეორგი ლებედის

¹ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 137.

² Н. В. Бабилунга, Б. Г. Бомешко. Приднестровский конфликт: Исторические, демографические политические аспекты. Тирасполь, 1998, გვ. 7.

³ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 140-145.

მეთაურობით, თუმცა პოლონელებმა ამბოხი დიდი სისასტიკით ჩაახშვეს.¹

1596 წელს ბრესტში საეკლესიო უნიას მოეწერა ხელი. ამიერიდან უკან პოლონიას მართლმადიდებლურ მოსახლეობას აღარ შეეძლო თავისი საეკლესიო მსახურების აღვლენა. პოდოლიესა და დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე მასობრივად დაიწყო კათოლიკური ეკლესიებისა და საგანმანათლებლო ცენტრების მშენებლობა. იქ მომსახურე სასულიერო პირების რჩენა ადგილობრივ მოსახლეობას დაევალა, რაც მათთვის მძიმე ტვირთად იქცა. მართლმადიდებლები იძულებულნი იყვნენ თავიანთი ვაჟიშვილები სასწავლებლად ახალ გახსნილ იეზუიტურ გიმნაზიებში მიეყვანათ. ისინი, ვინც ამ ახალ საეკლესიო პოლიტიკას არ ეთანხმებოდნენ, სასტიკად იდევნებოდნენ.²

XVII საუკუნის დასაწყისი დნესტრისპირეთსა და ზოგადად მთელ რეგიონში სტაბილურობით ხასიათდება. აღინიშნება ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის მატება, თუმცა მალე ვითარება შეიცვალა. 1620 წელს ოსმალეთის იმპერიის სულთანი ახალგაზრდა ოსმან II ხდება. ის უკან პოლონიტის წინააღმდეგ იყო განწყობილი. მან პოლონეთის მეფე სიგიზმუნდ III-ს ულტიმატუმი წაუყენა, რომლის თანახმადაც, ამ უკანასკნელს ოთხი თვის ვადაში უნდა აელაგმა კაზაკები, რომლებიც თურქებს მეტად ავიწროვებდნენ. თავის მხრივ, ქრისტიან მეფესაც ჰქონდა თავისი მოთხოვნები, კერძოდ, მას სურდა, რომ მოლდოვის მთავრად თურქებს კასპერ გრაციანი დაემტკიცებინათ.

პოლონური ჯარები 1620 წელს თურქთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შევიდნენ. მდინარე პრუტის ნაპირებზე გამართულ ბრძოლაში ისინი თურქებმა დაამარცხეს. ამას დაერთო ისიც, რომ ოსმალთა წაქეზებით, ყირიმელმა თათრებმა უკან პოლიტას სამხრეთ სამფლობელოები (დნესტრისპირა მიწები, პოდოლიე, ლვოვი და სხვ.) დალაშქრეს.

1621 წელს უზარმაზარი თურქულ-თათრული ლაშქარი, თვით ოსმან II-ის მეთაურობით, პოლონეთის წინააღმდეგ დაიძრა. პოლონელმა მეფემ, სიგიზმუნდ III მხოლოდ 90 000-მდე მებრძოლის შეკრება შესძლო. დასავლეთ ევროპელმა მონარქებმა მისი თხოვნა დახმარების შესახებ უპასუხოდ დატოვეს. მეფე იძულებული იყო, კაზა-

¹ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 144.

² Приднестровье в XVI-XVII веках. <http://newspmr.com/istoriya-pmr/pridnestrove-v-xvi-xvii-vekax>.

კებთან მიმართებაში რიგ დათმობებზე წასულიყო. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ უქმდებოდა ე.წ. „კაზაკთა ზედამხედველის“ პოსტი და ცხადდებოდა რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება.¹

ბრძოლა პოლონურ და თურქულ ჯარებს შორის 1621 წლის სექტემბერში, ხოტინთან დაიწყო. ის თითქმის ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და მხარეებმა დიდი დანაკარგი განიცადა. იმავე წლის 8 ოქტომბერს პოლონეთსა და თურქეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდა. ხოტინი მოლდოვას შემადგენლობაში გადავიდა. მართალია, ეს უკანასკნელი ოსმალების დაქვემდებარებაში იყო, მაგრამ გარკვეულ ავტონომიურობას ინარჩუნებდა. თურქებს მოუწიათ, უარი ეთქვათ მოლდოვას სამთავროს უშუალო დაქვემდებარებასა და მის საფაშოდ გადაქვევაზე. მათ აგრეთვე სურდათ დნესტრის მარცხენა სანაპიროზე სიმაგრეების აგება, რის მიზეზადაც კაზაკთა თავდასხმებისაგან დაცვას ასახელებდნენ, თუმცა პოლონური მხარე ამას არ დათანხმდა.² დნესტრისპირეთი და პოდოლიე კვლავ ჟეჩ პოსპოლიტას შემადგენლობაში დარჩა.

XVII საუკუნის შუახანებში კაზაკებით დასახლებულ ტერიტორიებზე მდგომარეობა რთულდება. მიზეზი ამისა პოლონელი სახელმწიფო მოხელეების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლუატაციაა. ამას თან რელიგიური ნიშნით მართლმადიდებელთა დევნაც ერთვოდა.

1648 წელს კაზაკთა აჯანყებამ იფეთქა. მას ბოგდან ხმელნიცკი მეთაურობდა. ამბოხმა მოიცვა დღევანდელი დნესტრისპირეთისა და დასავლეთ უკრაინის ტერიტორიები. ამბოხებულების წარმატებულმა ქმედებებმა და ქოლტიე ვოდისთან 1649 წელს განცდილმა მარცხმა პოლონური მხარე აიძულა დათმობებზე წასულიყო. იმავე წლის 8 აგვისტოს გაფორმდა ზბოროვის სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კაზაკთა რეესტრი 40 000 მებრძოლით კომპლექტდებოდა (აქამდე მხოლოდ 2 000 კაზაკი იყო რეესტრში), დნესტრისპირა მიწები და მთელი დასავლეთ უკრაინა ბოგდან ხმელნიცკის დაქვემდებარებაში გადავიდა, ამ ტერიტორიაზე პოლონელთა ჯარი არ უნდა ყოფილიყო, ამასთან, ცხადდებოდა რწმენის თავისუფლება, ანუ მართლმა-

¹ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 148.

² В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 150.

დიდებულ მღვდლებს მშვიდად შეეძლოთ საკუთარი ღვთისმსახურების ჩატარება.¹ თუმცა აჯანყება ამით არ დასრულებულა. პოლონეთი არ აპირებდა უკრაინის დათმობას, კაზაკები კი – უკრ პოსპოლიტის შემადგენლობაში ყოფნას. ბრძოლები სხვადასხვა ინტენსივობითა და გარდამავალი წარმატებით, 1654 წლამდე გაგრძელდა. ბოგდან ხმელნიცკიმ გაიმყარა თავისი ძალაუფლება. კაზაკთა დაქვემდებარებაში უკრ პოსპოლიტას სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორიების დიდი ნაწილი, მათ შორის დღევანდელი დნესტრისპირეთიც გადავიდა.

ალსანიშნავია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში დნესტრისპირეთის ტერიტორია საბრძოლო მოქმედებების ერთ-ერთ მთავარ არენად იქცა. ის ხელიდან ხელში გადადიოდა. ყველაფერი ეს კი უარყოფითად ისახებოდა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე. ბევრი მათგანი იძულებული იყო თავშესაფარი მოლდოვას სამთავროსა და რუსეთის სამეფოში ეძებნა.

მეამბოხე კაზაკები მიხვდნენ, რომ პოლონეთი მათ წარმატებას არ შეურიგდებოდა და ადრე თუ გვიან კვლავ მოინდომებდა მათ დამორჩილებას. კაზაკებმა ძლიერი მოკავშირის ძებნა დაიწყეს. 1654 წლის 18 იანვარს პერეიასლავში გამართული რადას ყრილობაზე ჰეტმანმა ბოგდან ხმელნიცკიმ იქ მყოფთ სიტყვით მიმართა და განმარტა, თუ რატომ იყო, მისი აზრით, რუსებთან ურთიერთობა უალტერნატივო.

„თურქთა მეფე გადამთიელია, ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რა საშინელ ტანჯვასა და დევნაში იმყოფებიან მისი მმართველობის ქვეშ მყოფი ჩვენი მართლმადიდებელი ბერძენი ძმები. ყირიმის ხანიც გიაურია. მას არაერთხელ უვნია ჩვენთვის და ბევრი ქრისტიანის სისხლი აქვს დაღვრილი. პოლონელთა მეფისაგან მიყენებულ ზიანზე საუბარიც კი არ ღირს, რადგანაც ეს თქვენ ყველამ ძალიან კარგად იცით. რა სჯობს, პატივი სცე ურიასა და ქოფაკ ძაღლს, თუ ერთმორწმუნე მართლმადიდებელ ძმას, აღმოსავლეთის რუსთა მეფეს, რომელიც სულითა და ხორცით ქრისტიანია და იმ რუსულ ეკლესიაშია, რომლის სათავეშიც თვით იესო ქრისტე დგას“.²

კაზაკებმა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში რუსეთის მეფისადმი ერთგულების ფიცი დადეს. თავის მხრივ კი რუსმა ელჩებმა ბოგდან ხმელნიცკის ალექსეი მეფის მიერ გამოგზავნილი ჰეტმანის ძალაუფლების დამადასტურებელი ატრიბუტიკა,

¹ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, гл. 152.

² Н. Макаревич. История Малороссии. Т. 4. Москва, 1842, гл. 4.

კვერთხი, ქუდი და დროშა გადასცეს.

XVII საუკუნის შუა ხანებში მოლდოვასა და კაზაკთა სამფლობელოებს შორის საზღვარი მდინარე დნესტრზე გადიოდა.¹ 1654 წლის ზაფხულში დნესტრისპირეთში ანტიოქიის პატრიარქმა მაკარიოსმა იმოგზაურა. მისი ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ დიდი ომიანობის შედეგად დნესტრისპირეთმა დიდი ზარალი ნახა. „აქ ბევრი ქვრივ-ობოლია, რადგანაც ჰეტმან ბოგდან ხმელნიცკის გამოჩენის შემდეგ დღემდე ომები თითქმის არ შეწყვეტილა“, – აღნიშნავს პატრიარქი თავის ჩანაწერებში.²

გამართლდა კაზაკთა მოლოდინი. რუსეთის მფარველობის ქვეშ მათმა მიღებამ უკიდურესად დამაბა პოლონეთ-რუსეთის ურთიერთობები. 1654 წლის შემოდგომაზე, ყირიმის ხანის, მუჰამედ IV გერეის ჯარებთან ერთად პოლონელებმა კაზაკებს შეუტიეს. მიუხედავად ადგილობრივთა თავგანწირული წინააღმდეგობისა, მათ სასტიკად დაარბიეს მდინარე დნესტრისპირა ტერიტორია, პოდოლიე, როვნო. 1655 წლის იანვარში ახმეტოვოსთან გამართულ ბრძოლაში რუსებმა და კაზაკებმა შესძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება. პოლონეთის სიტუაცია 1656 წელს შვედების თავდასხმამ გაართულა. თავის მხრივ, შვედებს ომი რუსეთმაც გამოუცხადა. ამ უკანასკნელს ბალტიის ზღვის სამხრეთ ნაპირებზე სურდა კონტროლის დამყარება.

1657 წელს ბოგდან ხმელნიცკი გარდაიცვალა. კაზაკთა რიგებში აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. ნაწილი – პოლონელებთან, ნაწილი – რუსებთან, ნაწილი კი თურქებთან დაახლოებას უჭერდა მხარს. 1660 წლისათვის ეს უთანხმოება სისხლიანი შიდა დაპირისპირების მიზეზი გახდა. დასავლეთ უკრაინის ჰეტმანმა პავლე ტეტერმა ჟეჩ პოსპოლიტას მმართველობა აღიარა. 1664 წელს დნესტრისპირეთში ანტიპოლონურმა აჯანყებამ იფეთქა, თუმცა ძალთა სიმცირის გამო ის წარუმატებელი აღმოჩნდა.

1667 წელს რუსეთ-პოლონეთის ომი დასრულდა. დაიდო ანდრუსოვოს სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ვოლინი, დნესტრისპირეთი, როვნო ჟეჩ პოსპოლიტას შემადგენლობაში გადავიდა. დანარჩენ ტერიტორიებზე დროებითი ან საერთო რუსულ-პოლონური მმართველობა დამყარდა.³

1672 წელს ოსმალთა და ყირიმელ თათართა ჟეჩ პოსპოლიტას ტერიტორიაზე შე-

¹ Павел Алеппский. Путешествие Антиохийского патриарха Макария в Москву в XVII веке, 1628-1631. СПб, 1897, გვ. 1.

² Павел Алеппский. Путешествие Антиохийского патриарха Макария в Москву в XVII веке, გვ. 2.

³ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 162.

იჭრა. მათ გადალახეს მდინარე დნესტრი და კაზაკთა დახმარებით აიღეს კამენეც-პოდოლსკი, შემდეგ კი ალყა შემოარტყეს ლვოვს. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი პოლონეთი იძულებული შეიქნა, მისთვის მეტად წამგებიან პირობებით, ბუჩაჩის სამშვიდობო ხელშეკრულებისათვის მოეწერა ხელი. მის თანახმად, პოდოლიე, ვოლინ-სკი და პოლესიე თურქეთს გადაეცა, ხოლო დნესტრისპირეთი და კიევის მიმდებარე ტერიტორიები კი კაზაკთა ატამანს – პიოტრ დოროშენკოს, რომელიც თავის მხრივ სულთან მეჰმედ IV ქვეშევრდომი იყო. ამასთან, უერთდებოდა ვალდებული იყო ყირიმის სახანოსათვის ყოველწლიური ხარკი ეძლია.¹

რთული და არასტაბილური პოლიტიკური ვითარება, აჯანყებები და ომები თავის კვალს დნესტრისპირა მოსახლეობის ეთნიკურ სურათზეც ტოვებდნენ. 1681 წელს ომებისაგან თითქმის გაუკაცრიელებული დნესტრისპირეთის ტერიტორია სულთანმა მოლდოველ გოსპოდარს, დუკას გადასცა, რამაც კაზაკთა უკმაყოფილება გამოიწვია. ამავე პერიოდში, რეგიონის მაცხოვრებელთა ეთნიკური სურათში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. აქ სახლდებიან მოლდოველები და ბერძნები. ნოღაელი და ყირიმელი თათრებისა და თურქების ხარჯზე კი მუსლიმთა ხვედრითი წილი იზრდება.²

1684 წელს, პოლონეთის მეფე იან სობესკიმ, ისარგებლა რა შექმნილი ვითარებით, რაც ევროპაში თურქთა წარუმატებელ ლაშქრობაში მდგომარეობდა, კაზაკთა დახმარებით, ოსმალები მოლდოვასა და დნესტრისპირეთის ტერიტორიიდან თითქმის მთლიანად გააძევა. 1685 წელს უერთდებოდა სეიმმა კაზაკებს მდინარე დნესტრის მიმდებარე მიწებზე დასახლების ნება მისცა. 1699 წელს თურქეთსა და პოლონეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო, რომლის თანახმადაც, უერთდებოდა სამაგიდოდ ამისა, მისი სიკვდილის შემდეგ, 1700 წელს სეიმმა კაზაკები კანონგარეშე გამოაცხადა, რასაც ძალადობის ახალი ტალღა მოჰყვა.³

XVIII საუკუნის დასაწყისში უერთდებოდა სამალეთის იმპერია საგრძნობლად სუსტდება. სამაგიდოდ, ძალას იკრებს რუსეთის სამეფო. ის ადამიანური რე-

¹ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 165.

² В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 187.

³ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 172.

სურსების კუთხით ევროპის უპირობო ლიდერია, თუმცა ტექნოლოგიური განვითარებით კონტინენტზე ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანაა. სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტა დასახა თავის უმთავრეს ამოცანად პეტრე I-მა, რომელიც ტახტზე 1682 წელს ავიდა.

რუსეთი თანდათან იწყებს საკუთარი პოლიტიკური ამბიციების გამოვლენას. განსაკუთრებით აშკარად ეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ვლინდება. ამას ვერ ეგუება ოსმალეთი და 1710 წელს ომს უცხადებს რუსეთს. მეჰმედ III წაქეზებით, ყირიმელმა თათრებმა მდინარე დნესტრი გადაკვეთეს და მიმდებარე ტერიტორიის აოხრებას შეუდგნენ, თუმცა რუსებმა მალევე შესძლეს მათი დამარცხება.

1711 წელის 18 იანვარს უშუალოდ პეტრე I მეთაურობით იწყება ე.წ. „პრუტის ლაშქრობა“¹. იცოდა რა, რომ ბესარაბიასა და ბალკანეთში ოსმალეთის უდელქვეშ მცხოვრები ქრისტიანები მოუთმენლად ელოდნენ რუსთა გამოჩენას, პეტრე უფრო თავდაჯერებულად მოქმედებდა. 20 ივნისს რუსული ჯარის პირველმა ნაწილებმა მოახდინეს მდინარე დნესტრის ფორსირება და ბესარაბიის ტერიტორიის სიღრმეში შეიჭრნენ. მას მოლდოველი მთავარი კანტემირიც მიემხრო. ეს სამხედრო მსვლელობა, რიგ მიზეზთა გამო, რუსებისათვის წარუმატებლად დასრულდა. იმავე წლის 11 ივლისს გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი თურქეთს უბრუნებდა აზოვის მიმდებარე ტერიტორიას, ახდენდა მდინარეების, დნესტრისა და დონის ნაპირებზე აგებული ციხე-სიმაგრეების ნაწილისა და საფორტიფიკაციო ნაგებობების დემონტაჟს, უარს ამბობდა პოლონეთის საშინაო საქმეებში ჩარევაზე, დნესტრისპირეთის ჩრდილოეთ ნაწილი კვლავ უკანასკნელობაში გადადიოდა, ხოლო ზაპოროჟიელებს კი რუსეთი სულთნის ქვეშევრდომებად აღიარებდა.¹ კაზაკთათვის ამ ზავის პირობები მიუღებელი აღმოჩნდა, რადგანაც ისინი ერთი-ერთზე დარჩნენ მათდამი ნეგატიურად განწყობილ თურქებსა და პოლონელებთან, რამაც დნესტრისპირეთიდან მათი მასობრივი მიგრაცია გამოიწვია.

1720 წელს უნიატ სასულიერო პირთა კრებამ უკანასკნელობაში კანონიერად მხოლოდ და მხოლოდ უნიატური ეკლესია სცნო. დაიწყო მართლმადიდებელ ქრისტიანთა დევნის ახალი ტალღა. საპასუხოდ, ამ უკანასკნელთ ე.წ. „ჰაიდამაკ-

¹ Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон. Энциклопедический словарь. Т. 25(50). СПб, 1898, გვ. 635.

თა მოძრაობას“ ჩაუყარეს საფუძველი. მის რიგებში შედიოდნენ კაზაკები, დარიბი რუსი, უკრაინელი და მოლდოველი გლეხები. ამ მოძრაობამ დნესტრისპირეთის მნიშვნელოვანი ტერიტორიაც მოიცვა. „ჰაიდამაკებმა“ XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე რამდენიმე მსხვილი აჯანყება მოაწყვეს. საბოლოოდ, პოლონელებმა მხოლოდ დიდი მსხვერპლისა და ძალისხმევის ფასად შესძლეს ამ მოძრაობის ჩახშობა.¹

აღსანიშნავია ისიც, რომ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დნესტრისპირეთსა და პოდოლიეში ეთნიკურ რუსთა ხვედრითი წილი მცირე იყო. ეს მაცხოვრებლები ძირითადად გამოქცეული ყმები ან ე.წ. „სტაროობრიადნიკები“ იყვნენ, რომლებიც თავიანთ სამშობლოში რელიგიურ ნიადაგზე დევნას განიცდიდნენ. ისინი შიშობდნენ, რომ რუსული ჯარი მათ, ძალისმიერი მეთოდებით, უკან დაბრუნებას აიძულებდა, ამიტომ ბევრი მათგანი თავშესაფარს ოსმალეთის იმპერიის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ეძებდა. რაც შეეხებათ უკრაინელებსა და მოლდოველებს, რთული სიტუაციისა და პოლონელი მოხელეების მიერ მათი მიზანმიმართული შევიწროების გამო ხშირად უწევდათ როგორც მდინარე დნესტრის მარჯვენა ნაპირზე, ასევე რუსეთისა და ყირიმის სახანოს ტერიტორიაზე მიგრირება.²

მდინარე დნესტრის შენაკადის, იაგორლიკის სამხრეთით შედარებით განსხვავებული დემოგრაფიული სიტუაცია იყო. აქ მუსლიმ მოსახლეთა (თურქები, ყირიმელი და ნოღაელი თათრები) ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალი იყო, თუმცა არც მართლმადიდებელთა რაოდენობა იყო მცირე. XVII საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილ თურქულ დოკუმენტებში მათ ნაწილს, არა სლავებს, მოლდაველებად მოიხსენიებენ.³

1772-1774 წლებში შედგენილ რუსულ დოკუმენტებში აღწერილ სამხრეთ დნესტრისპირეთში არსებულ დუბოსარის პროვინციაში 30000-მდე ადამიანი ცხოვრობდა. მათი უმეტესობა მოლდაველი იყო, თუმცა იქ ებრაელები, ბოშები და სომხებიც იყვნენ.⁴ აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში მოსახლეობის რაოდენობისა და ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის მოგროვება საკმაოდ რთული, თითქმის წარმოუდგენელი საქმე იყო, განსაკუთრებით კი – დნესტრისპირეთში. ამის მიზეზი მოსახლეობის ქაოსური მიგრაციის მაღალი დონე იყო, რასაც ომები, მძიმე სოციალ-ეკონომ-

¹ Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон. Энциклопедический словарь. Т. 7. СПб, 1892, გვ. 870-871.

² В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 191.

³ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 191.

⁴ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 192.

იკური მდგომარეობა, ეპიდემიები და ა.შ. განაპირობებდა.

რუსეთის იმპერია კვლავ განაგრძობდა მცდელობებს საკუთარი ტერიტორიების გასაფართოებლად, განსაკუთრებით, დასავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით. მისი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა შავი ზღვის სანაპიროზე გასვლა და იქ თავისუფალი ზღვაოსნობის უფლების მოპოვება იყო. ის იმ დროისათვის ოსმალეთის მიერ დაკავებული და თავის „შიდა ზღვად“ ჰქონდა გადაქცეული. ამასთან, ყირიმელ თათართა პერნამენტული ლაშქრობები რუსეთის სამხრეთ პროვინციებს დიდ პრობლემებს ქმნიდა.

1735 წელს რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო. იგი სამ წელიწადს გაგრძელდა და 1739 წელს, რუსეთის გამარჯვებითა და ბელგრადის საზავო ხელშეკრულების დადებით დასრულდა. მართალია, რუსეთმა ბრძოლის ველზე დიდ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ, მისი მოკავშირის, ავსტრიის მარცხმა იგი აიმულა 1739 წლის 18 სექტემბერს საზავო ხელშეკრულებისათვის მოეწერა ხელი. მის თანახმად, რუსეთი იბრუნებდა აზოვს, თუმცა შავსა და აზოვის ზღვაზე ფლოტის ყოლა ეკრძალებოდა.

რუსეთი უკმაყოფილო იყო ბელგრადის საზავო ხელშეკრულების პირობებით, ამასთან ოსმალეთის იმპერია კვლავ აგრძელებდა აქტიურობას ჩრდილოეთ კავკასიასა და შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირებზე, რაც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა ახალი კონფლიქტის დასაწყებად.

რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი 1768 წელს დაიწყო. საბრძოლო მოქმედებების არეალმა დნესტრისპირეთის ტერიტორიაც მოიცვა. 1769 წელს რუსებმა მაიორ ზორიჩის მეთაურობით შესძლეს ქალაქ დუბოსარის აღება. მომდევნო 1770 წელს კი გრაფ პ. პანინის სარდლობით, რუსულმა ჯარმა, ორთვიანი ალყისა და გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ბენდერის კარგად გამაგრებული ციხე-სიმაგრე აიღეს. ამ სიმაგრეს უდიდესი სამხედრო-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ომი 1774 წლის 10 ივლისს, ქუჩუქ-კაინარჯაში გაფორმებული საზავო ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა. მდინარე დნესტრისპირა ტერიტორიები, მისი მარცხენა შენაკადის, იაგორლიკის ჩრდილოეთით – პოლონეთის, ხოლო სამხრეთით კი – კვლავ თურქეთის საკუთრებაში რჩებოდა. რუსეთმა, თავის მხრივ, მოიპოვა შავსა და აზოვის ზღვებზე როგორც სამხედრო, აგრეთვე სავაჭრო ფლოტის ყოლისა და თა-

ვისუფალი ნაოსნობის უფლება, აგრეთვე მიწები მდინარე დნეპრსა და ბუგს შორის, მასვე თურქეთმა იენიყალეს, ქერჩისა და კინბურნის ციხე-სიმაგრეები გადასცა, ყირიმის ნახევარკუნძული კი დამოუკიდებელ ტერიტორიად გამოცხადდა.¹

ოსმალეთის იმპერია ვერ ურიგდებოდა დამარცხებას, განსაკუთრებით კი ყირიმის ნახევარკუნძულის დაკარგვას. საფრანგეთისა და ავსტრიის დახმარებით მან რუსეთთან ომისათვის დაიწყო მზადება. ყველაფერს ისიც დაერთო, რომ 1783 წელს, მას შემდეგ რაც ყირიმის უკანასკნელი ხანი, შაჰინ გერაი გადადგა, სპეციალური მანიფესტით, ეკატერინე II-მ ნახევარკუნძული რუსეთის იმპერიას სპეციალური მანიფესტით შემოუერთა.² მორიგი ომი რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1787 წლის 5 აგვისტოს დაიწყო. დნესტრისპირეთის ტერიტორია კვლავ ბრძოლის ველად იქცა. აქ ორი რუსული არმია მოქმედებდა გენერლების გრიგორი ალექსანდრეს მე პოტიომპინისა და პეტრე ალექსანდრეს მე რუმიანცევის მეთაურობით. 1787 წლის მეორე ნახევარში მდინარე დნესტრის მარცხენა ნაპირები ბუჯაკელმა ნოღაელებმა დალაშქრეს, რის გამოც ეს მიწები თითქმის გაუკაცრიელდა. 1789 წელს რუსულმა არმიამ აიღო ბენდერის ციხე-სიმაგრე. ომი თურქეთის დამარცხებით დასრულდა. 1792 წლის 9 იანვარს (ახ. სტ.) ხელი მოეწერა იასის სამშვიდობო ხელშეკრულებას. მის თანახმად, მდინარე დნესტრის სამხრეთით მდებარე მიწები – ტერიტორია დნესტრისა და მდინარე სამხრეთ ბუგს შორის – რუსეთს გადაეცა, ბენდერის სიმაგრე კი თურქეთის გამგებლობაში დარჩა. მდინარე დნესტრის ჩრდილოეთი ნაწილი რუსეთს ე.წ. „პოლონეთის მეორე გადანაწილებისას“ ერგო. იმპერატორმა ეკატერინე II-მ იგი საგანგებო მანიფესტით 1793 წლის 27 მარტს შემოიმტკიცა.³

1806 წელს მდინარე დუნაის აუზში აქტიურობის საბაბით ოსმალეთის იმპერიამ რუსეთს კიდევ ერთხელ გამოუცხადა ომი. იმავე წლის ნოემბერში გენერალმა ივან მიხელსონმა 40 000 არმიით მდინარე დნესტრი გადაკვეთა და დუნაის სამთავროები დაიკავა. ომი ხანგრძლივი გამოდგა და 1812 წელს რუსეთის მორიგი გამარჯვებით დას-

¹ ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10. თბილისი, 1986, გვ. 578-579.

² Манифест Екатерины II «О принятии полуостровы Крымского, острова Тамана и всей Кубанской стороны под Российскую Державу». მანიფესტის ორიგინალი ტექსტის სკანირებული ვერსია ob.: https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/b/b8/1783_manifesto_on_annexation_of_Crimea.pdf?uselang=ru (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/06/2017).

³ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 223-224.

რულდა.¹ ბუქარესტის სამშვიდობო ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, ბესარაბია და ბენდერის ციხე სიმაგრე გამარჯვებულს გადაეცა.² ამრიგად, რუსეთ-თურქეთის საზღვარი მდინარე პრუტზე გაივლო.

1.3. დნესტრისპირეთის ტერიტორია XIX-XX საუკუნეებში

ამრიგად, XIX საუკუნის დასაწყისში, დღევანდელი დნესტრისპირეთისა და დანარჩენი მოლდოვეთის რესპუბლიკის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა.

დნესტრისპირეთის ტერიტორია, ქალაქებით გრიგორიოპოლი, დუბოსარი და ტირასპოლი – ხერსონის გუბერნიის, რიბნიცა და კამენკა – პოდოლსკის გუბერნიის, ხოლო ბენდერი კი – ბესარაბიის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდნენ.³

1829 წელს რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი დასრულდა. დამარცხებულმა ოსმალეთმა ადრიანოპოლის სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა. გამარჯვებულ მხარეს სხვა ტერიტორიებთან ერთად, აგრეთვე დუნაის დელტა და ბუჯაკის რეგიონი გადაეცა. ის ბესარაბიას შეუერთეს, რის შედეგადაც მოლდოველებმა შავ ზღვაზე გასასვლელი და თურქთაგან მიტაცებული მიწა დაიბრუნეს. მოგვიანებით, 1878 რეგიონი ხერსონის გუბერნიას დაუქვემდებარეს. რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეული ბუჯაკის ტერიტორია დატოვეს ნოღაელებმა, რომლებიც ამ ტერიტორიაზე XIII-XIV საუკუნეებიდან ცხოვრობდნენ და ოსმალთა ბატონობისას, როგორც მუსლიმები, რიგი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. მათი ადგილი რუსმა და ოსმალეთის ბალკანური მიწებიდან გადმოსახლებულმა ბულგარელმა გლეხებმა დაიკავეს.

რუსეთის შემადგენლობაში შესვლამ დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე მშვიდობიანი პერიოდის დადგომა განაპირობა. სისხლისმღვრელი ომები და ლაშქრობები, რომლებსაც ადგილობრივთა მასობრივი განადგურება-მიგრაცია და ეკონომიკური განვითარების შეჩერება სდევდა თან, წარსულს ჩაბარდა. XIX საუკუნის შუა პერიოდ-

¹ რუსეთ-ოსმალეთის ომი 1806-1812. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8. თბილისი, 1984, გვ. 504-505.

² ბუქარესტის საზავო ხელშეკრულება 1812. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2. თბილისი, 1977, გვ. 591.

³ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 231-232.

იდან რეგიონში შეინიშნება მოსახლეობის მატება, რასაც ხელს ცენტრალური ხელი-სუფლებაც უწყობდა.

XIX საუკუნის დასაწყისში, დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე კოლონიზატორთა ჩასახლება დაიწყო. მას ხელს რუსეთის ხელისუფლება უწყობდა. პროცესს უშუალოდ იმპერატორი ალექსანდრე I უჭერდა მხარს და აკონტროლებდა. ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან, რომელიც იმ დროისათვის თითქმის მთლიანად ოსმალეთის მიერ იყო დაკავებული, ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთისაკენ იღტვოდა, რადგანაც მიაჩნდათ, რომ ერთმორწმუნე რუსეთში მათი უსაფრთხოება და უფლებები უფრო მეტად იქნებოდა დაცული. ამავე პერიოდში დაიწყო მდინარე დნესტრის მარცხენა ნაპირებზე ბულგარელ გლეხთა მასობრივი ჩასახლება. ამ პროცესის წასახალისებლად, ხელისუფლებამ გადმოსახლებულებს რიგი პრივილეგიები დაუწესა. კერძოდ, ისინი სამუდამო პირად მფლობელობაში მიწის ნაკვეთს ღებულობდნენ, ამასთან, იღებდნენ უფლებას, შეეძინათ დამატებითი მიწები, თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი გადასახადებისაგან 20 წლის ვადით და ა.შ. იმპერია ტრანსპორტირების ხარჯებს საკუთარ თავზე იღებდა. სწორედ ამ ღონისძიებების შედეგად, უკვე 1805 წლისათვის, გადმოსახლებულ ბულგარელთა რაოდენობამ 32 000 მიაღწია.¹ მათთან ერთად დნესტრისპირეთში უნგრეთიდან, პრუსიიდან, ბავარიიდან და სხვა რეგიონებიდან გერმანელი გლეხები ჩაასახლეს. ამის მიზეზი ამ უკანასკნელთა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში დიდი გამოცდილება იყო. დიდი იყო ებრაული დიასპორის ხვედრითი წილიც. აღსანიშნავია, რომ მათ ცხოვრების უფლება მხოლოდ ქალაქებში ჰქონდათ. რუსეთის სტატისტიკის კომიტეტის ცნობით, მათი რაოდენობა პოდოლსკის გუბერნიაში 242 000 აღწევდა.²

ეთნიკური სურათი მნიშვნელოვნად შეიცვალა ბესარაბიის გუბერნიაშიც. თუ 1817 წლის მონაცემებით აქ მაცხოვრებელთა 86% ეთნიკურად მოლდაველი იყო, ხოლო უკრაინელი კი – 6,5%, უკვე XIX საუკუნის ბოლოს, 1897 წელს ჩატარებული აღწერის თანახმად, მოლდოველების ხვედრითი წილი 47,6%-მდე დავიდა, უკრაინელები – მოსახლეთა 19,6%-ს, რუსები კი – 8%-ს შეადგენდნენ. აღსანიშნავია, რომ ბესარაბიის გუბერნიაში მცხოვრებთა რიცხვი XIX საუკუნის განმავლობაში, როგორც კოლონიზა-

¹ Приднестровье в Российской империи. <http://newspmr.com/istoriya-pmr/pridnestrove-v-rossijskoj-imperii/2>.

² Приднестровье в Российской империи. <http://newspmr.com/istoriya-pmr/pridnestrove-v-rossijskoj-imperii/3>.

ტორთა მეშვეობით, აგრეთვე ბუნებრივი მატების გზით, მკვეთრად იზრდებოდა. ასე, მაგალითად, 1900 წლისათვის გუბერნიაში უკვე 2,04 მლნ. ადამიანი ცხოვრობდა.¹

რუსეთის იმპერიის აქტიურმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ, რომელიც დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე კოლონისტთა მასიურ ჩასახლებაზე იყო ორიენტირებული, თავისი შედეგი მაღევე გამოიღო. XIX საუკუნეში მისი მოსახლეობის რაოდენობამ მკვეთრად იმატა. ეს, ხელოვნურთან ერთად, ბუნებრივი მატებითაც იყო განპირობებული, რადგანაც რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ რეგიონში რაიმე სახის საბრძოლო მოქმედებები აღარ წარმოებულა.

ყველაზე თვალსაჩინო ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ცვლიდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ეთნიკურ სურათს თავის სამხრეთ-დასავლეთ გუბერნიებში, იმდროინდელი აღწერები გვაწვდის. განსაკუთრებით საინტერესოა ის, თუ რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ დღევანდელი დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე. 1834, 1859 და 1897 წლების მონაცემების თანახმად პოდოლსკისა და ხერსონის გუბერნიებში (მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპირო ამ ორი გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა) ეთნიკურად მოლდაველ მოსახლეთა რაოდენობა შესაბამისად 1,8% (7,400), 2,7% (41,800) და 0,8% (26,700) იყო. იგივე მაჩვენებელი ხერსონის გუბერნიაში 9,5%-ს (75,000), 9,6%-ს (84,000) და 5,3%-ს (147,200) შეადგენდა.²

როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ხერსონის გუბერნიაში ეთნიკურ მოლდაველთა რაოდენობა, ბუნებრივი მატების შედეგად სწრაფი ტემპებით იზრდებოდა. მიუხედავად ამისა, მათი ხვედრითი წილი მცირდებოდა. განსაკუთრებით აშკარა ეს XIX საუკუნის ბოლოს გახდა. ამის მიზეზი რეგიონის ტოტალური რუსიფიკაცია იყო. იმპერიის ხელმძღვანელობა ბესარაბიასა და დნესტრისპირეთში იყენებდა თავის სხვა სამფლობელოებში უკვე წარმატებით აპრობირებულ მეთოდს. ეს იყო მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ახალშემოერთებული ტერიტორიების „საიმედო ერებით“ დასახლებას, რითაც დემოგრაფიულ სურათს ცენტრალური ხელისუფლება საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ ცვლიდა. ამ პოლიტიკის შედეგად, XX საუკუნის დასაწყისისათვის დღევანდელი მოლდოვის რესპუბ-

¹ В. С. Зелемчук. Население Бессарабии и Поднестровья в XIX веке – этнические и социал-демографические процессы. Кишинев, 1979, გვ. 241.

² В. С. Зелемчук. Население Бессарабии и Поднестровья в XIX веке, გვ. 165.

ლიკის ტერიტორიაზე მოსახლეობის რაოდენობა და ეთნიკური შემადგენლობა რა-დიკალურად შეიცვალა (საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად რუსეთი ამიერკავკა-სიაშიც ანალოგიურ დემოგრაფიულ პოლიტიკას ატარებდა).

ცარისტული რუსეთი ბესარაბიის მოსახლეობის რუსიფიკაციის პროცესს აქტიურად აწარმოებდა. განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი და აგრესიული ხასიათი მან იმპერატორ ალექსანდრე II რომანოვის დროს მიიღო. ასე, მაგალითად, 1873 წლის 3 თებერვლის ბრძანებით, ბესარაბიის სამხარეო სკოლებში მოლდოვური ენის სწავლება აიკრძალა. მიზეზად დასახელდა ის გარემოება, რომ „რუსეთის იმპერიაში, სკოლებში ადგილობრივი დიალექტები არ ისწავლებოდა“.¹ რუსული ენით იქნა ჩანაცვლებული ლვთისმსახურებაც. სხვა ენაზე შესრულებული რელიგიური ლიტერატურა რუსმა ეგზარქოსებმა გაანადგურეს.²

XX საუკუნის დამდეგს დნესტრისპირეთი რუსეთის უზარმაზარი იმპერიის შემადგენლობაშია. ომების პერიოდი წარსულს ჩაბარდა. ამან კი რეგიონში მოსახლეობის რაოდენობის მატებასა და სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყო ხელი.³

რუსეთის იმპერია ცდილობს ფეხი აუწყოს ევროპის განვითარებულ ქვეყნებს. საამისოდ ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა პერიოდიდან მასობრივი რეფორმების ხანა იწყება. XX საუკუნის დასაწყისში მოლდოვასა და დნესტრისპირეთში ყალიბდებიან პოლიტიკური ძალები. მათი ნაწილი იზიარებს რევოლუციურ პათოსსა და მემარცხენე იდეებს, ნაწილი – კონსერვატიული შეხედულებების ერთგულია და მონარქისტია...⁴ იმპერიის ტერიტორიაზე არსებული ვითარება თავის გამოძახილს მის სამხრეთ-აღმოსავლეთ გუბერნიებშიც პოლულობს. რეგიონი რევოლუციური და კონტრრევოლუციური ძალების ბრძოლის ასპარეზად იქცა, თუმცა, საერთო ჯამში, ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში მიედინებოდა.

1914 წლის 28 ივლისს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. მასში ევროპის მთელი კონტინენტი აღმოჩნდა ჩათრეული. მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ მოლდოვის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებები არ წარმოებულა, ომმა რეგიონის ყოველ-

¹ П. Лучинский. Молдова и молдоване. Кишинёв, изд. «Biblion», 2011, გვ. 280.

² П. Лучинский. Молдова и молдоване, გვ. 280.

³ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 460.

⁴ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 463.

დღიურ ცხოვრებასა და განვითარებაზე ნეგატიური გავლენა იქონია. ეს განსაკუთრებით სასოფლო სამეურნეო სფეროს დაეტყო. შრომისუნარიან ახალგაზრდა მამაკაცთა უდიდესი ნაწილი ფრონტზე გაიწვიეს. ფრონტზევე იგზავნებოდა ადგილობრივთა მიერ წარმოებული დოვლათის დიდი ნაწილიც, რაც მათ უკმაყოფილებას იწვევდა,¹ როგორც ბესარაბიაში, ასევე რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებში. ხალხის ფართო მასების უკმაყოფილება დღითიდღე მატულობდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად, რუსეთის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ძალაუფლება დაკარგა. მმართველობა დროებითი მმართველობის ხელში გადავიდა. მოლდოვაში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. ერთ მხარეს იყო მუშათა და ჯარისკაცთა მიერ შექმნილი საბჭოები, მეორე მხარეს კი – ადგილობრივი დროებითი მთავრობის წარმომადგენლები.²

ამავე პერიოდში, ჩამოყალიბებას იწყებს მოლდოვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1917 წლის 2 აპრილს მოლდოვის ნაციონალური პარტია შეიქმნა. მას მიემხრო პოლიტიკური პარტია, რომელიც მოლდოველ სამხედროთაგან იყო დაკომპლექტებული. მათი ხედვები ბევრ რამეში ემთხვეოდა. კერძოდ, მოლდოვის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, ბესარაბიიდან ქვეყნის ცენტრალურ ორგანოებში ეთნიკურად მოლდაველი წარმომადგენლების გაგზავნა, სასამართლოებში, ეკლესიებსა თუ სკოლებში მოლდოვური ენის დანერგვა და ა.შ. ამ პოლიტიკური ძალის ბევრი ლიდერი სწორებას რუმინეთზე აკეთებდა, თუმცა რიგით მოსახლეობას ეს იდეა ნაკლებად მოსწონდა, რადგანაც არ ენდობოდნენ იქ არსებულ მონარქიულ წყობას და არც რუმინელ გლეხთა სოციალური სტატუსი და მდგომარეობა იყო მათთვის სამაგალითო. ადგილობრივი ინტელიგენციის წინააღმდეგობის შედეგად, მათ ვერც „მოლდოვური ენის“ ტერმინით „რუმინული ენა“ ჩანაცვლება შესძლეს.³ პეტერბურგში კი მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა. 1917 წლის მიწურულს ძალაუფლება ხელში ბოლშევიკებმა ჩაიგდეს. ისინი რუსეთის იმპერიის „ცარისტულ“ საზღვრებში აღდგენის იდეით იყვნენ შეპურობილნი, თუმცა იმ ეტაპზე ამისათვის არ ეცალათ, რადგან მათი ძალაუფლება ჯერ კიდევ საკმაოდ

¹ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, гл. 166.

² В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, гл. 167.

³ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, гл. 175.

მყიფე იყო.

1917 წელის 27 ნოემბერს ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური ძალა „სპატულ ცე-რი“ (ქართ. „სამხარეო საბჭო“). მასში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების, ადგი-ლობრივი თვითმმართველი ორგანოების, ეროვნული ორგანიზაციის წევრები შედი-ოდნენ. მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე მცხოვრებ მოლდაველთათვის ათ-კაციანი კვოტა გამოიყო.¹ „სპატულ ცერის“ ერთ-ერთი უმთავრესი და საერთო მიზანი რეგიონში საბჭოთა მმართველობის დამყარების თავიდან აცილება იყო. აღსანიშნავია, რომ თავად „სპატულ ცერის“ შიგნით წევრთა პოზიციები ერთმანეთისაგან რადიკა-ლურად იყო განსხვავებული: ნაწილი პრორუმინული ორიენტაციის მქონე იყო, ნაწი-ლი – პრორუსული, ხოლო ნაწილი კი – დამოუკიდებელი და დემოკრატიული მოლ-დოვური სახელმწიფოს შექმნის იდეებს ქადაგებდა. აღსანიშნავია, რომ სასულიერო პირები, მიწათმფლობელები და შეძლებული მოქალაქეები, მათ შორის, ეთნიკურად რუსებიც, რუმინეთთან დაახლოებას არჩევდნენ. ამისი მიზეზი რუსეთის „გაწითლე-ბა“ იყო. მათ კარგად უწყოდნენ, რას უქადა მათ წრეს საბჭოთა დიქტატი.

მოლდოვაში, ისევე როგორც რუსეთის შემადგენლობაში შემავალ სხვა რეგიონ-ებში, დაიწყო საბჭოების ჩამოყალიბება-განვითარება-გაძლიერების პროცესი. ისინი აშკარად პრობოლშევიკურ პოლიტიკას ატარებდნენ. მათ პოპულარიზაციას რეგიონ-ში არსებული მძიმე სოციალ-პოლიტიკური ხელს დიდად უწყობდა.²

1917 წლის 2 დეკემბერს „სპატულ ცერიმ“ განაცხადი მოლდოვის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შესახებ გააკეთა.³ ამ პოლიტიკური ძალის ლიდერების მნიშ-ვნელოვანი ნაწილი სულ უფრო აშკარად ავლენდა საკუთარ პრორუმინულ პოზიციას. ბესარაბიაში სიტუაცია სულ უფრო რთულდებოდა. ფრონტიდან დაბრუნებული ჯა-რისკაცები და გლეხები მდიდარ მემამულეებსა და სამხედრო საწყობებს ძარცვავ-დნენ. „სპატულ ცერიმ“, რომელსაც თითქმის არ გააჩნდა საშინაო მხარდაჭერა, დახმა-რებისათვის საგარეო ძალების ძიება დაიწყო. გასაგები მიზეზების გამო მათ არჩევანი მეზობელ რუმინეთზე შეაჩერეს. ამას პრობოლშევიკურ ძალთა პროტესტი მოჰყვა. რაც შეეხება რიგით ბესარაბიელებს, მათი აზრით დიდად არავინ დაინტერესებულა.

¹ В. Стати. История Молдовы, гл. 270.

² В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, гл. 181.

³ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, гл. 182.

1917 წლის დეკემბრის ბოლოს „სპატულ ცერიმ“ რუმინეთს ჯარების შეყვანა ოფიციალურად სთხოვა. ამ გადაწყვეტილებამ შიდაპარტიული დაპირისპირება გამოიწვია. მისი რიგები დატოვეს სოციალისტური პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებმა. ამ გადაწყვეტილებას მხარი არც მოლდოველ სამხედროთა დიდმა ნაწილმა დაუჭირა.¹

1918 წლის დასაწყისისათვის, ბესარაბიაში სიტუაციას პრობოლშევიკური ძალები აკონტროლებენ. ეს აშკარად არ შედიოდა რუმინეთის ინტერესებში. 1918 წლის 6 იანვარს რუმინეთის ჯარებმა მდინარე პრუტი გადალახეს და მოლდოვის ტერიტორიაზე რამდენიმე მიმართულებიდან შევიდნენ. ოფიციალური მიზეზი იქ გაბატონებული ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. მოწინააღმდეგები ძალებმა კონსოლიდაცია ვერ მოახერხეს. 13 იანვარს რუმინელებმა კიშინიოვი დაიკავეს.²

1918 წლის 24 იანვარს „სპატულ ცერიმ“, რუმინული მხარის მოთხოვნით, მოლდოვის დემოკრატიული რესპუბლიკის დეკლარაცია მიიღო,³ თუმცა მას არანაირი ძალა არ ჰქონდა. არც მოლდოვის სახელმწიფოებრიობა უცნია ვინმეს.

1918 წლის 9 მარტს საბჭოთა ხელისუფლებასა და რუმინულ მხარეს შორის ხელშეკრულება დაიდო. მის თანახმად, ამ უკანასკნელს თავისი ჯარები ბესარაბიის ტერიტორიიდან ორი თვის ვადაში უნდა გაეყვანათ, თუმცა ანტიბოლშევიკური ძალების მიერ საბჭოური ჯარების მდინარე დნესტრის მარცხენა ნაპირზე გადადენის შემდეგ, რუმინელებმა შეთანხმების შესრულებაზე უარი თქვეს. ამან მოსკოვისა და ბუქარესტის ურთიერთობები უკიდურესად დაძაბა.⁴

1918 წლის 27 მარტს „სპატულ ცერიმ“, ხმათა უმრავლესობით (86 მომხრე, 3 წინააღმდეგი, 36 თავი შეიკავა, 13 დეპუტატი კი საერთოდ არ დაესწრო კენჭისყრის პროცესს), ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება ევროპისა და ამერიკის მიერ არ იქნა ცნობილი და მოლდოვის ტერიტორიას მდინარე დნესტრსა და პრუტს შორის ისინი რუმინეთის ნაწილად არ განიხილავდნენ. კრემლში კი ბესარაბიაში რუმინულ ჯართა ყოფნას თავისი მიწების ოკუპაციად აფასებდნენ. „სპატულ ცერის“ ამ გადაწყვეტილებამ მოლ-

¹ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 184.

² В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 187.

³ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 187.

⁴ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 187.

დოვური საზოგადოების დიდი ნაწილიც გააღიზიანა.

სუსტად განვითარებულ ბესარაბიაში რუმინელთა მმართველობის პერიოდში რიგი სასიკეთო და პროგრესული რეფორმები გატარდა. ასე, მაგალითად, 1918-1923 წლებში „მიწის რეფორმის“ შედეგად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტი, 1, 8 მლნ. ჰა. 357 000 ადგილობრივ გლეხს შორის გადანაწილდა. რუმინელები ადგილობრივ მოსახლეობაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საქმიანობითაც აქტიურად იქვნენ დაკავებულნი. რუმინეთის ხელშეწყობით, ბესარაბიული პროდუქცია ევროპულ ბაზარზე გავიდა, რაც ადგილობრივი მწარმოებელთათვის დიდი წარმატება იყო. 1920-იან წლებში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები (გაყვანილ იქნა დამატებითი სარკინიგზო ხაზები, აშენდა ხიდები, მოხდა გზების მოპირკეთება და ა.შ.) განხორციელდა, თუმცა რუმინელთა მმართველობას უარყოფითი მხარეებიც მრავლად ჰქონდა.

რუმინული ადმინისტრაცია ბესარაბიის მოსახლეობის მიმართ ხშირად ქედმაღლურად და უგულოდ იქცეოდა. ასე, მაგალითად, ადგილობრივები ვალდებულნი იყვნენ, რუმინელი ოფიცრის დანახვისას მის წინაშე ქედი მოეხარათ. რუმინული უსაფრთხოების სამსახური და ადგილობრივი პოლიცია ომის დროს დნესტრის მარცხენა სანაპიროდან მიგრირებულ მოსახლეობაში და ქალაქებში მცხოვრებ რუს და ებრაელ მოქალაქეებში „ბოლშევიკთა ჯაშუშებს“ და „წითელთა“ დასაყრდენ ძალას ხედავდა, რის გამოც ხშირი იყო მათი შევიწროების ფაქტები.¹

ბესარაბიელთა ნაწილი არ ურიგდებოდა შექმნილ ვითარებას და რუმინული ჯარების მოლდოვის ტერიტორიაზე ყოფნას ოკუპაციად აფასებდნენ. მათ ზურგს ბოლშევიკები უმაგრებდნენ, ხვდებოდნენ რა, რომ მათი სახით იყო ძალა, რომელიც მათ მომავალში ამ ტერიტორიის გაკონტროლებაში დაეხმარებოდა. სოციალისტთა ძირითად დასაყრდენ ძალას პროლეტარიატის წარმომადგენლები წარმოადგენდნენ.

მოლდოვის ტერიტორიაზე რამდენიმე ფართომასშტაბიანი გამოსვლა მოეწყო 1919, 1924 და 1928 წლებში, თუმცა ყველა მათგანი წარუმატებლად დასრულდა. მიუხედავად ამისა, მუშათა გაფიცვებმა და გლეხთა გამოსვლებმა სისტემატიური ხასია-

¹ Charles King. The Moldovans: Romania, Russia, and the Politics of Culture. Stanford, CA: Hoover Institution Press, 2000, გვ. 41-42.

თი მიიღო.¹

მოლდოვეთის ტერიტორიაზე რთული სოციალ-პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. დიდი იყო უკმაყოფილება სასოფლო-სამეურნეო სექტორშიც.² გაღიზიანებას იწვევდა, მაგალითად, ის გარემოება, რომ რუმინელი მოხელე ან სამხედრო მოსამსახურე, ადგილობრივ მაცხოვრებელზე დაქორწინების შემთხვევაში, საკუთრებაში 100 ჰა მიწას იღებდა.³ ბესარაბიელი გლეხები რუმინელ მოხელეებს მძარცველებად და გამომძალველებად მოიხსენიებდნენ. ამის შესახებ თავის საგაზეთო სტატიების ციკლში ბესარაბიის შესახებ, გაზეთ „ადევერულის“ რუმინელი ჟურნალისტი, ვილკო იოანეს-კუ დეტალურად წერს. ის 1915-1917 წლებში კიშინიოვში ცხოვრობდა და იქ მცხოვრებთა განწყობებს კარგად იცნობდა.⁴

ბესარაბიელთა ნაწილის რუმინელთა მიმართ მსგავსი დამოკიდებულება ბოლშევიკურ ძალებს ნოუიერ ნიადაგს უქმნიდა სამოქმედოდ, რადგანაც ისინი სწორედ მუშათა და გლეხთა უფლებების დაცვის იდეებს ქადაგებდნენ. თავის მხრივ, კომუნისტური ძალები ბესარაბიის მოსახლეობის უკმაყოფილების სათავისოდ გამოყენების შანსს ხელიდან არ უშვებდნენ.

მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე მოვლენები განსხვავებულად განვითარდა. 1918 წელს ბესარაბიაში რუმინული ჯარების შესვლის შემდეგ პრობოლშევიკურ ძალთა დიდმა ნაწილმა მოლდოვა დატოვა. იმავე წლის 13 მარტს ოდესის საბჭოთა რესპუბლიკა შეიქმნა, რომელმაც დნესტრისპირეთის მნიშვნელოვანი ტერიტორია მოიცვა.

1924 წლის 12 ოქტომბერს მდინარე დნესტრისა და საბჭოთა უკრაინას შორის არ-სებულ ტერიტორიაზე მოლდოვეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა. ამის ინიციატორები ბესარაბიიდან მიგრირებული კომუნისტები იყვნენ. იდეას მხარი იოსებ სტალინმა და მიხაილ ფრუნზემ დაუჭირეს.

მასსრ-ს ტერიტორიაზე 545 500 ადამიანი ცხოვრობდა. ფართობი 8 100 კმ-კვადრატს შეადგენდა. დედაქალაქი 1929 წლიდან ტირასპოლში იყო.⁵ 1926 წლის საერთო

¹ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, гл. 198.

² В. Стати. История Молдовы, гл. 319.

³ Charles King. The Moldovans: Romania, Russia, and the Politics of Culture, гл. 43.

⁴ П. Лучинский. Молдова и молдоване, гл. 216.

⁵ П. Лучинский. Молдова и молдоване, гл. 335.

საკავშირო აღწერის თანახმად, მასსრ მოსახლეთა 48,5% უკრაინელი იყო, 30,1% – მოლდოველი, 8,5% – რუსი. აღსანიშნავია, რომ 1939 წლის აღწერის თანახმად რესპუბლიკის მოქალაქეთა პროცენტული რაოდენობა შემდეგნაირი იყო: მოლდოველები – 28.5%, უკრაინელები – 50.7%, რუსები – 10.2%, ებრაელები კი – 6.2%.¹ მოსახლეობის რაოდენობისა და ეთნიკური შემადგენლობის ცვლის მიზეზი 1926-1939 წლებში მასსრ საზღვრების ცვლილება იყო, რაც დემოგრაფიულ მდგომარეობაზეც ისახებოდა.

1920 წლამდე მიიჩნეოდა, რომ მოლდოველები რუმინული ერის განშტოება იყო. მართლაც, რუმინული და მოლდოვური ენები თითქმის იდენტურია. რუმინელები და მოლდოველები ერთმანეთთან უპრობლემოდ საუბრობენ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელზე სლავური მოდგმის ხალხთან მეზობლობამ დიდი გავლენა იქონია. ეს მას რუმინულისაგან მცირედით, მაგრამ მაინც განასხვავებს.² ცენტრალური ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა ადგილობრივი მასსრ მცხოვრები მოლდაველებისათვის შთაეგონებინა, რომ ისინი ცალკე ეთნოსის წარმომადგენლები იყვნენ და რუმინელებთან საერთო არაფერი ჰქონდათ.³

მდინარე დნესტრის მარჯვენა ნაპირზე მცხოვრებ მოლდოველთა რიგებში ხდებოდა სლავოფობური განწყობების კულტივირება. თავის მხრივ, მათ „მარცხენაპირელ“ თანამემამულებებში საბჭოთა ხელისუფლება ანტირუმინულ იდეებს ქადაგებდა. კომუნისტები ცდილობდნენ, რომ ადგილობრივ მოლდაველთათვის უცხო და საძულველი გამხდარიყო ყველაფერი ის, რაც რუმინული კულტურის ნაწილი იყო. ბურჟუაზიულ და მტრულ ელემენტად მიიჩნეოდა ლათინური დამწერლობაც კი.⁴

საგულისხმოა, რომ ცხოვრების დონით მოლდოვეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაცხოვრებლები შედარებით მაღალ დონეზე იყვნენ (მაგ. 1930-იანი წლების ბოლოსათვის, მასსრ ტერიტორიაზე 2 500-მდე სხვადასხვა სიდიდის საწარმო იყო, რომლებშიც ათიათასობით ადამიანი იყო დასაქმებული).⁵ მოსკოვი ადგილობრივთა სოცუზრუნველყოფაზე უზარმაზარ თანხებს ხარჯავდა. სუბ-

¹ MACCP: исторический очерк. <http://www.pmr21.info/article.php?art=105>.

² Charles King. The Moldovans: Romania, Russia, and the Politics of Culture, გვ. 3.

³ Charles King. The Moldovans: Romania, Russia, and the Politics of Culture, გვ. 4.

⁴ В. Стати. История Молдовы, გვ. 342.

⁵ История Республики Молдова, გვ. 210.

სიდირების მაჩვენებელი წლისათვის 3,3 მლნ. რუბლს აღწევდა.¹ ამის მიზეზი იყო ის, რომ საბჭოთა კავშირის მესვეურები მასსრ-საგან ე.წ. „პოტიომკინის დასახლების“ სტილის ერთგვარ სანიმუშო სუბიექტს ჰქმნიდნენ, რათა მდინარე დნესტრის მეორე ნაპირზე მყოფ მოლდაველებში სსრკ-სადმი სიმპათიები გაეღვივებინათ და მოეპოვებინათ მათი მხარდაჭერა, რომელიც შესაბამის მომენტში მათ ამ ტერიტორიის დაკავების საქმეს გაუადვილებდა.

„შესაფერისი მომენტი“ 1930-იანი წლების ბოლოს დადგა. 1933 წელს გერმანიის სათავეში მოსულმა ნაციონალ-სოციალისტებმა, ადოლფ ჰიტლერის მეთაურობით, ათასწლოვანი რაიხის შექმნა განიზრახეს და დიდი დაპყრობითი ომებისათვის დაიწყეს მზადება. ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის შემოერთების შემდეგ ჰიტლერმა პოლონეთის დაპყრობა განიზრახა. ბერლინში ხვდებოდნენ, რომ იმ ეტაპზე ამ განზრახვის შესრულების წარმატების მთავარი გარანტი საბჭოთა კავშირის ნეიტრალიტეტი იყო. სწორედ ამიტომ გერმანელთა ინიციატივით 1939 წლის 23 აგვისტოს ბერლინსა და მოსკოვს შორის ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ, ე.წ. „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი“, გაფორმდა. მხარეებმა აღმოსავლეთ ევროპაში თავიანთი გავლენის სფეროები „ძმურად“ გაიყვეს. ამ ხელშეკრულების ე.წ. „საიდუმლო დამატების“ მე-3 პუნქტში ვკითხულობთ:

„რაც შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, საბჭოთა კავშირი ხაზს უსვამს თავის ინტერესს ბესარაბიის მიმართ. თავის მხრივ გერმანული მხარე აცხადებს, რომ აღიშნულ რეგიონში მას არანაირი პოლიტიკური დაინტერესება არ გააჩნია“.² საგულისხმოა ისიც, რომ 1939 წელს, რუმინეთი ნაცისტური გერმანიის მოკავშირე ხდება.³ მიუხედავად ამისა, ადოლფ ჰიტლერმა არცთუ ისე ძლიერი მოკავშირის ინტერესები საბჭოთა კავშირთან თავისი პირადი ურთიერთობების დარეგულირების საქმეს მსხვერპლად დაუფიქრებლად შესწირა. ამასთან, ბერლინს ხელს არც სსრკ-სა და რუმინეთს შორის კონფლიქტი აძლევდა ხელს, რადგანაც ეს თავისი სამხედრო მანქანისათვის ასე აუცილებელი რუმინული ნავთობის მიწოდების საქმეს გაართულებდა. სწორედ ამიტომ, როდესაც ამის დრო დადგა, მესამე რაიხმა მთელი თავისი პოლიტი-

¹ История Республики Молдова, გვ. 217.

² Documents on German foreign policy 1918-1945, Series D (1937-1945). Vol. VII. U.S. Government Printing Office, Washington, D.C., 1954, გვ. 246.

³ В. Стати. История Молдовы, გვ. 352.

კური გავლენა და ძალაუფლება გამოიყენა ბუქარესტზე ზეწოლისათვის, რათა ამ უკანასკნელს მოსკოვის მოთხოვნები უყოყმანოდ და დროულად შეესრულებინა. თუმცა აქ აღსანიშნავია ერთი დეტალიც. 1940 წლის 25 ივნისს გერმანელმა ელჩმა სსრკ-ში, ვერნერ ფონ შულენბურგმა, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის იოახიმ ფონ რიბენტროპის წერილი მიიღო. რიბენტროპი ელჩს სთხოვდა, შეხვედროდა სსრკ მთავრობის მეთაურს, ვიაჩესლავ მოლოტოვს და განემარტა, რომ გერმანია ბესარაბიის საკითხთან მიმართებაში სსრკ-ს პოზიციას იზიარებდა, თუმცა რუმინეთში მას თავისი ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტერესები ჰქონდა და არ სურდა მის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების წარმოება. მინისტრი ბესარაბიაში მცხოვრები 100 000-მდე ეთნიკური გერმანელის ბედითაც ინტერესდებოდა და მოსკოვისაგან მათვის უსაფრთხოების გარანტიის მიღება სურდა.¹

საბჭოთა კავშირი მდინარე დნესტრსა და პრუტს შორის არსებული ტერიტორიის დაკარგვის ფაქტს არ ურიგდებოდა. სსრკ-გერმანიის პაქტმა მას ხელ-ფეხი გაუხსნა და კრემლი დაუყოვნებლივ ამოქმედდა. 1940 წლის 27 ივნისს კრემლმა ბუქარესტს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც კატეგორიულად მოითხოვდა, რომ რუმინულ არმიას ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ტერიტორია ოთხ დღეში უნდა დაეტოვებინა. 3 ივლისს სსრკ-სა და რუმინეთის სახელმწიფო საზღვარი მდინარე პრუტზე გაივლო. რუმინულ ჯართან ერთად მოლდოვეთის ტერიტორია ათობით ათასმა მოქალაქემ, ძირითადად, ადმინისტრაციების თანამშრომლებმა, მეწარმეებმა, სასულიერო პირებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა და უბრალოდ იმ ხალხმა, რომელსაც საბჭოთა კავშირში ცხოვრების პერსპექტივა არ ხიბლავდა, დატოვა.² აღსანიშნავია, რომ ბევრი მოლდოველი, განსაკუთრებით დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი, ცნობას „წითელი არმიის“ შემოსვლის შესახებ დაუფარავი სიხარულით შეხვდა. მათ მიაჩნდათ, რომ კომუნისტების ლოზუნგები – „მიწა გლეხებს, ქარხნები მუშებს“, „თავისუფლება და თანასწორობა“ და ა.შ. – რეალური იყო. ისინი მისტიროდნენ რუსეთის მეფისდროინდელ ხელისუფლებასა და მმართველობის იმდროინდელ სტილს, მიიჩ-

¹ Documents on German Foreign Policy 1918-1945. Series D (1937-1945). Vol. X. U.S. Government Printing Office, Washington, 1957, გვ. 12. აღსანიშნავია, რომ რუსულენოვან ლიტერატურაში, მაგ., მოლდოვის ყოფილი პრეზიდენტის პ. ლუჩინსკის წიგნში «Молдова и молдоване» ეს მიმოწერა არასწორად არის თარგმნილი (იხ.: П. Лучинский. Молдова и молдоване, გვ. 226).

² В. Стати. История Молдовы, გვ. 357.

ნევდნენ რა მას სამართლიანად. თუმცა, ბესარაბიელებისდა სამწუხაროდ, მათი სიხა-რული ნაადრევი აღმოჩნდა. „წითელარმიელების“ სახით მათ ქვეყანაში შევიდა სხვა, ახალი, ბოლშევიკური იდეოლოგიით გამსჭვალული რუსეთი. მისი მესვეურთათვის ადამიანის ღირსება, პირადი საკუთრება, უფლება და თავისუფლება უბრალოდ არაფ-რის მთქმელი სიტყვები იყო. შედეგად, მოლდოველებმა მიიღეს „წითელი ტერორის“ საშინელი წლები, რეპრესიები, მასობრივი დახვრეტები და ციმბირში გადასახლებუ-ლი ათიათასობით თანამემამულე. მათი დიდი ნაწილი უკან ვეღარ დაბრუნდა. აღსა-ნიშნავია, რომ ბესარაბიის რეგიონში „ხალხის მტრების“ დეპორტაციას ჩეკისტი სერ-გო გოგლიძე ხელმძღვანელობდა. ის დიდი მონდომებით ასრულებდა კრემლიდან მიღებულ ბრძანებებს მსსრ-ს „ანტიკომუნისტური ელემენტებისაგან“ გაწმენდის შესა-ხებ. მისი მეცადინეობით, 1941 წლის მაისიდან ივნისამდე პერიოდში მოლდოვიდან შუა აზიაში 30 000-ზე მეტი „მოღალატე“ იქნა გადასახლებული. ამ უკანასკნელთა ოჯ-ახებსაც იგივე ბედი ელოდათ. ანალოგიური ბრალდებით 8 000-მდე ადამიანი იქნა დახვრეტილი.¹

1940 წლის 2 აგვისტოს სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით, შეიქ-მნა მოლდოვეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც იმავე დღეს საბ-ჭოთა კავშირის შემადგენლობაში იქნა მიღებული.² იმავე სხდომაზე დაკმაყოფილე-ბულ იქნა „ბესარაბიელ და მოლდოვის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რეს-პუბლიკის მშრომელთა თხოვნა გაერთიანების შესახებ“. მოლდოვეთის ავტონომიუ-რი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მოლდოვეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა.³

მოლდოვეთის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკას, კრემლის გადაწყვეტი-ლებით, ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოეჭრა. ბესარაბიის კუთვნილი აკერძანის, იზმაილოვისა და ხოტინის ოლქების დიდი ნაწილი უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას გადაეცა. მსსრ შემადგენლობაში კი ტირასპოლის, გრი-გორიოპოლის, ბენდერის, დუბოსარის, კამენსკის, რიბნიცისა და სლობომეისკის (ანუ დღევანდელი დნესტრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკის არაღიარებული რეს-

¹ Принудительные миграции в годы второй мировой войны и после ее окончания (1939-1953). <http://old.memo.ru/history/deport/>.

² В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 223.

³ В. Стати. История Молдовы, გვ. 358.

პუბლიკის ტერიტორია) ოლქები გადავიდა. ბოლშევიკთა მიერ განხორციელებულმა ამ ერთგვარმა ტერიტორიულმა ბარტერმა თავისი დრამატული როლი XX საუკუნის 90-იან წლებში, სსრკ-ს დაშლისას ითამაშა. მსსრ საზღვრების ფორმირების პროცესი 1940 წლის ნოემბრისათვის დასრულდა.¹

გასაბჭოების შედეგად, მოლდოვამ 17 ათასი კვ. კმ ფართობი დაკარგა. სხვადასხვა წლებში, მსსრ ხელისუფლების წარმომადგენლები მოსკოვისაგან ამ ტერიტორიების უკან დაბრუნებას ითხოვდნენ, თუმცა ამაოდ. ცნობისთვის, 1940 წლისათვის მოლდოვის ტერიტორიაზე 3 776 309 პირი ცხოვრობდა. მათი 53% ეთნიკურად მოლდოველი, 15% – უკრაინელი, 10% – რუსი, 7,27% – ებრაელი, 4,9% – ბულგარელი, 3,31% – გერმანელი, ხოლო დანარჩენი 5% – სხვადასხვა ეროვნებისა იყო.²

მსსრ უმაღლესი საბჭო 1941 წელს აირჩა. 226 დეპუტატთაგან 56% მოლდოველი, 22% – უკრაინელი, 17% – რუსი, ხოლო 5% – სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი იყო.³

ამასობაში კი ევროპასა და ზოგადად მთელს მსოფლიოში მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. 1939 წელის 1 სექტემბერს ნაცისტური გერმანია, ადოლფ ჰიტლერის მეთაურობით, თავს დაესხა პოლონეთს. თავის მხრივ, ბერლინს ომი საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა გამოუცხადა. მიუხედავად ამისა, პოლონეთის დასავლეთ ნაწილი ოკუპირებულ იქნა გერმანის მიერ, აღმოსავლეთში კი „წითელი არმია“ შევიდა. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი...

1940 წლის 14 ივნისს გერმანულმა არმიამ პარიზი აიღო, რამაც ლონდონი ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩააგდო. 1941 წლის გაზაფხულზე ბალკანეთის ნახევარკუნძული ფაშისტთა კონტროლქვეშ გადავიდა. ნელ-ნელა ცხადი შეიქნა, რომ ჰიტლერის მორიგი სამიზნე საბჭოთა კავშირი იქნებოდა, რადგანაც მის სამხედრო მანქანას ესაჭიროებოდა ის ნედლეული, რომელიც სსრკ-ს ტერიტორიაზე იყო, გერმანელ ერს კი, მისი თქმით, ე.წ. „სასიცოცხლო სივრცე“ ესაჭიროებოდა.⁴

1941 წელის 22 ივნისს გერმანია საბჭოთა კავშირს თავს დაესხა. მოლდოვის სსრ, როგორც საზღვრისპირა რესპუბლიკა, ომის პირველივე დღეებში დარტყმის ქვეშ აღ-

¹ История Республики Молдова, გვ. 223.

² П. Лучинский. Молдова и молдоване, გვ. 227.

³ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 224.

⁴ Walther Hofer. Der Nationalsozialismus Dokumente, 1933-1945. Frankfurt am Main, 1957, გვ. 181.

მოჩნდა. 2 ივლისს შვიდმა გერმანულმა და ცამეტმა რუმინულმა დივიზიამ რუმინეთ-სარკ-ს საზღვარი გადაკვეთა და მოლდოვაში შეიჭრა. მიუხედავად მე-9 არმიისა და ადგილობრივთა გააფთრებული წინაღმდეგობისა, 13 აგვისტოსათვის მსსრ მთელი ტერიტორია მოწინაღმდეგის ხელში აღმოჩნდა. მოლდოვა მოსახლეობის ნაწილმა (მეტწილად ებრაელებმა, კომუნისტური ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათი ოჯახის წევრებმა) დატოვა. უკან დაიხია მე-9 არმიამაც.¹

გერმანელებმა ოკუპირებული ტერიტორია მდინარე ბუგამდე რუმინელებს გადასცეს. ოკუპაციას თან ახლდა ძალადობა, რეპრესიები, ბოშათა და ებრაელთა დევნა.² საბრძოლო მოქმედებებმა საბჭოთა კავშირის სიღრმეში გადაინაცვლა და მსსრ გერმანელების ღრმა ზურგში მოექცა. თუმცა 1942-1943 წლებში ომის მსვლელობაში სერიოზული გარდატეხა მოხდა. გერმანელებს, რომლებსაც მოსკოვამდე სულ რამდენიმე ათეული კილომეტრიდა აშორებდათ, საბჭოთა არმიის კონტრიერიშების შედეგად უკან დახევა მოუწიათ. ამას 1942-1943 წლებში სტალინგრადისა და კურსკის ბრძოლებში განცდილი მარცხი და კოლოსალური სამხედრო დანაკარგებიც დაერთო. წითელმა არმიამ, ასევე დიდი დანაკარგებით, მაგრამ მაინც შესძლო ქვეყანაში შეჭრილი მოწინაღმდეგის ძალებისათვის უკან დახევა ეიძულებინა. ყველაფერ ამას, 1944 წლის 6 ივნისს მოკავშირეთა მიერ მეორე ფრონტის გახსნა დაერთო, გერმანელები მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდნენ. 1944 წლის ზაფხულისათვის საბჭოთა ჯარისკაცები მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე გამაგრდნენ.

1944 წლის 20 აგვისტოს დაიწყო იასი-კიშინიოვის ოპერაცია, რომელიც მიზნად ბესარაბიის ტერიტორიის ვერმახტისა და რუმინული ჯარებისაგან განთავისუფლებას ისახავდა. 24 აგვისტოს წითელარმიელებმა მოლდოვის სსრ დედაქალაქი, კიშინიოვი აიღეს. 26 აგვისტოს კი მდინარე პრუტის მარცხენა ნაპირი დაიკავეს და სსრკ-სა და რუმინეთის ომამდელ საზღვარზე გავიდნენ.³ მეორე მსოფლიო ომი 1945 წლის 8 მაისს, გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციით დასრულდა.

1946 წლის 29 ივლისიდან 15 ოქტომბრამდე პარიზში მიმდინარეობდა სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც 1947 წლის 10 თებერვალს პარიზის სამშვიდობო ხელ-

¹ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 232.

² В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 235.

³ Великая Отечественная война. <http://newspmr.com/istoriya-pmr/velikaya-otechestvennaya-vojna/4/>.

შეკრულების გაფორმებით დასრულდა. დოკუმენტზე ხელს, ერთის მხრივ, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული მოკავშირეები (აშშ, სსრკ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი) და, მეორეს მხრივ, ფაშისტური გერმანიის მოკავშირეები (უნგრეთი, რუმინეთი, იტალია, ფინეთი და ბულგარეთი) აწერდნენ. რუმინეთთან გაფორმებული ხელშეკრულების პირველივე თავში განისაზღვრა რუმინეთ-სსრკ-ს სახელმწიფო საზღვარი. ის, მოსკოვსა და ბუქარესტს შორის არსებული 1940 წლის 28 ივნისის შეთანხმების თანახმად, მდინარე პრუტზე გავიდა.¹

ომრა დნესტრისპირეთის რეგიონს, ისევე როგორც მთელ სსრკ-ს, კოლოსალური მატერიალური ზარალი მიაყენა. საბრძოლო მოქმედებებისას იქ არსებული ქალაქებისა და მსხვილი სამრეწველო კომპლექსების დიდი ნაწილი განადგურდა. დიდი იყო მსხვერპლი ადგილობრივ მოსახლეობაშიც.

ომისაგან განადგურებული ინფრასტრუქტურის აღდგენა 1944 წელსვე დაიწყო. საამისოდ, ცენტრალური ბიუჯეტიდან 448 მილიონი მანეთი იქნა გამოყოფილი. უკვე წლის ბოლომდე რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე სარკინიგზო მიმოსვლა აღსდგა.² 1950-იანი წლების ბოლოსათვის მსსრ იყო ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული რესპუბლიკა სსრკ-ს შემადგენლობაში. XX საუკუნის 60-იან წლებში, წინა ათწლეულთან შედარებით, კოლმეურნეობათა შემოსავალმა 72% იმატა. XX საუკუნის 80-იანი წლებისათვის, რესპუბლიკის მიერ წარმოებული პროდუქციის მთლიანმა მოცულობამ 1950-იანი წლების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 57-ჯერ მოიმატა. მოლდოვაში განვითარებული იყო კვების, მძიმე და მსუბუქი მრეწველობა.³ მსსრ-ში ნაწარმოები ხილის 50% და ბოსტნეულის 40% დნესტრისპირეთში იწარმოებოდა.

1978 წელს მოლდოვის სსრ-ში მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომელიც სრულ თავსებადობაში იყო იმავე წელს საბჭოთა კავშირში მიღებულ კონსტიტუციასთან. მის თანახმად, რუსული ენას, მოლდავურთან ერთად, რესპუბლიკაში, სახელმწიფო ენის სტატუსი უნარჩუნდებოდა.

საინტერესოა, თუ როგორ იცვლებოდა მოლდოვის საბჭოთა სოციალისტური

¹ Парижский мирный договор с Румынией https://ru.wikisource.org/Парижский_мирный_договор_c_Румынией.

² В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 240.

³ მოლდოვეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7. თბილისი, 1977, გვ. 73.

რესპუბლიკის დემოგრაფიული მდგომარეობა. გასაბჭოების შემდეგ ბესარაბიის ტერიტორია ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დატოვა. დემოგრაფიული სურათი მეორე მსოფლიო ომმაც შეცვალა და თუ 1940 წლისათვის მოლდოვის ტერიტორიაზე 3,7 მლნ. ადამიანი ცხოვრობდა, 1950-იანი წლებისთვის ეს მაჩვენებელი 2,2 მლნ. მდე იყო შემცირებული. (მაგ. თუ რეგიონის გერმანული პოპულაცია 1940 წელს 81 000 ადამიანს ითვლიდა, 1949 წლისათვის მათი რაოდენობა 4000-ს არ აღემატებოდა. ამას დაერთო 1946-1947 წლების შიმშილი, რომელმაც 120 000-მდე ადგილობრივი შეიჩირა, 20 000-ზე მეტი მოლდოვური ოჯახი კი შეუაზიში იქნა გასახლებული).¹ შედეგად, 1950 წელს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 2 290 000 ადამიანი ცხოვრობდა. 1960 წელს მათი რაოდენობა 2 967 700, 1970 – 3 568 900, 1980 წელს კი 3 987 200 უდრიდა.² მოსახლეობის ზრდის დინამიკა ომის შემდეგ, მოსახლეობის მასობრივმა მიგრაციამაც განაპირობა. რეგიონის ინდუსტრიალიზაცია დიდი რაოდენობით მუშახელს საჭიროებდა. ამისი რესურსი კი მდინარე დნესტრის მარჯვენა სანაპიროს მოლდოვურ სოფლებსა თუ უკრაინის ტერიტორიაზე არსებობდა. შესაბამისად, ტირასპოლსა თუ ბენდერს ათიათასობით მოლდოველმა, რუსმა და უკრაინელმა ახალგაზრდამ მიაშურა.

1985 წელს უმაღლეს საბჭოში 380 დეპუტატი იქნა არჩეული. მათგან 241 (63%) მოლდოველი იყო, 57 (15%) – რუსი, 53 (13,9%) – უკრაინელი, 11 (2%) – ბულგარელი, ხოლო 12 (3,2%) – გაგაუზი.³

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირი ღრმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა. უზარმაზარი რესურსებისა და პოტენციალის მქონე გიგანტური ზესახელმწიფო ეფექტურ მმართველობას, ახალ მიდგომასა და, რაც მთავარია, სისტემის „გაადამიანურებას“ საჭიროებდა. 1985 წელს სსრკ-ს ხელისუფლებაში მოსულმა „ახალგაზრდა და ენერგიულმა“ მიხაილ გორბაჩოვმა, „რეფორმატორების გუნდთან“ ერთად, ქვეყანაში ე.წ. „პერესტროიკა“ დაიწყო, თუმცა მოვლენებზე კონტროლი მაღევე დაჰკარგა. მოკავშირე რესპუბლიკებში, მათ შორის მოლდოვაში, პოლიტიკურ ასპარეზზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები გამოვიდნენ.

¹ Charles King. The Moldovans: Romania, Russia, and the Politics of Culture, გვ. 96.

² 15 новых независимых государств. Численность населения на начало года, 1950-2016, тысяч человек. http://demoscope.ru/weekly/ssp/sng_pop.php.

³ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 1, გვ. 286.

ყველასათვის ნათელი შეიქნა, რომ საბჭოთა კავშირი თავისი არსებობის უკანასკნელ წლებს ითვლიდა, თუმცა საზოგადოებრივი მზაობა იმ შეუქცევადი პროცესებისათვის, რომელიც ამ „ბოროტების იმპერიის“ რღვევას თან მოჰყვა, როგორც შემდეგში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, ძალიან სუსტი აღმოჩნდა. ავტონომიურ რესპუბლიკებში, რომელიც კრემლის მიერ ეთნიკური პრინციპით შეიქმნა, მისივე წაქეზებით დაიწყო რესპუბლიკური ცენტრების საწინააღმდეგოდ მიმართული მოძრაობების ორგანიზება. ისინი უპირისპირდებოდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, სდებდნენ რა ბრალს მათ რადიკალურ ნაციონალიზმსა და შოვინიზმში. ამ მხრივ გამონაკლისი არც დნესტრისპირეთი და მისი მოსახლეობა აღმოჩნდა. მოსკოვის მიერ შემუშავებულმა სტრატეგიამ, ურჩი რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების ხელით დასჯის შესახებ, მოქმედება დაიწყო.

თავი II. კონფლიქტის ესკალაცია

2.1 კონფლიქტური ვითარების წარმოქმნა და მისი მიზეზები

1980-იანი წლების ბოლოსათვის მოლდოვის სსრ-ში, ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკისაგან განსხვავებით, სადაც უკვე „პირველი სისხლი“ იყო დაღვრილი, შედარებით მშვიდი და სტაბილური ვითარება იყო. თუმცა პროცესები, რომლებმაც დნესტრისპირეთის კონფლიქტში კატალიზატორის როლი შეასრულეს, 1988 წლიდან იწყებს განვითარებას.

საბჭოთა კავშირის ახალი ხელისუფლების მიერ გამოცხადებულმა „პერესტროიკამ“ რესპუბლიკებში არსებულ დისიდენტურ ძალებს ლეგალური საქმიანობის საშუალება მისცა. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესები ქვეყნის ეკონომიკისათვის მძიმე პერიოდს დაემთხვა. მოსახლეობა საყოველთაო დეფიციტსა და ცხოვრების დონის გაუარესებაში ბრალს მიხეილ გორბაჩოვის ხელისუფლებასა და მისი გუნდის უუნარობას სდებდა. თავის მხრივ, ყოველივე ამით სარგებლობდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ლიდერები, რომელთაც სულ უფრო უადვილდებოდათ ფართო მასების მხარდაჭერის მოპოვება. თუმცა რესპუბლიკის მაცხოვრებელთა სულისკვეთება არ იყო საყოველთაო, რისი მიზეზიც მათი განსხვავებული მსოფლმხედველობა და საბჭოთა კავშირში 1980-იან წლების ბოლოს განვითარებული მოვლენების თავისებური შეფასება იყო. ყველაფერი ეს კი კონფლიქტის წინაპირობას ქმნიდა.

მოლდოვის სსრ, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკები, არ იყო მონოეთნიკური. 1989 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, მის ტერიტორიაზე, საერთო ჯამში, 4 356 100 მაცხოვრებელი იყო. მათი 65% ეთნიკურად მოლდოველი, 14% – უკრაინელი, 13% – რუსი, 4% – გაგაუზი, 2% – ბულგარელი, 2% კი დანარჩენი ეთნოსების წარმომადგენლები იყვნენ.¹ საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ამავე აღწერის თანახმად მოლდოვურ ენას მშობლიურ ან ე.წ. „მეორე ენად“, რომელსაც თავისუფლად ფლობდა, მოსახლეობის 66% მიიჩნევდა. ეს მაჩვენებელი ეთნიკურად არამოლდოველ მაცხოვრებლებში 11%-ის ტოლი იყო. რაც შეეხება რუსულ ენას, მას მშობლიურ ან მე-

¹ В. Стати. История Молдовы, гл. 395.

ორე ენად მოლდოვაში მცხოვრებთა 68% (ეთნიკურ მოლდოველთა 58% სრულყოფილად ფლობდა რუსულ ენას) აღიქვამდა.¹

პირველი ბზარები მოლდოვის რესპუბლიკის მოსახლეობაში XX საუკუნის 80-იანი წლის ბოლოს გაჩნდა. დაპირისპირება წარმოშვა იმ ფაქტორმა, რომ მოლდოვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგებში სულ უფრო ხმამაღლა ისმოდა იმ წევრების ხმები, რომლების მოლდოვისა და რუმინეთის გაერთიანების მომხრეები, ე.წ. „უნიონისტები“ იყვნენ.² მათი აზრით, არსებითი განსხვავება მოლდოველებსა და რუმინელებს შორის არ არსებობდა, ეს იყო ერთი ერი, როგორც ანთროპოლოგიური, აგრეთვე ლინგვისტური თვალსაზრისით, რომლებიც ისტორიულმა პერიპეტიებმა და „ჟამთა ავმა სვლამ“ ერთმანეთს დააშორა.³

გაერთიანების იდეისა და ზოგადად, საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან მოლდოვას გამოსვლის პერსპექტივები რესპუბლიკის ეთნიკურად არამოლდოველ, განსაკუთრებით კი რუსულენოვან მოსახლეობას ნაკლებად ხიბლავდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოლდოვას ყველა „თავის მხარეს ექაჩებოდა“. ყველაფერ ამას სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიც ერთვოდა, რაც ვითარებას ერთობ არასახარბიეროს ხდიდა.

აღსანიშნავია, რომ მოლდოვის სსრ-ში არსებულ სამრეწველო ობიექტთა უდიდესი ნაწილი, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე იყო კონცენტრირებული.⁴ ასე, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში, დნესტრისპირეთის რეგიონში მსსრ მოსახლეობის მხოლოდ 17% ცხოვრობდა, რესპუბლიკაში წარმოებული პროდუქციის 1/3, მათ შორის ფართო მოხმარების საგნების 59% და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თითქმის ერთი მეოთხედი სწორედ მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე იწარმოებოდა.⁵ ასე რომ, მეამბოხე რეგიონსა და ცენტრს ერთმანეთთან დაპირისპირების, პოლიტიკურთან ერთად, ეკონომიკური მიზეზებიც საკმაოზე მეტი ჰქონდა.

¹ История Республики Молдова, гл. 325.

² შ. მალაშვილი. კონფლიქტების ანატომია, гл. 237.

³ „ოკუპაცია“ – 13. თვითგამორკვევა რუსულად (მოლდოვა). https://www.youtube.com/watch?v=26eb5PlC-_M&t=1052s.

⁴ Д. Жуков. Войны на руинах СССР, гл. 5.

⁵ И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 140.

1980-იანი წლების ბოლოს, ისევე როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, მოლდოვაშიც დაიწყო სხვადასხვა ჯგუფების მიერ პოლიტიკური მოძრაობა-ორგანიზაციების ჩამოყალიბების პროცესი. მათი უდიდესი ნაწილი ცენტრალური ხელისუფლების მიმართ მკვეთრ ოპოზიციურ პოზიციას იკავებდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდირებას ეწეოდა. მსსრ-ში ეს ფუნქცია ყველაზე გავლენიანმა და ძლიერმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ მოლდოვის სახალხო ფრონტმა შეიძინა. 1988 წლის 3 ივნისს, ქალაქ კიშინიოვში დაფუმნდა. თავდაპირველად ის გარდაქმნის, ე.წ. „პერესტროიკის“ კურსის მხარდამჭერ ძალას წარმოადგენდა, თუმცა მოგვიანებით, გაუცრუვდათ რა იმედები სსრკ-ს ხელისუფლების დემოკრატიული გარდაქმნებისადმი სწრაფვის რეალურ სურვილში, დაიწყეს ბრძოლა მოლდოვის დამოუკიდებლობისათვის. თავის მხრივ, კონსერვატიული ძალები, რომლებიც ძირითადად რუსულენოვანი მოქალაქეებისაგან იყო წარმომდგარი, ქმნიდნენ თავიანთ პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომელთაგანაც ყველაზე თვალსაჩინო იყო „უნიტატე-ედინსტვო“, რომლის შემადგენლობაც ინტერნაციონალური იყო. იგი 1989 წლის 8 ივლისს დაფუმნდა.¹ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა მოლდოვის რესპუბლიკის სამხრეთ რაიონებში, ეთნიკური გაგაუზების კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში, 1989 წლის 26 ოქტომბერს ჩამოყალიბებული პოლიტიკური პარტია „გაგაუზ ჰალჰ“ (ქართ. გაგაუზი ხალხი). ამ გაერთიანების ლიდერები მკვეთრად ანტიკიშინიოვურ პოზიციაზე იდგნენ.²

„განხეთქილების ვაშლის“ ფუნქცია ენის საკითხმა შეიძინა. კანონპროექტის მიღებამ, რომლის თანახმადაც მოლდოვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად მოლდოვური ცხადდებოდა, დიდი მღელვარება და აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. მის მიღებას წინ საკმაოდ რთული პროცესები უძღვოდა, კერძოდ კი, რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების უკმაყოფილება და შიშები იმის შესახებ, რომ ამ კანონის მიღების შემთხვევაში მათი უფლებები და ინტერესები ფეხქვეშ გაითელებოდა. იყო კიდევ ერთი შიში, რომლის წარმოქმნა-გალვივებასაც ხელს საბჭოთა სპეცსამსახურები უწყობდნენ. ეს იყო მითი რუმინეთისა და მოლდოვას გარდაუვალი გაერთიანების შესახებ. ცეცხლზე ნავთს ზოგიერთი მოლ-

¹ Молдавия. http://www.krugosvet.ru/enc/strany_mira/MOLDAVIYA.html?page=0,7.

² Ф. Ангел. Гагаузская автономия, люди и факты (1989-2005), გვ. 16.

დოველი პოლიტიკური ლიდერის მკვეთრად პრორუმინული პოზიციაც ასხამდა, რაც სუკ-ის თანამშრომლებს საქმეს უადვილებდა.

„ენის შესახებ კანონპროექტზე“ მუშაობა ჯერ კიდევ 1988 წელს, მოლდოვის სსრ მწერალთა კავშირის წევრთა ნაწილის ინიციატივით დაიწყო. მათ ორი მთავარი მოთხოვნა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოლდოვური ენისათვის სახელმწიფო და ძირითადი სტატუსის მინიჭება და დამწერლობის კირილიციდან ლათინურ ანბანზე გადაყვანა იყო. კანონპროექტის ინიციატორთა აზრით ლათინური ანბანი რუმინული ენის ფონეტიკურ თავისებურებებს უკეთ შეესაბამებოდა.¹ ზემოხსენებულ მოსაზრებებს მოლდოველმა მწერლებმა „წერილი 66“-ში მოუყარეს თავი.²

1989 წლის 25 იანვარს მსსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „მზადება კანონპროექტზე მსსრ ტერიტორიაზე ენების ფუნქციონირების შესახებ“, იმავე წლის 30 მარტს კი – აქტები „სახელმწიფო ენის სტატუსზე მსსრ ტერიტორიაზე“ და „ენების ფუნქციონირების შესახებ მსსრ ტერიტორიაზე“.³

დნესტრისპირეთისა და მთელი რესპუბლიკის რუსულენოვანი მოსახლეობა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა „მსსრ ტერიტორიაზე ენების ფუნქციონირების შესახებ“ კანონის მიღებას, მიაჩნდა რა, რომ იგი მათი უფლებების შემლახავი და მათდამი დისკრიმინაციული იქნებოდა. 1989 წლის აპრილის ბოლოს, გაზეთ „რიბნიცის მეტალურგში“ დაიბეჭდა მოლდოვის მეტალურგიული ქარხნის მუშათა კოლექტივის წერილი. მასში ისინი მსსრ კომუნისტური პარტიის მესვეურებს უმოქმედობაში ადანაშაულებდნენ, რითაც, მათი აზრით, „არაფორმალური პოლიტიკური გაერთიანებების ლიდერები ბოროტად სარგებლობდნენ“. სტატიაში მათ თავიანთი რვაპუნქტიანი მოთხოვნაც წამოაყენეს, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული ორი მთავარი რამ: პირველ რიგში, ისინი მოითხოვდნენ მყარ გარანტიას იმისა, რომ რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს შეძლებოდა საკუთარი მშობლიური ენის დაუბრკოლებლად გამოყენება-განვითარება, და მეორე, სახელმწიფო ენის სტატუსი მსსრ-ს ტერიტორიაზე უნდა მინიჭებოდა როგორც მოლდოვურ, აგრეთვე რუსულ ენასაც.⁴

1989 წლის 12 მაისს მსსრ მეცნიერთა აკადემიის საერთო ყრილობა გაიმართა.

¹ История Республики Молдова, гл. 326.

² История Республики Молдова, гл. 326.

³ История Республики Молдова, гл. 327.

⁴ А. З. Волкова, И. И. Кисько. Создание Приднестровской Молдавской Республики, гл. 19.

შეკრებილთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მოლდოვური ენისათვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭებას დაუჭირა.

1989 წლის 11 აგვისტოს დნესტრისპირეთში შეიქმნა მკას (მშრომელ კოლექტივთა გაერთიანებული საბჭო). მის პირველ თავმჯდომარედ ბ. შტეფანი აირჩიეს. პირველი გამაფრთხილებელი აქცია საბჭომ 16 აგვისტოს, ქალაქ ტირასპოლის ცენტრში გამართა. მას 27 000-მდე მოქალაქე დაესწრო. ხალხმრავალი დემონსტრაციები მსსრ სხვა, ძირითადად რუსულენოვანი მოქალაქეებით დასახლებულ ქალაქებში, აგრეთვე გაგაუზებით დასახლებულ რაიონებში იმართებოდა.

27 აგვისტოს მსსრ დედაქალაქ კიშინიოვში, ცენტრალურ მოედანზე ერთდღოულად ორი ხალხმრავალი აქცია გაიმართა. „მოლდოვის სახალხო ფრონტის“ მიერ ორგანიზებულ „დიდ სახალხო შეკრებაზე“ მისული დემონსტრანტები „მსსრ ტერიტორიაზე ენათა ფუნქციონირების შესახებ კანონის“ მიღებასა და მოლდოვური ენისათვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭებას მოითხოვდნენ. ამას კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ „ინტერმოძრაობის“ მომხრეები, რომლებიც პარალელურ აქციას მართავდნენ. ისინი მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ორი, მოლდოვური და რუსული ენისათვის სახელმწიფო ენების სტატუსის შენარჩუნებას მოითხოვდნენ. დემონსტრანტები ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ, ადგილი ჰქონდა შეურაცხმყოფელ და დისკრიმინაციულ შეძახილებს, თუმცა, საბედნიეროდ, ფიზიკური დაპირისპირება არ მომხდარა.¹

1989 წლის 31 აგვისტოს მოლდოვის სსრ უმაღლესი საბჭოს მე-13 ყრილობის მიერ თითქმის ერთხმად მიღებულმა „საკანონმდებლო ცვლილებამ სახელმწიფო ენის შესახებ“ რესპუბლიკის მოქალაქეთა შორის დაპირისპირება უფრო გააღრმავა. განსაკუთრებით რთული ვითარება მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე იყო, სადაც პროტესტის ნიშნად ათასობით მუშა გაიფიცა, რის შედეგადაც ათობით მსხვილი დაწვრილი საწარმო გაჩერდა.²

და მაინც, რა ეწერა კანონში „მსსრ ტერიტორიაზე ენების ფუნქციონირების შესახებ“ ისეთი, რამაც რესპუბლიკის რუსულენოვანი მოსახლეობის შეშფოთება გამოიწვია? 1 სექტემბერს გაზეთ „საბჭოთა მოლდოვაში“ მისი სრული ტექსტი იქნა დაბეჭ-

¹ История Республики Молдова, гл. 53-62.

² В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 2, гл. 62.

დილი. „მსსრ ტერიტორიაზე ენების ფუნქციონირების შესახებ“ კანონით მოლდოვაში სახელმწიფო ენის სტატუსს იძენდა მოლდოვური ენა, თუმცა მისი ავტორები ხაზგას-მით აღნიშნავდნენ იმას, რომ რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ეთნიკური წარმომავ-ლობის მოქალაქეების უფლება მშობლიური ენის შესწავლაზე, გამოყენებასა და გან-ვითარებაზე არ შეიზღუდებოდა. „ეძლევა რა მოლდოვურ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი, მსსრ მთავრობა იძლევა სრულ გარანტიას იმისა, რომ დაცული იქნება რეს-პუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ნებისმიერი მოქალაქის, მიუხედავად ეთნიკუ-რი თუ ენობრივი კუთვნილებისა, კონსტიტუციური უფლება და თავისუფლება“, – ეწერა კანონში.¹

მსსრ ტერიტორიაზე ეთნიკურ უმცირესობათა კომპაქტურად დასახლების ადგი-ლებში, სახელმწიფო ენასთან ერთად, მშობლიური (რუსული, გაგაუზური) იქნებოდა გამოყენებული. გაგაუზურ ენას განსაკუთრებული სტატუსი ენიჭებოდა. ამ ენის შე-ნარჩუნება-განვითარებაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე სახელმწიფო იღებდა. 31-ე მუხლის მიხედვით, ადამიანთა დისკრიმინაცია მათი ეთნიკური, ლინგვისტური თუ სხვა კუთვნილების გამო, დანაშაულის განმხორციელებელ პირთა მიმართ უმკაც-რეს სანქციებს ითვალისწინებდა.²

მთელი სექტემბრის თვის განმავლობაში მდინარე დნესტრის ორივე ნაპირზე მდებარე მსსრ ქალაქებში დემონსტრაციები და ვნებათა ღელვა არ ცხრებოდა. სიტუ-აციის დარეგულირება ვერც მოლდოვის კომუნისტური პარტიის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, მირჩა სწევურის ტირასპოლში ვიზიტმა შესძლო. მღელვარება შედა-რებით ჩაცხრა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გავრცელდა სსრკ-ს სკპ-ს გენერალური მდივნის, მიხეილ გორბაჩოვის განცხადება. ის პირობას დებდა რუსული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე მინიჭების შე-სახებ. მიუხედავად ამისა, მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე მცხოვრებთა დიდმა ნაწილმა „თვითგამორკვევის“ იდეა „გულში ჩაიდო“.³ გაფიცვებისა და დემონ-სტრაციების ტალღამ, რომელმაც მოლდოვეთის რესპუბლიკას 1989 წლის ზაფხულის

¹ Закон МССР о функционировании языков на территории МССР. «Советская Молдова», №199 (16854), 1.09.1989, გვ. 2.

² Закон МССР о функционировании языков на территории МССР, Советская Молдова», №199 (16854), 1.09.1989, გვ. 2.

³ И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, გვ. 29.

მიწურულსა და შემოდგომის დასაწყისში გადაუარა, მის ეკონომიკას მრავალმილიონიანი ზარალი მოუტანა.

მოგვიანებით, სექტემბრის ბოლოს მსსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა „სახელმწიფოებრივი კომპლექსური პროგრამა ენათა ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მსსრ ტერიტორიაზე“. ეს პროექტი ექვს წელიწადზე იყო გაწერილი. იგი აგრეთვე ითვალისწინებდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე გავრცელებული სხვა ენების ადაპტირებას, მათ განვითარება-შენარჩუნებას. აღნიშნული პროცესის განხორციელებისათვის იქმნებოდა სპეციალური კომისია. პროგრამაზე მუშაობა უნდა ეკისრა მსსრ განათლების, კულტურისა და ფინანსთა სამინისტროებს, რესპუბლიკის სახელმწიფო კომიტეტს, მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებებსა და შემოქმედებით კავშირებს. გათვალისწინებულ უნდა ყოფილიყო რიგით მოქალაქეთა წერილობითი რჩევებიც.

სპეციალური პროგრამის ფარგლებში უნდა შემუშავებულიყო მეთოდური მიდგომა მოლდოვის საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე გავრცელებული ენების შესასწავლად, შექმნილიყო ახალი სახელმძღვანელოები და სასკოლო პროგრამები... განსაკუთრებული აქცენტი მოლდოვურთან ერთად რუსულ, გაგაუზურ და უკრაინულ ენებზე კეთდებოდა.¹

„სახელმწიფო კომპლექსური პროგრამა მიმართულია მრავალეროვანი ქვეყნის არსებობის მთავარი პრინციპის უზრუნველსაყოფად. იგი თავის თავში რესპუბლიკის ნებისმიერი ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქისა და მისი მშობლიური ენის თანასწორუფლებიანობას გულისხმობს“, – იყო ნათქვამი პროგრამის პრეზენტაციის შესავალ სიტყვაში.²

ენათა ფუნქციონირების უზრუნველყოფის პროგრამის სრულყოფილი განხორციელება დიდ ფინანსურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული. მსსრ ეკონომიკა დამოუკიდებლად მას ვერ გაუმკლავდებოდა, ამიტომ მისმა ავტორებმა შექმნეს სპეციალური საბანკო ანგარიში, სადაც მსურველებს შეეძლოთ შემოწირულობების შეტანა.³

¹ Государственная комплексная программа обеспечения функционирования языков на территории Молдавской ССР. «Советская Молдова», №228 (16883), 30.09.1989, გვ. 2.

² Государственная комплексная программа обеспечения функционирования языков на территории Молдавской ССР, გვ. 2.

³ Государственная комплексная программа обеспечения функционирования языков на территории Молдавской ССР, გვ. 2.

ოქტომბრის თვეში გააქტიურდნენ მსსრ სამხრეთ რეგიონში მცხოვრები ეთნიკური გაგაუზები. ისინი რესპუბლიკის შემადგენლობიდან გამოსვლასა და სსრ-ს შემადგენლობაში დამოუკიდებელ ავტონომიურ ერთეულად შესვლას მოითხოვდნენ. სეპარატისტთა ლიდერები, რომლებსაც მხარს ტირასპოლელი პოლიტიკოსები უჭერდნენ, ადგილობრივ მოსახლეობაში ავრცელებდნენ ხმებს მოლდოვის სსრ-სა და რუმინეთის გაერთიანების გარდაუვალობისა და რესპუბლიკის ეთნიკურად არამოლდოველი მოქალაქეებისათვის ამ პროცესის დამღუპველი შედეგების შესახებ. გაგაუზი ლიდერები ხალხის მასების გაერთიანებას ნებისმიერი საშუალებით ცდილობდნენ. ზოგიერთი კიშინიოველი პოლიტიკოსის დაუფიქრებელი და ემოციური სიტყვები, კომრატელი სეპარატისტების სიტყვებს გაგაუზებისათვის მეტ დამაჯერებლობას სძენდა.¹

1989 წლის 12 ნოემბერს, „გაგაუზ ჰალჰი“-ს თაოსნობით, კომრატში ჩატარებულ საგანგებო ყრილობაზე გაკეთდა განცხადება „გაგაუზის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ შექმნის შესახებ. მსსრ უმაღლესმა საბჭომ აღნიშნული გადაწყვეტილება ანტიკონსტიტუციურად შეაფასა და უკანონოდ ცნო.² მიუხედავად ამისა, ახლადგამომცვარი გაგაუზი პოლიტიკური ლიდერები (კ. ტაუშანჯი, ი. ბურგუჯი, მ. მარუნევიჩი, ს. კუროღლუ და სხვ.) არ წყვეტდნენ ბრძოლას საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

სიტუაცია სულ უფრო იძაბებოდა მდინარე დნესტრის გაღმა ნაპირზეც. 1989 წლის 3 დეკემბერს, რიბნიცაში ქალაქის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ნაწილისა და მკეს-ს ორგანიზებით, ჩატარდა პირველი რეფერენდუმი, რომელსაც შემდეგ კიშინიოვის ურჩ რეგიონებში რეფერენდუმების მთელი კასკადი მოჰყვა. რეფერენდუმზე რიბნიცელებს საკუთარი მოსაზრება ორი საკითხის თაობაზე უნდა დაეფიქსირებინათ: а) მიენიჭოს თუ არა ქ. რიბნიცას დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეულის სტატუსი, სადაც ყველა ენას თანაბარი სტატუსი ექნება; ბ) შეიქმნას თუ არა დნესტრისპირეთის მოლდოვური სსრ მოლდოვის სსრ-ს შემადგენლობაში, სადაც ყველა ენას თანაბარი სტატუსი ექნება.³

ქალაქ რიბნიცაში გამართულ რეფერენდუმში მონაწილეობა ქალაქელთა 81,8%

¹ И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 121-122.

² Ф. Ангел. Гагаузская автономия, люди и факты (1989-2005), гл. 37.

³ А. З. Волкова. Референдумы в Приднестровской Молдовской Республике (1989-2003 гг.). Тирасполь, 2003, гл. 15.

მიიღო. რიბნიცისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებას მხარი ხმის მიმცემთა 91,5%-მა დაუჭირა, 5% წინააღმდეგი აღმოჩნდა. დნესტრისპირეთის მოლდოვური სსრ შექმნას რეფერენდუმში მონაწილე მოქალაქეთა 91.11% დაეთანხმა, 5.5% კი – არა. კიშინიოვმა რეფერენდუმის ჩატარებაც და შედეგებიც ანტიკონსტიტუციურ ქმედებად ცნო.¹

დაახლოებით იგივე შინაარსის კითხვა დაუსვეს ქ. ტირასპოლის მცხოვრებთ 1990 წლის 28 იანვარს ჩატარებულ რეფერენდუმზე. კითხვაზე, სურდათ თუ არა თავისი ქალაქისათვის დამოუკიდებელი თვითმმართველი სტატუსის მინიჭება, ტირასპოლელთა 96,7%-მა დადებითად უპასუხა, 1,7%-მა კი – უარყოფითად. რაც შეეხება ტირასპოლის შესვლას დნესტრისპირეთის მოლდოვური სსრ შემადგენლობაში შესვლას, მისი შექმნის შემთხვევაში, ამ წინადადებას მხარი მოქალაქეთა 96%-მა დაუჭირა, 4% კი ამ იდეას არ დაეთანხმა.²

1990 წლის 25 თებერვალს აირჩა ტირასპოლის საქალაქო კომიტეტი, რომლის ძირითადი ნაწილი მკგს წევრებისაგან იყო დაკომპლექტებული. ისინი მიზნად „კიშინიოვის სეპარატისტული ქმედებებისადმი აქტიური წინააღმდეგობის გაწევას“ ისახავდნენ. მოგვიანებით, მარტის თვეში ქალაქის კომიტეტის თავმჯდომარის არჩევნებში „მშრომელ კოლექტივთა გაერთიანებული საბჭოს“ ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა, ქარხანა „ტრანსმაშის“ დირექტორმა და შემდგომში დნესტრისპირელ სეპარატისტთა ლიდერმა, იგორ სმირნოვმა, ფარული კენჭისყრის შედეგად, 86 ხმით 46-ის წინააღმდეგ, პროკიშინიოვურად განწყობილი ვლადიმერ ცურკანი დაამარცხა.³

25 თებერვალსვე ჩატარდა მსსრ უმაღლეს საბჭოს წევრთა არჩევნებიც (მეორე ტური 10 მარტს გაიმართა). 380 მანდატიდან 60 დნესტრისპირელებს ერგოთ, 12 გაგაუზებს, რამდენიმე ადგილი პოლიტიკურმა გაერთიანება „უნიტატე-ედინსტვო“-მ დაიკავა, „მოლდოვის სახალხო ფრონტმა“ – 95 და „აგრარული მოძრაობის“ წევრებმა 117 ადგილი მიიღეს. ამ უკანასკნელთა რიგებიდან მსფ-მ წარმომადგენელთა ნაწილის მხარდაჭერა მიიღო და, შედეგად, უმრავლესობაც მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ დეპუ-

¹ А. З. Волкова. Референдумы в Приднестровской Молдовской Республике (1989-2003 гг.), гл. 23.

² А. З. Волкова. Референдумы в Приднестровской Молдовской Республике (1989-2003 гг.), гл. 41.

³ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, том 2, гл. 80.

ტატთა 83% მოლდოვის კომუნისტური პარტიის მოქმედი წევრი იყო.¹ 380 სახალხო რჩეულისაგან 259 ეთნიკურად მოლდოველი იყო, 57 – რუსი, 38 – უკრაინელი, 13 – გაგაუზი და 8 – ბულგარელი.²

„მოლდოვის სახალხო ფრონტისა“ და ტირასპოლელი თუ გაგაუზი დეპუტატების შეხედულებები ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებოდა, რაც ხშირად ხდებოდა აზრთა სხვადასხვაობისა და სიტყვიერი დაპირისპირების მიზეზი. პირველი სერიოზული დაპირისპირება 17 აპრილს მოხდა, როდესაც მსსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკის დროშა შეცვლილიყო. ახალი გერბი და დროშა რუმინულის იდენტური ტრიკოლორი (ლურჯი, ყვითელი და წითელი) იყო. მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროსა და გაგაუზებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მაცხოვრებლები აღნიშნულ ცვლილებას უკიდურესად ნეგატიურად შეხვდნენ და უარი თქვეს მის მიღებაზე. სეპარატისტულად განწყობილ პოლიტიკოსებმა მსსრ უმაღლესი საბჭოს 17 აპრილის გადაწყვეტილება კიშინიოვის ბუქარესტთან გაერთიანების სურვილის კიდევ ერთ „უტყუარ მტკიცებულებად“ მონათლეს. ამით ისინი გაგაუზისა და მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროს მაცხოვრებელთათვის ერთგვარ საფრთხობელას ქმნიდნენ. თუმცა მოლდოვის ეთნიკურად მოლდოველი მოსახლეობა არ იყო დაინტერესებული რუმინეთის შემადგენლობაში შესვლით, რაც მოგვიანებით, 1991 წლის თებერვალში ჩატარებულმა სოციალურმა გამოკითხვამაც აჩვენა. გაერთიანების მომხრე გამოკითხულთა მხოლოდ 3,1% იყო.³

27 აპრილს მსსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მირჩა სნეგური. 22 მაისს მსსრ უმაღლესი საბჭოს შენობის წინ შეკრებილ „მოლდოვის სახალხო ფრონტის“ მხარდამჭერებსა და დნესტრისპირელ დეპუტატებს შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. მათ მიიღეს გადაწყვეტილება საბჭოს დატოვების შესახებ. მიზეზად, მათი უსაფრთხოების გარანტიების არარსებობასა და მათი პოზიციების სრულ იგნორირებას ასახელებდნენ.⁴ ამავე დღეს, კიშინიოვის ცენტრში 22 წლის ახალგაზრდა, ეთნიკურად რუსი მამაკაცი, დიმიტრი მატიუშინი მოკლეს. დნესტრისპირულმა პრესამ აღნიშნული ფაქტი ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილ ბოროტმოქ-

¹ Ф. Ангел. Гагаузская автономия, люди и факты (1989-2005), გვ. 42.

² И. Косташ. Дни затмения, გვ. 50.

³ Н. В. Бабилунга. Феномен приднестровья, გვ. 197.

⁴ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, том 2, გვ. 82.

მედებად მონათლა, თუმცა, როგორც გამოძიებამ დაადგინა, დამნაშავეები კრიმინალური წარსულის მქონე პირები იყვნენ, რომლებსაც დაღუპულთან შელაპარაკება ყოფით ნიადაგზე მოუვიდათ.¹

აღსანიშნავია, რომ იმ მღელვარე პერიოდში მოლდოვის (და არა მხოლოდ) ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მრავალი საეჭვო ელემენტი გაერთიანდა. ისინი არსებული ქაოსიდან სარგებლის მიღებასა და თავიანთი, არცთუ კეთილსინდისიერი მიზნების მიღწევას ცდილობდნენ. იყო ბევრი პროვოკატორიც, რომლებიც თავიანთი აქტივობით, დაპირისპირების მეტ გაღრმავებას უწყობდნენ ხელს. იყო შემთხვევები ეთნიკურად რუსი, უკრაინელი და სხვ. მოქალაქეების შევიწროებისა. თუმცა, დღევანდელი გადმოსახედიდან ნათელია, რომ ეს ქმედებები ძირითადად ამ ადამიანების წინააღმდეგ პირადი მოტივებით (მათი ქონების დასაკუთრება, დაშანტაჟება და სხვ.) იყო განპირობებული. ამასთან, XX საუკუნის 80-იან წლებში ძალოვანი სტრუქტურების ავტორიტეტის დავნინებამ ხელ-ფეხი გაუხსნა ბევრ მოხულიგნო ელემენტს. მათი ნებსით თუ უნებლიერ ჩადენილი მავნებლური ქმედებების შედეგად, ერთნაირად ზარალდებოდნენ კიშინიოვის როგორც რუსი, ასევე მოლდოველი და სხვა ეროვნების მოქალაქეები.

აღსანიშნავია, რომ მოლდოვური ინტელიგენციის ზოგიერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის განცხადებები აშკარად არააღექვატური და დაპირისპირების გაღრმავებაზე იყო ორიენტირებული. ასეთი იყო, მაგალითად, მოლდოველი პოეტის გრიგორი ვიერუს სიტყვები: „თუ რუსი მოგთხოვს პურს, მიეცი მას დინამიტი“. რუსოფობიური განცხადებები ზოგიერთმა სხვა საზოგადო მოღვაწეებმაც (ლეონიდ ლარი, ემილ ლოტიანუ და სხვ.) გააკეთეს.² მსგავსი სიტყვები ცეცხლზე დასხმული ნავთის ეფექტს იძლეოდა და დაპირისპირების უფსკრულს კიდევ უფრო მეტად აღრმავებდა.

1990 წლის 23 ივნისს მსსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელმაც რესპუბლიკის ცენტრსა და ოპოზიციურად განწყობილ რეგიონებს შორის ურთიერთობა უკიდურესად გაართულა და დაძაბა. მოლდოველმა დეპუტატებმა სპეციალური საისტორიო კომისიის დასკვნა დაამტკიცეს. ის 1939 წლის 23 აგვისტოს მოსკოვში, ფაშისტურ გერმანიასა და სსრკ-ს შორის გაფორმებულ პაქტს სწავლობდა. კომისი-

¹ И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 52.

² Е. В. Семёнова. На этнической войне, гл. 18.

ის დასკვნით, საბჭოთა ჯარების მიერ 1940 წლის აგვისტოში ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ტერიტორიების დაკავება რუმინული ტერიტორიების ანექსიად შეფასდა.¹

სიტუაცია გართულდა 30 ივნისს, მსფ მე-11 ყრილობაზე, სადაც გაუღერებულ იქნა სახელწოდების „მოლდოვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ „მოლდოვის რუმინული რესპუბლიკით“ ჩანაცვლებისა და მოლდოვასა და რუმინეთს შორის სასაზღვრო ზოლის მოშლის მოთხოვნა.²

ყოველივე ამის საპასუხოდ, სეპარატისტულად განწყობილმა დნესტრისპირელმა და გაგაუზმა პოლიტიკურმა ლიდერებმა საპასუხო ქმედებების გატარება დაიწყეს. მათი აზრით, თუ 1940 წელს ბესარაბის ტერიტორიის დაკავება საბჭოთა წითელი არმიის მიერ იყო შეფასებული ოკუპაციად და უკანონო ქმედებად, მაშინ არც მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიების მიერთება ახლადშექმნილი რესპუბლიკისათვის უნდა ჩათვლილიყო კანონიერ ქმედებად. შესაბამისად, დნესტრისპირელი ლიდერები კიშინიოვისადმი თავს ანგარიშვალდებულებად აღარ თვლიდნენ.³

23 ივნისს მოლდოვეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ „დეკლარაცია მსსრ სუვერენიტეტის შესახებ“ იქნა მიღებული. ეს ცამეტპუნქტიანი დოკუმენტი სამომავლოდ მოლდოვის სსრ ახალი კონსტიტუციის შექმნის საფუძველი უნდა გამხდარიყო. სწორედ ამ აქტში ჩადებულ პრინციპებს დაეყრდნობოდა კიშინიოვი მოსკოვთან სუვერენულ სახელმწიფოთა ერთობის ფარგლებში ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებისას.⁴

1990 წლის 1 ივლისს, დნესტრისპირეთის რიგ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში რეფერენდუმები ჩატარდა. ქალაქ ბენდერში გამართულ რეფერენდუმში მონაწილეობა ხმის უფლებების მქონე მოქალაქეთა 80%-მა მიიღო. მათმა 93%-მა გააპროტესტა ტრიკოლორისათვის მოლდოვის სახელმწიფო დროშის სტატუსის მინიჭება, 97%-მა კი ქ. ბენდერის დნესტრისპირეთის მოლდო-ვუ-რი საბჭოთა სოციალისტური

¹ История Республики Молдова, гл. 330.

² История Республики Молдова, гл. 330.

³ Ш. МалаяМбюа. კონფლიქტების ანატომია, гл. 238.

⁴ Постановление парламента РА №148. <http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=308109&lang=2>.

რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლას დაუჭირა მხარი.¹ თუმცა კი საგულისხმო ერთი გარემოებაა: მოქალაქეებს არავინ განუმარტა, რომ მოსახლეობას არ გაუცია პასუხი კითხვაზე, სურდათ თუ არა ახლადშექმნილი დმსსრ-ს მსსრ შემადგენლობიდან გამოყოფა. როგორ გადანა-წილ-დებოდა ხმები ამ შემთხვევაში, რთული სათქმელია. მიუხედავად ამისა, ამ „უმნიშვნელო გარემოებას“ დნესტრისპირელი ლიდერებისათვის თავიანთი გეგმების განხორციელებაში ხელი არ შეუშლია.² იგივე კითხვაზე, შესულიყო თუ არა ქ. დუბოსარი დმსსრ-ს შემადგენლობაში, დუბოსარელთა 97%-მა და-დებითად უპასუხა.³

მსსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 23 ივნისს მიღებულმა გადაწყვეტილებამ სიტუაცია უკიდურესად გართულდა გაგაუზებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებშიც. 1990 წლის 27 ივლისს მსსრ საკანონმდებლო ორგანოში გაგაუზი დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხი, გაგაუზთათვის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის თაობაზე, უარყოფილ იქნა. თითქმის მთელი თვის განმავლობაში ქალაქებში კომრატ-სა და ჩიდირ-ლუნგაში ამ მოთხოვნით, ხალხმრავალი აქციები იმართებოდა. ჯერ კი-დევ 23 ივლისს, ტელემიმართვისას, მსსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, მირჩა სწერულმა გაგაუზებს საჯაროდ მიმართა. მისი თქმით, ადგილობრივი პოლიტიკური ელიტა დაინტერესებული იყო არა რეალური პრობლემების განხილვა-კონსესუსის გზით გადაჭრაში, არამედ სიტუაციის გამწვავებასა და საკუთარი ავტორიტეტისა და პოლიტიკური წონის გაზრდაში. იგი იძლეოდა გარანტიას, რომ გაგაუზური ენისა და კულტურის შენარჩუნება-განვითარების, ახალგაზრდა კადრების მომზადებისა და სხვა საკითხები კიშინიოვისათვის აქტუალური იყო.⁴

აგვისტოს პირველ რიცხვებში, გაგაუზმა დეპუტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ქალაქ კომრატში „გაგაუზი ხალხის საყოველთაო კრება“ ჩაეტარებინათ. მიუხედავად პრემიერ მინისტრ მ. დრუკის მოწოდებისა, 18 აგვისტოს კრება მაინც შედგა. მას სხვადასხვა რანგის 754 დეპუტატი დაესწრო. 1990 წლის 18 აგვისტოს გამართულმა „გაგაუზი ხალხის საყოველთაო კრებამ“ მსსრ-საგან სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. შეიქმნა ახალი, „გაგაუზის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, სსრკ-ს

¹ А. З. Волкова. Референдумы в Приднестровской Молдовской Республике (1989-2003 гг.), გვ. 57.

² И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, გვ. 139.

³ А. З. Волкова. Референдумы в Приднестровской Молдовской Республике (1989-2003 гг.), გვ. 73.

⁴ Ф. Ангел. Гагаузская автономия, люди и факты (1989-2005), გვ. 57.

შემადგენლობაში. რა თქმა უნდა, მოლდოვის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ აღნიშნული გადაწყვეტილება უკანონოდ სცნო.¹

გაგაუზების პარალელურად, დნესტრისპირელ სეპარატისტთა ლიდერებიც აქტიურობდნენ. 1990 წლის ზაფხულში რეგიონის დასახლებულ პუნქტებში ჩატარებულ რეფერენდუმებში მონაწილეობა ხმის უფლების მქონე 370 101 (საერთო რაოდენობის 79%) მოქალაქემ მიიღო. დნესტრისპირეთის მოლდოვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას მხარი 355 345 ადამიანმა, ანუ 95,8%-მა დაუჭირა.² ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის გადასახედიდან, რეფერენდუმის შედეგი იყო მყარი არგუმენტი იმისა, რომ დამოუკიდებელი რესპუბლიკა, სსრკ-ს შემადგენლობაში, შეექმნათ.

2 სექტემბერს, ქალაქ ტირასპოლში, თეატრის შენობაში, ყველა რანგის დნესტრისპირელ დეპუტატთა მეორე საგანგებო ყრილობა გაიმართა. მასში მონაწილეობა 636 დელეგატმა მიიღო. 12-საათიანი კრება ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ვ. ლენინის ძეგლის გვირგვინით შემკობით დაიწყო. სხდომამ სსრკ-ს შემადგენლობაში „დნესტრისპირეთის მოლდოვური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ შექმნის შესახებ განაცხადა. დეპუტატებმა შვიდპუნქტიანი დადგენილება მიიღეს, რომელიც ითვალისწინებდა:

1. შეიქმნას „დნესტრისპირეთის მოლდოვური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ სსრკ-ს შემადგენლობაში;
2. დმსსრ შემადგენლობაში შევიდეს გრიგორიობოლის, დუბოსარის, კამენსკის, რიბნიცისა და სლობოძეისკის რაიონები; ქალაქები: რიბნიცა, ბენდერი, დუბოსარი და ტირასპოლი;
3. დმსსრ დედაქალაქად განისაზღვროს ქალაქი ტირასპოლი;
4. საკუთარი დროშისა და გერბის მიღებამდე გამოყენებულ იქნას საბჭოური სიმბოლიკა;
5. არჩეულ იქნას დმსსრ უმაღლესი საბჭო, 50 პირის შემადგენლობით. მათ მიერ, არაუგვიანეს 1/12/1990 ჩატარდეს უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები;
6. დმსსრ უმაღლესი საბჭოს დროებითი ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაინიშნოს იგორ სმირნოვი;

¹ Ф. Ангел. Гагаузская автономия, люди и факты (1989-2005), гл. 62.

² В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 2, гл. 89.

7. დმსსრ უმაღლესი საბჭოს დროებითი შემადგენლობის რიგებიდან აირჩეს პრეზიდიუმი, რომელშიც 18 პირი შევა.

ამავდროულად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, დნესტრისპირეთში ჩამოყალიბებულიყო საკუთარი საგზაო ავტოინსპექცია. ამასთან, ყველა სხვა შეიარაღებულ პირს, გარდა ე.წ. დნესტრისპირეთის რესპუბლიკისა და სსრკ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებისა, აეკრძალათ მის ტერიტორიაზე ყოფნა.¹

ქალაქ ტირასპოლში 2 სექტემბერს ჩატარებულ ყრილობასა და მასზე მიღებულ გადაწყვეტილებას კიშინიოვში დიდი ვნებათა-ღელვა მოჰყვა. მოლდოვის პროკურატურამ იგორ სმირნოვი თა-ნამდებობის ბოროტად გამოყენებაში, ძალაუფლების გა-დაჭარბე-ბა-ში და სხვა ანტიკონსტიტუციურ ქმედებებში დაადანაშაულა და მის წინააღმდეგ საქმე აღმრა. თუმცა იმ პერიოდში მისი და-პატიმრება მოლდოველმა სამართალდამცავებმა ვერ მოახერხეს.

6 სექტემბერს, მსსრ პრეზიდენტი (ამ თანამდებობაზე ის 3 სექტემბერს მსსრ უმაღლესმა საბჭომ აირჩია) მირჩა სნეგური და პრემიერ მინისტრი მირჩა დრუკი სსრკ დედაქალაქ მოსკოვს ეწვივნენ. ისინი სსრკ-ს პრეზიდენტ მიხაილ გორბაჩოვს შეხვდნენ. ამ უკანასკნელმა თავის მხრივ, მხარი დაუჭირა მოლდოვის საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.² მიუხედავად ამისა, სიტუაცია რესპუბლიკაში სულ უფრო მეტად იძაბებოდა და დნესტრისპირეთისა და გაგაუზის სეპარატისტული მომრაობები სულ უფრო აქტიურ ღონისძიებებს მიმართავდნენ. კომრატელი და ტირასპოლელი პოლიტიკოსები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობდნენ, რაც ყველაზე ნათლად 1990 წლის ოქტომბრის ბოლოს, ე.წ. „გაგაუზიაზე მსვლელობის“ დროს გამოიკვეთა.

1990 წლის 27 ოქტომბრისათვის გაგაუზმა სეპარატისტებმა თავიანთი არაღიარებული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები დანიშნეს. ამ ფაქტმა მოლდოვის დანარჩენ ტერიტორიაზე დიდ მღელვარება გამოიწვია. 23 ოქტომბერს მირჩა სნეგურმა საგანგებო განცხადებით მიმართა გაგაუზ ლიდერებს, სადაც მათ გონივრულობისა და ჩანაფიქრისაგან ხელის აღებისაკენ მოუწოდებდა, თუმცა ამაოდ მისი სიტყვები

¹ И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 137.

² И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 143.

უპასუხოდ დარჩა.¹ განსაკუთრებით აქტიურობდა პოლიტიკური პარტია მოლდოვის სახალხო ფრონტის ლიდერი და პრემიერ მინისტრი მირჩა დრუკი, რომელმაც მოქალაქეებს „სამხრეთის მიმართულებით მსვლელობისაკენ“ მოუწოდა.² ხალხმა ეს განცხადება აიტაცა, რადგანაც მოლდოველები რესპუბლიკის ორ, დნესტრისპირეთისა და გაგაუზის რეგიონში მიმდინარე პროცესები მათი სამშობლოს დანაწევრებისაკენ მიზანმიმართულად გადადგმულ ნაბიჯებად აღიქვამდნენ. სხვადასხვა ქალაქებში შეიქმნა მოხალისეთა ჯგუფები, დაიწყო სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფა. გულხელდაკრეფილი არც მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროს პოლიტიკური ელიტა იყო. კომრატელი სეპარატისტების დასახმარებლად და „კიშინიოველების აგრესისაგან დასაცავად“ მოხალისეთა ე.წ. „დრუჟინები“ შეიქმნა. ათასობით ადამიანმა, ათობით ავტობუსისაგან შემდგარი კოლონით, შემოვლითი გზით, ოდესის ოლქის გავლით გეზი გაგაუზისაკენ აიღო. ამავდროულად კომრატს უახლოვდებოდა მოლდოველ მოხალისეთა მრავალათასიანი ავტოკოლონაც. როგორც მსსრ შსს იმ დროინდელი მინისტრი, იური კოსტაში იხსენებს, სიტუაცია მეტად კრიტიკული იყო, რადგანაც ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, რომელსაც იგი ფლობდა, ორივე მხარეს მყოფ მოქალაქეებში იყვნენ აგრესიულად განწყობილი ელემენტები, რომელთა დიდი ნაწილი შეიარაღებული (არმატურისა და ხის ხელნაკეთი ხელკეტები, ცივი იარაღი და ა.შ.) იყო. ერთი შეხედვით, სამოქალაქო დაპირისპირება და დიდი სისხლისღვრა გარდაუცალი იყო.³

გაგაუზის რეგიონში ოქტომბრის თვის ბოლოს მივლინებულმა სსრკ შინაგანი ჯარებისა და მსსრ შსს პირადმა შემადგენლობამ შესძლო მხარეთა დაშორიშორება და შეტაკებების თავიდან აცილება. 1990 წლის 22 დეკემბერს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა, მიხეილ გორბაჩოვმა, სპეციალური ბრძანებულებით, გააუქმა გაგაუზების მიერ უკანონოდ შექმნილი რესპუბლიკა. „გაგაუზური კოცონი“ მინელდა. თუმცა მოგვიანებით, 1994 წლის 23 დეკემბერს მათ მაინც შესძლეს გაგაუზისათვის განსაკუთებული სტატუსის მინიჭება, რომელიც ფართო ავტონომიური მმართველობის უფ-

¹ Ф. Ангел. Гагаузская автономия, люди и факты (1989-2005), გვ. 88.

² И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, გვ. 153.

³ И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, გვ. 162.

ლებას ნიშნავს.¹

ჩნდება ლოგიკური კითხვა, რატომ არ გადაიზარდა გაგაუზიის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შეიარაღებულ დაპირისპირებაში ისე, როგორც ეს პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა რესპუბლიკებში მოხდა. რა იყო ამისი მიზეზი, მოლდოვური მთავრობის მიერ მიღებული გონივრული გადაწყვეტილებები თუ გაგაუზი პოლიტიკური ლიდერების გაუბედაობა ან შორსმხედველობა და ადექვატურობა, ამ საკითხზე პოლიტოლოგები ბევრს მსჯელობენ. დიდი ალბათობით, პოლიტიკური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზეზი რეგიონში რუსული სამხედრო ბაზების დისლოკაციის თავისებურებებშია. კრემლისდა სამწუხაროდ, როგორც გაგაუზიაში, აგრეთვე გაგაუზიის მომიჯნავე ტერიტორიაზე არ არსებობდა მის მიერ კონტროლირებადი არცერთი დიდი სამხედრო ნაწილი, როგორც ეს დნესტრისპირეთის შემთხვევაში იყო (როგორც აღინიშნა, დნესტრისპირეთში, საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობისას, რეგიონში დისლოცირებული მე-14 არმიის არსენალი და პირადი შემადგენლობა სეპარატისტთა განკარგულებაში მოექცა). შესაბამისად, საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, მოსკოვი ვერ შესძლებდა მისი ერთგული სეპარატისტების იარაღით, საბრძოლო მასალებითა და ცოცხალი ძალით მომარაგებას (გაგაუზიაში ჩასული რამდენიმე ასეული, აგრესიულად განწყობილი და ზოგ შემთხვევაში, შეიარაღებული² დნესტრისპირელი „დრუჟინნიკი“ დიდი ვერაფერი შეღავათი იყო). ამიტომ მოლდოვური მხარე სეპარატისტთა განეიტრალებას სამხედრო ძალის გამოყენებით ადვილად შეძლებდა, რაც კრემლის ერთგული სხვა სეპარატისტებისათვის ცუდი მაგალითი იქნებოდა და მათ დემორალიზებას მოახდენდა.

შედეგად, საქართველოსაგან განსხვავებით, მოლდოვა ორ ფრონტზე ბრძოლას გადაურჩა. გაგაუზი სეპარატისტები დათმობაზე წავიდნენ და დღეს გაგაუზია მოლდოვის რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილია. თუმცა, კომრატი, ოფიციალური კიშინიოვისათვის გვერდის ავლით, მოსკოვსა და ტირასპოლთან მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობას დღემდე ინარჩუნებს.

სხვაგვარად განვითარდა მოვლენები მოლდოვის მეორე მეამბოხე რეგიონში,

¹ Ф. Ангел. Гагаузская автономия, люди и факты (1989-2005), гл. 173.

² Zile de Cumpăna – film cu evenimentele din Găgăuzia și Transnistria, 1990. <https://www.youtube.com/watch?v=42yXgwOPYns>.

მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე, სადაც სიტუაცია სულ უფრო მეტად იძაბ-ებოდა. აქამდე დაპირისპირება სიტყვიერი შეურაცხყოფითა და ხმამაღალი, ემოციუ-რი განცხადებებით შემოიფარგლებოდა. 1990 წლის 2 ნოემბერს კი მოხდა ის, რისიც ყველას ასე ძალიან ეშინოდა. პირველად ამ ხნის მანძილზე გაისმა გასროლის ხმა, და-იღვარა პირველი სისხლი. 1 ნოემბერს, ქალაქ დუბოსარის მოსახლეობამ დაიწყო ფარ-თომასშტაბიანი დემონსტრაციების გამართვა მოთხოვნით, მსსრ სამთავრობო და ძა-ლოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს დაეტოვებინათ ქალაქის ტერიტორია, რამეთუ „იგი უკვე იყო დმსსრ რესპუბლიკის შემადგენლობაში იყო“. დემონსტრან-ტებმა მოახდინეს ადგილობრივი პროკურატურისა და სასამართლოს შენობების ბლოკირება, მათ ადმინისტრაციული შენობებიც დაიკავეს. მომიტინგებთან სამშვი-დობო მოლაპარაკებაზე მისული მოძრაობა „ინტეგრიტატე“-ს წარმომადგენლებს, რომლებიც პოლიტიკური მეთოდებით ეწინააღმდეგებოდნენ ტირასპოლის სეპარა-ტისტულ სწრაფვებს, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.¹

2 ნოემბერს, მსსრ შინაგან საქმეთა მინისტრის, იური კოსტაშის ბრძანებით, ქა-ლაქში, წესრიგის დასამყარებლად რესპუბლიკის შსს 450-კაციანი ქვედანაყოფი გაიგ-ზავნა. მათ შეიარაღებაში ავტომატები და პისტოლეტები საბრძოლო ვაზნებით, ფარე-ბი, რპ-73 ტიპის რეზინის ხელკეტები, ხოლო სპეცგუფის წარმომადგენლებს „ჩერი-ომუხას“ ტიპის ცრემლსადენი აეროზოლებიც ჰქონდათ. დამატებით, კიშინიოვიდან 132 კურსანტი იქნა გაგზავნილი. მათ ბლოკირებულ ხიდს დღის 3 საათზე მიაღწიეს. იური კოსტაშის მიერ გამოცემული №4 ბრძანების თანახმად, მათ უნდა მოეხდინათ დემონსტრანტთა მიერ ბლოკირებული ხიდის დებლოკირება და ქალაქ ბენდერიში წესრიგის აღდგენა. ბრძანებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ცეცხლსასროლი ია-რაღი მხოლოდ უკიდურეს, კანონით გათვალისწინებულ ზომებში გამოეყენებინათ.²

2 ნოემბერს, შუადღისთვის, ადგილობრივი შსს განყოფილების ცნობით, სიტუ-აცია ნელ-ნელა რეგულირდებოდა და დამატებითი ძალების ჩარევა საჭირო არ იყო. სამწუხაროდ, დემონსტრანტების მიერ ჩაკეტილი გზის გამო ვერ მოხდა ადგილზე მობილიზებული სამართალდამცავების დროული ინფორმირება. თავის მხრივ, ვერც შსს მინისტრი ახერხებდა ქალაქში ვითარების ნორმალიზების შესახებ არსებული

¹ А. Паламарь. Приднестровская война, история в иллюстрациях, гз. 8.

² И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гз. 189.

ცნობის გადამოწმებას. იმ დღის მოვლენებზე თავის წიგნში „გამოუცხადებელი ომის ქრონიკები“ ი. კოსტაში დეტალურად საუბრობს:

„სპეცგუფის მეთაური, დიმიტრი ვარლანი, რომელსაც გადასცეს ინფორმაცია სიტუაციის ნორმალიზების შესახებ, შეეცადა დუბოსარში შესულიყო, რათა ვითარებას ადგილზე გაცნობოდა, თუმცა მომიტინგებმა იგი არ გაატარეს. ვარლანი კიშინიოვს დაუკავშირდა, სადაც შსს მინისტრ იური კოსტაშის ნაცვლად იგი პრემიერ მინისტრ მირჩა დრუკს ესაუბრა, რომელმაც ვარლანს განუცხადა: „ვიცე-პოლკოვნიკო, კოსტაში აქ არ იმყოფება. თქვენ მიიღეთ ბრძანება, შესაბამისად, თქვენვე შეასრულეთ ის!“

ამ საუბრის შემდეგ დ. ვარლანმა შსს ნაწილები ჩახერგილი ხიდის გასათავისუფლებლად დამრა. ადგილობრივმა მომიტინგებმა, რომლებიც საფუძვლიანად იყვნენ მომზადებული, აქტიური წინააღმდეგობა გასწიეს. სხეულის სხვადასხვა, მათ შორის მძიმე დაზიანება ოცზე მეტმა პოლიციელმა მიიღო. მათ წინააღმდეგ გამოიყენეს ქვები, არმატურის ნაჭრები, ხელნაკეთი ხელკეტები და ა.შ. სამი პოლიციელი ხიდიდან გადააგდეს. თავის მხრივ, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებმა გამაფრთხილებელი ცეცხლი გახსნეს. 16 მოქალაქე დაიჭრა. შედეგად, ხიდის დებლოკირება მოხერხდა. სსრკ პროკურატურამ, რომელიც ამ ინცინდენტს იძიებდა, სამართალდამცავთა ქმედებები კანონიერად სცნო.¹

პოლიციის ქვედანაყოფები ქალაქში შესვლას შეეცადნენ. მოქალაქეების ნაწილი არ წყვეტდა წინააღმდეგობას. ორი სატვირთო მანქანით მათ პოლიციელებისთვის გზის ჩახერგვა სცადეს. ერთ-ერთი მათგანის მძღოლი დააკავეს. ხალხის მასა მის გათავისუფლებას შეეცადა. სწორედ ამ დროს, დაპირისპირებისას, როდესაც პოლიციის მანქანას თავს დაესხნენ, თავდაცვის მიზნით, ძალოვნებმა გახსნეს ცეცხლი, რის შედეგადაც სამი მოქალაქე – ვლადიმერ გოტკა (ეთნიკურად რუსი), ვალერი მაცუპი (ეთნ. მოლდოველი) და 18 წლის ოლეგ გალატიუკი (ეთნიკურად უკრაინელი) – დაიღუპა. როგორც გამოძიებამ დაადგინა, სამივე მათგანი რიკოშეტირებული ტყვიების მსხვერპლი იყო. საღამოს 6 საათისათვის მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შსს ძალების ქალაქიდან გამოყვანის შესახებ.² მართალია, სიტუაცია დროებით დასტაბილურდა, თუმცა დნესტრისპირეთის კონფლიქტის ისტორიაში საბედისწეროდ სწორედ ეს

¹ И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 190-193.

² И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 192.

დღე იქცა. ტირასპოლელი სეპარატისტები კიშინიოვს „არაადამიანურ და ფაშისტურ“ ქმედებებში ოფიციალურად ადანაშაულებდნენ და მოსახლეობას კიდევ უფრო მეტი შემართებით მოუწოდებდნენ, მხარი დაეჭირათ დნესტრისპირეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოლდოვის შემადგენლობიდან გასვლისათვის. 25 ნოემბერს, კიშინიოვის პროტესტის მიუხედავად, დმსსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა. მის თავმჯდომარედ იგორ სმირნოვი იქნა არჩეული.¹

მოლდოვის რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებმა მოსკოვის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცა. 1990 წლის 22 დეკემბერს გამოქვეყნდა, სსრკ პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის განკარგულება „მსსრ-ში სიტუაციის ნორმალიზებისათვის აუცილებელი ზომების შესახებ“. ცხრაპუნქტიან დოკუმენტში აღნიშნული იყო ის ზომები, რომლებიც უნდა მიეღო მსსრ ხელმძღვანელობას, რათა ფეთქებადსაშიში სიტუაცია დარეგულირებულიყო. გორბაჩოვის რჩევით, რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს უნდა გადაეხედა 1989 წლის 31 აგვისტოს მიღებული კანონი მსსრ ტერიტორიაზე ენების ფუნქციონირებულიყო. გორბაჩოვის რჩევით, რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს უნდა გადაეხედა 1940 წელს ბესარაბიის ტერიტორიის დაკავებისა და მსსრ შექმნის დაგმობის შესახებ ისე, რომ მოლდოვაში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის ინტერესი ყოფილიყო გათვალისწინებული. 1990 წლის 23 ივლისს მიღებული დადგენილება საბჭოთა ჯარების მიერ 1990 წელს ბესარაბიის ტერიტორიის დაკავებისა და მსსრ შექმნის დაგმობის შესახებ უნდა გაუქმებულიყო. უნდა გაუქმებულიყო ამავე დღეს მიღებული დეკლარაცია მსსრ სუვერენიტეტის შესახებ. ამასთან, უქმდებოდა მოხალისეთაგან დაკომპლექტებული თავდაცვითი ფორმირებები და 1990 წლის 2 ნოემბერს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ ეროვნული გვარდიის შექმნის გადაწყვეტილება, ადგილობრივ ხელმძღვანელობას ევალებოდა მოხალისეთა დაჯგუფებების გაუქმებაც. თავის მხრივ, ბათილად ცხადდებოდა „გაგაუზ დეპუტატთა საყოველთაო ყრილობის“ მიერ 1990 წლის 27 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილება დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის შესახებ. „განკარგულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიღებული იქნება შესაბამისი ზომები, გათვალისწინებული სსრკ კონსტიტუციის მიერ, სსრკ პრეზიდენტისათვის მინიჭებული უფლებამოსილების მიხედვით“, – სსრკ-ს პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის ეს საგანგებო განკარგუ-

¹ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 2, გვ. 94.

ლება ამ სიტყვებით სრულდებოდა.¹

თავის მხრივ, მსსრ უმაღლესმა საბჭომ საპასუხო წერილში სსრკ პრეზიდენტს, მიხეილ გორბაჩოვს უპასუხა, რომ მზად იყო, 1990 წლის 2 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილება ეროვნული გვარდის შექმნის შესახებ უკან გაეწვია, თუმცა უარი თქვა მსსრ სუვერენიტეტის შესახებ მიღებული დეკლარაციის გაუქმებაზე. დაასაბუთეს ეს რა იმით, რომ მიმდინარეობდა მოლდოვური ერის თვითგამორკვევისა და აღორძინების პროცესი, შესაბამისად, ეს დეკლარაცია არსებული რეალობით იყო ნაკარნახევი. ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მსსრ უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფდა რესპუბლიკის თითოეული მოქალაქის, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, უფლებების სრულ დაცვას. დაიწყებოდა სსრკ-გერმანიის პაქტის ბესარაბიაზე ზეგავლენის შესწავლის უფრო ღრმა და მრავალმხრივი პროცესი, რაშიც მეცნიერები მსსრ ფარგლებს გარედანაც მიიღებდნენ მონაწილეობას. ნათქვამი იყო ისიც, რომ მოხალისეთა თავდაცვის ფორმირებები მსსრ მთელს ტერიტორიაზე, გარდა მეამბოხე, ე.წ. „დნესტრისპირეთისა და გაგაუზის რესპუბლიკებისა“, ჯერ კიდევ უმაღლესი საბჭოს მიერ 1990 წლის 3 ნოემბრის საგანგებო ბრძანებულების საფუძველზე იყო გაუქმებული.²

კიშინიოვ-მოსკოვის ამ მიმოწერას რაიმე რეალური ზეგავლენა მოლდოვის რესპუბლიკაში არსებულ რთულ სიტუაციაზე არ მოუხდენია. ცენტრსა და მეამბოხე რეგიონებს შორის სიტუაცია სულ უფრო რთულდებოდა. თავის მხრივ, სეპარატისტული მისწრაფების მქონე დნესტრისპირელი პოლიტიკოსების მიერ გადადგმული ნაბიჯები დაპირისპირებას უფრო მეტად ამძაფრებდა. 1991 წლის 20 იანვარს ტირასპოლში გამართულ მესამე საგანგებო სხდომაზე, რომელსაც ყველა რანგის დეპუტატი ესწრებოდა, დმსსრ წარმომადგენლებმა სსრკ-ს უმაღლეს საბჭოს საჯარო აღიარების თხოვნით მიმართეს. მოლდოვის რესპუბლიკის ხელმძღვანელობას დნესტრისპირელმა დეპუტატებმა კი ფედერაციის შექმნა მოითხოვეს. „ერთადერთი შესაძლებელი ვარიანტი მსსრ ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა, არის დნესტრისპირეთისა და გაგაუზის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მის შემადგენლობაში

¹ Указ Президента СССР от 22.12.1990 №УП-1215 «О мерах по нормализации обстановки в ССР Молдова». <http://lawru.info/dok/1990/12/22/n1176695.htm>.

² Постановление №443. <http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=309056&lang=2>.

ფედერაციულ ერთეულებად შესვლა“, – იყო ნათქვამი ყრილობის მიერ მიღებულ განცხადებაში. არც მოსკოვმა და არც კიშინიოვმა მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.¹

პარალელურად, ვითარება იძაბებოდა სსრკ დანარჩენ ტერიტორიაზეც. კრემლი მოკავშირე რესპუბლიკების დიდ ნაწილში არსებულ სიტუაციას პრაქტიკულად ვეღარ აკონტროლებდა. კომუნისტური პარტია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებთან მიმართებაში თავის პოზიციებს განუხრელად თმობდა. მოსკოვი ამაოდ ცდილობდა სიტუაციის დარეგულირებასა და საბჭოთა კავშირის რღვევის უკვე ისტორიულ გარდაუვალობად ქცეული დაშლის პროცესის შეჩერებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 1991 წლის 17 მარტს ჩატარებული საკავშირო რეფერენდუმი, რომელზეც ქვეყნის მოსახლეობას სსრკ ბედი უნდა გადაეწყვიტა და გაეცა პასუხი „დიახ“ ან „არა“ შეკითხვაზე – „მიგაჩნიათ თუ არა აუცილებლად სსრკ შენარჩუნება, როგორც თანაბარუფლებიანი და სუვერენული რესპუბლიკების განახლებული ფედერაციისა, სადაც ნებისმიერი ადამიანის უფლებები, მიუხედავად მისი ეთნიკური წარმომავლობისა, დაცული იქნება“.²

მოლდოვის, ისევე როგორც საქართველოს, სომხეთის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკებმა რეფერენდუმში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს, თუმცა კიშინიოვისადმი ურჩ კომრატსა და ტირასპოლში, მიუხედავად პრეზიდენტ სნეგურის წერილობითი გაფრთხილებისა, ის შედგა. დნესტრისპირეთისა და გაგაუზის ე.წ. „რესპუბლიკებში“ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო დნესტრისპირეთის რეგიონის 411 411 მცხოვრებმა, რომელთაგანაც 402 859-მა დააფიქსირა პასუხი „დიახ“, 6551-მა კი – „არა“. სსრკ-ს შენარჩუნებას გაგაუზიის რეგიონის ამომრჩეველთა 90%-ზე მეტმა დაუჭირა მხარი.³ საგულისხმოა, რომ რეფერენდუმში მონაწილეობა ეთნიკურად მოლდოველმა მოქალაქეებმაც მიიღეს. ქალაქ ბენდერში გახსნილ საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად 55 მოლდოვური სოფლის მაცხოვრებელი მივიდა.⁴

მიუხედავად მოლდოვის უმაღლესი საბჭოს მიერ რეფერენდუმის ბოიკოტისა და „მსფ“ აქტივისტების წინააღმდეგობისა, კიშინიოვში საარჩევნო უბნები, პრომოს-

¹ Создание ПМР. <http://newspmr.com/istoriya-pmr/sozdanie-pmr/5>.

² იბ.: 1991 წლის 17 მარტს ჩატარებული რეფერენდუმისას გამოყენებული ერთ-ერთი ბიულეტენის ფოტოასლი. https://commons.wikimedia.org/wiki/File:Soviet_Union_referendum,_1991.jpg?uselang=ru.

³ А. З. Волкова. Референдумы в Приднестровской Молдовской Республике (1989-2003 гг.), გვ. 102.

⁴ Н. В. Бабилунга. Феномен Приднестровья, გვ. 197.

კოვური პოლიტიკური მოძრაობა „უნიტატე“-ს ორგანიზებით მაინც გაიხსნა. 100 000-ზე მეტმა კიშინიოველმა მხარი სსრკ-ს შენარჩუნებას დაუჭირა.¹

მოგვიანებით, 2016 წელს, ერთ-ერთ ინტერვიუში, მოლდოვის ექსპრეზიდენტი მირჩა სნეგური აღიარებს, რომ კონფლიქტის ესკალაციის რეალური მიზეზი ე.წ. „სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე“ ხელის მოწერაზე მისი უარი იყო. ის იხსენებს იმ არასასიამოვნო საუბარს, რომელიც 1991 წლის პირველ ნახევარში მას მიხაილ გორბაჩოვსა და სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ანატოლი ლუკიანოვთან ჰქონდა:

„მაში იცოდე, შენ მიიღებ დამატებით ორ რესპუბლიკას გაგაუზიასა და დნესტრისპირეთში.

ასეა, ისინი ამ ტერიტორიებს უკვე პრაქტიკულად ვერ აკონტროლებენ. ჩაერთო საუბარში ლუკიანოვი“.²

1991 წლის 1 აპრილს კომრატსა და ტირასპოლში მიღებული გადაწვეტილებით, კიშინიოვში, ცენტრალურ ბიუჯეტში თანხების გადარიცხვა შეწყდა.³ ამან მოლდოვის ისედაც რთული ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად გაართულა.

დნესტრისპირეთი სულ უფრო აქტიურ და გამომწვევ ნაბიჯებს დგამდა. 6 მაისს „მოლდოველი აგრესორებისაგან თავის დაცვის მიზნით“ დმსსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი მილიციის შესახებ. მოგვიანებით, 1991 წლის 10 სექტემბერს კი გვარდია შეიქმნა. დნესტრისპირელი სეპარატისტების მიერ შექმნილი უკანონო შეიარაღებული ფორმირებები იარაღის დეფიციტს არ განიცდიდნენ, რადგანაც რეგიონში დისლოცირებული მე-14 არმიის პირადი შემადგენლობა და პირადად გენერალი გენადი იაკოვლევი მათდამი საკმაოდ ლოიალურად იყო განწყობილი.⁴ ეს განსაკუთრებით ნათლად 1991 წლის აგვისტოს ბოლოს გამოჩნდა, როდესაც მოლდოველმა სამართალდამცავებმა იგორ სმირნოვისა და მისი თანამზრახველების დაკავების სპეცოპერაცია წამოიწყეს.

სეპარატისტთა ლიდერების წინააღმდეგ რეალური ნაბიჯები გადაიდგა 22 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც მოსკოვში 19 აგვისტოს, მიხეილ გორბაჩოვის ხელისუფლე-

¹ История Республики Молдова, гл. 332.

² Мирча Снегур: «Жалею, что не удалось предотвратить Приднестровье». <https://republic.ru/posts/73536>.

³ И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 561.

⁴ И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 263.

ბიდან ჩამოშორების მიზნით, სკვპ ცკ და ძალოვანი სტრუქტურების მიერ წამოწყებული ე.წ. „აგვისტოს პუტჩი“ მეამბოხეთა სრული მარცხით დასრულდა. ტირასპოლმა პოლიტიკური შეცდომა დაუშვა და მხარი პუტჩისტებს დაუჭირა. 23 აგვისტოს დნესტრისპირელ სეპარატისტთა ლიდერების დიდი ნაწილი დაკავებულ იქნა. იგორ სმირნოვმა გაქცევა მოახერხა. როგორც მსსრ მაშინდელი შსს მინისტრი, იონ კოსტაში ვარაუდობს, სმირნოვი ძალოვანი უწყების პროკომუნისტურად განწყობილმა მაღალჩინოსნებმა გააფრთხილეს. იგი მე-14 არმიის შტაბში გენერალმა გ. იაკოვლევმა შეიფარა.¹

25 აგვისტოს იგორ სმირნოვმა ნაჩქარევად და საიდუმლოდ, ტირასპოლში, კიროვის სახელობის ქარხნის სარდაფში ჩატარებულ ე.წ. დმსსრ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე „დმსსრ დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ მიიღო. იმავე დღეს, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოსათვის დოკუმენტის გადაცემის საბაბით, სმირნოვი ოდესის ოლქში გადავიდა, საიდანაც შემდეგ კიევში, პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკთან შესახვედრად უნდა ჩასულიყო. აღსანიშნავია, რომ კიშინიოვის მოთხოვნა, დაეპატიმრებინათ სმირნოვი, ოდესის სამხედრო ოლქის მეთაურობამ, ისევე როგორც ი. კოსტაშის უკრაინელმა კოლეგამ, ანატოლი ვასილიშინმა, უგულებელყო. შესაბამისად, მოლდოვის შსს-მ დაგეგმა და წარმატებით ჩაატარა კიდეც სპეცოპერაცია. უკვე კიევში მყოფი სმირნოვი მოლდოველმა სამართალდამცავებმა სასტუმროს შესასვლელში აიყვანეს.

29 აგვისტოს, მსსრ პროკურატურის მიერ ანტიკონსტიტუციურ ქმედებებსა და რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში დადანაშაულებული ი. სმირნოვი კიშინიოვში ჩაიყვანეს.²

27 აგვისტოს კი მსსრ უმაღლესმა საბჭომ, ბელორუსიის, უკრაინისა და რუსეთის მსგავსად, დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო. გადაწყვეტილება მეტწილად მოსკოვში და ზოგადად სსრკ-ში მიმდინარე პროცესებით იყო ნაკარნახევი. პირველი სახელმწიფო, რომელმაც ეს აქტი აღიარა, მეზობელი რუმინეთი იყო.³

დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებას მოლდოვაში არსებულ რთულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია. პირიქით, იგორ სმირნოვისა და სხვა გაგაუზი და დნესტრისპირელი პოლიტიკოსების და-

¹ И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 266.

² И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 268-270.

³ П. Лучинский. Молдова и молдоване, гл. 319.

პატიმრებამ სიტუაცია უფრო დაძაბა. მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროს მაცხოვრებლებმა, მოძრაობა „დნესტრისპირეთის ქალების“ ხელმძღვანელობით, გადაკეტეს კიშინიოვისაკენ მიმავალი სარკინიგზო ხაზი, რითაც სამგზავრო თუ სატვირთო შემადგენლობების მიმოსვლა შეწყდა. დემონსტრანტები ი. სმირნოვისა და მისი თანამოაზრების დაუყოვნებლივ და უპირობო გათავისუფლებას ითხოვდნენ.¹ თავის მხრივ, აქტიურობდნენ მოსკოველი პოლიტიკოსებიც, რომლებიც მირჩა სწორი სამგზავრო დაბეჯითებით ურჩევდნენ, გაეთავისუფლებინა დნესტრისპირელ სეპარატისტთა ლიდერი და გარანტიას აძლევდნენ, რომ სმირნოვი თავის ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკურ აქტივობას შეწყვეტდა. 1991 წლის 1 ოქტომბერს დნესტრისპირელი სეპარატისტები, იმ პირობით, რომ შეწყვეტდნენ პოლიტიკურ აქტივობას, გაათავისუფლეს. რა თქმა უნდა, პირობა პირობად დარჩა და იგორ სმირნოვმა, თავის ჯგუფთან ერთად, დნესტრისპირეთის რესპუბლიკის შექმნისათვის ბრძოლა ახალი ძალით განაგრძო.²

დნესტრისპირელი სეპარატისტები საერთაშორისო ასპარეზზეც ცდილობდნენ მხარდამჭერების მოძიებას. 1991 წლის 17 ნოემბერს ტირასპოლში გაგაუზიის, აფხაზეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ჩუვაშეთის, ბაშკირეთის, იაკუტიისა და სხვა „სუვერენიტეტისა და თვითგამორკვევისათვის“ მებრძოლი ავტონომიური რეგიონების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მათ ერთმანეთს „დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე“ ბრძოლაში დახმარება აღუთქვეს და „მცირერიცხოვან ერთა სოლიდარობის მოძრაობა“ ჩამოაყალიბეს.³

ტირასპოლი საკუთარი ძალოვანი სტრუქტურების შექმნაზე აქტიურად მუშაობდა. შეიქმნა მილიციის ბატალიონი „დნესტრი“, რომელიც ძირითადად დემობილიზებული სამხედროებისა და სეპარატისტების მხარეს გადასული სამართალდამცავებისაგან დაკომპლექტდა. 6 სექტემბერს არალიარებული რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „დმსსრ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მისაღები ზომების შესახებ“. ამავე სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე კიშინიოვის დაქვემდებარებაში არსებული ძალოვანი

¹ А. Паламарь. Приднестровская война, история в иллюстрациях, გვ. 10.

² И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, გვ. 279.

³ И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, გვ. 311.

სტრუქტურები არსებობას წყვეტდნენ.¹ დგებოდა საკითხი ამ ქვედანაყოფების შეიარაღების საკითხზე, რაც მე-14 არმიის ხელმძღვანელობის დახმარებით, მარტივად გადაიჭრა. ყოველივე ეს კი სსრკ-ს თავდაცვის მინისტრის, გენერალ-მაიორ ევგენი შაპოშნიკოვის ბრძანების ფონზე კეთდებოდა, რომლის მიხედვითაც, რეგიონში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილებს სრული ნეიტრალიტეტი უნდა შეენარჩუნებინათ. მოლდოვის შინაგან საქმეთა მინისტრმა იონ კოსტაშმა ე. შაპოშნიკოვს 30 სექტემბერს მისწერა წერილი, სადაც დნესტრისპირეთის რეგიონში არსებული ვითარება და სეპარატისტებისადმი მე-14 არმიის ხელმძღვანელობის აშკარა მხარდაჭერის ფაქტები იყო აღწერილი. კერძოდ, საუბარი იყო არმიის მეთაურის, გენერალ გენადი იაკოვლევისა და მაღალი რანგის ოფიცრების განცხადება, რომ ისინი არ და ვერ შეაკავებდნენ იმ 2 500-ზე მეტ ადგილობრივ სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც „მოლდოველი აგრესორებისაგან თავისი უიარაღო მოსახლეობის დაცვას დააპირებდა“. ამასთან, აღნიშნული იყო სეპარატისტთა პოლიტიკოსი ლიდერებისა და არმიის ხელმძღვანელობის მჭიდრო ურთიერთობისა და მეამბოხეებისათვის იარაღის გადაცემის კონკრეტული ფაქტები. ასე, მაგალითად, 17 სექტემბერს, 74278 ს/ნ ტერიტორია დატოვა გაზ-66 მარკის სამხედრო-სატვირთო მანქანამ, რომლის ბორტზეც იმყოფებოდნენ დაუდგენელი პირები. მათ თან 20 ერთეული 120 მმ-იანი ნაღმმტყორცნი და 59 ცალი ამავე კალიბრის ნაღმი წაიღეს. ხშირი იყო არაღიარებული რესპუბლიკის უკანონო ფორმირებებისათვის სატრანსპორტო საშუალებების, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების გადაცემის ფაქტებიც.²

1991 წლის 1 დეკემბერს მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე ჩატარდა მორიგი რეფერენდუმი, რომელშიც მონაწილეობა ხმის უფლების მქონე 372027 (ანუ 78%) მოქალაქემ მიიღო. მათმა 97%-მა მხარი დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობისა და მისი სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირში გაწევრიანების იდეას დაუჭირა. ამავე დღეს ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნებიც. არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტად, ხმათა 65,5%-ით იგორ სმირნოვი იქნა არჩეული.³

რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ, სეპარატისტები აქტიურ ქმედებებზე გადა-

¹ В.Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 2, гл. 116.

² И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 279.

³ А. З. Волкова. Референдумы в Приднестровской Молдовской Республике (1989-2003 гг.), гл. 121.

ვიდნენ. დაიწყო მათ დაქვემდებარებაში მყოფი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გაძლიერება, ახალი შენაერთების ჩამოყალიბება. თავის მხრივ, კიშინიოვი ცდილობდა, რომ რდვევის პროცესი შეჩერებულიყო, თუმცა ფაქტი იყო, რომ პოლიტიკურ მოლაპარაკებები მეამბოხე რეგიონსა და ცენტრს შორის უშედეგოდ მიმდინარეობდა, პროცესები კი სულ უფრო უმართავი ხდებოდა. 1991 წლის 13 დეკემბერს, გამთენისას, მოლდოველ სამართალდამცავთა 180-კაციანმა შეიარაღებულმა ჯგუფმა ქალაქ ბენდერისთან არსებულ სეპარატისტთა უკანონო საკონტროლო-გამშვებ პუნქტს შეუტია. მოულოდნელობის ეფექტმა თავდაპირველად სასურველი შედეგი გამოიღო, მაგრამ მთავარი მიზანი – მეამბოხეთა მიერ დაკავებული ადმინისტრაციული შენობების დებლოკირება – შეუსრულებელი დარჩა. მოლდოველებმა უკან დაიხიეს, რადგანაც ტირასპოლიდან ბენდერელთა დასახმარებლად მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ჯგუფი მოემართებოდა. მათთან შეტაკების და დიდი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, სამართალდამცავები საწყის პოზიციებს დაუბრუნდნენ. რამდენიმესაათიანი სპეცოპერაციის შედეგი უკანონო სამხედრო დაჯგუფების 22 დატყვევებული მებრძოლი იყო. ამ დღეს, საერთო ჯამში, ორივე მხრიდან 7 პირი დაიღუპა, 17 კი – დაიჭრა.¹

1991 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, მოლდოვის პრეზიდენტ მირჩა სწეგურის ბრძანებით, მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა სამხედრო ნაწილების კუთვნილი სამხედრო ტექნიკის, იარაღისა და ინვენტარის ნაციონალიზება მოხდა. თავის მხრივ, იარაღის სიმცირეს არც დნესტრისპირელები განიცდიდნენ. მე-14 არმიის მათდამი ლოიალურად განწყობილი ხელმძღვანელობის წყალობით, მათ წლის მიწურულისათვის უკვე ჰყავდათ მრავალრიცხოვანი, კარგად აღჭურვილი სამხედრო შენაერთები. 12 დეკემბერს, კიშინიოვის დაუინებულმა მოთხოვნამ გაჭრა და სსრკ თავდაცვის მინისტრის, გენერალ-მაიორ ევგენი შაპოშნიკოვის ბრძანებით არმიის მეთაური, გ. იაკოვლევი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს.² თუმცა, მიუხედავად ამისა, სიტუაცია ამ საკადრო ცვლილებას არსებითად არ შეუცვლია. სეპარატისტები კვლავ განაგრძობდნენ შეიარაღებას.

1991 წლის ბოლოს, საბჭოთა კავშირში არსებულმა სოციალ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა პიკს მიაღწია. 26 დეკემბერს კი მოხდა ის, რამაც მსოფლიო

¹ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 2, гл. 121.

² И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 563.

ისტორიის სვლა და სსრკ-ს ათობით მიღიონი მოქალაქის ცხოვრება სამუდამოდ შეცვალა. ბოროტების იმპერიად წოდებულმა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირმა თავისი არსებობა შეწყვიტა. პოლიტიკურ რუკაზე 15 ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდა, თუმცა თითქმის ყველა ამ ახლადშექმნილ სახელმწიფოს მემკვიდრეობად ავტონომიური ოლქები ერგო, რომელთა დიდ ნაწილს არ სურდა არსებულ რეალობასთან შეგუება. შესაბამისად, რღვევის ხაზმა მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრებზე როდი გაიარა, ბზარებმა მათი შიდა ტერიტორიებიც მოიცვა. აღსანიშნავია, რომ მოლდოვის რესპუბლიკის იმდროინდელი ხელმძღვანელობა დნესტრისპირელი ოპონენტების მტკიცებას, თითქოს ისინი უმთავრეს თავიანთ ამოცანად ქვეყნის რუმინეთის შემადგენლობაში შეყვანას ისახავდნენ, კატეგორიულად უარყოფდა. ამაზე ნათლად მეტყველებს პრეზიდენტ მირჩა სნეგურის საგაზეთო ინტერვიუ, რომელიც მან რუსულ გაზეთ, „კომსომოლსკაია პრავდა“-ს 1991 წლის დეკემბერში მისცა. რუსი ჟურნალისტის შეკითხვაზე, „შეუერთდება თუ არა მოლდოვის რესპუბლიკა რუმინეთს“, ის პასუხობს: „ჩემი პრეზიდენტობის პირველმა წელმა გარკვევით დაანახა ყველას, რომ მე შევძელი ვყოფილიყავი მოლდოვის რესპუბლიკის სუვერენიტეტის გარანტი. დიახ, მოლდოვა და რუმინეთი ეს ის ორი სახელმწიფოა, სადაც ხალხი ერთ ენაზე მეტყველებს. მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყნის რუმინეთთან ან რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან გაერთიანებაზე საუბარიც კი არ არის. მე მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის მომხრე ვარ. არიან პოლიტიკოსები, რომლების ამ იდეას აჯღერებენ, თუმცა ეს მხოლოდ მათი აზრია და მათ სინდისზე იყოს“.¹

აღსანიშნავია, რომ მოლდოვეთის რუმინეთთან გაერთიანების აზრი არც მოგვიანებით, დნესტრისპირეთის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ ყოფილა ადგილობრივი საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის ფართო მასებში მხარდაჭერილი. ასე, მაგალითად, 1994 წელს, მაშინ როდესაც მოლდოვის პარლამენტი ქვეყნის სახელმწიფო ენის სტატუსზე მსჯელობდა, პარლამენტართა უდიდესმა ნაწილმა მხარი კონსტიტუციაში ჩანაწერს – „მოლდოვური ენა“ – დაუჭირა. გადაწყვეტილება მათ ასე ახსნეს: „ჩვენ კონსტიტუციის ტექსტში სახელმწიფო ენად რუმინულის მითითებას მხარს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავუჭირდით, თუ რუმინეთი ტერიტორიულად

¹ «О присоединении к Румынии речи не идет». «Кишиневские Новости», 10.01.92 №20(116), გვ. 1.

სადმე შორს, მაგალითად, ფინეთთან ახლოს იქნებოდა. იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ ჩვენ მასთან საერთო საზღვარი გვაქვს ეს გადაწყვეტილება ჩვენთვის, ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის საზიანო იქნება. როგორც მოგეხსენებათ, რუმინეთში, ისევე როგორც აქ, მოლდოვაში, გარკვეული ძალები უნიონისტურ იდეებს ქადაგებენ და ერთ ერზე საუბრობენ. ეს იდეები აბსოლუტურ უნიფიკაციამდე მიგვიყვანს, რაც ჩვენს იდენტობას დიდ საფრთხეს უქმნის. მოლდოველებს დამოუკიდებლობა იმისათვის არ მოგვიპოვებია, რომ რომელიმე სხვა სახელმწიფოს შევუერთდეთ“.¹ იმავე წელს, მოლდოვაში ჩატარებულმა გამოკითხვამ კი აჩვენა, რომ მოლდოვასა და რუმინეთის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება მოლდოველთა მხოლოდ 5%-ს სურდა.² შესაბამისად, რუსი და დნესტრისპირელი პოლიტიკოსებისა თუ პოლიტოლოგების მოსაზრებები იმის შესახებ, რომ მოლდოვური საზოგადოება „დიდი რუმინეთის“ აღდგენის იდეებით იყო შეპყრობილი და რომ დნესტრისპირეთის მოსახლეობას, კიშინიოვის დაქვემდებარებაში დარჩენის შემთხვევაში, ტოტალური, იძულებითი ასიმილაცია და რომანიზაცია ელოდა, ნაკლებად დამაჯერებელია.

1992 წელს დამოუკიდებელი და საერთაშორისოდ აღიარებული მოლდოვა მძიმე სოციალ-ეკონომიკური გამოწვევებით ხვდებოდა. განსაკუთრებით რთული ვითარება დნესტრისპირეთის რეგიონში იყო შექმნილი, სადაც პირველი სისხლი უკვე დაღვრილი იყო, მხარეები ერთმანეთს სულ უფრო ხშირად იარაღის ენით ესაუბრებოდნენ. რეგიონში არსებული სიტუაცია დენთის კასრს ჰგავდა, რომელსაც ცეცხლის ალი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა. 1992 წლის დამდეგისათვის ვითარება მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე უკიდურესად დაძაბული იყო. დნესტრისპირელ პოლიტიკოსთა დაქვემდებარებაში უკვე იყო შეიარაღებული ჯგუფები, რომლებსაც ისინი „თავდაცვით ძალებად“ მოიხსენიებდნენ. კიშინიოვში კი მათ განიხილავდნენ, როგორც უკანონო შეიარაღებულ ბანდფორმირებებს, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ. ერთგვარი კატალიზატორის როლი საბრძოლო მოქმედებების დაწყებაში საბჭოთა კავშირის დაშლამაც ითამაშა. სწორედ ამ პერიოდიდან, თითქმის ერთდროულად, პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული თითქმის ყველა კონფლიქტი აქტიურ ფაზაში გადავიდა.

¹ П. Лучинский. Молдова и молдоване, гл. 286.

² M. Bozhesku. Transnistria 1989-1992, гл. 15.

2.2 კონფლიქტის აქტიური ფაზა

ცივი ომის პერიოდში, როგორც სოციალისტური, აგრეთვე კაპიტალისტური ბლოკის ქვეყნები ტოტალური ომისათვის ემზადებოდნენ. შესაბამისად, ბირთვულ-თან ერთად შეიარაღების ჩვეულებრივი სახეობების მარაგის შექმნას დიდი ყურადღება და ფინანსები ეთმობოდა. სსრკ-ს მთელ ტერიტორიაზე ათასობით დიდი თუ მცირე იარაღის საწყობი იყო, რომლებიდანაც, ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, ჯარი ადგილზევე უნდა მომარაგებულიყო. მსგავსი საწყობები მოლდოვის სსრ-ს ტერიტორიაზეც მრავლად იყო. ამასთან, როგორც წესი, საზღვრისპირა რეგიონებში მრავალრიცხოვანი, კარგად აღჭურვილი და სრულად დაკომპლექტებული სამხედრო ნაწილები და აეროდრომები იყო დისლოცირებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მოსკოვს ამ ინფრასტრუქტურის გაკონტროლება გაუჭირდა. ახლადშექმნილმა სუვერენულმა სახელმწიფოებმა თავიანთ ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო ქონებაზე პრეტენზია გამოაცხადეს. სიტუაციას ადგილობრივი სამხედრო ჩინოსნების სიხარბე და კორუმპირებულობაც ართულებდა. მათ კონტროლის მექანიზმების შესუსტებითა და ირგვლივ გამეფებული ქაოსით ისარგებლეს. ამავდროულად, ამ უკანასკნელთა მდგომარეობაც რთული იყო, რადგანაც მომავალი მათ და მათ ოჯახებს არცთუ ისე საიმედო სამომავლო პერსპექტივებს უქადდა. შედეგად, მალევე, იარაღით ვაჭრობის ფაქტებმა კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწია. განსაკუთრებით მასობრივი ეს პროცესი იყო იმ რეგიონებში, სადაც ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები მწიფდებოდა (დნესტრისპირეთი, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია, შუა აზიის რესპუბლიკები და ა.შ.). ალბათ სწორედ ეს იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რატომ იყო სსრკ-ს დაშლის პროცესი ასეთი სისხლიანი. დაპირისპირებულ მხარეებს იარაღი, მასთან ერთად კი ზღვარგასული თავდაჯერებულობა გაუჩნდათ. შესაბამისად, სიტყვიერი დაპირისპირება მალევე გადაიზარდა შეიარაღებულ კონფლიქტებში, რასაც ორმხრივი მსხვერპლი სდევდა თან, იღვრებოდა სისხლი... სისხლი კი, როგორც ცნობილია, დესტრუქციული კონფლიქტის საუკეთესო კატალიზატორია და მასზე „ეფექტურად“ მხარეებს ვერაფერი აშორებს.

1992 წლის გაზაფხულისათვის, მოლდოვის ახლადშექმნილი არმიას ქვეყნის ტერიტორიაზე მდგომი სამხედრო ნაწილებიდან, მათ შორის, მარკულეშტის სამხედრო აეროდრომიდან, რომელზეც შავი ზღვის ფლოტის 86-ე ავიაგამანადგურებელი პოლკი ბაზირებდა, შემდეგი სახისა და რაოდენობის სამხედრო ტექნიკა გადაეცა:

ჯავშანმანქანები

БМД-1 – 44 ერთეული;

БТР-Д – 4 ერთეული;

БТР-70 – 8 ერთეული;

БТР-80 – 12 ერთეული;

БТР-60 – 6 ერთეული;

БРДМ-2 – 6 ერთეული;

МТЛБ – 28 ერთეული;

საარტილერიო დანადგარები

2С9 НОНА – 9 ერთეული;

Д-20 – 31 ერთეული;

2А36 ГИАЦИНТ – 36 ერთეული;

9К57 УРАГАН – 27 ერთეული;

М30 – 17 ერთეული;

М120 – 7 ერთეული;

2Б14 ПОДНОС – 52 ერთეული;

МТ12 – 36 ერთეული;

СПГ9 – 138 ერთეული;

ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები

3 ЗУ-23-2 – 28 ერთეული;

С60 – 11 ერთეული;

С125 НЕВА – 3 კომპლექსი;

С75 – 18 კომპლექსი;

С200 – 15 კომპლექსი;

150-მდე სხვადასხვა დანიშნულების სატვირთო მანქანა.

შვეულმფრენები

МИ-8 – 6 ერთეული;

МИ-26 – 1 ერთეული;

МИ-17 – 4 ერთეული;

სატრანსპორტო და გამანადგურებელი სახის სამხედრო თვითმფრინავები;

АН-2 – 4 ერთეული;

МИГ-29 – 34 ერთეული;

АН-24 – 3 ერთეული;

მოლდოვის ახლადშექმნილი არმიის კუთვნილებაში გადავიდა ქალაქ ფლორეშ-ტში მდებარე სამხედრო ნაწილებში დასაწყობებული 40 000-მდე ცეცხლსასროლი იარაღი (ავტომატები, ტყვიამფრქვევები, პისტოლეტები, სნაიპერული შაშხანები, ყუმბარმტყორცნები და ა.შ.), 50 000 ტონაზე მეტი საბრძოლო მასალა, სამხედრო უნიფორმები, ჯავშანჟილეტები, კავშირგაბმულობის საშუალებები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ყველაფერი ეს მიღწეულ იქნა მოლდოვის ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო ნაწილებში მოსამსახურე იმ სამხედრო მაღალჩინოსნების ძალისხმევით, რომლებმაც ერთგულების ფიცი პრეზიდენტ მირჩა სწეგურს დაუდეს, თუმცა მათმა ბევრმა კოლეგამ უარი თქვა სამსახურის მოლდოვის არმიის რიგებში გაგრძელებაზე. ნაწილი რუსეთში წავიდა, ნაწილი კი – მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე, ტირასპოლში გადავიდა. იარაღის ნაწილი მათ მიერ განზრახ იქნა დაზიანებული, რათა ის მოლდოველ სამხედროებს არ დარჩენოდათ. ამასთან, ჯერ კიდევ 1991 წლის შემოდგომაზე, კრემლიდან მოსული სპეციალური ბრძანების საფუძველზე, მოლდოვის რესპუბლიკაში არსებული იარაღის, საბრძოლო მასალებისა და ჯავშანტექნიკის (მათ შორის, იმ დროისთვის თანამედროვე T-80 ტიპის ტანკები) დიდი ნაწილი რუსეთის ტერიტორიაზე გაიტანეს.

თავის მხრივ, შეიარაღების სიმცირეს არც დნესტრისპირელები განიცდიდნენ. საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე, მათი არსენალი გაიზარდა. კაზაკები და შეიარაღებული დაჯგუფებების წევრები, „დნესტრისპირეთის ქალების“ კავშირის აქტივისტებთან ერთად, მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე დისლოცირებული მე-14 არმიის სამხედრო ნაწილებსა და საწყობებში იჭრებოდნენ. მოიერიშეთა წინა

რიგებში, როგორც წესი, ასაკოვანი ქალბატონები იყვნენ. ყარაულში მდგომი ჯარისკაცები, იმ მიზეზით, „ქალებს ხომ ვერ ვესვრით“, მათ წინააღმდეგობას არ ან ვერ უწევდნენ. აღსანიშნავია, რომ აფხაზ და ოს სეპარატისტებსაც მსგავსი ტაქტიკა ჰქონდათ. ასე, მაგალითად, 1992 წლის 15 აგვისტოს, შეიარაღებული აფხაზები, „მშვიდობიანი მოქალაქეების“ წინამდლოლობით, გუდაუთაში დისლოცირებულ საზენიტო-სარაკეტო პოლკის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. წინ მათაც ადგილობრივი ქალები მიუძღვდნენ. შედეგად, მათ ხელში რუსული არმიის კუთვნილი იარაღი, დიდი ოდენობის საბრძოლო მასალები და სხვა სახის სამხედრო ინვენტარი აღმოჩნდა. რუსი სამხედროებისაგან რაიმე სახის წინააღმდეგობას არც ისინი შეხვედრიან.¹ შესაბამისად, ამ გზით, საიარაღო პირამიდებში არსებული იარაღი და საბრძოლო მასალები შეჭრილთა ხელში გადადიოდა.

1992 წლის 14 მარტს, სოფელ პარკანისთან არსებულ სამხედრო საწყობს „დნესტრისპირეთის ქალების“ ლიდერის, გალინა ანდრეევას წინამდლოლობით შეჭრილმა პირებმა ხელთ იგდეს 1 300-ზე მეტი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 255 პისტოლეტი, 50 ტყვიამფრქვევი, ხელყუმბარები, ყუმბარმტყორცნები, ჯავშანჟილეტები, კავშირგაბმულობის საშუალებები 1,5 მლნ.-მდე სხვადასხვა კალიბრის ვაზნა და ა.შ. ამ ერთგვარ სპეცოპერაციას, რეალურად საბჭოთა არმიის ყოფილი ვიცე-პოლკოვნიკი, გვარდიის მეთაური, იური კოსტენკო, ე.წ. „დნესტრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკის პრეზიდენტის“ იგორ სმირნოვის უშუალო ბრძანებით ხელმძღვანელობდა. ზემოხსენებულ და სხვა მსგავს შემთხვევებში, არც რუს სამხედროებს და არც მე-14 არმიის ხელმძღვანელობას, იური ნეტკაჩოვის ხელმძღვანელობით, წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და, მიუხედავად ოფიციალური კიშინიოვის პროტესტისა, არც რაიმე სახის პრევენციული ზომები მიუღიათ ამ თვითნებობის აღსაკვეთად. მეტიც, არმიის ბევრი რიგითი თუ მაღალჩინოსანი მოსამსახურე „თავდამსხმელებს“ აშკარად თანაუგრძნობდა.²

ვითარება ცენტრსა და მეამბოხე რეგიონს შორის უკიდურესად დაძაბული იყო. მხარეების ხელში შეიარაღების გაჩენამ კი კონფლიქტის ესკალაცია დააჩქარა. ნათელი იყო, რომ დნესტრისპირეთის რეგიონში ორხელისუფლებიანობა დიდხანს არ გაგრ-

¹ ინტერვიუ პოლკოვნიკ ლეონიდ კ. კარაევთან.

² თ. ნადარეეიშვილი. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. თბილისი, 1998, გვ. 41.

ძელდებოდა და მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტი მირჩა სწეგური თავის თვითმარქვია „კოლეგასთან“, იგორ სმირნოვთან, დათმობაზე არ წავიდოდა. ფართო-მასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები 1992 წლის 2 მარტს დაიწყო. მას წინ დუბოსა-რის მილიციის განყოფილების უფროსის, იგორ სიპჩენკოს მკვლელობა უძღოდა. 1 მარტს მისი მანქანა გაურკვეველმა პირებმა დაცხრილეს. სიპჩენკო დაიღუპა, მისი თანმხელები გვარდიელი კი დაიჭრა.¹ ადგილობრივმა მოსახლეობამ და დნესტრისპი-რეთის დეფაქტო ხელისუფლებამ მკვლელობაში მოლდოველი პოლიციელები დაად-ანაშაულა. ხალხის მასა, რომელთა შორისაც შეიარაღებულ მოხალისეები, გვარდიელ-ები და კაზაკები მრავლად იყვნენ, დუბოსარის პოლიციის შენობასთან შეიკრიბა. მათ 30-მდე მოლდოველი სამართალდამცავის ბლოკირება მოახდინეს. დილით პოლიცი-ელები გარეთ შეკრებილთ იარაღითურთ ჩაბარდნენ (მოგვიანებით, დატყვევებული პოლიციელები ქალაქ ოდესაში, მოლდოვური სპეცსამსახურების მიერ სეპარატის-ტებთან თანამშრომლობის ბრალდებით 16 მარტს დაკავებულ მე-14 არმიის ყოფილ მეთაურზე, გენერალ გენადი იაკოვლევზე გაცვალეს.² ამ დროს, მოულოდნელად, გა-ურკვეველმა პირმა, ერთ-ერთი ფანჯრიდან ცეცხლი გახსნა, რის შედეგადაც ერთ-ერ-თი მოპიკეტე, კაზაკი, 19 წლის მიხაილ ზუბოვი დაიღუპა. აღსანიშნავია, რომ დაღუ-პული რუსეთიდან, კურძოდ კი როსტოვის ოლქის ქალაქ ვოლგოდონსკიდან დნეს-ტრისპირეთში მოხალისედ იყო ჩამოსული.³ თუმცა ამ და შემდგომ, 3 მარტს გრიგო-რიოპოლში მომხდარ კიდევ ერთ ტრაგიკულ ინციდენტში, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღიდან დაცხრილეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა, რა დროსაც და-იღუპა ექიმი, ხოლო სამი მოქალაქე, მათ შორის მშობიარე ქალბატონი, მძიმედ დაშავ-და, დნესტრისპირეთის არაღიარებული რესპუბლიკის სპეცსამსახურების კვალი ივ-ვეთება.⁴ ორივე შემთხვევა იყო დაძაბულობისა და ხალხის ფართო მასებში პროტეს-ტის ტალღის აგორების მცდელობა, რომლის ფონზეც მოლდოველ პოლიციელთა გა-ნიარაღება და მდინარე დნესტრის მარჯვენა სანაპიროზე განდევნა მოხდებოდა. ამ ოპერაციებს დნესტრისპირეთის არაღიარებული რესპუბლიკის სპეცსამსახურები გეგ-

¹ И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 350.

² Н. В. Бабилунга, Б. Г. Бомешко. Приднестровский конфликт: Исторические, демографические полити-ческие аспекты. Тирасполь, 1998, гл. 22.

³ შ. მალაშვილი. კონფლიქტების ანატომია, гл. 241.

⁴ Война в Приднестровье. <https://www.youtube.com/watch?v=GW-DHjx9ZEw&t=17s>.

მავდნენ. უშუალო შემსრულებლები კი რიგის ომონის ყოფილი წევრები – ვიქტორ ნიკიტენკო და სერგეი ბუბუნოვი იყვნენ.¹

1 მარტს ქალაქ დუბოსართან მდებარე სოფელ კოჩიარში, კაზაკებმა მოლდოველი ქალი, საშუალო სკოლის მასწავლებელი მოკლეს. მიზეზი მისი პოლიტიკური აქტიურობა და „მოლდოვის სახალხო ფრონტის“ მხარდამჭერობა იყო. მასთან ერთად ორი სხვა პირიც დახვრიტეს. მეორე დღეს კი აღშფოთებული ადგილობრივი მოსახლეობა სოფელთან დისლოცირებული მე-14 არმიის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილთან შეიკრიბა. დუბოსარიდან მოსულმა დნესტრისპირელმა გვარდიელებმა ეს აქცია ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით დაშალეს. მომდევნო დღეს მოლდოვის რესპუბლიკის პოლიციის სპეცდანაყოფმა გაყინული მდინარე დნესტრი დუბოსარის ჰიდროელექტროსადგურის მიდამოებში გადალახა და კოჩიარში შევიდა. მათ იმ სამხედრო ნაწილს შეუტიეს, რომელთან შეკრებილი ხალხი შეიარაღებული ფორმირებების წევრებმა ძალის გამოყენებით დაშალეს. აღსანიშნავია, რომ ყაზარმებში სამხედრო მოსამსახურების ოჯახის წევრებიც იმყოფებოდნენ. წინააღმდეგობის მიუხედავად, მოლდოველებმა შესძლეს ბაზის ტერიტორიაზე შეღწევა და სამხედრო ტექნიკისა და იარაღის საწყობის ხელში ჩაგდება.² რუსი სამხედროების დასახმარებლად დუბოსარიდან გვარდიელები დაიძრნენ. სამხედრო ნაწილიდან მოხერხდა მშვიდობიანი მოქალაქეების გაყვანა, თუმცა გაურკვეველმა პირებმა ცეცხლი იმ ავტობუსებს გაუხსნეს, სადაც ისინი ისხდნენ. შედეგად, რამდენიმე ადამიანი დაშავდა. გააფთრებული ბრძოლებისა და ორმხრივი დანაკარგების შემდეგ, მოლდოველებმა შესძლეს სამხედრო ნაწილიდან გვარდიელთა განდევნა. აღსანიშნავია, რომ მე-14 არმიის ხელმძღვანელობას ალყაში მყოფი ნაწილისათვის არანაირი დახმარება არ აღმოუჩენია.³ ტირასპოლში ამ ფაქტს მეთაურის, გენერალ-მაიორ იური ნეტკაჩოვის „უსუსურობითა“ და მოსკოვის „დაბნეულობით“ ხსნიან, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ამ „წაყრუებით“ კრემლმა მოლდოვური მხარე თავის ნეიტრალიტეტში დააჯერა, რათა ამ უკანასკნელს უფრო თამამი ნაბიჯები გადაედგა დნესტრისპირელ სეპარატისტებთან მიმართებაში და მისთვის დაგებულ ხაფანგში უფრო ღრმად შესულიყო.

¹ М. Бергман. Вождь в чужой стае. Москва, 2004, გვ. 32-39.

² М. Бергман. Вождь в чужой стае, გვ. 32-39.

³ И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, გვ. 397.

მარტის პირველ რიცხვებში, მოლდოვურმა მხარემ სოფელ კოჩიართან დაკავებული პოზიციების გამაგრება დაიწყო. დნესტრისპირელებმა მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროს მთელს ზოლზე სანგრები, ბლოკ-პოსტები, გამაგრებული პუნქტები და საცეცხლე წერტილები მოაწყვეს, რათა მოლდოველ სამართალდამცავთა მიერ მდინარის სხვა ადგილას ფორსირება არ დაეშვათ. საბრძოლო მოქმედებების დაწყების პარალელურად, არაღიარებულ რესპუბლიკაში მოხალისეთა დიდი ნაკადი, ძირითადად დონის, შავიზღვისპირეთისა და ყუბანის კაზაკები დაიმრნენ. მათ „რუსული სამყაროს“ გადარჩენისა და „დნესტრისპირელების მოლდოვურ-რუმინული ფაშიზმისაგან გადარჩენის“ იდეები ამოძრავებდათ, თუმცა 150-მდე კაზაკი იური კოსტენკოს დაქვემდებარებაში ჯერ კიდევ 1991 წლის ბოლოს გამოჩნდა.¹

16 მარტს, მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მირჩა სნეგურმა გამოსცა ბრძანება №70 „ზომებზე სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ მოლდოვის რესპუბლიკის მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე“. თვის ბოლოს ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, ხოლო 5 აპრილს კი, №84-ე განკარგულებით, უმაღლესმა მთავარსარდალმა მოქალაქეების სრული მობილიზაციის ბრძანება გასცა.²

„საგანგებო სიტუაციის შემოღება მოლდოვის მთელ ტერიტორიაზე გამოწვეულია უკიდურესად გართულებული მდგომარეობით. ყოველივე ეს პროიმპერიული ძალების მიერ არის ორგანიზებული. ჩვენ მათ, გამყიდველებსა და გადამთიელ სეპარატისტებს მედგარ წინააღმდეგობასა და საკადრის პასუხს გავცემთ“, – თქვა მოლდოვის პრეზიდენტმა, მირჩა სნეგურმა ადგილობრივი ტელევიზიის ეთერში გაკეთებულ საგანგებო განცხადებაში. მისივე თქმით, დნესტრისპირეთის მოსახლეობა მეამბოხეთა ჯგუფს ჰყავდა დეზინფორმირებული, რომ თითქოს მათ თავს მოლდოვური და რუმინული არმიები უნდა დასხმოდნენ, რაც მისი თქმით, ჭორი და სიცრუე იყო. აღსანიშნავია, რომ მირჩა სნეგურმა აღნიშნული განცხადება სატელევიზიო ეთერში რუსულ ენაზე გააკვთა.³

ტელეკამერების წინ დნესტრისპირელ სეპარატისტთა ლიდერი, იგორ სმირნო-

¹ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 2, гл. 137-138.

² ინტერვიუ სსრკ არმიის თადარიგის ოფიცერთან, დიმიტრი ალექსანდრეს ძე ბელოუსოვთან. 28.01.16.

³ "Кому нужна эта война?" Как это было. Документальный фильм. https://www.youtube.com/watch?v=L4d3uy7QjQ&t=996s&fbclid=IwAR3pVmbN7miVed51grcJWUSvDs-UR40hcY3ptQ5c4C4hz7j-vn_FEv81qH4.

ვიც ხშირად ჩნდებოდა. მისი თქმით, მოლდოვის ხელისუფლებას საკუთარი ხალხი და დანარჩენი მსოფლიო შეცდომაში მიზანმიმართულად შეჰყავდა. იგი ამტკიცებდა, რომ კიშინიოვი ტირასპოლის წინააღმდეგ საინფორმაციო ომს ეწეოდა. „იმედი მაქვს, რომ პროვოკაციები შეწყდება და საღი აზრი გაიმარჯვებს, თუმცა ამ ბოლო დროს, სამწუხაროდ, ამაში უკვე ეჭვი მეპარება. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მოლდოვის ხელისუფლება მოლაპარაკებების პროცესს მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობისათვის თვალის ასახვევად იყენებს, სინამდვილეში კი ჩვენთან მხოლოდ ძალისმიერი პოზიციიდან საუბრობს. არ აქვს მნიშვნელობა, ეგუებიან ამ აზრს თუ არა მოლდოველი პოლიტიკოსები, ფაქტია, რომ დნესტრისპირეთის რესპუბლიკა არსებობს და იარსებებს. ჩვენ მათ უკვე არაერთ ქვეყანაში აპრობირებულ, ფედერალიზების მოდელს ვთავაზობთ. ამას მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად ვაკეთებთ. ამის შედეგად რეგიონში განვითარდება ადგილობრივი თვითმმართველობა. და ამის შემდეგ ვინმე კიდევ იტყვის იმას, რომ ჩვენ სეპარატისტები ვართ?! განა ჩვენ გამოვეყავით საბჭოთა კავშირს?! განა მოლდოვის რესპუბლიკის დანაწევრებას ვთავაზობთ მათ?! არამც და არამც, ჩვენ მხოლოდ ვთავაზობთ მათ იმას, რომ ვიცხოვროთ ისე, როგორც ეს ხალხს სურს“, – განაცხადა 1992 წლის მარტში გაკეთებულ სატელევიზიო ინტერვიუში დნესტრისპირელ სეპარატისტთა ლიდერმა, იგორ სმირნოვმა.¹

მარტის თვის ბოლოს აშვარა გახდა, რომ დნესტრისპირეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში საჭირო გახდა მოლდოვური არმიის ჩარევაც, რადგანაც მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები დნესტრისპირელთა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს ვერ უმკლავდებოდნენ. აღსანიშნავია, რომ იმ დროს მოლდოვას პროფესიონალური არმია არ ჰყავდა. იყო გამოცდილი სამხედრო პირებისა და ოფიცრების მწვავე დეფიციტი, რაც საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობაზე ისახებოდა კიდევ.

მთელი მარტის თვის განმავლობაში მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობდა. განსაკუთრებით ინტენსიური შეტაკებები დუბოსარის ჰიდროელექტროსადგურის, პოლტავის ხიდისა და სოფელ კორუევოს მი-

¹ "Кому нужна эта война?" Как это было.

დამოებში მიმდინარეობდა. დნესტრისპირეთის რეგიონში საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემდეგ, უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისათვის იარაღის გადაცემის ფაქტებმა ბევრად უფრო დიდ მასშტაბებს მიაღწია. ვითარებაზე გავლენა ვერც 1992 წლის 1 აპრილს მოსკოვში პრეზიდენტ ბორის ელცინის მიერ ხელმოწერილმა ბრძანებამ №320 მოახდინა. მის თანახმად, მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა დროს არსებული სამხედრო ნაწილები რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ გადადიოდა. დოკუმენტის თანახმად, მათ სრული ნეიტრალიტეტის დაცვა და საბრძოლო მოქმედებებიდან დისტანცირება ევალებოდათ. ამასთან, მათ ეკრძალებოდათ მოლდოვის რესპუბლიკის შიდა საქმეებში რაიმე სახით ჩარევა.¹ თუმცა, როგორც შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, ბრძანება არ შესრულდა. მე-14 არმია კონფლიქტის მსვლელობაში თავდაპირველად ირიბად, შემდეგ კი აშკარად ჩაერია.

მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტში მოსკოვის ოფიციალურად ნეიტრალური პოზიციის მიუხედავად, რუსი პოლიტიკოსები საკუთარი პოზიციის აშკარად დაფიქსირებასა და დნესტრისპირელ მეამბოხეთა მხარდაჭერას საჯარო განცხადებების მეშვეობით არ ერიდებოდნენ. ასე, მაგალითად, აპრილის დასაწყისში დნესტრისპირეთს რუს მაღალჩინოსანთა დელეგაცია ეწვია, რომელსაც რუსეთის ფედერაციის იმჟამინდელი ვიცეპრეზიდენტი, ალექსანდრე რუცკოი ხელმძღვანელობდა. ტირასპოლში მათ გულთბილი დახვედრა მოუწყეს. დნესტრისპირეთის დე ფაქტო პრეზიდენტან, იგორ სმირნოვთან შეხვედრისას კი რუცკოიმ „დნესტრისპირელი ხალხის სამართლიანი ბრძოლისადმი მხარდაჭერა“ დააფიქსირა.² ამ ვიზიტმა ოფიციალური კიშინიოვის უკმაყოფილება გამოიწვია და მოლდოველები რუსული მხარის ნეიტრალურობაში კიდევ ერთხელ დააეჭვა.

2 აპრილს ქალაქ ბენდერში მოლდოველ ძალოვანებსა და ადგილობრივ მილიციელებს შორის შეტაკება მოხდა. ორმხრივ ცეცხლში მოჰყვა „რაფ“-ის ტიპის მიკროავტობუსი, რომელსაც სამკერვალო ფაბრიკის მუშები გადაჰყავდა. მანქანაში მყოფი ათივე პირი დაიღუპა.³ 4 აპრილს მე-14 არმიის ქიმიური თავდაცვის ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ მოლდოვის რესპუბლიკის, უკრაინისა და რუსეთის ფედერა-

¹ И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 564.

² «Независимая Молдова», №66 (114).

³ Война в Приднестровье (ПМР). <https://www.youtube.com/watch?v=GW-DHjx9ZE w&t=17s>.

ციის პრეზიდენტებს პეტიცია გაუგზავნეს, სადაც კონფლიქტის ესკალაციაში ოფიციალურ კიშინიოვს ადანაშაულებდნენ და მისგან საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტას მოითხოვდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დნესტრისპირელ გვარდიელთა მხარეზე გადასვლით იმუქრებოდნენ. აღსანიშნავია, რომ არმიის პირადი შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივი იყო, ნაწილის ოჯახები კი იმ დასახლებულ პუნქტებში ცხოვრობდნენ, რომლის მიდამოებშიც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა.

12 აპრილს ხელი მოეწერა პროტოკოლს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ქ. ბენდერიში მუშაობას შეუდგა კომისია, რომელიც მოლდოველი, უკრაინელი, რუსი და რუმინელი დამკვირვებლებით იყო დაკომპლექტებული. საბრძოლო მოქმედებები ბენდერის მიმართულებით შეჩერდა. კონფლიქტის რეგიონში შეტაკებების ინტენსივობამ იკლო.¹ თავის მხრივ, რუმინეთის, უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ შეინარჩუნებდნენ სრულ ნეიტრალიტეტს. მათი ქვეყნების ტერიტორიიდან კონფლიქტის რეგიონში არ მოხდებოდა მოხალისე პირთა შესვლა, იარაღის და საბრძოლო მასალების შეტანა.²

დნესტრისპირეთის კონფლიქტი თავისი სისასტიკითაც გამოირჩეოდა. საბრძოლო მოქმედებების დროს ტყვედ ჩავარდნილ პირებს ორივე მხარე სასტიკად ექცეოდა.³ იყო მშვიდობიან მოქალაქეებზე ძალადობის, მოროდიორობის, ადამიანების გატაცების, წამების, მკვლელობის, გაუპატიურების (მათ შორის არასრულწლოვანი პირების) ფაქტები, რისი ფოტო და ვიდეო მასალები ორივე მხარეს მოეპოვება.⁴

საბრძოლო მოქმედებების გააქტიურებასთან ერთად გაიზარდა დევნილთა რაოდენობაც. აპრილის ბოლოსთვის მათმა ოდენობამ 12 357 მიაღწია. იძულებით გადაადგილებულ პირთა აბსოლუტურ უმრავლესობას ქალები და ბავშვები შეადგენდნენ. მათი ნაწილი – კიშინიოვს, ნაწილი კი ოდესის ოლქს აფარებდა თავს.⁵

10 მაისიდან, კონფლიქტის რეგიონში, კერძოდ კი დუბოსარის რაიონში, სიტუ-

¹ А. Паламарь. Приднестровская война, история в иллюстрациях. Тирасполь, 2012, გვ. 22.

² В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 2, გვ. 149.

³ Русский солдат в молдавском плену. <https://www.youtube.com/watch?v=-UW6-rZpDvk>.

⁴ Н. В. Бабилунга, Б. Г. Бомешко. Дубоссары – кровоточащая рана Приднестровья. Тирасполь, 1993, გვ. 19, 21, 24, 25.

⁵ Беженцы. Независимая Молдова, №77 (125), 27/04-3/05.1992, გვ. 3.

აცია გამწვავდა. 19 მაისს მოლდოველმა ძალოვნებმა დნესტრისპირელ ძალოვანთა პოზიციებზე წარუმატებელი იერიში მიიტანეს.¹ იმავე დღეს, 59-ე დივიზიის 183-ე მოტომსროლელი პოლკის შეიარაღებიდან დნესტრისპირელ გვარდიელებს T-64 ტიპის 10 ტანკი და ამდენივე ჯავშანტრანსპორტიორი BTR-70 გადაეცათ. პროცესს პოდპოლკოვნიკი ა. ს. სეროვი ხელმძღვანელობდა. მეტიც, ის პოლკის 100-ზე მეტ ჯარისკაცსა და ოფიცერთან ერთად პოზიციებზე გავიდა და ბრძოლებში ჩაერთო² (აღსანიშნავია, რომ იარაღის გადაცემას წინ კვლავ „დნესტრისპირელ ქალთა“ გაერთიანების წევრების მიერ სამხედრო ნაწილის პიკეტირება უძღოდა), რაც იყო მასის თვეში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინის მიერ გამოცემული №320 დეკრეტის პირდაპირი დარღვევა.³

საბრძოლო მოქმედებები მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. როგორც მოლდოველი, ასევე დნესტრისპირელი მებრძოლები ერთმანეთის პოზიციებს საარტილერიო დანადგარებისა და ნაღმმტყორცნების გამოყენებით ხშირად ბომბავდნენ. პირადი შემადგენლობის დაბალი სამხედრო მომზადების დონის გამო, ჭურვები და ნაღმები ხშირად მშვიდობიანი მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებსა და ინფრასტრუქტურულ ნაგებობებს ეცემოდა. შედეგად, იყო მსხვერპლი რიგით მოქალაქეთა შორის, რაც ურთიერთდაპირისპირებას უფრო ამძაფრებდა და კონფლიქტს უფრო სასტიკ სახეს სძენდა. ივნისის ბოლოს მოლდოვურმა მხარემ, საბრძოლო მოქმედებების მსვლელობის განმავლობაში პირველად, საავიაციო იერიში მიიტანა დნესტრისპირელთა პოზიციებზე. МИГ-29 ტიპის ავიაგამანადგურებლებმა მდინარე დნესტრზე არსებულ სარკინიგზო და საავტომობილო ხიდს, რომელიც მეამბოხე ქალაქ ბენდერის დნესტრისპირეთთან აკავშირებდა, 250 და 500 კგ-იანი ბომბები ესროლეს. მფრინავთა დაბალი კვალიფიკაციის გამო, ისინი სამიზნეს ასცდნენ და იქვე მდებარე, მეტწილად ბულგარელებით დასახლებულ პარკანის მიმდებარე ტერიტორიას დაეცნენ. აფეთქებებს მოჰყვა ნგრევა. რამდენიმე პარკანელი დაიღუპა და დაშავდა.⁴

¹ А. Паламарь. Приднестровская война, история в иллюстрациях, გვ. 26.

² Алиев Н. Армяно-азербайджанский нагорно-карабахский конфликт и приднестровский конфликт: современное состояние и перспективы урегулирования. Материалы Международной научно-практической конференции, Кишинев, Республика Молдова, 1 июня 2012 г. Кишинев, 2012, გვ. 81.

³ И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, გვ. 214-215.

⁴ А. Паламарь. Приднестровская война, история в иллюстрациях, გვ. 36.

ქალაქ ბენდერიში განთავსებულ მოლდოველ პოლიციელთა მდგომარეობა მძიმე იყო. ისინი დნესტრისპირელებს ყელში ძვლად ეჩხირებოდნენ. ძალოვნები, ერთის მხრივ, გვარდიელებს ჰყავდათ ბლოკირებული, მეორეს მხრივ კი – იური კოსტენკო, თავის კაზაკებთან ერთად, მათი სახელით პროვოკაციულ ქმედებებს არ წყვეტდა, რითიც მოსახლეობას კიშინიოვის წინააღმდეგ განაწყობდა. ჩვენი აზრით, ცხადი იყო, რომ ეს დირექტივა მათ ტირასპოლიდან ჰქონდათ მიღებული. 9 ივნისს მოლდოვის რესპუბლიკის პარლამენტმა რეგიონში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. 17 ივნისს კი მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროს რეგიონების წარმომადგენლებთან ერთად მიიღეს დადგენილება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ,¹ თუმცა სამშვიდობო პროცესს ხელი ქალაქ ბენდერიში მომხდარმა მოვლენებმა შეუშალა.

19 ივნისს, ბენდერის ტიპოგრაფიის შენობაში, პროკლამაციების ასაღებად მისულ გვარდიელებსა და მოლდოველ პოლიციელებს შორის, რომელთაც მათი დოკუმენტების შემოწმება სურდათ, სროლა ატყდა. ინტენსიურ, რამდენიმესაათიან შეტაკებას ორმხრივი მსხვერპლი მოჰყვა. გვარდიელებს მიღიციელები და კაზაკები წამოეშველნენ. თავის მხრივ, გააქტიურდა მოლდოვური მხარეც. პრეზიდენტ მირჩა სნეგურის თანხმობით, შინაგან საქმეთა მინისტრმა ქალაქისაკენ უწყების ნაწილები დაძრა.² სამართალდამცავები ბენდერიში ორი მიმართულებიდან შევიდნენ. მათ ზურგს 10-მდე ჯავშანტრანსპორტიორი, მთ-ლბ ტიპის ამდენივე ჯავშანგამწევი და რამდენიმე ტანკსა წინააღმდეგო ქვემეხი უმაგრებდა. აღსანიშნავია, რომ ბენდერიში იყო მე-14 არმიის რამდენიმე სამხედრო ნაწილი, რაც ამ ქმედებებს კიშინიოვისათვის სახიფათოს ხდიდა. ბევრი ჯარისკაცი ადგილობრივი იყო, ზოგიერთი მათგანის ოჯახები კი იქვეცხოვობდნენ. სროლების შედეგად იყო მათი საცხოვრებლების დაზიანებისა და ოჯახის წევრების დაშავება-დაღუპვის ფაქტებიც, რაც სამხედრო მოსამსახურეებში დამატებით გამაღიზიანებელ ეფექტს ახდენდა. რუსი ჯარისკაცების მეამბოხეების მხარეს ბრძოლისა და მათი იარაღით მომარაგების ფაქტები ბენდერის მოვლენებამდეც არაერთხელ დაფიქსირებულა, ამიტომ, ქალაქში მიმდინარე სროლების ფონზე, სმირნოვის მომხრეთათვის 59-ე მოტომსროლელი დივიზიიდან დიდი რაოდენობით იარაღ-

¹ И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 427-428.

² Э. Волков. Мирча Снегур – Откровенные диалоги. Кишинев, 2007, гл. 444.

ის, საბრძოლო მასალების, ჯავშანტრანსპორტიორებისა და ტანკების გადაცემის ფაქტი გასაკვირი არ არის. როგორც ადრე, ამ შემთხვევაშიც, ტექნიკის გაცემას წინ „დნესტრისპირელ ქალთა“ წევრების საპროტესტო აქცია უმღოდა, რომელზეც ისინი არმიის წარმომადგენლებს „მოლდოველი ფაშისტების მხრიდან მათი გენოციდის შეჩერებას“ ითხოვდნენ.¹

ქალაქ ბენდერის ქუჩებში გააფთრებული ბრძოლები გაიმართა. დიდი იყო ნგრევის მასშტაბები და, როგორც ეს ურბანულ გარემოში მიმდინარე სროლებს ახასიათებს, დიდი იყო მსხვერპლი მშვიდობიან მოქალაქეებს შორის. თავდაპირველად მოლდოვურმა მხარემ გარკვეული უპირატესობა მოიპოვა. დნესტრისპირელები ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში გამაგრდნენ და ბრძოლებს იქიდან ხელმძღვანელობდნენ. თუმცა ოპერაციის სპონტანური და სუსტი დაგეგმვა მოვლენების მსვლელობაზე აისახა. მოიერიშეთა უმეტესობა არ იცნობდა ქალაქს, ვერ ხდებოდა მოქმედების კოორდინირება, პრაქტიკულად არ არსებობდა კავშირგაბმულობის საშუალებები, იგრძნობოდა ძალოვანთა სამხედრო საქმეში გამოუცდელობაც. თავის მხრივ სეპარატისტებმა მოახერხეს ძალების მობილიზება. მდინარე დნესტრის მარჯვენა ნაპირზე, იმ ხიდით, რომელიც მოლდოვურმა ავიაციამ ვერ გაანადგურა, ბენდერიში მაშველი ძალა კაზაკებისა და დნესტრისპირელ გვარდიელების სახით მოვიდა. 20 ივნისს კი იგორ სმირნოვმა არაღიარებული რესპუბლიკის ტერიტორია-ზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და თანამოქალაქეებს „მოლდოვური აგრესის საერთო ძალებით მოგერიებისაკენ“ მოუწოდა. იმავე დღეს, მოლდოვის პარლამენტს მე-14 არმიის სამხედრო საბჭომ მიმართვა გაუგზავნა. ისინი ბენდერში მიმდინარე მოვლენებში პასუხისმგებლობას კიშინიოვს აკისრებდნენ და საკუთარ მოთხოვნებს აყენებდნენ, რაც მოლდოვური მხარის მიერ ყველა მიმართულებაზე ცეცხლის დაუყოვნებლის შეწყვეტას გულისხმობდა. მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი აქტიურ ქმედებებზე გადასვლით, ანუ დნესტრისპირელთა მხარეზე საჯაროდ გადასვლითა და მათთან ერთად, არმიის კუთვნილი შეიარაღების გამოყენებით, იერიშზე გადასვლით იმუქრებოდნენ.²

მე-14 არმიის ხელმძღვანელობას არანაირი იურიდიული და მორალური უფლე-

¹ А. Паламарь. Приднестровская война, история в иллюстрациях, гл. 13.

² И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 437.

ბა არ ჰქონდა მსგავსი შინაარსის წერილის დაწერისა და, მით უმეტეს, ულტიმატუმის ენით საუბრისა, რადგანაც მოლდოვა სუვერენული სახელმწიფო იყო. ამასთან, როგორც აღინიშნა, ნეიტრალიტეტის ოფიციალური სტატუსის დიდად ერთგულნი მე-14 არმიის ჯარისკაცები არც ბენდერის ბრძოლებამდე იყვნენ, 20 ივნისის შემდეგ კი მათ აშკარად დაიჭირეს სეპარატისტთა მხარი. ასე, მაგალითად, ტირასპოლთან განთავსებულმა საარტილერიო დივიზიონმა ივნისის ბოლოს დაიწყო მდინარე დნესტრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული მოლდოვური პოზიციების დაბომბვა. განსაკუთრებით ინტენსიურად ჭურვები სოფელ კიცკანში ცვიოდა, იქ, სადაც ძალოვანთა შტაბი იყო განთავსებული. ბენდერის ციხესიმაგრეში განთავსებულმა მე-14 არმიის ქიმიური თავდაცვისა და საზენიტო-სარაკეტო დივიზიონის შემადგენლობამ, იქ თავშეფარებულ კაზაკებსა და გვარდიელებთან ერთად, ცეცხლი გახსნა და მოლდოველებს, რომლებიც ხიდის გაკონტროლებას ცდილობდნენ, დიდი დანაკარგებით უკან დახევა აიძულა.¹

ქალაქ ბენდერიში მიმდინარე ბრძოლები გაიწელა. ორივე მხარე დაპირისპირებაში ახალ-ახალ ძალებს რთავდა. დნესტრისპირელები, რომლებსაც ზურგი მე-14 არმიამ ტექნიკითა და პირადი შემადგენლობით გაუმაგრა, მძიმე შეტაკებების შემდეგ, ქალაქში ტანკების გამოყენებით შევიდნენ. აღსანიშნავია, რომ შეიარაღებული დაპირისპირებისას ორივე მხარე აქტიურად იყენებდა სნაიპერებს, არტილერიასა თუ ყუმბარმტყორცნებს.² ეს გარემოება კი ქალაქში ნგრევის მასშტაბებსა და მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის რაოდენობას ზრდიდა.

23 ივნისს ტირასპოლში მოსკოვიდან დელეგაცია ჩავიდა. ესენი იყვნენ სამხედრო პირები, რომლებსაც არსებული ვითარება ადგილზე უნდა შეესწავლათ. ერთ-ერთი მათგანი, სამხედრო სადესანტო ჯარების მეთაური, ალექსანდრე ლებედი გახლდათ. მის ზურგს უკან ავღანეთის ომი, თბილისისა და ბაქოს ტრაგიკული მოვლენები და ტაჯიკეთის სამოქალაქო დაპირისპირება იყო. ჯარისკაცები მას როგორც ხისტ, მაგრამ კარგ შემტევ, ერთი სიტყვით, „ნამდვილ რუს“ მეთაურად ახასიათებდნენ და მისდამი დადებითად იყვნენ განწყობილი. ალბათ სწორედ ამიტომაც, მე-14 არმიის ოფიცერთა დიდმა ნაწილმა, მათი აზრით, უნიათო გენერალ-მაიორ იური ნეტკაჩოვის

¹ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 2, გვ. 164-167.

² Хроника необъявленной войны. Приднестровье. <https://www.youtube.com/watch?v=m3kaSAwQ0D4>.

ლებედით ჩანაცვლება მოითხოვა. მოსკოვიდან თანხმობამაც არ დააყოვნა. გენერალი ლებედი მე-14 არმიის მართვას ოფიციალურად 27 ივნისს შეუდგა. მისი ბრძანებით, ჯარისკაცებმა დაიწყეს მოლდოვური არმიის პოზიციების, სამეთაურო პუნქტებისა და საწყობების ადგილმდებარეობის დადგენა. ამის შემდეგ კი 30 ივნისს, BM-21 „გრადის“ ტიპის რეაქტიული ზალპური ცეცხლის საარტილერიო დანადგარების დივიზიონიდან, განსაზღვრულ კოორდინატებზე იერიში მიიტანეს. შედეგად, სამთავრობო მალებმა ტექნიკასა და ცოცხალი ძალის სახით მძიმე დანაკარგები ნახეს. იყო ნგრევა და მსხვერპლი მდინარე დნესტრის მარჯვენა სანაპიროს სოფლებშიც. საარტილერიო იერიშები მოლდოვური მხარის პოზიციებზე კიდევ ორ დღეს გაგრძელდა.¹ კიშინიოვში მიხვდნენ, რომ გენერალ ლებედის სახით დნესტრისპირეთში დისლოცირებულ რუსულ არმიას სათავეში პირდაპირი, საერთაშორისო იურიდიული ნორმების არცთუ ისე დიდი მცოდნე და დამფასებელი პირი ჩაუდგა, რომელიც დასახულ ამოცანას, მიღებულ ბრძანებას ნებისმიერ ფასად შეასრულებდა.

ივლისის დასაწყისში ლებედმა დიდი პრესკონფერენცია გამართა. მასზე ათობით ადგილობრივი თუ უცხოელი ჟურნალისტი იქნა მოწვეული. შეხვედრა მონოლოგის რეჟიმში წარიმართა. გენერალმა ლებედმა შექმნილ ვითარებაში ბრალი ოფიციალურ კიშინიოვსა და მოლდოვის პრეზიდენტს, მირჩა სწერულ დასდო. მისი აზრით, დნესტრისპირეთში არა ეთნიკურ დაპირისპირებას, არამედ კიშინიოვის მხრიდან „საკუთარი ხალხის გენოციდს“ ჰქონდა ადგილი. მან მოლდოველი პოლიტიკოსები ფაშისტებს შეადარა: „დაე, ყველამ გაიგოს, რომ ამ მადლიან მიწაზე ფაშიზმის აჩრდილი ჩამოწვა. დაე, გავიხსენოთ, რა დიდი საზღაური გადავიხადეთ 47 წლის წინ მის გასანადგურებლად. ერმა თავისი ისტორიული მახსოვრობა უნდა აამოქმედოს, გაიხსენოს, რა შედეგები მოსდევს ფაშისტებთან დათმობაზე წასვლას. მან უნდა გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ ფაშისტებმა დაიკავონ თავიანთი კუთვნილი ადგილი ბოძე (სახრჩობელაზე), სასურველია კოჩიარის პლაცდარმზე, ადგილზე, რომლის მიწაც მორწყულია წითელარმიელების მიერ 1941-1945 წლებში დალვრილი სისხლით“. მისივე განცხადებით, რუმინელი ინსტრუქტორების დახმარებით, მზადდებოდა მოლდოვური არმიის სამხედრო ქვედანაყოფები, რომლებიც უახლოეს მომა-

¹ Памяти А. Л. Лебедя. <http://приднестровец.рф/pridnestrove-novosti/news/bendery/pamyati-aleksandra-ivanovicha-lebedya/>.

ვალში საბრძოლო მოქმედებების ზონაში უნდა გადმოესროლათ: „ბელცის აეროდ-რომზე, იქ დისლოცირებული МИГ-29 ტიპის თვითმფრინავების სამართავად, რუმინეთიდან 32 მოხალისე პილოტი იქნა ჩამოყვანილი. ბუქარესტმა კიშინიოვს МИГ-25 ტიპის 25 საფრენი აპარატი გადასცა. გაზრდილია ბალტიისპირელ სნაიპერთა რაოდ-ენობა. მსხვილვალიბრიანი რეაქტიული ზალპური ცეცხლის მსხვილვალიბრიანი სა-არტილერიო დანადგარი „ურაგანის“ დივიზიონის მეშვეობით იგეგმება ქალაქ ტირას-პოლის დაბომბვა“. საიდან ჰქონდა მას ეს მონაცემები და რაზე დაყრდნობით საუბ-რობდა სიტყვამუნწი გენერალი, უცნობია, რადგანაც უურნალისტებს მან შეკითხვების დასმის უფლება არ მისცა.¹ 1992 წლის ზაფხულში, დნესტრისპირეთში, გენერალ ალ-ექსანდრე ლებედის მიერ გადადგმული ბევრი ნაბიჯი, როგორც კიშინიოვში, აგრეთვე მოსკოვში, პოპულისტურად შეაფასეს. მისი ხმამაღალი განცხადებები განსაკუთრებულ მხარდაჭერას რუსული არმიის პირად შემადგენლობასა და ბევრ რიგით მოქალაქეში პოულობდა. ეს მხარდაჭერა მას რამდენიმე წლის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრისას დიდად დაეხმარა. მართალია, მან საკუთარი კანდიდატურა ბორის ელცინის სასარგებლოდ მოხსნა, თუმცა სანაცვლოდ კრას-ნოიარსკის მხარის გუბერნატორის თანამდებობა მიიღო. გენერალი ლებედი 2002 წლის 28 აპრილს ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

დნესტრისპირეთში განცდილმა საბრძოლო მარცხმა ე.წ. „უნიონისტებისა“ და „სახალხო ფრონტის“ პოზიციები მნიშვნელოვნად შეასუსტა. ცვლილებები მოხდა მინისტრთა კაბინეტშიც. მთავრობის მეთაურმა ანტონ მურავსკიმ და თავდაცვის მინისტრმა იონ კოსტაშმა თანამდებობები დატოვეს. გამოთავისუფლებული ადგილები პრორუსულად განწყობილმა „აგრარული მოძრაობის“ წევრებმა დაიკავეს.²

9 ივლისს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში მოლდოვის, რუსეთის ფედერაციისა და რუმინეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.³ 21 ივლისს კი მოსკოვში მირჩა სნეგურმა და მისმა რუსმა კოლეგამ, ბორის ელცინმა კონფლიქტის რეგიონში არსებული დაპირისპირების მშვიდობიანი გზით

¹ Пресс-конференция генерала Лебедя, 1992. https://www.youtube.com/watch?v=eOyjEzMd15s&index=253&list=LLOqkTany_ny3HzJTdXdcmQ.

² История Республики Молдова, гл. 335.

³ И. Косташ. Дни затмения. Хроника необъявленной войны, гл. 565.

დარეგულირების შეთანხმებას მოაწერეს ხელი (იხ. დანართი №4).¹ ხელმოწერის პროცესს არაღიარებული დნესტრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკის ლიდერი იგორ სმირნოვიც ესწრებოდა.

29 ივლისს ტირასპოლის სამხედრო აეროდრომზე რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი სატრანსპორტო თვითმფრინავების ესკადრილია დაეშვა. მათ ბორტებზე პირველი რუსი სამშვიდობოები იყვნენ. 31 ივლისს ისინი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ. 1 აგვისტოს კი მხარეებმა წინა ხაზებიდან მძიმე ტექნიკის გაყვანა დაიწყეს. მოლდოველებსა და დნესტრისპირელებს შორის სამშვიდობო კონტინგენტი ჩადგა.² აღსანიშნავია, რომ რუსეთის მხრიდან შვიდი, მოლდოვისა და დნესტრისპირეთის მხრიდან კი – სამ-სამი ცალკეული ბატალიონი იყო წარმოდგენილი.³

დნესტრისპირეთში მიმდინარე კონფლიქტმა ორივე მხრიდან, საერთო ჯამში, 1000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დაიღუპა 500-ზე მეტი დნესტრისპირელი. მათი დაახლოებით 40% მშვიდობიანი მოქალაქე იყო. მოლდოველ ძალოვნებთან ბრძოლას 100-ზე მეტი უცხოელი მოხალისის, მეტწილად კაზაკების, სიცოცხლეც ემსხვერპლა. სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება 899 პირმა მიიღო. მოლდოველმა სამართალდამცავებმა კი დაღუპულების სახით 152 მებრძოლი დაკარგეს, 573 პირი კი – დაიჭრა. დიდი იყო მატერიალური ზარალიც. მან 10 მილიარდ რუბლს მიაღწია. დაინგრა 700-მდე საცხოვრებელი სახლი და კორპუსი, დაზიანდა 300 ბინა, 200-ზე მეტი საწარმო დაიწვა ან გაიმარცვა. ყველაფერმა ამან კი რესპუბლიკის ისედაც რთული ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. მარცხმა „სახალხო ფრონტის“ პოზიციები მნიშვნელოვანწილად შეარყია.⁴

საბრძოლო მოქმედებები დასრულდა. მდინარე დნესტრის ნაპირებზე აღარ ისროდნენ. დაიწყო მშვიდობისა და ნდობის აღდგენის ძალიან რთული და დროში გაწელილი პროცესი. მშვიდობისმყოფელის როლი დნესტრისპირეთის რეგიონში რუსეთის ფედერაციამ იტვირთა.

¹ Н. В. Штански. Переговорный процесс между Приднестровской Молдавской Республикой и Республикой Молдова в документах. Бендери, 2004, გვ. 15-17.

² А. Паламарь. Приднестровская война, история в иллюстрациях, გვ. 101.

³ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 2, გვ. 179.

⁴ В. Я. Гросул. История Приднестровской Молдавской Республики, т. 2, გვ. 177.

თავი III. დნესტრისპირელი მებრძოლები აფხაზეთში

დნესტრისპირეთის რეგიონში საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ, ადგილობრივი სეპარატისტები და მათ დასახმარებლად, რუსეთის ფედერაციიდან ჩასული ბოევიკები უქმად დიდხანს არ ყოფილან. 1992 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სარკინიგზო მიმოსვლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ სამთავრობო ჯარები შეიყვანა. სეპარატისტულად განწყობილი აფხაზების შეიარაღებული დაჯგუფებების პროვოკაციული ქმედებების შედეგად, ქართული მხარე საბრძოლო მოქმედებებში აღმოჩნდა ჩათრეული. ომმა 13 თვესა და 13 დღეს გასტანა და საერთო ჯამში, ორივე მხრიდან მასში მონაწილეობა 40 000-ზე მეტმა მებრძოლმა მიიღო. აღსანიშნავია, რომ ეს რიცხვი, ისევე როგორც საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა კითხვა დღემდე პასუხგაუცემელია.

აფხაზურ მხარეს მებრძოლ პირთა ეთნიკური შემადგენლობა არაერთგვაროვანი იყო. მათ რიგებში როგორც პოსტსაბჭოთა, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებიც იყვნენ. საინტერესოა ისიც, რომ სეპარატისტთა შეიარაღებულ დაჯგუფებებში არაღიარებული დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკის მოქალაქეებიც იბრძოდნენ. ტირასპოლი გუდაუთას მატერიალურ-ტექნიკური კუთხითაც აქტიურად ეხმარებოდა. ეს ლოიალური დამოკიდებულება, ერთი შეხედვით, იმ ფაქტითაც იყო გამოწვეული, რომ სოხუმისა და თბილისის დაპირისპირება თითქმის იგივე შინაარსის მატარებელი იყო, როგორიც ტირასპოლისა და კიშინიოვის, რომელიც 1992 წლის გაზაფხულზე ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდა.

დნესტრისპირელი მოხალისეები აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში კონფლიქტის საწყის ეტაპზე ჩაერთნენ. 1992-1993 წლებში ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში მონაწილეობა არაღიარებული რესპუბლიკის 65 მაცხოვრებელი იღებდა მონაწილეობას. ომის მსვლელობისას, ორი მათგანი დაიღუპა, ექვსი კი – დაიჭრა. საგულისხმოა, რომ დნესტრისპირელ მოხალისეთა დიდი ნაწილი მოლდოვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დისლოცირებული მე-14 არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურე იყო, რომელთა ნაწილსაც საკმაოდ მდიდარი საბრძოლო გამოცდილება ავღანეთსა და დნესტრისპირეთის რეგიონში მიმდინარე საომარ

მოქმედებებში ჰქონდათ მიღებული. ბევრი მათგანი საბჭოთა არმიის საკადრო ოფიც-
ერი იყო, შესაბამისად, ისინი ზედმიწევნით კარგად ფლობდნენ იმ საჭირო და სპეცი-
ფიკურ ცოდნას, როგორიც, მაგალითად, არტილერისტის, მეზენიტის, მზვერავისა თუ
მესანგრის სპეციალობა იყო.

აფხაზეთში მოხალისეთა პირველი ნაკადი, რომელიც ჩრდილოკავკასიელების-
გან, კერძოდ კი, ყაბარდოელებისაგან იყო დაკომპლექტებული, 15 აგვისტოს ჩავიდა.¹
ეს იყო 27-კაციანი ჯგუფი ვიტალი შოროვის ხელმძღვანელობით. მანამდე, 21 აგვის-
ტოს კი საქართველოს ომი მთიელ ხალხთა კონფედერაციამ გამოუცხადა. ამის შედე-
გად, სეპარატისტების მხარეს საბრძოლველად დაახლოებით 300 ჩეჩენი, დაღესტნე-
ლი, ყაბარდოელი და ადილეელი მოხალისე დაიძრა. სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთ-
იდან ჩასულ 150-მდე მოხალისეს კი ცხინვალელი სეპარატისტი, შიდა ქართლში მიმ-
დინარე საბრძოლო მოქმედებების აქტიური მონაწილე, კონსტანტინე (კოსტა) ხუბუ-
ლოვი მეთაურობდა.² შესაბამისად, აფხაზ სეპარატისტთა მხარეს მებრძოლთა რაოდე-
ნობა მკვეთრად გაიზარდა.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაწყებულ საბრძოლო მოქმედებებს
დიდი გამოხმაურება მოჰყვა პოსტსაბჭოთა სივრცეში. როგორც მოსალოდნელი იყო,
განსაკუთრებით გულთან ახლოს აფხაზი სეპარატისტების გასაჭირი მათმა „კოლე-
გებმა“, დნესტრისპირელმა სეპარატისტებმა მიიტანეს.

ხელშეკრულებას „მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ“ აფხაზმა და
დნესტრისპირელმა სეპარატისტებმა ხელი 1993 წლის 26 იანვარს მოაწერეს. ეს იყო
14-პუნქტიანი დოკუმენტი, რომელსაც ხელს სეპარატისტთა ლიდერები, იგორ სმირ-
ნოვი და ვლადისლავ არძინბა აწერდნენ. ის ათი წლის ვადით დაიდო. ყოველ მეათე
წელს მხარეთა საკანონმდებლო ორგანოები, შესაბამისი სურვილის შემთხვევაში, ათი
წლით ახანგრძლივებენ მის მოქმედებას.

ხელმოწერილ დოკუმენტში აფხაზი და დნესტრისპირელი სეპარატისტები პი-
რობას დებდნენ, რომ თავიანთ „სახელმწიფოებს“ ისინი დემოკრატიულ საფუძვლებ-
ზე შექმნიდნენ, სადაც ყველა ადამიანის ღირსება, უფლება და თავისუფლება, მიუხ-

¹ 15 августа 1992 года в Абхазию прибыла первая группа добровольцев. <http://abkhazia-pmr.org/news.php?id=649>.

² Валерий Хубулов – Герой Осетии, Абхазии, Кавказа. <https://www.youtube.com/watch?v=CyYcZk3qIlk>.

ედავად მისი ეროვნებისა თუ რელიგიური კუთვნილებისა, დაცული იქნებოდა. ისინი პირობას დებდნენ, რომ სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საქმეში ისინი ერთმანეთს ძმურ დახმარებას გაუწევდნენ, ამასთან აქტიურად ითანამშრომლებდნენ მათ წინაშე არსებული სოციალ-პოლიტიკური გამოწვევების გასამკლავებლად. ხელშეკრულების მე-11 მუხლი კი სამხედრო აგრესიის შემთხვევაში ურთიერთდახმარებას ითვალისწინებდა.

„ერთ-ერთ რესპუბლიკაზე სამხედრო თავდასხმის საფრთხის შემთხვევაში მხარეებიო დაუყოვნებლივ დაიწყებენ კონსულტაციებს აგრესიის მოგერიებისათვის აუცილებელი ზომების მისაღებად“, – წერია ხელშეკრულების აღნიშნულ პუნქტში.¹

აღსანიშნავია ისიც, რომ 1994 წლის 12 ოქტომბერს ანალოგიური შინაარსის ხელშეკრულება დნესტრისპირელმა სეპარატისტებმა თავიანთ ე.წ. „სამხრეთ ოსეთელ“ „კოლეგებთანაც“ გააფორმეს. მოგვიანებით, 2016 წლის 20 სექტემბერს ცხინვალში ხელი ახალ, 22-პუნქტიან დოკუმენტს მოეწერა, სადაც მხარეები ერთმანეთს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, საგანმანათლებლო თუ სხვა საკითხებში მჭიდრო მხარდაჭერას აღუთქვამებ.²

აღსანიშნავია, რომ სიღრმისეული ინტერვიუირებისას, რომელიც ჩაუტარდა აფხაზეთში ნაბრძოლ ერთ-ერთ დნესტრისპირელ მოხალისეს, მის მიერ იქნა აღნიშნული, რომ მიზეზი იყო არა ფინანსური დაინტერესება, არამედ „იდეური სიახლოვე და თანაგრძნობა აფხაზი ხალხის ბრძოლისადმი, რომელსაც პატარა ერი აწარმოებდა დიდი, აგრესიული მეზობლის წინააღმდეგ“.³

დნესტრისპირეთში, ისევე როგორც რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ქალაქებში დაიწყო მოხალისეთა ჯგუფების შეკრება, რათა ჩასულიყვნენ აფხაზეთში ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მათი პირველი ჯგუფი, სახელად „დელფინი“ აფხაზეთში სექტემბრის ბოლო რიცხვებში ჩავიდა. ჯგუფის ხელმძღვანელი, დიმიტრი ვლადიმერის ძე კატკოვი, ზედმეტსახელად „ლუჟა“, გამოცდილი სამხედრო პირი იყო. მონაწილეობას იღებდა ავღანეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში, 1992

¹ Договор между Приднестровской Молдавской Республикой и Республикой Абхазия о дружбе и сотрудничестве. <http://mfa-pmr.org/ru/dDJ>.

² Договор о дружбе, сотрудничестве и партнёрстве между Приднестровской Молдавской Республикой и Республикой Южная Осетия. <http://mfa-pmr.org/ru/Pjf>.

³ ინტერვიუ სსრკ არმიის თადარიგის ოფიცერთან, დიმიტრი ალექსანდრეს ძე ბელოუსოვთან. 28.01.16.

წელს კი მისი მეთაურობით სეპარატისტები კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად კიშინიოვიდან მეამბოხე რეგიონში მივლინებულ სამართალდამცავებს წარმატებით ებრძოდნენ. საბჭოთა არმია მან უფროსი ლეიტენანტის ჩინით, 1991 წლის სექტემბერში დატოვა. სპეციალობით, მესანგრე იყო.¹

დნესტრისპირელ მოხალისეთა პირველი ჯგუფი 15 მოხალისის შემადგენლობით, აფხაზეთში 1992 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში ჩავიდა. კონფლიქტის ზონაში მოსახვედრად მათ დიდი გზა გაიარეს. თავდაპირველად ოდესაში ჩავიდნენ, იქიდან ბარჟით სევასტოპოლში გადავიდნენ, შემდეგ კი გემით სოჭში ჩავიდნენ. ამ დროისათვის სეპარატისტები უკვე აკონტროლებდნენ საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ფსოუს მონაკვეთს, საიდანაც აფხაზები დაუბრკოლებლად იღებდნენ ცოცხალი ძალით შევსებას.

1993 წლის 11 მაისიდან 10 ივლისის ჩათვლით მოხალისეთა რაზმი, „დელფინი“ ე.წ. „აღმოსავლეთ ფრონტის“ შემადგენლობაში მოქმედებდა.² დნესტრისპირელები საბრძოლო მოქმედებებში მაღევე ჩაერთნენ. ისინი ინსტრუქტორების ფუნქციებსაც ხშირად ითავსებდნენ და აფხაზ სეპარატისტებს საბრძოლო პოზიციების გამაგრება-მომზადებაში ეხმარებოდნენ. ამავდროულად ქართველების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე სადაზვერვო-დივერსიულ რეიდებში მონაწილეობდნენ. ისინი დებდნენ ტანკ და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს, ამონტაჟებდნენ შენელებული მოქმედების ასაფეთქებელ მოწყობილობებს და ა.შ. ინტერნეტსივრცეში ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში დნესტრისპირელ მოხალისეთა მონაწილეობის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა მრავლად არის.³ აქვე შეგიძლიათ ნახოთ იმ პატაკების ელექტრონული ვერსიები, სადაც ისინი დეტალურად აღწერდნენ თავიანთი სადაზვერვო-დივერსიული ოპერაციების მსვლელობას. მოხსენებების ადრესატი დნესტრისპირეთის არაღიარებული მოლდოვური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-მაიორი ნ. ს. მატვეევი იყო. რამდენიმე მოხსენებას, რომლებიც 1993 წლით თარიღდება, უცვლელად გთავაზობთ:

„მოგახსენებთ, რომ 25/06/1993, ჯგუფმა კაპიტან კ. მ. კამენევისა და ა. ს. ბუტკოს

¹ ინტერვიუ სსრკ არმიის თადარიგის ოფიცერთან, დიმიტრი ალექსანდრეს ძე ბელოუსოვთან. 28.01.16.

² Дж. Гамахария. Трагедия Абхазии, Грузия на суд российской общественности. Тбилиси, 2016, გვ. 130.

³ В Абхазскую армию набрали русский спецназ. <http://cuxymu.livejournal.com/924758.html>.

შემადგენლობით, სადაზვერვო-დივერსიულ ქვედანაყოფ „ლამურასთან“ ერთად, 18-00, სოფელ აძიუბჟას მიდამოებში, გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „იგლა“-დან, ესროლა რაკეტა საქართველოს სამხედრო-საპატიო ძალების კუთვნილ ტუ-134 სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავს.¹ გასროლა მოწინააღმდეგის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან განხორციელდა. რაკეტა მარჯვენა ძრავის ახლოს აფეთქდა. შედეგად საფრენმა აპარატმა მძიმე დაზიანება მიიღო, თუმცა ეკიპაჟმა ალმოდებული ტუ-134-ის დასმა აეროპორტში მაინც მოახერხა.² აღდგენას არ ექვემდებარება. მტერს სოლიდური მატერიალური ზიანი მიადგა.³

ამის შემდეგ, 21:00 სთ-ზე, ჯგუფი მდინარე კოდორზე არსებული ხიდისაკენ მისი აფეთქების მიზნით გაემართა. თუმცა, სოფელ ახალდაბასთან (ხელნაწერი დოკუმენტის [აღნიშნული ანგარიშების ელექტრონული ვერსიის ხილვა შესაძლებელია გიორგი ჯახაიას ვებგვერდზე <https://cuxymu.livejournal.com/1771981.html>⁴] გაშიფვრისას შეცდომა იქნა დაშვებული და დაბეჭდილ ვერსიაში არარსებული „ახალორსტა“ დაიწერა⁵ – ვ.შ.) მოწინააღმდეგის მიერ მოწყობილ ჩასაფრებაში მოჰყვა. სროლა ახლოდან, 15-20 მეტრის დისტანციიდან წარმოებდა. შედეგად, რაზმის ერთი წევრი დაიჭრა. ქართველებს დამხმარე ძალა წამოეშველა. რაზმს მასიური ცეცხლი გაუხსნეს ფრონტალური და მარჯვენა ფლანგის მხრიდან. მიღებულ იქნა უკან დახევის გადაწყვეტილება. დაჭრილ თანამებრძოლთან ერთად დროებითი განთავსების პუნქტში, სოფელ „ატარა აფხაზსკაიაში“ მივედით“.

მილიციის კაპიტანი, ი. კ. პიმენოვი¹

¹ სინამდვილეში, ამ კლასის თვითმფრინავი სამზავრო დანიშნულებისაა. მსგავსი საფრენი აპარატების მიმართულებით ცეცხლის გახსნა სამხედრო დანაშაულად ითვლება. მსგავსი ფაქტები, რომელსაც თან ახლდა მსხვერპლი მშვიდობიან მოქალაქეთა შორის, ამ ომის დროს არაერთხელ დაფიქსირდა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ საბრძოლო მოქმედებებისას საბრძოლო მოქმედებებისას სამოქალაქო დანიშნულების განადგურებული ყველა თვითმფრინავი ქართული მხარის კუთვნილებაში იყო – ვ.შ.

² მოგვიანებით, 1993 წლის 23 სექტემბერს ეს თვითმფრინავი აფხაზი სეპარატისტების მიერ აეროპორტის ტერიტორიის დაბომბვისას დაიწვა. აეროპორტის ტერიტორიაზე იმ მომენტში ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე იმყოფებოდა და აღყაშემორტყმული სოხუმიდან გაღწევას ცდილობდა. ეს ფაქტიც სამხედრო დანაშაულის ელემენტებს შეიცავს – ვ.შ.

³ Российский офицер подбил из ПЗРК Ту-134 в небе над Абхазией. <http://www.cuxymu.info/2016/09/Russian-officer-knocked-out-Tu-134-in-sky-Abkhazia.html>.

⁴ Рапорты российских спецназовцев воевавших в 1993 на восточном фронте против грузинских войск. <http://cuxymu.livejournal.com/1325373.html>.

⁵ «Сожжена столовая во время приема пищи». Рапорты российских спецназовцев воевавших в 1993 на восточном фронте против грузинских войск. *Солдат удачи*, №9, 1995, с. 32-35, 62-63.

¹ Рапорты российских спецназовцев воевавших в 1993 на восточном фронте против грузинских войск. <http://cuxymu.livejournal.com/1325373.html>.

ჯგუფ „დელფინს“ სხვა საბრძოლო დამსახურებებიც აქვს აფხაზური მხარის წინაშე. ოჩამჩირე-სოხუმის გზის მონაკვეთი ერთადერთი სახმელეთო გზა იყო, რომელიც სოხუმს ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას აკავშირებდა. ამიტომაც აფხაზებს ძალიან სურდათ ამ გზის ჩაკეტვა და შემდეგ, ალყაში მოქცეული ქალაქის აღება, რაც 1993 წლის სექტემბერში გამოუვიდათ კიდეც. მანამდე კი, ტყვარჩელში, ე.წ. „აღმოსავლეთის ფრონტზე“ მოქმედი სეპარატისტული პარტიზანული ჯგუფები ქართველ სამხედროებს ხშირად ესხმოდნენ თავს. ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდს თავის მოხსენებაში პიმენოვი ასე აღწერს: „01.07.93 მებრძოლების ჯგუფი – ტერენტიევი ა. ს., ცურვანი მ. ა., კუდრიავცევი ა. ს. – მონაწილეობას იღებდა დივერსიულ-სა-დაზვერვო ოპერაციაში, ოჩამჩირე-სოხუმის გზაზე, სოფ. ახალდაბასთან. ორგანიზებული ჩასაფრების შედეგად, ხელში იქნა ჩაგდებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი „ურალის“ ტიპის სატვირთო მანქანა, ბარგის გარეშე და აკ-ს სისტემის სამი ერთეული ავტომატი, ვაზნებითა და მჭიდებით, აგრეთვე 10 ხელყუმბარაფ-1. მოწინააღმდეგის სამი მებრძოლი ლიკვიდირებულ იქნა. ჩვენი მხრიდან დანაკარგები არ არის“.¹

აღსანიშნავია, რომ დნესტრისპირელები დროდადრო სამართალდამცავი სტრუქტურების როლსაც ითავსებდნენ. ასე, მაგალითად, 1993 წლის 13 ივლისით დათარიღებულ მოხსენებაში ვკითხულობთ: „24.05.1993 პოლიციური სპეცოპერაციისას, დაპატიომრებულ იქნა ტყვარჩელის რაიონ სოფელ ჭლოუს მკვიდრი, 1955 წელს დაბადებული გურამ ილიას ძე ჯობუა. იგი მაროდიორობისა და მკვლელობის ბრალდებით იძებნებოდა. ამა წლის 12 მაისს მან ტყვარჩელში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი ექვსი მოქალაქე, მათგან ფინანსური გასამრჯელოს სანაცვლოდ (200 მან. თითო პირისაგან), მათი ოჩამჩირეში გაყვანის პირობით, გამოიტყუა ქალაქიდან და სოფელ ჭლოუსთან (უნდა იყოს ჭლოუ – ვ.შ.) დახვრიტა. ეჭვმიტანილი დაკავებულია და გადაცა ქალაქ ტყვარჩელის მილიციას“.²

ჯგუფი „დელფინი“ რუს სამხედროებთან ერთადაც მოქმედებდა. ასე, მაგალითად, 1993 წლის 18 ივნისს მათ რუს მედესანტებთან ერთად, ბლოკირებულ ტყვარ-

¹ Рапорты российских спецназовцев воевавших в 1993 на восточном фронте против грузинских войск. <http://cuxymu.livejournal.com/1325373.html>.

² Российский офицер подбил из ПЗРК Ту-134 в небе над Абхазией. <http://www.cuxymu.info/2016/09/Russian-officer-knocked-out-Tu-134-in-sky-Abkhazia.html>.

ჩელში ჰუმანიტარული ტვირთით დატვირთული საავტომობილო კოლონა, 30 „კამაზის“ ტიპის სატვირთო მანქანით შეიტანეს, ქალაქიდან კი 2176 მშვიდობიანი მოქალაქე გამოიყვანეს.¹

აღსანიშნავია, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, დნესტრისპირელების მიერ ხელმძღვანელობისათვის გაგზავნილი ანგარიშები უზუსტობებს შეიცავდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ცნობები მათი საქმიანობის შესახებ, მათი მხრიდან, სავარაუდოდ, გაზვიადებულია. ასე, მაგალითად, მოხსენებით ბარათში, რომელიც 1993 წლის 20 ივნისით თარიღდება, ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი იური პიმენოვი წერს, რომ ჯგუფ „დნესტრის“ ორმა მებრძოლმა, რიჟკოვმა ს. კ. და კურდიაკოვმა ა. მ., ტანკსაწინააღმდეგო მართვადი კომპლექსიდან „კონკურსი“² სოფელ ოხურეისთან ჩასაფრებიდან გაანადგურეს ქართული არმიის კუთვნილი T-80 ტიპის ერთი ტანკი, მოკლეს ორი და დაჭრეს ოთხი ქართველი მებრძოლი.³ თუმცა ფაქტი ჯიუტია, ქართული ჯარის შეიარაღებაში T-80 ტიპის ტანკები არასდროს ყოფილა.

ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას კაპიტან იური პიმენოვის შესახებაც. იგი 1961 წელს რუსეთში, ქალაქ უფაში დაიბადა. საბჭოთა არმიის რიგებში 1979 წლიდან ირიცხება. 1980-1982 წლებში მსახურობდა ავღანეთში, სადაც საბრძოლო მოქმედებებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. 1991 წელს მან შეიარაღებული ძალები დატოვა. აფხაზეთის ომამდე პიმენოვი მონაწილეობდა დნესტრისპირეთის კონფლიქტში, სეპარატისტთა მხარეს, აფხაზეთში 1993 წლის აპრილში ჩავიდა. 1994 წლიდან რუსეთის ფედერაციის შეს სწრაფი რეაგირების სპეციალური დეპარტამენტის მებრძოლია. პიმენოვი იბრძოდა ჩეჩენეთის პირველ და მეორე ომებში. ამ ეტაპზე ის ნოვოსიბირსკში ცხოვრობდა და თადარიგის ოფიცერია. ინტერნეტსივრცეში გავრცელდა დოკუმენტური კადრები, რომლებიც 1993 წლის ივლისის შუა რიცხვებით თარიღდება. მასზე აღბეჭდილია დნესტრისპირელი მოხალისეების ნაწილის გაცილების სცენა და ის ე.წ. „აღმოსავლეთის ფრონტზე“, ანუ ტყვარჩელის რაიონშია გადაღებული. პიმენოვი თავის ჯგუფ

¹ Рапорты российских спецназовцев воевавших в 1993 на восточном фронте против грузинских войск. <http://suxymu.livejournal.com/1325373.html>.

² „კონკურსის“ ტიპის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსი იმ პერიოდში ქართული არმიის შეიარაღებაში არ იყო, თუმცა ის ჰქონდათ საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ რუსულ სამხედრო ნაწილებს. შესაბამისად, საინტერესოა, საიდან აღმოჩნდა ის სეპარატისტთა ხელში.

³ Российский офицер подбил из ПЗРК Ту-134 в небе над Абхазией. <http://www.suxymu.info/2016/09/Russian-officer-knocked-out-Tu-134-in-sky-Abkhazia.html>.

„დელფინის“ წევრებთან ერთად აფხაზეთს ტოვებს. „ქართველებს მინდა ვუთხრა, რომ აქ დნესტრისპირელები იყვნენ, არიან და იქნებიან მანამ, სანამ ამის საჭიროება იქნება, მანამ, სანამ აფხაზები გვთხოვენ დახმარებას, ჩვენ ჩვენს ინტერნაციონალურ ვალს შევასრულებთ. ქართველები ჩვენ დაქირავებულ ბოევიკებად მოგვიხსენიებენ, თუმცა არცერთ ჩვენგანს ერთი რუბლიც კი არ აუღია. ჩვენ აქ, როგორც იტყვიან, ჩვენი გულის ძახილითა და ჩვენი, დნესტრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკის მთავრობის დავალებით ვართ მოვლინებულნი. ახლა მივლინება გვისრულდება, გისურვებთ წარმატებებს“, – ამბობს პიმენოვი ვიდეოჩანაწერში.¹

რატომ ჩამოდიოდნენ დნესტრისპირელები აფხაზეთში, ქართველების წინააღმდეგ საომრად? რა მოტივაცია და მიზეზები ჰქონდათ და რა როლს თამაშობდნენ კონფლიქტის მსვლელობაში? ამ შეკითხვის დასმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის უცხოელ ვეტერანებთან, კვლევის ფარგლებში, დნესტრისპირეთის არაღიარებულ რესპუბლიკაში ყოფნისას გახდა შესაძლებელი. მის მონაყოლს უცვლელად გთავაზობთ.

„აფხაზეთში 1992 წელს სამ სხვა დნესტრისპირელთან ერთად 23 ნოემბერს წავედი. ტირასპოლიდან ოდესაში ავტობუსით, იქიდან სოჭში კი გემით ჩავედით. შემდეგ პირდაპირ გუდაუთაში მივედით. იქ უკვე იყვნენ ჩვენი ბიჭები და ყველაფერში მალევე გაგვარკვიეს, დაგვაკვალიანეს და ყველაფრით უზრუნველგვყვეს. ჩვენი მოტივატორი არ იყო ფული და ძვირფასეულობა, ეს აფხაზებს არც ჰქონდათ, ძალიან უჭირდათ. პირადად მე ქართველების საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, ამ ერს დიდ პატივს ვცემდი და ახლაც არაფერი შეცვლილა. მიზეზი უბრალოდ ის იყო, რომ დნესტრისპირეთსა და აფხაზეთს ერთი ბედი ჰქონდათ, ერთნაირ უსამართლობასა და სიბოროტეს წააწყდნენ. კიშინიოვმა და თბილისმა ადამიანურ ენაზე საუბარს ტანკების ენაზე საუბარი ამჯობინეს. ეს ფაშიზმი იყო და მე მოვალედ მიმაჩნდა თავი, ამას წინ აღვდგომოდი. თანაც, მასმედიით ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ავიწროებდნენ ქართველები, რომელთა შორის ძალიან ბევრი ყაჩაღი და შეწყალებული პატიმარი იყო, ადგილობრივ რუსულ მოსახლეობას. ბევრი ეთნიკურად რუსი მოხალისე, როგორც დნესტრისპირეთიდან, აგრეთვე რუსეთიდან, აფხაზეთში სწორედ ამ გარემოებამ ჩამოიყვანა. ამასთან, ქართველები, როგორც სსრკ-ს დაშლის ერთ-ერთი

¹ Российские спецназовцы Пименов и Бутько, подбившие из ПЗРК в июне 1993 в Абхазии гражданский Ty-134. <https://www.youtube.com/watch?v=JafjD2pLlvs&t=111s>.

მთავარი ინიციატორები, ჩვენში დიდი პოპულარობით არ სარგებლობდნენ, ისევე, როგორც, მაგალითად, მოლდოველები და ბალტიისპირელები. ბევრი ჩვენგანი თავს დამტყდარი უბედურებების მთავარ მიზეზად სწორედ საბჭოთა კავშირის დაშლას ხედავდა.

იქ ჩასულს, საბრძოლო მოქმედებებში, ჩემდა საბედნიეროდ, მონაწილეობა არ მიმიღია. მე ინსტრუქტორის ფუნქცია დამეკისრა. არმიაში ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსის, „ფაგოტ“-ის ოპერატორი ვიყავი. იმ პერიოდში აფხაზებს „ფაგოტ“-ის რამდენიმე გამშვები დანადგარი და რამდენიმე ათეული რაკეტა ჰქონდათ. ვერ გეტყვით, საიდან იშოვეს, ან ქართველებს წაართვეს ბრძოლისას,¹ ან იყიდეს რომელიღაც რუსული სამხედრო ნაწილიდან, მაშინ ცხოვრება ჭირდა და ულუკმაპუროდ დარჩენილი ოფიცრები, თავიანთი ოჯახების გამოსაკვებად, იარაღით ვაჭრობასაც კი არ თაკილობდნენ. ამ იარაღის ექსპლუატაციის სამწლიანი გამოცდილება მქონდა და შეიძლება ითქვას, რომ სრულყოფილად ვფლობდი. ეს ძალიან ეფექტური იარაღია ტანკების წინააღმდეგ, მათი განადგურება ამ კომპლექსით, გამოცდილ მსროლელს 1,5-2 კილომეტრის მანძილზეც კი შეუძლია.

მე აფხაზებმა ოცკაციანი ჯგუფი მომაბარეს და დამევალა 2 თვეში ისინი მომემზადებინა. ეს რთული იყო, რადგანაც მათ მხოლოდ თეორიულად ვავარჯიშებდი, არ იყო შესაბამისი ტრენაჟორები და არც რაკეტები იყო იმდენი, რომ პოლიგონზე გვეროლა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ჯარში მხოლოდ ხუთი მათგანი იყო ნამყოფი. მიუხედავად ამისა, 1993 წლის თებერვლისთვის, ჩემი ოცივე მებრძოლი „ფაგოტი“-ს ექსპლუატაციის უნარებს ძალიან კარგად ფლობდა.

დნესტრისპირელები ძირითადად ინსტრუქტორებად ვმსახურობდით. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო აფხაზებისთვის, რადგანაც მათ მხარეს მებრძოლთა აბსოლუტური უმრავლესობა ელემენტარულ სამხედრო ცოდნასაც კი არ ფლობდა. ომს კი მარტო შემართებით ვერ მოიგებ.

¹ ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსი „ფაგოტი“ 1990-იანი წლების დასაწყისში ქართული არმიის შეიარაღებაში მცირე რაოდენობით იყო. ომის საწყის ეტაპზე კი ქართული მხარის მიერ ის იმ მიზეზით არ გამოიყენებოდა, რომ აფხაზებს თავდაპირველად მძიმე ტექნიკა არ ჰყავდათ. თუმცა, დადასტურებული ფაქტია, რომ 1992 წლის სეპარატისტებმა სამთავრობო ძალების კუთვნილი ტ-55 ტიპის 2 ტანკი სწორედ „ფაგოტით“ ააფეთქეს. გათვლის მეთაური რუსი ოფიცერი იყო (ი. ალადაშვილი. ტანკების „მკვლელები“. ჟურნალი „არსენალი“, №8 (13), 07.2005, გვ. 38).

აფხაზეთი 1993 წლის აპრილში, ოჯახური პრობლემების გამო დავტოვე. შემიძლია სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, დავიფიცო, რომ იქ ყოფნისას არანაირ კონტრაქტზე ხელი არ მომიწერია და არც რაიმე სახის გასამრჯელო ამიღია. მეტიც, ტირასპოლში დასაბრუნებელი ფული ჩემმა მეგობრებმა მასესხეს. ერთადერთი, რითაც აფხაზური მხარე უზრუნველგვყოფდა, ეს საკვები და დროებითი საცხოვრებელი ფართი იყო“.¹

აღსანიშნავია, რომ პირველი ფართომასშტაბიანი საბრძოლო შეტაკება, რომელშიც დნესტრისპირელებმა მიიღეს მონაწილეობა, იყო აფხაზური მხარის მიერ ორგანიზებული 1993 წლის იანვრის წარუმატებელი შტურმი სოხუმზე. შედეგად მოწინააღმდეგებ 80-ზე მეტი მებრძოლი დაკარგა. მძიმე ჭრილობა მიიღო (ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქების შედეგად დაკარგა მარცხენა ქვედა კიდური) ერთ-ერთმა დნესტრისპირელმა მოხალისემ, ბენდერელმა ანატოლი სემიონოვმა, ზედმეტსახელად „ლოვკიმ“. დღესდღეისობით იგი დნესტრისპირეთში, ქალაქ ბენდერში ცხოვრობს. 2003 წლამდე არაღიარებული დნესტრისპირეთის მოლდოვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყო. აქვს მაიორის ჩინი.²

შემდეგი მსხვილმასშტაბიანი საბრძოლო ქმედება, რომელშიც მონაწილეობა დნესტრისპირელებმა მიიღეს, 1993 წლის 2 ივლისს განხორციელებული ტამიშის სადესანტო ოპერაცია იყო. ის მიზნად სოხუმში მყოფი ქართული ძალების ალყაში მოქცევას ისახავდა. თავდაპირველი წარმატების მიუხედავად, აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა მოკავშირეებმა ვერ შესძლეს მიღწეული წარმატების განვითარება. ქართული არტილერიისა და ჯავშანტექნიკის შეთანხმებული მოქმედების შედეგად, მათ დიდი დანაკარგები განიცადეს. გადარჩენილმა მედესანტეებმა მცირე ჯგუფებად დაიწყეს სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ქალაქი ტყვარჩელისკენ გადაადგილება. დესანტის ნარჩენები ე.წ. „აღმოსავლეთის ფრონტს“ შეუერთდა. გადარჩენილთა შორის იყო დნესტრისპირელთა ათვაციანი ჯგუფიც. ისინი სოხუმსა და ოჩამჩირეს შორის მოძრავ ქართულ სამხედრო კოლონებს ესხმოდნენ თავს. 8 ივლისს, ერთ-ერთმა მათგანმა, ზედმეტსახელად „მოშნიმ“, იგივე კონსტანტინ ციგანკოვმა, რომელიც საბჭოთა არმიაში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ბატარეაში მსახურობდა, გადასატა-

¹ ინტერვიუ სსრკ არმიის თადარიგის ოფიცერთან, დიმიტრი ალექსანდრეს მე ბელოუსოვთან. 28.01.16.

² ინტერვიუ სსრკ არმიის თადარიგის ოფიცერთან, დიმიტრი ალექსანდრეს მე ბელოუსოვთან. 28.01.16.

ნი საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „იგლა“-თი საქართველოს სამხედრო-საპატიო ძალების კუთვნილი მი-8 ტიპის საბრძოლო-სატრანსპორტო შვეულმფრენი ჩამოაგდო.¹

დნესტრისპირელებმა თავი სოხუმის 1993 წლის სექტემბრის იერიშის დროსაც „ისახელეს“. დონელი კაზაკი, ზედმეტსახელად „გენა“ ხელმძღვანელობდა მოწინააღმდეგის დამრტყმელ ჯგუფს, რომელიც ქალაქს აჩადარის მხრიდან უტევდა. სწორედ მისმა ჯგუფმა აიღო გუმისთაზე გამავალი აჩადარის ხიდი, რის შედეგადაც სეპარატისტებმა ბრძოლაში ჯავშანტექნიკა ჩართეს, რამაც მათ ქალაქის აღების საქმე გაუადვილა. აღსანიშნავია, რომ „გენა“, იგივე სერგეი ბლოხინი დნესტრისპირეთში წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ის საბჭოთა არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურე იყო. სამხედრო სამსახური უმცროსი ლეიტენანტის ჩინით 1990 წლის მარტში დაასრულა. ბლოხინი 1987-1988 წლებში ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ე.წ. „ინტერნაციონალურ ვალს“ ასრულებდა. სამხედრო სპეციალობით იგი მესანგრე იყო. ანუ, მის უშუალო მოვალეობას მოწინააღმდეგის პოზიციებისა თუ სტრატეგიული ობიექტების დანაღმვა წარმოადგენდა. არსებული ინფორმაციით, „გენა“ 2000 წელს რუსეთში, ქალაქ ტაგანროგში, სიმსივნით გარდაიცვალა.²

შორეული დნესტრისპირეთიდან აფხაზეთში საომრად მოხალისეები პერიოდულად, როტაციის პრინციპით ჩამოდიოდნენ. შედეგად, საერთო ჯამში, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა 60-90-მდე მათგანმა მიიღო. ქართულ-აფხაზურმა ომმა სამი დნესტრისპირელი მოხალისის სიცოცხლე შეიწირა, 12 კი – დაიჭრა. სხვადასხვა ხარისხის ჯილდოები და ორდენები „აფხაზი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობისათვის“ გადაეცა 20-მდე დნესტრისპირელს. ერთ-ერთ მათგანს, 23 წლის რომან რადკოვსკის კი „ლეონის მედალი“ სიკვდილის შემდეგ გადაეცა. იგი 1993 წლის 17 აპრილს, ე.წ. „გუმისთის ფრონტზე“, ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სეპარატისტების მიერ ორგანიზებული დივერსიული სპეციალის აღკვეთისას იქნა მოკლული.¹

ტირასპოლში ყოველი წლის 14 აგვისტოსა და 30 სექტემბერს აღინიშნება „მომე

¹ ვ. ფაჩულია. „როგორ გვებრძოდნენ აფხაზეთის ცაში“. არსენალი, №8 (13), 07.2005, გვ. 16.

² ინტერვიუ სსრკ არმიის თადარიგის ოფიცერთან, დიმიტრი ალექსანდრეს ძე ბელოუსოვთან. 28.01.16.

¹ В помещении Тираспольского Дворца культуры состоялось мероприятие посвященное 23 годовщине Победы в Отечественной войне Народа Абхазии. <http://abkhazia-pmr.org/news.php?id=868>.

აფხაზი ერის გამარჯვებისა და დამოუკიდებლობის დღე¹. ოფიციალური თბილისისა და კიშინიოვის წინააღმდეგობის მიუხედავად, ორ არაღიარებულ, სეპარატისტულ „სახელმწიფოს“ ერთმანეთთან მეტად მჭიდრო სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობა დღემდე აკავშირებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დნესტრისპირელი მოხალისეების აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში აქტიური მონაწილეობა დასტურდება. მოვლენების უშუალო მონაწილეებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუდან ირკვევა, თუ რა იყო მათი აფხაზეთში, სეპარატისტთა მხარეს ბრძოლის მიზანი და ამოცანა. რაც მთავარია, ნათელი ხდება, თუ რა გახდა ქართული მხარის მარცხის ერთერთი მთავარი მიზეზი. ქართველებს ბრძოლა მოუწიათ არა აფხაზ სეპარატისტებთან, არამედ სხვადასხვა ცხელ წერტილში, ომებსა და სამხედრო სწავლებებში გამობრძმედილ პირებთან, რომლებმაც თავისი საქმე ზედმიწევნით კარგად იცოდნენ. წესით, ეს პირები რუს სამართალდამცავებს უნდა დაეკავებინათ, რადგანაც ადგილობრივი კანონმდებლობა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებებში მონაწილეობას კრძალავს.² ამ შემთხვევაში კი პირიქით მოხდა, რაზეც იური პიმენოვის მაგალითი ნათლად ცხადყოფს. დნესტრისპირეთიდან აფხაზეთიდან დაბრუნების შემდეგ რუსეთის ძალოვან სტრუქტურებში წლების განმავლობაში მსახურობდა.³ რთული დასაჯერებელია, რომ მისმა ხელმძღვანელებმა პიმენოვის „გმირული წარსულის“ შესახებ არაფერი იცოდნენ.

როგორც ვხედავთ, აფხაზური მხარის მტკიცება – „ჩვენი დამოუკიდებლობა ჩვენთავადვე მოვიპოვეთ“, – რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებად რეალურია.

დნესტრისპირელებმა და დნესტრისპირეთის რეგიონიდან იარაღის უკონტროლო ნაკადმა თავისი სიტყვა 1993 წლის შემოდგომის ტრაგიკული მოვლენების დროსაც თქვეს. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბორის ელცინსა და უმაღლეს საბჭოს შორის სექტემბრის ბოლოს დაწყებული უთანხმოება ოქტომბრის დასაწყისში შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. „თეთრ სახლში“ გამაგრებულ ვიცეპრეზიდენტ ალექსანდრე რუცკოისა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, რუსლან ხასბუ-

¹ В представительстве Абхазии прошел торжественный прием. <https://tv.pgtrk.ru/news/20130930/11485>.

² Уголовный кодекс РФ, глава 34, статья 359. <http://www.zakonrf.info/uk/359/>.

³ Подполковник Юрий Пименов: «Афган всегда в моей душе...» <http://kprfnsk.ru/inform/news/11792/>.

ლატოვს მხარს დნესტრისპირეთიდან ჩასული მოხალისეებიც უჭერდნენ. ბატალიონ „დნესტრის“ ათობით მოხალისე შენობის იერიშისას სამთავრობო ძალების ქვედანაყოფებს აქტიურ შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდა.¹

საგანგაშო მასშტაბებს მიაღწია დნესტრისპირეთში დისლოცირებული მე-14 არმიის სამხედრო საწყობებიდან იარაღით ვაჭრობის ფაქტებმაც. ამ სისხლიან ბიზნესში რუსული გენერალიტეტი, სეპარატისტთა სამხედრო და პოლიტიკური ელიტა, მათ შორის თვით იგორ სმირნოვიც იყო ჩართული. მათი კლიენტები, მეტწილად, იმ პერიოდში მოქმედი კრიმინალური დაჯგუფებების წევრები იყვნენ.²

¹ Белый дом, черный дым (2013). <https://www.youtube.com/watch?v=ZjBu5JSnfU&t=2131s>.

² А. Лебедь – оружие ПМР – 1992-1995 год. https://www.youtube.com/watch?v=yu4-D6_vfxk&index=5&t=471s&list=LLDrMkKccun6f6eLc2EG_dOw.

თავი IV. მშვიდობის ძიებაში

1990-იანი წლების შუა ხანებში მოლდოვასა და სეპარატისტულ ტირასპოლს შორის არაერთი ხელშეკრულება გაფორმდა. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ეს შეთანხმებები დნესტრისპირეთის არაღიარებული რესპუბლიკისა და მოლდოვის სამინისტროებს, მათ შორის შორის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს შორისაც კი ფორმდებოდა. ეს კიშინიოვში პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის გაღიზიანებას იწვევდა, რადგანაც მსგავსი შინაარსის დოკუმენტებს ისინი სეპარატისტული ხელისუფლების ერთგვარ აღიარებად აღიქვამდნენ. ოფიციალურ კიშინიოვსა და ტირასპოლს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების უმეტესობა ურთიერთთანამშრომლობასა და შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად განადგურებული ინფრასტრუქტურის აღდგენას ეხებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი 1997 წლის 8 მაისს, მოსკოვში ხელმოწერილი მემორანდუმი იყო. მას ხელს რუსეთის, უკრაინისა და მოლდოვის პრეზიდენტები და დნესტრისპირელ სეპარატისტთა მეთაური, იგორ სმირნოვი აწერდნენ. ხელშეკრულება დაპირისპირებული მხარეების შერიგების ერთგვარ პრელუდიად უნდა ქცეულიყო.¹

1993 წელს დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში შუამავლის როლი, რუსეთთან ერთად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამაც იკისრა. 1995 წელს ჩამოყალიბდა საშუამავლო ჯგუფი „ეუთო 5“. მასში რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, აშშ, ეუთო და ევროკავშირი შედიოდა. მოლაპარაკებების პროცესი კიშინიოვსა და ტირასპოლისა და „ეუთო 5“-ის წარმომადგენლებთან ერთად 5+2 ფორმატში მიმდინარეობდა.²

მიუხედავად ზემოაღნიშნული აქტივობებისა, რეალური ნაბიჯები კონფლიქტის მოგვარების საქმეში არ გადადგმულა. თუმცა ერთი, მეტად მნიშვნელოვანი გარემოება ამ კონფლიქტურ რეგიონს პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული სხვა ცხელი წერტილებისაგან მნიშვნელოვანწილად გამოარჩევს. მათგან განსხვავებით, მდინარე დნესტრის ნაპირებზე აქტიური საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ აღარ ისვ-

¹ Н. В. Штански. Переговорочный процесс между Приднестровской Молдавской Республикой и Республикой Молдова в документах, гл. 57.

² შ. მალაშვილი. კონფლიქტების ანატომია, гл. 42.

რიან. იქ არც პერიოდულად საომარი მოქმედებების ესკალაციასა და მის თანმდევ ეთნიკურ წმენდას აქვს ადგილი. 2003 წელს კი დნესტრისპირეთის კონფლიქტის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. საუბარია ე.წ. „კოზაკის მემორანდუმზე“, რომელიც ავტორის, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის, დიმიტრი კოზაკის აზრით, კონფლიქტის მოგვარების გარანტი უნდა გამხდარიყო.

მემორანდუმის შემუშავება 2003 წლის ზაფხულში დაიწყო მოლდავეთის ხელისუფლების თხოვნით. ამ დოკუმენტის შექმნის პრეისტორიად შეიძლება ჩაითვალოს 2001 წლის თებერვლიდან ხელისუფლებაში მოლდავეთის რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ყოფნის პირველი წლები. რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე რუსული ენის მეორე სახელმწიფო ენის შემოღების და მოლდავეთის რუსეთისა და ბელორუსის კავშირის ნაწილად (საბაჟო კავშირის წინამორბედი) გახდომის დაპირების შედეგად გამარჯვების შემდეგ, მოლდაველმა კომუნისტებმა გააქტიურეს თანამშრომლობა მოსკოვთან და დნესტრისპირეთის დარეგულირების პროცესი.

2001 წლის გაზაფხულ-ზაფხულში, მოლდავეთის ახალმა პრეზიდენტმა, კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ვლადიმირ ვორონინმა 4 შეხვედრა გამართა დნესტრისპირეთის ლიდერთან იგორ სმირნოვთან, რაც კონფლიქტის უსწრაფესი დარეგულირების იმედს ბადებდა. თუმცა აგვისტოს თვეში მოლაპარაკების პროცესი მოულოდნელად შეწყდა სხვადასხვა მიზეზების გამო: დაწყებული ვორონინსა და სმირნოვს შორის არსებული პირადი ანტიპათიიდან, დამთავრებული ეკონომიკურ სფეროში სერიოზული წინააღმდეგობებით. კიშინიოვსა და ტირასპოლს შორის თანამშრომლობის პერიოდი მწვავე დაპირისპირების პერიოდმა შეცვალა. მეორეს მხრივ, საგრძნობლად გაუმჯობესდა ურთიერთობები კიშინიოვსა და მოსკოვს შორის. 2001 წლის 19 ნოემბერს ქვეყნებმა ხელი მოაწერეს რუსეთის ფედერაციასა და მოლდავეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას.¹

შედეგად, დნესტრისპირეთი ორმაგი წნევის ქვეშ აღმოჩნდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 2001 წლის დეკემბერში, როდესაც დნესტრისპირეთის რეგიონში საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარეობდა, რუსულ პრესაში დნესტრისპირეთის ხელმძღვანელობის დისკრედიტაციაზე გამიზნული ფართო კამპანია დაიწყო. მათ ადანაშაულ-

¹ Договор о Дружбе и сотрудничестве между РФ и РМ. <http://kremlin.ru/supplement/3400>.

ებდომენ ოლიგარქულ სტრუქტურებთან კავშირებში და განსხვავებულად მოაზროვნეთა დევნაში. კიშინიოვის მიზანს დნესტრისპირეთის ხელმძღვანელობის შეცვლის აუცილებლობაში მოსკოვის დარწმუნება წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, სმირნოვმა ძალაუფლება შეინარჩუნა, თუმცა დნესტრისპირეთისადმი რუსეთის ნდობა ნაწილობრივ შეირყა.

ამ აზმოსფერომ მოლაპარაკების პროცესზეც იქონია გავლენა, რომელშიც 2002-2003 წლის განმავლობაში მხარეთა შორის ურთიერთნდობა უკვე აღარ შეინიშნებოდა. მაშინ აშკარა გახდა, რომ მესამე მხარის ზემოქმედების გარეშე შედეგი მიღწეული ვერ იქნებოდა და რამდენადაც ყველაზე გავლენიანი მოთამაშე რუსეთი იყო, მოლდავეთის ხელისუფლებამ მოსკოვს დახმარება თხოვა ძირეული დოკუმენტის შემუშავებაში. მოსკოვი დათანხმდა და ამ სამუშაოს კურატორად კრემლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მაშინდელი მოადგილე დმიტრი კოზაკი დანიშნა.

მისი პირველი ვიზიტი კიშინიოვსა და ტირასპოლში 2003 წლის 8 ივლისს შედგა. როგორც შემდგომ გაირკვა, ოთხი თვის განმავლობაში კოზაკი „მაქოსებური დიპლომატიის“ რეჟიმში ხან ვორონინს ხვდებოდა, ხან სმირნოვს და ყოველი შეხვედრის შემდგომ ჩნდებოდა მომავალი მემორანდუმის ცალკეული პუნქტები ან მთელი ახალი გვერდები. შედეგად, ახალ დოკუმენტში გათვალისწინებული იყო კონფლიქტის ორივე მხარის პოზიციები და სერიოზული კომპრომისების შედეგს წარმოადგენდა.

დოკუმენტის შემუშავება მიმდინარეობდა დახურულ რეჟიმში, ხოლო დმიტრი კოზაკის ვიზიტები რეგიონში წარმოდგენილი იყო როგორც მხოლოდ რუსეთის სურვილი, დახმარებოდა მხარეებს მიმდინარე საკითხების მოგვარებაში. მემორანდუმი ოფიციალურად წარდგენილ იქნა 2003 წლის 17 ნოემბერს მოლდოვაში რუსეთის მაშინდელი ელჩის იური ზუბკოვის (აქტიურად მონაწილეობდა დოკუმენტის შემუშავებაში) და მოლდავეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვლადიმირ ვორონინის შეხვედრაზე.¹ დარეგულირების გეგმის არსებობის შესახებ გზავნილი მოლდოვის დასავლელი პარტნიორებისთვის სრული მოულოდნელობა იყო. ის სისწრაფე, რომლითაც ხელისუფლებას და საზოგადოებას წარედგინა მემორანდუმი, აშკარად მეტყველებდა რუსების სურვილზე, დაესწრო დასავლეთისთვის ან, როგორც მინიმუმ, არ მიეცა მის-

¹ Меморандум Козака. <https://www.youtube.com/watch?v=9OOWaNB2CMo>.

თვის საშუალება, ხელი შეეშალა რუსეთის ინიციატივისთვის.

მემორანდუმი 18 პუნქტისაგან შედგებოდა. მოლდოვა ფედერალურ რესპუბლიკად უნდა გარდაქმნილიყო და ახალი კონსტიტუცია მიეღო. მემორანდუმში სუბიექტების უფლება-მოვალეობებზე, სახელმწიფო ენის სტატუსზე და რუსეთის ფედერაციის როლზე იყო საუბარი. მასში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ მოლდოვა 1990 წლის 1 იანვრის საზღვრებში აღსდგებოდა, თუმცა კი ამისათვის კიშინიოვს ძირეული ცვლილებები და რეფორმები უნდა განეხორციელებინა. ასე, მაგალითად, ის ნეიტრალურ და დემილიტარიზებულ სახელმწიფოდ უნდა ქცეულიყო. თავის მხრივ, დნესტრისპირეთის არალიარებული რესპუბლიკა, ისევე როგორც გაგაუზის ავტონომიური ოლქი, განსაკუთრებულ სტატუსს იღებდა. სახელმწიფო ენებად მოლდოვური და რუსული ცხადდებოდა.¹

სანამ მოლდავეთის საზოგადოება დოკუმენტს ეცნობოდა, დნესტრისპირეთში ფორსირებულად ემზადებოდნენ მისი ხალხისათვის „თავზე მოსახვევად“, რომელიც გაოგნებული იყო მოლდოვასთან კომპრომისზე წასვლის მზაობით. 2003 წლის 20 ნოემბერს ჩატარდა იგორ სმირნოვის პრესკონფერენცია, რომელზეც ის არწმუნებდა საზოგადოებას და მედიას, რომ „მემორანდუმი მძიმე, მაგრამ ხალხისათვის მეტად საჭირო კომპრომისი“ იყო. მან ისიც აღნიშნა, რომ რუსეთი აპირებდა 20 წლის ვადით დნესტრისპირეთში სამხედრო ბაზის განთავსებას. ამ ფაქტმა ძალიან დააბნია ჟურნალისტები, რომლებსაც მაშინვე გაუჩნდათ დასავლეთის საპასუხო რეაქციის შესახებ კითხვები. იგორ სმირნოვის მიერ ამ მიზნების გახმოვანება ადასტურებდა რუსეთის საკუთარ ძალებში დარწმუნებულობას. იმავე პერიოდში, მოლდოველმა ჟურნალისტებმა გააუღერეს კულუარული ინფორმაცია, რომელიც, მათი მტკიცებით, დმიტრი კოზაკისა და რუსეთის საელჩოს მრჩევლის ოლეგ ასტახოვის საუბრის შინაარსს ასახავდა. კოზაკი კითხულობდა, იყო თუ არა ყველაფერი მზად მემორანდუმის ხელმოსაწერად და ხომ არ ეცდებოდა დასავლეთი პროცესისთვის ხელის შეშლას. „ყველაფერი კონტროლქვეშაა, დასავლეთი საქმის კურსშია, პრობლემები არ იქნება“, – თითქოს ასე უპასუხა ასტახოვმა კოზაკს.²

თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, მოვლენები სულ სხვა მიმართულე-

¹ Меморандум Козака. <https://regnum.ru/news/458547.html>.

² ინტერვიუ პოლიტოლოგის მაგისტრთან, ერნესტ ვარდანიანთან, 22.01.16.

ბით განვითარდა. 2003 წლის 24-დან 25 ნოემბრის ღამეს კიშინიოვში ვლადიმერ პუტინის ჩამოსვლისთვის ემზადებოდნენ და იმ ღამეს ვორონინზე დასავლეთის მხრიდან უმძლავრესი ზეწოლა მიმდინარეობდა. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, აშშ-ს ელჩმა ჰიზერ ჰოჯესმა ვორონინს მაგიდაზე დაუდო საქალალდე დოკუმენტებით და უთხრა: „აქ თქვენი ვაჟიშვილის ბიზნესის შესახებ ინფორმაციაა. თუკი არ გსურთ პრობლემები, უარი თქვით ხელმოწერაზე“. იგივე ვერსიით, ზეწოლა მიმდინარეობდა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ხავიერ სოლანასა და იააპ დე ჰორპ სხეფერის (ეუთოს მაშინდელი თავმჯდომარე) მხრიდან.¹

კიშინიოვი აცხადებდა, რომ პუნქტი რუსეთის სამხედრო ბაზის განთავსების შესახებ დოკუმენტში უკანასკნელ მომენტში გაჩნდა. ეს არ მოეწონა ვორონინს და ბუნებრივია, არც დასავლეთის ქვეყნებს. მემორანდუმის ავტორმა, დიმიტრი კოზაკმა გაზეთ „კომერსანტი“-სათვის მიცემულ ინტერვიუში უარყო „უცნობი“ პუნქტის შესახებ განცხადებები და წარადგინა მემორანდუმის ასლი, რომელშიც ყოველი გვერდი პარაფირებული იყო როგორც იგორ სმირნოვის, აგრეთვე ვლადიმერ ვორონინის მიერ.²

2011 წელს, მოლდავეთში ეუთოს მისიის ყოფილმა ხელმძღვანელმა უილიამ ჰილმა ფაქტობრივად დაადასტურა, რომ კოზაკის მემორანდუმის ხელმოწერა დასავლეთის ზეწოლის შედეგად ჩაიშალა. ამერიკელმა დიპლომატმა განაცხადა, რომ ნამდვილად, უკანასკნელ მომენტში მემორანდუმში გაჩნდა სამი პუნქტი, რომელთაგან ერთ-ერთი ეხებოდა რუსეთის 20-წლიან სამხედრო წარმომადგენლობას, პროცესის რეალიზაციის გარანტის სახით. „ეს დამატებები მიღებული იქნა დარეგულირების პროცესში წარმოდგენილ დასავლელ პარტნიორებთან შეუთანხმებლად... რუსეთს ეს საკითხები ყველა შუამავალთან და მოლდავეთისა და დნესტრისპირეთის წარმომადგენლებთან ერთად რომ განეხილა, გადაწყვეტილება, შესაძლოა, სხვაგვარი ყოფილიყო“, – განაცხადა ჰილმა.³ მან ფაქტობრივად ბრალი დასდო კოზაკს და მთლიანად რუსეთის მხარის წარმომადგენლებს ტყუილში და დასძინა, რომ სამხედრო ბაზის შესახებ ის ავტედითი პუნქტი არ იყო შესული დოკუმენტის იმ ვარიანტში, რომელიც

¹ ინტერვიუ პოლიტოლოგის მაგისტრთან, ერნესტ ვარდანიანთან, 22.01.16.

² Дмитрий Козак: он просил прощения и называл себя обманщиком. 25.11.2005. <https://www.kommersant.ru/doc/629697>.

³ Американский дипломат: Запад не мог согласиться на военное присутствие России на Днестре. «Новый день», 29 ноября 2011 г. <https://newdaynews.ru/kishinev/360592.html>.

2003 წლის 17 ნოემბერს ოფიციალურად გასაჯაროვდა.¹ დაახლოებით იგივე თქვა ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში მოლდოვის იმდროინდელმა პრეზიდენტმა ვლადიმერ ვორონინმაც კოშაკის მემორანდუმზე მის მიერ ხელის არმოწერას, მისი აზრით, ლოგიკური, ახსნა ჰქონდა. „ჩვენ გავაკეთეთ განაცხადი ჩვენი ქვეყნის განვითარების პროდასავლურ ვექტორზე, ევროინტეგრაციაზე და ასე უცებ, ერთბაშად და დაუფიქრებლად ასეთი უმნიშვნელოვანესი საკითხის ევროპის ზურგს უკან გადაწყვეტას არ ვაპირებთ, რადგანაც ეს მათთვის, როგორც მინიმუმ, უცნაური და გაუგებარი იქნება“, – უთხრა მან უურნალისტს 2004 წელს ჩაწერილ სატელევიზიო ინტერვიუში.²

სამხედრო ბაზის ყოფნის შესახებ პუნქტის სახით „რუსეთის პროვოკაციის“ შესახებ ვერსია უმთავრესად ითვლება მოლდოვის პოლიტიკურ და საექსპერტო წრეებში. ამასთან ერთად, 2003 წელს მემორანდუმის ხელმოწერის პროცესის მთავარ ხელის შემშლელ ფაქტორად ითვლება დნესტრისპირეთისთვის ვეტოს უფლების შესახებ პუნქტი, რომელიც მათ აძლევდათ შესაძლებლობას დაებლოკათ ნებისმიერი საგარეოპოლიტიკური ინიციატივა, რომელიც შეეწინააღმდეგებოდა ტირასპოლის (და, რა თქმა უნდა, მოსკოვის) ინტერესებს. ამის გამო, მრავალი კიშინიოველი პოლიტოლოგი და უურნალისტი ამ დოკუმენტს უარყოფით შეფასებას აძლევს.³ მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტს მხარეთა დაახლოებისთვის საკმაოდ კარგ საშუალებად თვლიან, ისინი დარწმუნებულები არიან, რომ რუსული სამხედრო ბაზის და ვეტოს უფლების შესახებ პუნქტების ჩათვლის ხელმოწერა მემორანდუმს რუსეთის ხელში არსებულ ძალიან ძლიერ ბერკეტად აქცევდა. ეს კი კრემლის გავლენას რეგიონზე გაზრდიდა და ამ უკანასკნელს ევროინტეგრაციის ყველანაირ შანსს მოუსპობდა.

ყველაფერთან ერთად, მემორანდუმის ხელმოწერაზე უარის თქმამ გამოიწვია მოლდოვა-რუსეთის ურთიერთობების მკვეთრი გაციება, რომლებიც მას შემდეგ აღარც დაბრუნებულა 2001-2003 წლების დონეზე. მეორეს მხრივ, დნესტრისპირეთის კონფლიქტის დარეგულირებამ გადაიწია მრავალი წლით და ამჟამად წარმოადგენს „მოლაპარაკებისთვის არსებული მოლაპარაკებების“ მდორედ მიმდინარე პროცესს,

¹ Американский дипломат: Запад не мог согласиться на военное присутствие России на Днестре.

² Игорь Додон. Диктаторы. – <https://www.youtube.com/watch?v=rnBYaD48rN8&t=207s&fbclid=IwAR0lThgEZGzhoq4nX5-HrYSKpGH9sJ-sZNzWbC9Ff45n7BA5JwwWeLT9u8I>.

³ ინტერვიუ პოლიტოლოგის მაგისტრთან, ერნესტ ვარდანიანთან, 22.01.16.

რომელსაც არანაირი რეალური შედეგი არ მოჰყვება.¹

2008 წელს, მემორანდუმის ხელმოწერის ჩაშლიდან ხუთი წლის თავზე, არაღიარებული დნესტრისპირეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, რომელშიც გააკრიტიკა მოლდოვის ხელისუფლება. „მემორანდუმის პუნქტების რეალიზაციას მნიშვნელოვნად უნდა შეეზღუდა დნესტრისპირეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ჩაეშენებინა მოქმედი სახელმწიფოებრიობა ახალ ფედერალურ პოლიტიკურ სისტემაში“, – აცხადებდა ტირასპოლი და ბრალს დებდა კიშინიოვს იმაში, რომ მათ უარი თქვეს დოკუმენტზე, რომელიც ფაქტობრივად დაასრულებდა დნესტრისპირეთის დე ფაქტო დამოუკიდებლობას.² „მემორანდუმის პრინციპების მხარდაჭერით, დნესტრისპირეთის ხელმძღვანელობა წავიდა მძიმე კომპრომისზე რესპუბლიკის და დნესტრისპირეთის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე“, – ითქვა დნესტრისპირეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროში 2008 წელს. დოკუმენტის ხელმოწერის ჩაშლამ „საბოლოოდ დაუსვა წერტილი მოლდავეთის მხარისადმი, როგორც მოლაპარაკებებისთვის მზად მყოფი პარტნიორისადმი ნდობას“.³

თავისი მიზნის მისაღწევად, რაც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას გულისხმობდა, დნესტრისპირელმა სეპარატისტებმა მოსკოვის მიერ აპრობირებულ ხერხს მიმართეს. 2006 წლის 17 სექტემბერს, დნესტრისპირეთის არაღიარებულ რესპუბლიკაში ჩატარდა რეფერენდუმი. მასში მონაწილე პირებს პასუხი ორ შეკითხვაზე უნდა გაეცათ: 1. „უჭერთ თუ არა მხარს დნესტრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკის დამოუკიდებლობასა და შემდგომში მის რუსეთის ფედერაციასთან შეერთებას?“ 2. „მიგაჩნიათ თუ არა შესაძლებლად, დნესტრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკის მიერ საკუთარ დამოუკიდებლობაზე უარის თქმა და შემდგომში მოლდოვის რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლა?“

რეფერენდუმში მონაწილეობა დნესტრისპირეთის არაღიარებული რესპუბლიკის მოქალაქეთა 80%-ზე მეტმა, ანუ 310 389 პირმა მიიღო. პირველ შეკითხვას დადებით პასუხი 97,1%-მა (301 332 მოქალაქე) გასცა, პასუხი „არა“ კი – 2.3%-მა (5905 მოქალაქე) დააფიქსირა. მეორე შეკითხვაზე დადებითად ხმის უფლების მქონე პირთა

¹ ინტერვიუ პოლიტოლოგის მაგისტრთან, ერნესტ ვარდანიანთან, 22.01.16.

² МИД ПМР: Ноябрь-2003 окончательно разрушил доверие к руководству Молдавии. «Новый день», 25 ноября 2008 г. <https://newdaynews.ru/pmr/208311.html>.

³ МИД ПМР: Ноябрь-2003 окончательно разрушил доверие к руководству Молдавии.

3.4%-მა (10 308 პირი), ხოლო უარყოფითად – 94.6%-მა (294 253 პირი) უპასუხა.¹

საერთაშორისო თანამეგობრობაში სეპარატისტული რეჟიმის მიერ ჩატარებული რეფერენდუმი უკანონოდ სცნო. აღიარებისთვის სეპარატისტებმა თხოვნით ოფიციალურ მოსკოვს მიმართეს. 6 ოქტომბერს, რუსეთის დუმამ რეფერენდუმის შედეგები სცნო და საერთაშორისო საზოგადოებას მისი შედეგების გათვალისწინებისაკენ მოუწოდა.²

2009 წლის აპრილში, მოლდოვის ხელისუფლებაში მყოფი კომუნისტური პარტია, ვორონინის ხელმძღვანელობით, პროდასავლური ორიენტაციის მქონე ლიბერალ-დემოკრატიულმა პოლიტიკურმა ჯგუფმა შეცვალა. მათ საგარეოპოლიტიკური კურსის ორიენტაცია დასავლეთის მიმართულებით აიღეს და ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაცია მთავარ პრიორიტეტად დასახეს. ამ ფაქტმა რუსეთის ფედერაციის გაღიზიანება გამოიწვია, რადგანაც კრემლი მოლდოვას, როგორც პოსტსაბჭოთა რესპუბლიკას, „ახლო საზღვარგარეთის“ ქვეყნად განიხილავდა. მან კიშინიოვის დასავლურ სწრაფვას გაგაუზის ავტონომიური ოლქი, სადაც ადგილობრივ მოსახლეობაში პრორუსული განწყობა საკმაოდ მაღალია და სეპარატისტული დნესტრისპირეთის არაღიარებული რესპუბლიკა დაუპირისპირა.³ 2014 წლის 2 თებერვალს გაგაუზიაში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც მონაწილეობა 70 355 (ხმის უფლების მქონეთა 70%) მოქალაქემ მიიღო. მათგან 68182 ანუ 94%-მა მხარი მოლდოვის საბაჟო კავშირში

¹ Результаты референдума в ПМР. <http://www.cikpmr.com/index.php/o-vyborakh-i-referendumakh/informatsiya-o-referendumakh/item/211-rezultaty-referenduma-17-sentyabrya-2006-goda>. აღსანიშნავია, რომ ირიდენტისტული მისწრაფებები ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც საკმაოდ მაღალია. ამაზე 2019 წლის 7 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის დეფაქტო პრეზიდენტის, ანატოლი ბიბილოვის განცხადებაც მოწმობს. „ისტორიულად სწორი იქნება, თუ რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შევა. არ შეიძლება ხალხმა გაყიფილად იცხოვროს. ერთ ნაწილში, თან უფრო პატარა ნაწილში რესპუბლიკაა, მეორე ნაწილი რუსეთის შემადგენლობაშია. თუ დავუბრუნდებით ისტორიულ სამართლიანობას, ოსი ხალხისთვის სწორი იქნება სამხრეთ ოსეთი რუსეთის ნაწილი იყოს და უკვე ამის შემდეგ ვიმუშაოთ იმაზე, რომ ოსეთი ისევ გახდეს ერთიანი, ჩრდილოეთად დასამხრეთად გაყოფის გარეშე. ოსი ხალხისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოდ აუცილებელია“ (იხ.: ბიბილოვი: „სწორი იქნება თუ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შევა“ <https://www.kvirispalitra.ge/politic/56010-bibilovi-qstsori-iqneba-thu-respublika-samkhreth-osethis-federaciis-shemadgenlobashi-shevaq.html?device=xhtml>). თუმცა მათი აფხაზი „კოლეგები“ მსგავს პათოსს ნაკლებად იზიარებენ და აფხაზეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის განცხადებებს ადგილობრივი ლიდერების რიტორიკაში, საბედნიეროდ ადგილი არ აქვს.

² Госдума РФ: референдум в Приднестровье был легитимным и Россия должна учитывать его итоги. <http://www.newsru.com/russia/06oct2006/pmr.html>.

³ Филат: Приднестровье и Гагаузия «подрывают сближение» Молдовы с ЕС. http://noi.md/ru/news_id/24289#close.

შესვლას დაუჭირა მხარი. ევროკავშირში ქვეყნის ინტეგრაციის პერსპექტივა პოზიტიურად გაგაუზიელთა მხოლოდ 1718 პირმა, ანუ 2.5%-მა შეაფასა.¹

ოფიციალურმა კიშინიოვმა რეფერენდუმი უკანონოდ სცნო, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ავტონომიური რეგიონის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მის საგარეო კურსს არ ეთანხმება, მისთვის საფრთხის შემცველია და 2014 წლის დასაწყისში, უკრაინაში, ყირიმის ნახევარკუნძულსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ, დონბასის რეგიონში შექმნილ დრამატულ ვითარებასთან იწვევს ასოცირებას. იქაც, კიევის პროდასავლური კურსის საპირწონედ, რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერით, მოხდა მოსახლეობის ანტიდასავლური განწყობებით მანიპულირება. შედეგად, ყირიმი დღეს რუსეთის მიერ არის ანექსირებული და მის შემადგენლობაშია, ხოლო დონბასში საბრძოლო მოქმედებები, მრავალრიცხოვანი მსხვერპლისა და ნგრევის თანხლებით, სამთავრობო ჯარებსა და პრორუს სეპარატისტებს შორის ამ დრომდე მიმდინარეობს.

2015 წლის 21 მაისს უკრაინის რადამ რუსეთის ფედერაციასთან გაფორმებული რიგი ხელშეკრულებები ხმათა უმრავლესობით გააუქმა.² ერთ-ერთი ამ ხელშეკრულებათაგანი იყო 1995 წლის 25 ნოემბერს, სოჭში რუსეთისა და უკრაინის ხელისუფლებებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება „უკრაინის გავლით მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით განთავსებული რუსული სამხედრო ფორმირებების ტრანზიტზე“ იყო.³ რუსეთსა და უკრაინას შორის გაუარესებულმა ურთიერთობამ გაართულა დნესტრისპირეთში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზის მდგომარეობა. ვერ ხერხდება პირადი შემადგენლობის როტაცია, ტექნიკის განახლება, საჭირო აღჭურვილობის შეტანა და ა.შ. ამას დაერთო ისიც, რომ უკრაინამ, რომელიც რუსულ აგრესიას ებრძვის ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში, დაიწყო არაღიარებული დნესტრისპირეთის მოლდოვურ რესპუბლიკასთან არსებული სასაზღვრო ზოლის გაძლიერება. კიევში მიაჩნიათ, რომ მოსკოვის გეგმებში ე.წ. „მეორე ფრონტის“ გახსნა შედის. სეპარატისტულ ანკლავში განთავსებული რუსული არმიის

¹ ЦИК Гагаузии обнародовал окончательные итоги референдума о будущей судьбе автономии. <http://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/940951>.

² Рада разорвала пять военных соглашений с Россией. <https://www.pravda.com.ua/rus/news/2015/05/21/7068579/>.

³ Соглашение между правительством РФ и Украиной о транзите через территорию Украины воинских формирований РФ временно находящихся на территории республики Молдова <http://www.consultant.ru/cons/cgi/online.cgi?req=doc;base=EXP;n=231155#07890121968130805>.

ოპერატიული დაჯუფება კი ამ ამოცანის განსახორციელებლად შესაბამის პოტენციალს სავსებით ფლობს. უკრაინელი მესაზღვრეების მიერ წამოწყებულმა საზღვრის გამაგრებითმა სამუშაოებმა დნესტრისპირელი სეპარატისტებისა და მათი რუსი კურატორების შეშფოთება გამოიწვია. ადგილობრივი და რუსი ექსპერტები ომის საფრთხეზე ალაპარაკდნენ, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მათი ვარაუდები საბრძოლო მოქმედებების განახლებაზე, საბედნიეროდ არ გამართლდა.

2016 წლის 13 ნოემბერს მოლდოვაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. გამარჯვება მასში, ადგილობრივ პოლიტიკოსთა და ექსპერტთა აზრით, პრორუსული შეხედულებების მქონე იგორ დოდონმა მოიპოვა. ამ ეჭვებს მათ პრეზიდენტის რანგში მისი პირველი ვიზიტი უღრმავებს. 2017 წლის იანვარში ის რუსეთის ფედერაციას ეწვია, სადაც თავის რუს კოლეგას, ვლადიმერ პუტინს შეხვდა. ერთობლივი პრესკონფერენციისას მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი, თავის თანამოაზრეებთან ერთად, 2014 წელს, მოლდოვის მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოწინააღმდეგ იყო.¹ აღსანიშნავია, რომ ვლადიმერ პუტინმა თავის მოლდოველ კოლეგას საჩუქრად გადასცა რუკა, რომელიც მე-17 საუკუნის მოლდოვას ასახავდა. მის თანახმად, აღმოსავლეთ საზღვარი მდინარე პრუტზე გადიოდა, დასავლეთი კი – დღევანდელი რუმინეთის ტერიტორიაზე. რაც შეეხება ბუჯაკსა და ბუკოვინას, ისინი მოლდოვის შემადგენლობაში იყვნენ. საჩუქარმა დოდონი მეტად გაახარა და აღაფრთოვანა.²

იგორ დოდონი დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებასა და მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მხოლოდ მშვიდობიანი გზით ხედავს. ამის შესახებ მან საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში ისაუბრა. „მიმაჩნია, რომ ამ კონფლიქტის პოლიტიკური გზით დარეგულირება შესაძლებელია და ეს მოლდოვის ფედერაციული მოწყობის სახელმწიფოდ გარდაქმნის შემთხვევაშია შესაძლებელი. ამაში საშიში არაფერია. დიახ, დნესტრისპირეთის რეგიონს უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული სტატუსი, უნდა შემუშავდეს საერთო პრინციპები, მაგალითად, როგორიცაა ნეიტრალიტეტი, ანუ ნატო-ში არშესვლა, ავტონომიურობა... აი, მაგალითად ჩვენი ქვეყნის შემადგენლობაში არის გაგაუზის ავტონომი-

¹ Пресс-конференция Путина и Додона, видео 17.01.2017. <https://www.youtube.com/watch?v=-BWSM6SJEJc>.

² Путин подарил Додону карту Молдовы XVII века. https://point.md/ru/novosti/politika/putin-podaril-dodonu-kartu-moldovy-xvii-veka?fbclid=IwAR3CfErgRaZa7PPmNVH7cDikYzgXWnTuNqJ_J2-3kb42ZSiRDRxe6TziGOU

ური ოლქი, რომელსაც, კანონის მიხედვით აქვს თვითგამორკვევის უფლება იმ შემთხვევაში, თუ მოლდოვა თავის სახელმწიფოებრიობას დაკარგავს“, – თქვა დოდონმა.¹

მოლდოვის პრეზიდენტი არაღიარებულ დნესტრისპირეთის მოლდოვურ რესპუბლიკასაც ეწვია. იგი დე ფაქტო პრეზიდენტს, ვადიმ კრასნოსელსკის შეხვდა. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო და მასზე სხვადასხვა საკითხებში ურთიერთთანამშრომლობის საკითხები იქნა განხილული. დოდონმა ამ უკანასკნელს არჩევნებში გამარჯვებაც კი მიულოცა, რამაც კიშინიოვში მისი პოლიტიკური ოპონენტების აღშფოთება გამოიწვია.² იგორ დოდონის მსგავსი, ერთი შეხედვით, დათმობებზე ორიენტირებული პოლიტიკა ოპტიმიზმით არც მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე სარგებლობს, რადგანაც ამ ეტაპზე მოლდოვის პრეზიდენტს საკმაოდ შეზღუდული უფლება-მოვალეობები აქვს. მთავარი სიტყვა პარლამენტსა და მინისტრთა კაბინეტს ეკუთვნის, ისინი კი დოდონისა და მისი ქმედებებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას არ მალავენ. შესაბამისად, მისი ბევრი ინიციატივა, მათ შორის, კიშინიოვის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დნესტრისპირეთის რესპუბლიკის სტატუსზე რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, ჯერჯერობით მხოლოდ განცხადების დონეზე რჩება.

საგულისხმოა, რომ იგორ დოდონის რბილ, დამთმობლურ და, შეიძლება ითქვას, რუსეთისადმი მაამებლურ ტონს ტირასპოლი მეტად ცივად პასუხობს. ასე, მაგალითად, 2018 წლის 18 სექტემბერს, მოლდოვურ ტელეარხ „მოლდოვა 1“-ზე გაკეთებულ სატელევიზიო ინტერვიუში იგორ დოდონი გამოვიდა ინიციატივით, რომ დნესტრისპირეთის არაღიარებული მოლდოვური რესპუბლიკის სტატუსი მდინარე დნესტრის ორივე ნაპირზე მცხოვრებთ რეფერენდუმზე განესაზღვრათ. მისივე თქმით, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების შემდეგ, რუსულმა სამხედრო კონტინგენტმა მოლდოვის ტერიტორია უნდა დატოვოს და თან რეგიონში არსებული იარაღის საწყობებში არსებული საბრძოლო მასალებიც თან გაიყოლოს. „ჩვენ განვახორციელებთ კონკრეტულ სცენარს, თუ როგორ შეიძლება მოხდეს რეინტეგრაცია, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ რეინტეგრაციის ნებისმიერი ფორმა მოლდოვის მოქა-

¹ Додон приедет в Тирасполь решить проблему Приднестровья. <https://play.md/ 2540243>.

² Встреча президента Приднестровья Вадима Красносельского и президента Молдовы Игоря Додона. <https://www.youtube.com/watch?v=EpOnJ-lmySo&t=16s>.

ლაქეებთან რეფერენდუმის გზით შეთანხმდეს“, – განაცხადა იგორ დოდონმა.¹ დნესტრისპირეთის არაღიარებული რესპუბლიკის სამინისტრომ კი მოლდოვის პრეზიდენტს შეახსენა, რომ დნესტრისპირელებმა თავიანთი „სახელმწიფოს“ სტატუსი რეფერენდუმის გზით, 2006 წლის 17 სექტემბერს, ერთხელ უკვე განსაზღვრეს და მათი ეს გადაწყვეტილება შეცვლას ან გადახედვას არასდროს არ დაექვემდებარება. „ეროვნულ რეფერენდუმზე სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტა „ახალი სიტყვაა“ მოლდოვის პოლიტიკაში. იმ მასობრივი აქციების ფონზე, რომელიც ამ ქვეყანაში მიმდინარეობს, უპრიანი იქნებოდა საყოველთაო რეფერენდუმი სახელმწიფოს საგარეო განვითარების ვექტორის საკითხზე ჩატარებულიყო. ამასთან, მოლდოვის პრეზიდენტის, ბატონი იგორ დოდონის მიერ მეზობელი ქვეყნის განვითარების პერსპექტივის მსგავსი მეთოდით განსაზღვრა დემოკრატიის ძირითად ღირებულებებთან მოდის წინააღმდეგობაში და კონფლიქტის გადაწყვეტის ფორმულის ძიებასთან საერთო არაფერი აქვს. დნესტრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკის მოქალაქეებმა, როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტის მატარებლებმა და ძალაუფლების წყარომ, ერთხელ უკვე გააკეთეს თავიანთი დამოუკიდებელი არჩევანი და თავისი სიტყვა თქვეს“, – იყო ნათქვამი დნესტრისპირეთის არაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.²

მოლდოვის სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის სრულ უპატივცემულობად და უგულებელყოფად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ 2019 წლის 23 იანვარს რუსეთის ფედერაციის დედაქალაქში, მოსკოვის ცენტრში დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა დნესტრისპირეთის არაღიარებული მოლდოვური რესპუბლიკის წარმომადგენლობა (აღსანიშნავია, რომ ტირასპოლს თავისი ოფიციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციის დუმაში უკვე წლებია, რაც ჰყავს – ვ.შ.). მას რუსული პოლიტიკისა და მმართველი გუნდის ლიდერები ესწრებოდნენ. ეს, ერთი შეხედვით, უცნაურიც კი არის. მოსკოვს სოხუმისა და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმებისაგან განსხვავებით, დნესტრისპირეთის არაღიარებული მოლდოვური რესპუბლიკა სუვერენულ სახელმწიფოდ არ უღიარებია. ამასთან, საპარლამენტო არჩევ-

¹ Додон хочет референдум в Приднестровье. https://deschide.md/ru/russian_news/politic_ru/36838/ Додон хочет-референдум-в-Приднестровье.htm.

² МИД ПМР: Народ Приднестровья уже определил судьбу своей страны. <https://novostipmr.com/ru/news/18-09-19/mid-pmr-narod-pridnestrovya-uzhe-opredelil-sudbu-svoey-strany>.

ნებში აშკარად რუსოფილი იგორ დოდონის გამარჯვების შემდეგ კიშინიოვს კრემლ-თან ბევრად უფრო თბილი და მეგობრული ურთიერთობები აქვს, ვიდრე „ნატოსა და ამერიკაზე სულმიყიდულ“ თბილისთან. ყოველივე ეს კარგად მეტყველებს, თუ სინამდვილეში რა გეგმები აქვს რუსეთს პოსტსაბჭოთა სივრცეში. აღნიშნული ფაქტი აგრეთვე ცხადყოფს, რომ პრორუსული კურსის დაკავება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის არანაირ გარანტიას არ წარმოადგენს.

2017 წლის 2 მაისს მოლდოვის საკონსტიტუციო სასამართლომ „ლიბერალური პარტიის“ მიერ ჯერ კიდევ 2015 წელს შეტანილი სარჩელი დააკმაყოფილა. გადაწყვეტილების თანახმად, დნესტრისპირეთის რეგიონი რუსეთის ფედერაციისა და უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად ითვლება. კანონგარეშედ ცხადდება კონფლიქტის ზონაში არსებული რუსული სამხედრო ბაზა და იქ მომსახურე პერსონალი.¹ ამ გადაწყვეტილებამ პრეზიდენტ იგორ დოდონის უკმაყოფილება გამოიწვია, რადგანაც, მისი აზრით, ასეთი ქმედებები კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების საქმეს ხელს უშლის.

პოლიტიკური პროცესების პროგნოზირება, მით უფრო დღევანდელ, მეტად დინამიკურ და ცვალებად სამყაროში ძალიან რთული და სარისკო საქმეა. ძნელი სათქმელია, რა ბედი ელის რეგიონს, რომელიც ჯერ კიდევ 1989 წელს დაწყებული კონფლიქტის მძევალია. ფაქტი ერთია, დნესტრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკა, მართალია, ეკონომიკურად სუსტი და მეტწილად რუსეთის ხარჯზე მცხოვრები ტერიტორიაა (ისევე, როგორც ოკუპირებული აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“) მაგრამ მას ჰყავს დე ფაქტო ხელისუფლება, რუსი სამხედროების წყალობით შექმნილი საკმაოდ ძლიერი და მოლდოვურ არმიაზე ბევრად უკეთ აღჭურვილი არმია და, რაც მთავარია, ახალი თაობა, რომელსაც მოლდოვურ საზოგადოებასა და მოლდოვურ სახელმწიფოში ცხოვრების არც გამოცდილება და არც სურვილი აქვს. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციამ ამ სეპარატისტული ანკლავის განვითარებაში კოლოსალური თანხები ჩადო, თუმცა ადგილობრივთა ცხოვრების დაბალი დონითა და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, ეს თანხები „ზოგ-ზოგიერთი“ მაღალჩინოსნის მიერ იქნა მითვისებული. ალბათ სწორედ ეს იყო 2011 წელს, საპრეზიდენტო არჩევნე-

¹ Конституционный суд Молдовы признал незаконными войска РФ в ПМР. http://news.liga.net/news/world/14743698-ks_moldovy_priznal_nezakonnymi_rossiyskie_voyska_v_pridnestrove.htm.

ბის გზით იგორ სმირნოვის ევგენი შევჩუკით ჩანაცვლების მიზეზი. სმირნოვისა და მისი ვაჟიშვილების ფინანსურ მაქინაციებსა და თანხების ფაქტებმა ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ამაზე თვალის დახუჭვა მოსკოვს უკვე აღარ შეეძლო. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს სმირნოვი არაღიარებული დნესტრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე კენჭს მეხუთე ვადით იყრიდა.¹ დღესდღეობით მას, თავის შვილებსა და სხვა ადგილობრივ სეპარატისტებთან ერთად ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლა აკრძალული აქვთ.² მოსკოვის იმედები არც ევგენი შევჩუკმა გაამართლა. 2016 წლის დეკემბერში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში ის ვადიმ კრასნოსელსკიმ დაამარცხა. მის წინააღმდეგ დაწყებული გამოძიების შედეგად მას ბრალი კორუფციული სქემებში მონაწილეობასა და დიდი რაოდენობით თანხების მიტაცება-გაფლანგვაში დაედო. 2017 წლის ივნისის ბოლოს კი შევჩუკმა თავს გაქცევით უშველა. მან ღამით მდინარე დნესტრი წავით, ფარულად გადაცურა და თავი ჯერ მოლდოვას,³ ხოლო შემდეგ კი მალტას შეაფარა.⁴

2018 წლის 23 ივნისს გაერომ მიიღო რეზოლუცია A/72/L.58, რომელიც რუსეთის ფედერაციას მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიიდან, კერძოდ კი, დნესტრისპირეთის რეგიონში დისლოცირებული სამხედრო კონტინგენტის გაყვანისაკენ მოუწოდებს. პროექტი მოლდოველმა პოლიტიკოსებმა ქართველ, უკრაინელ, ლიეტუველ, ლატვიელ, რუმინელ და კანადელ კოლეგებთან ერთად შეიმუშავეს. რეზოლუცია მოუწოდებს ოფიციალურ მოსკოვს, გადავადების გარეშე, სრულად და უპირობოდ დაასრულოს რუსეთის სამხედრო ძალების ოპერატიული დაჯგუფების გაყვანა. ასევე, რუსულმა მხარემ მთლიანად უნდა გაიტანოს ის შეიარაღება, რაც დნესტრისპირეთში არსებულ სამხედრო საწყობებშია შენახული. აღსანიშნავია, რომ კრემლმა ეს ვალდებულება ჯერ კიდევ 1999 წელს სტამბულში გამართულ ეუთო-ს სამიტზე აიღო, თუმცა დღემდე არ შეუსრულებია.⁵

¹ Приднестровье. Срок для президента. <https://www.youtube.com/watch?v=fWX9jYNfDLU>.

² council Common Position 2005/147/CFSP of 21 February 2005. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2005:049:0031:0033:EN:PDF>.

³ Бегство в Молдавию: Приднестровье покинул его бывший президент. <https://www.youtube.com/watch?v=CIsU5SdHuAs>.

⁴ Евгений Шевчук бежал на Мальту. Всё идет по плану? <https://tsv.md/evgenij-shevchuk-bezhal-na-maltu-vsyo-idet-po-planu/>.

⁵ Draft resolution Complete and unconditional withdrawal of foreign military forces from the territory of the

მოლდოვური მხარის მიერ ინიცირებულ რეზოლუციას მხარი 64 წევრმა სახელმწიფომ დაუჭირა, წინააღმდეგი 14 ქვეყანა აღმოჩნდა, ხოლო თავი 83 ქვეყანამ შეიკავა.¹ „უცხოური სამხედრო კონტინგენტის მოლდოვის ტერიტორიაზე განთავსება ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე არის არა მხოლოდ ჩვენი სახელმწიფო სუვერენიტეტის, თავისუფლებისა და ნეიტრალიტეტის, არამედ საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და გაერო-ს წესდებების უგულებელყოფა“, – თქვა სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას მოლდოვის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ტუდორ ულიანოვსკიმ.

გაეროს მიერ მიღებულმა რეზოლუციამ მოლდოვის პრორუსულად განწყობილი პრეზიდენტის, იგორ დოდონის გაღიზიანება გამოიწვია. მისი აზრით, დნესტრისპირეთიდან რუსული სამხედრო ბაზის გაყვანა რეგიონს კარგს არაფერს უქადის.

„მოლდოვის ხელისუფლების გაეროში ინიცირებული რეზოლუცია ქვეყნის ტერიტორიიდან რუსული სამხედრო კონტინგენტის გაყვანის შესახებ მიზნად რუსულმოლდოვური ურთიერთობების გაუარესებასა და ჩვენს სახელმწიფოში ვითარების დესტაბილიზებას ისახავს მიზნად. იგი დიდ ზიანს აყენებს კიშინიოვის იმ პოზიციას, რომელიც ითვალისწინებს დნესტრისპირეთის კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური მეთოდებით მოკლე პერიოდში დარეგულირებას. ეს არის დაპირისპირების რეანიმირების მცდელობა, რათა მასში რუსეთის ფედერაცია იქნას ჩათრეული. გარისკავენ კი მსგავსი ნაბიჯის გადადგმას ჩვენი დემოკრატები?! ვიმედოვნებ, რომ არა“, – თქვა იგორ დოდონმა.² იგივე აზრი მან დნესტრისპირეთის არაღიარებული რესპუბლიკის ლიდერ ვადიმ კრასნოსელსკისთან შეხვედრისასაც დააფიქსირა. მისი თქმით, ამ საკითხში მათი აზრები სრულ თანხვედრაშია, რუსული სამშვიდობო მისია მასზე დაკისრებულ ამოცანებს ზედმიწევნით კარგად ასრულებს და მანდატის გადახედვის საჭიროებაც კი არ არსებობს.³

ის, რომ რუსეთის ფედერაცია გაეროს აღნიშნულ რეზოლუციას არ შეასრულებს, რუსი მაღალჩინოსნების განცხადებებიდანაც ნათლად ჩანს. დიმიტრი პოლიანსკის

Republic of Moldova. <https://undocs.org/en/A/72/L.58>.

¹ Генассамблея ООН приняла резолюцию о выводе российских миротворцев из Приднестровья <https://news.mail.ru/politics/33874558/?frommail=1>.

² Додон заявил об опасности резолюции Генассамблеи ООН по Приднестровью. <https://news.mail.ru/politics/33876440/?frommail=1>.

³ Вадим Красносельский и Игорь Додон подвели итоги двусторонней встречи. https://www.youtube.com/watch?v=4giqFBcs_DM&t=0s&list=LLv19tmDTkWf1tDSPxh_DwPg&index=17.

(გაეროში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის – ვასილი ნებენზიას პირველი მოადგილე) თქმით, კიშინოვის მსგავსი ქმედებები ძირს უთხრის მოლდოვასა და დნესტრისპირეთს შორის ბოლო დროს მიმდინარე მოლაპარაკებებს, რომლებშიც პოზიციური ტენდენციები გამოიკვეთა.

„რუსი სამხედროები დნესტრის ნაპირებზე ზედმიწევნით ასრულებენ იმ ამოცანას, რომელსაც მათ სამშვიდობო მანდატი აკისრებს. ამ მანდატის შეცვლის მიზეზი ჯერ არ არსებობს“, – თქვა პოლიანსკიმ.¹

აღსანიშნავია, რომ რეზოლუციაში არ არის საუბარი რეგიონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანაზე. თავის მხრივ, მოსკოვი კი ჯიუტად ცდილობს, რეზოლუციის ტექსტის საზოგადოების ფართო მასებისათვის დამახინჯებული გზით წარმოჩენას, რომ თითქოს რეზოლუციის საფუძველზე მოლდოვა რეგიონიდან რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანას ცდილობს. ამასთან, რუსი სამხედრო მაღალჩინოსნები თავიანთ იქ ყოფნას იმითაც ამართლებენ, რომ ისინი იცავენ იმ უზარმაზარ სამხედრო საწყობებს, რომელიც დნესტრისპირეთში, სოფელ კალბასნაიასთან მდებარეობს. საცავში ათიათასობით ტონა საბრძოლო მასალა ინახება. მათი თქმით, ჭურვებისა და საავიაციო ბომბების დიდი ნაწილი იმდენად მოძველებულია, რომ მათი ტრანსპორტირება სახითა, ადგილზე უტილიზება კი გარემოს გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს. ექსპერტების თქმით, საწყობში არსებული იარაღის დეტონირება ევროპის ტერიტორიაზე მომხდარი ყველაზე დამანგრეველი ტექნოგენური კატასტროფა იქნება. შესაბამისად, მის ტერიტორიაზე უსაფრთხოების ნორმების ზედმიწევნით დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია. რუსი სამხედროების მტკიცებით კი, ამას მათზე უკეთ ვერავინ შეძლებს.

2018 წლის 27 მარტს, რუმინეთის პარლამენტში, ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გამართა. პარლამენტის საზეიმო სხდომას რუმინეთის პატრიარქი დანიელი, დედოფალი მარგარიტა ჰოკენბაური, ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტები – ემილ კონსტანტინესკუ და ტრაიან ბესესკუ, მინისტრთა კაბინეტის სრული შემადგენლობა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ვალერიან დორნიანუ, ბუქარესტის მერი გაბრიელა ფირია და სხვა რუმინელი მაღალჩინოსნები ესწრებოდნენ. მოლდოველთა საკმაოდ წარმომად-

¹ Генассамблея ООН приняла резолюцию о выводе российских миротворцев из Приднестровья <https://news.mail.ru/politics/33874558/?frommail=1>.

გენლობით დელეგაციას კი მოლდოვის რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი, მოლდოვის დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ანდრიან კანდუ ესწრებოდა. მისი თქმით, რუმინეთთან შეერთებამ ბესარაბიისა და ბესარაბიელებისათვის დროებით „გადაავადა“ ბოლშევიკების ტერორი, რეპრესიები და შიმშილი, რომელმაც 1930-იანი წლებისათვის მთელი საბჭოეთი მოიცვა და მილიონობით უდანაშაულო ადამიანი შეიწირა. მისივე თქმით, ბუქარესტი უნდა იყოს კიშინიოვის გზამკვლევი და დამხმარე ევროკავშირისაკენ მიმავალ გზაზე.

რუმინელმა პარლამენტარებმა საზეიმო დეკლარაცია ერთხმად მიიღეს. ტექსტში აღნიშნულია, რომ რუმინული მხარე მოლდოვის მოქალაქეთა ლეგიტიმურ სურვილს, გაერთიანების შესახებ შემხვედრი ნაბიჯებით შეხვდება. „რუმინეთის პარლამენტი ლეგიტიმურად მიიჩნევს მოლდოვის რესპუბლიკის იმ მოქალაქეთა სწრაფვას, რომლებსაც სურთ ამ ორი ქვეყნის გაერთიანება, რადგანაც ეს რუმინელი ერის განვითარებისა და განმტკიცების ბუნებრივი პროცესია. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ეს აქტი მხოლოდ და მხოლოდ მათ ნება-სურვილზეა დამოკიდებული და ვაცხადებთ, რომ რუმინეთი და მისი მოქალაქეები მზად არიან როგორც ახლა, ასევე მომავალშიც, გადადგან შემხვედრი ნაბიჯები და მოლდოვის რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ მათი სუვერენული ნების გამოხატვის ნებისმიერი ბუნებრივი გამოვლინება დააკმაყოფილონ“ – ნათქვამია დეკლარაციის ტექსტში.¹

მოლდოვის პრეზიდენტი, იგორ დოდონი უნიონისტურ იდეებსა და რუმინული პარლამენტის მიერ მიღებული დეკლარაციის პათოსს არ იზიარებს.

„მე არ ვარ ანტირუმინელი, არც არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ანტიუნიონისტი ნამდვილად ვარ და ყოველთვის ვიყავი. დიახ, ჩვენ საერთო ფესვები გვაქვს, ძმები ვართ, მაგრამ ყველას თავ-თავისი სხლი უნდა ჰქონდეს. მე მიყვარს რუმინელები, როგორც მეგობრები, როგორც მეზობლები, მაგრამ მოლდოვის სახელმწიფოებრიობაზე ხელის აღმართვის უფლება არავის აქვს“ – თქვა იგორ დოდონმა.²

იგორ დოდონის პრორუსულ პოლიტიკას მოლდოვის ტერიტორიული მთლიან-

¹ Парламент Румынии считает полностью легитимным желание граждан РМ объединиться с ней <https://point.md/ru/novosti/politika/parlament-rumynii-schitaet-polnostiu-legitimnym-zhelanie-grazhdan-rm-obedinitisia-s-nei>.

² Додон: «Молдоване и румыны братья но у каждого должен быть свой дом». <http://newsmaker.md/rus/novosti/dodon-moldavane-i-rumyny-bratya-no-u-kazhdogo-dolzhen-byt-svoi-dom-28578>.

ობის აღდგენის საქმეში შედეგი არ მოაქვს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამისი ნათელი დასტური 2019 წლის 22 იანვარს რუსეთის ფედერაციაში დნესტრისპირეთის წარმომადგელობის პომპეზური გახსნაა. საზეიმო ღონისძიებას დნესტრისპირეთის სეპარატისტული რეჟიმის მმართველი, ვადიმ კრასნოსელსკი. არაღიარებული აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ყარაბაღისა და რუსული პოლიტიკური ელიტის წევრები ესწრებოდნენ. მათ შორის იყვნენ ცნობილი რუსი პოლიტიკოსები, მმართველი პარტიის, „ედინაია როსია“-ს წევრები – კონსტანტინ ზატულინი და ალექსანდრე პუშკოვი ესწრებოდნენ. აღსანიშნავია, რომ წარმომადგენლობის გახსნაზე რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, პრორუსული შეხედულებებით ცნობილი ვლადიმერ ხომერიკიც იმყოფებოდა.¹ წარმომადგენლობას პოლკოვნიკი ლეონიდ მანაკოვი უხელმძღვანელებს. ვადიმ კრასნოსელსკის თქმით, წარმომადგენლობის გახსნა რუსეთისა და დნესტრისპირეთის ურთიერთობების კიდევ უფრო მეტ დაახლოვებასა და ინტეგრაციულ პროცესებს ხელს შეუწყობს. შეკრებილებს მიწვეულმა სტუმრებმაც მიმართეს. „რუსეთმა თავის თანამემამულეებს მხარი უნდა დაუჭიროს ყველგან, განსაკუთრებით კი იქ, სადაც ხალხი თავისი თვითმყოფადობისა და თავისუფლებისათვის იძულებული შეიქნა ხელში იარაღი აეღო, რათა თავი ასიმილაციისა და ჩაგვრისაგან ეხსნა“,² – თქვა სიტყვით გამოსვლისას კონსტანტინ ზატულინმა.

თავის განცხადებებში უფრო თამამი იყო „ედინაია როსია“-ს კიდევ ერთი წევრი, ალექსანდრ პუშკოვი: „რუსეთში მე არ მეგულება ადამიანი, გარდა მცირე, ერთეული გამონაკლისებისა, რომლებიც დნესტრისპირეთს რუსეთისაგან განცალკევებით მოიხსენიებენ. ჩვენ ერთი ერი ვართ. რუსულ საზოგადოებასა თუ პოლიტიკურ წრეებში თქვენდამი ძალიან თბილი და მეგობრული დამოკიდებულებაა. რუსეთისათვის დნესტრისპირეთს უდიდესი მნიშვნელობა აქვს“.³ თავის მხრივ, ვადიმ კრასნოსელსკიმ აღნიშნა, რომ წარმომადგენლობის გახსნა მოსკოვის ცენტრში არის რუსულ-დნესტრისპირული ურთიერთობების გაღრმავების საქმეში გადადგმული დიდი ნაბიჯი.

¹ Открыто Официальное представительство Приднестровской Молдавской Республики в столице РФ г. Москва. <https://www.youtube.com/watch?v=bOjMkkrnC0Y>.

² Открыто Официальное представительство Приднестровской Молдавской Республики в столице РФ г. Москва. <https://www.youtube.com/watch?v=bOjMkkrnC0Y>.

³ Алексей Пушкин: прочные отношения ПМР И РФ – это заслуга, прежде всего, Приднестровского народа, его представителей и России. – <https://novostipmr.com/ru/news/19-01-22/aleksey-pushkov-schitaet-ctho-otkrytie-predstavitelstva>.

რთული დასაჯერებელია, რომ რუსეთის ფედერაციის მმართველი პარტიის ერთ-ერთმა წამყვანმა ფიგურებმა საზეიმო ღონისძიებაზე დასწრების გადაწყვეტილება თვითნებურად მიიღეს და თან ასეთი მკვეთრი და მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის აშკარად უგულებელმყოფლური განცხადებები „ზედა წრეებთან“ შეთანხმების გარეშე გააკეთეს.

2019 წლის 24 თებერვალს მოლდოვაში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. ქვეყნის პრორუსულად განწყობილი პრეზიდენტის, იგორ დოდონის „მოლდოვის რესპუბლიკის სოციალისტთა პარტია“-მ პირველი ადგილი დაიკავა, თუმცა მის მიერ დაგროვილი ხმების რაოდენობა – 31,15% (ანუ 411 236 ხმა) იმას ნიშნავს, რომ მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტებასა თუ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრას პრორუსი დოდონი ვერ შეძლებს.

აღსანიშნავია, რომ მოლდოვაში გამართულ არჩევნებში მონაწილეობა დნესტრისპირეთის არალიარებული რესპუბლიკის მაცხოვრებლებმაც მიიღეს. ეს 1989 წლის შემდეგ არ მომხდარა. საქმე იმაშია, რომ წელს ქვეყანაში პირველად ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, სადაც დეპუტატებს ირჩევენ როგორც პროპორციული, ასევე მაჟორიტარული სიით. მიზეზთა გამო მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე საარჩევნო უბნები მიზეზთა გამო არ გაიხსნა, თუმცა მსურველებს, მოლდოვის მოქალაქის დამადასტურებელი მოწმობის მქონე პირებს (ასეთები კი არალიარებულ რესპუბლიკაში უკვე საკმაოდ არიან – ვ.შ.) თავიანთი პოზიციის დაფიქსირება სპეციალურად მათთვის გახსნილ ორ საარჩევნო უბანზე ჰქონდათ. მსურველები ავტობუსებით ჩამოჰყავდათ. ამ ფაქტმა მოლდოველ პოლიტიკოსებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. კერძოდ, პროდასავლური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების თქმით, დნესტრისპირეთიდან ჩამოსულ ამომრჩევლებთან მათ წინასაარჩევნო პერიოდში, მათი პრორუსული კონკურენტი „მოლდოვის რესპუბლიკის სოციალისტთა პარტიისაგან“ განსხვავებით, წვდომა არ ჰქონდათ. ისინი დნესტრისპირელებში საკმაოდ აქტიურ პოლიტიკურ აგიტაციას ყოველგვარი პრობლემების გარეშე ეწეოდნენ. ამასთან, თავის არცთუ ისე მცირე როლს რუსული პროპაგანდისტული მანქანაც ასრულებდა, რომელიც იგორ დოდონსა და მის პოლიტიკას ხოტბას ასხამდა. შესაბამისად, არცაა გასაკვირი, რომ სეპარატისტულ რეგიონში მცხოვრებთა უდიდესმა ნა-

წილმა თავის ხმა „მოლდოვის რესპუბლიკის სოციალისტთა პარტიას“ მისცა.¹

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში მოლდოვასა და დნესტრისპირეთის არაღიარებულ რესპუბლიკაში ყოფნისას ავტორი ამ საკითხზე ადგილობრივი მოქალაქეების პოზიციით დაინტერესდა. ის ესაუბრა სხვადასხვა ეროვნებისა თუ სოციალური ფენის წარმომადგენლებს. შეიძლება ითქვას, რომ მოლდოვის რუმინეთთან შესაძლო გაერთიანებისა და უნიონისტური განწყობების საკითხზე რესპუბლიკის მოქალაქეთა პოზიცია, ისევე როგორც ხელისუფლებაში მყოფთა, არაერთგვაროვანია. ეთნიკურად არამოლდოველთა აბსოლუტური უმრავლესობა რუმინეთთან გაერთიანების კატეგორიული წინააღმდეგია, რადგანაც მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში მოხდება მათი ასიმილაცია და ისინი ე.წ. „მეორეხარისხოვან“ მოქალაქეებად გადაიქცევიან. თუმცა პასუხი კითხვაზე, რა აძლევთ ამ შიშის საფუძველს, მათ უმეტესობას არ აქვს. საგულისხმოა, რომ მათ დიდ ნაწილს რუმინული პასპორტის აღების შანსზე უარი არ უთქვამს. ისინი არც ევროკავშირსა და მოლდოვას შორის არსებული მიმოსვლის უვიზო რეჟიმით სარგებლობაზე ამბობენ უარს.² ბევრი მათგანი ევროპაში განათლების მისაღებად, სამკურნალოდ თუ სამუშაოდ მიდის. უნიონისტური იდეებისადმი რადიკალურად ნეგატიური განწყობებია მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე მცხოვრებთა შორისაც. აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში მაშინდელი მოლდოვური პოლიტიკური ელიტის ნაწილის განცხადებებმა, ბუქარესტთან შესაძლო გაერთიანების შესახებ შეიარაღებულ კონფლიქტში კატალიზატორის როლი ითამაშა. მოსკოველი პროპაგანდისტები მაშინაც და დღესაც აქტიურად არწმუნებენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომ მოლდოვისა და რუმინეთის ერთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემთხვევაში „ფაშისტი რუმინელები“ მათ ცხოვრებისათვის აუტანელ პირობებს შეუქმნიან. ამისი კი ბევრ დნესტრისპირელს სჯერა. თუმცა, ისინი მიიჩნევენ, რომ მოლდოვა ცალკე სახელმწიფოა და კიშინოვსა და ტირასპოლს საერთო აღარაფერი აქვთ.

მოლდოვის პრორუსულად განწყობილი პრეზიდენტი ამ მოსაზრებას არ იზიარ-

¹ Молдова: избиратели из Приднестровья и победа пророссийской партии. <https://www.youtube.com/watch?v=tzRfpC7kB2Y>.

² აღნიშნული დადასტურდა დნესტრისპირეთში ვიზიტისას, როდესაც ადგილობრივი მაცხოვრებლები არც მალავდნენ ჩემთან საუბარში, რომ დიდი სიამოვნებით იღებდნენ მოლდოვის პასპორტს შენგენის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის გამო – ვ.შ.

ებს. „იქ მუსირებს აზრი, რომ მოლდოვას რაც უნდა ის უქნია, დნესტრისპირეთს უკვე აქვს გარკვეული სტატუსი და ყველაფერი კარგად იქნება. ასე არ გამოვა მეგობრებო, ჩვენ ერთ ნავში ვსხედვართ, ან ერთად გადავრჩებით, ან ერთად ჩავიძირებით. დნესტრისპირელებთან ხშირი კონტაქტი მაქვს და ეს შეხვედრები რიგი საკითხების მოგვარებაში გვეხმარება, მაგალითად, მივაღწიეთ შეთანხმებას ნეიტრალური ნომრების შესახებ, ანუ ამიერიდან დნესტრისპირელები შეძლებენ თავიანთი სანომრე ნიშნებით სხვა ქვეყნებში იმოგზაურონ. ჩვენ ვაღიარეთ მათი უმაღლესი სასწავლებლების დიპლომები, რომელსაც მხოლოდ რუსეთის ფედერაცია აღიარებდა, შესაბამისად, მათ არსად შეეძლოთ მუშაობის დაწყება, დღეს ეს საკითხი გადაწყვეტილია“, – განაცხადა მოსკოვში ვიზიტით მყოფმა იგორ დოდონმა რუსულ ტელეკომპანია „ზვეზდა“-სთვის მიცემულ ინტერვიუში.¹

რაც შეეხება ეთნიკურად მოლდოვურ მოსახლეობას, ისინი მიიჩნევენ, რომ თანამემამულეების მსგავსი სწრაფვა რუმინეთისადმი ამ უკანასკნელის განვითარების დონით არის განპირობებული. დიდ როლს თამაშობს საერთო ენის ქონაც. ის ფაქტი, რომ რიგით მოლდოველს რიგითი რუმინელის თარჯიმნის გარეშე ესმის, ამ უკანასკნელს უმყარებს იმ აზრს, რომ ეს ორი ერი სინამდვილეში ერთი ერია, რომელიც ჟამთა ავმა და უსამართლო სვლამ ერთმანეთს დააშორა. თავად რუმინელების დიდი ნაწილი კი მოლდოვის „ანშლუსის“ იდეით დიდად მოხიბლული არ არის. მართალია, მათი ქვეყანა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით, სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობით, ბევრად უფრო პროგრესული და განვითარებულია, მაგრამ ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყნებთან შედარებით, ის ღარიბი სახელმწიფოა. შესაბამისად, რთული ეკონომიკური მდგომარეობის მქონე, განვითარებადი და კორუმპირებული მოლდოვის შეერთებაში ისინი პრობლემებს უფრო ხედავენ, ვიდრე ისტორიულ სამართლიანობას.

რა შეუძლია მისცეს დნესტრისპირეთს ევროპის უღარიბესმა სახელმწიფომ – მოლდოვამ?!² ეკონომიკურად ბევრი ვერაფერი, თუმცა ევროინტეგრაციის პერსპექტი-

¹ Игорь Додон – Об отношениях с НАТО и ЕС, гражданах Молдавии в России и ситуации в Приднестровье <https://www.youtube.com/watch?v=dCrEL3XUfIY&t=1724s>.

² ცნობისთვის, დნესტრისპირეთის მოლდოვური რესპუბლიკის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურს „გაზპრომი“ მოლდოვას აწერს. შედეგად, კიშინიოვის დავალიანება ამ კომპანიის წინაშე უკვე 7 მლრდ. დოლარს აღწევს (იხ.: Президент Молдовы Игорь Додон: «Я опираюсь не на продажные

ვა ბევრ დნესტრისპირელ ახალგაზრდას აინტერესებს. ასე, მაგალითად, 2015 წლისათვის, მოლდოვური პასპორტი მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე მცხოვრებმა 95 000-ზე მეტმა პირმა აიღო. მიზეზი ევროკავშირის ტერიტორიაზე უვიზო მომოსვლის შესაძლებლობაა, რომლითაც მოლდოველები 2014 წლიდან სარგებლობენ.¹ თუმცა, აღსანიშნავია, რომ რუსული პროპაგანდა, მის მიერ კონტროლირებადი მედიაშაშუალებების მეშვეობით, თავის ნეგატიურ როლს აქტიურად თამაშობს. შედეგად, ბევრი დნესტრისპირელისათვის ევროკავშირი „სიძვისა და გარყვნილების ბუდე, ამქვეყნიური სოდომი და გომორია“, რუსეთი კი „სულიერებისა და ქრისტიანობის დედამიწისეული სავანე“. ტირასპოლი იმედის თვალით შეჰვერებს მოსკოვს, კრემლს, რომელიც მსგავსი გაურკვეველი სტატუსის, აწმყოსა და მომავლის მქონე ტერიტორიული ერთეულების სახით მისდამი ურჩ მეზობლებს სჯის.

ბევრი მოლდოველის აზრით, მათი ქვეყანა კორუფციისა თუ ოლიგარქიული მმართველობისაგან რომ განთავისუფლდეს, ჰქონდეს ევროპული სტანდარტების მმართველობა და იყოს ეკონომიკურად ძლიერი, კიშინიოვს დნესტრისპირელთა „მობრუნების“ რეალური საშუალება ექნებოდა. ამის მიზეზი სახალხო ურთიერთობებშია. ომი, თუკი ასე შეიძლება ითქვას, გაცილებით უფრო ნაკლებად სასტიკი და მცირემასშტაბიანი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ სხვა კონფლიქტებთან შედარებით. მხარეთა შორის უფსკრული და ურთიერთგაუტანლობის დონე ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე, მაგალითად, სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტი. ასე, მაგალითად, კიშინიოვში მცხოვრებ პირს უპრობლემოდ შეუძლია მისთვის სასურველ ნებისმიერ დროს ეწვიოს ტირასპოლს, რიბნიცას ან ნებისმიერ სხვა დასახლებულ პუნქტს. ანალოგიურად, დნესტრისპირელებიც ყოველგვარი მდინარე დნესტრის მარჯვენა სანაპიროზე პრობლემის გარეშე გადადიან. დნესტრისპირული საფეხბურთო კლუბი „შერიფი“ მოლდოვის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობს და მოლდოვის მრავალგზის ჩემპიონია.² შეხვედრები მოლდოვურ გუნდებთან ტარდება როგორც კიშინიოვის, აგრეთვე ტირასპოლის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. გარდა ამისა, მოლდოვის ეროვნული საფეხბურთო ნაკრები დროდადრო თავის შეხვედრებს

элиты, а на народ». <https://www.kp.ru/daily/26686/3709860/>.

¹ როგორ აისახა ვიზალიბერალიზაციის პროცესი მოლდოვაზე. <http://idnews.ge/index.php?newsid=3421>.

² ცნობისთვის, წლების განმავლობაში ფ.კ. „შერიფის“ უცვლელი კაპიტანი ქართველი ფეხბურთელი, ვაჟა თარხნიშვილი იყო (იხ.: თარხნიშვილი ვაჟა https://ru.wikipedia.org/wiki/Тархнишвили,_Важа).

ტირასპოლში მართავს. მსგავსი რამ ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, სამწუხაროდ, ამ დრომდე წარმოუდგენელია. ქართველთათვის სოხუმსა და ცხინვალში ჩასვლა ამ ეტაპზე გართულებულია და სიცოცხლის რისკთანაც კი არის დაკავშირებული, თუმცა კი, აღსანიშნავია, რომ ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთში მაცხოვრებელი ოსები და აფხაზები დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე უპრობლემოდ გადაადგილდებიან. ქართული მხარის ინიციატივით, ისინი მაღალკუალიფიციური, უფასო სამედიცინო დახმარებითა და სხვა სახის სერვისებით სარგებლობენ. თავიანთი ეთნიკური წარმომავლობის გამო საქართველოში მათ არანაირი პრობლემა არ ექმნებათ. ისიც აღსანიშნავია, რომ აფხაზებისა და ოსებისაგან განსხვავებით, დნესტრისპირელებს ბიბლიოთეკებში არსებული მოლდოვურენოვანი წიგნები არ დაუწვავთ და მოლდოვურ ენაზე შესრულებულ წარწერებს ტირასპოლისა თუ ბენდერის ქუჩებში საკმაოდ ხშირად შეხვდებით. ამასთან, კიშინიოვსა თუ სხვა ქალაქებში დნესტრისპირეთის არაღიარებული რესპუბლიკის ე.წ. სახელმწიფო ნომრებით მოძრავ ავტომანქანებს საკმაოდ ხშირად შეხვდებით. ცნობისთვის, ბევრი დნესტრისპირელი ახალგაზრდა უმაღლეს განათლებას მოლდოვის უმაღლეს სასწავლებლებში იღებს.

საინტერესო კი ის არის, რამ აიძულა მოლდოვის მაცხოვრებლები, რომლებიც მშვიდ და მეგობრულ გარემოში ცხოვრობდნენ, აეღოთ ხელში იარაღი და ერთმანეთისათვის ესროლათ. როგორ განსაზღვრავდნენ ისინი მტერსა და მოყვარეს, რა იდეისთვის იბრძოდნენ, ესროდნენ სხვას და საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას რისთვის აგდებდნენ საფრთხეში, რას მიიჩნევენ შეცდომად, რას ნანობენ და რას არა, – ამ კითხვებზე ყველაზე გულახდილ პასუხს აღბათ უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების მონაწილეები გასცემენ. მოლდოვასა და დნესტრისპირეთის არაღიარებულ რესპუბლიკაში ყოფნისას, როგორც უკვე აღინიშნა, მე მოვლენების უშუალო მონაწილეებს, მათ შორის, საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებსაც ესაუბრა. მათ სიტყვებში შეიძლება ვიპოვოთ პასუხი კითხვაზე, იყო დნესტრისპირეთი ეთნიკური კონფლიქტი, თუ ადგილი მხოლოდ პოლიტიკურ-ტერიტორიალურ დაპირისპირებას ჰქონდა.

პირველი რესპონდენტი უკვე ნახსენები, ალექსანდრე ბელოუსოვია, როგორც აღვნიშნე, იგი აფხაზეთში, აფხაზი სეპარატისტების მხარეს იბრძოდა, თუმცა მანამდე

იგი დნესტრისპირელი მეამბოხეების რიგებში იყო. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ზურგს უკან საბჭოთა არმიის რიგებში თითქმის 20-წლიანი მსახურის სტაჟი ჰქონდა, მისი სახით მოლდოვის სამთავრობო ჯარებს ანგარიშგასაწევი მოწინააღმდეგი ჰე ჰყავდა.

„მე, ისევე როგორც ჩემი მშობლები, აქ, დნესტრისპირეთში დავიბადე და გავიზარდე, აქ დავოჯახდი და მსურს, რომ ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმაც აქ იცხოვრონ. როდესაც 1989 წელს დაიწყო საუბრები მოლდოვის სსრ ტერიტორიაზე მოლდოვური ენისათვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭებაზე, ჩვენ, რუსულენოვანი მოსახლეობა შეგვაშფოთა, რადგანაც გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ჯერ მშობლიურ ენას და შემდეგ, ნელ-ნელა, იდენტობის განმსაზღვრელ სხვა ნიშნებსაც წაგვართმევდნენ. ამიტომაც ამ ინიციატივას ჩვენ დიდი უკმაყოფილებითა და უნდობლობით შევხვდით. პასუხად კი განმარტებების ნაცვლად მივიღეთ აგრესია, შეურაცხმყოფელი გამონათქვამები და მუქარა. მოლდოველ ნაციონალისტებში ძალიან პოპულარული იყო სლოვანი: „ჩემოდანი-ვაგზალი-რუსეთი“. ანუ ჩვენ, ადგილობრივ რუსებს გვეუბნებოდნენ, წადით, არ არის აქ თქვენი ადგილიო. თუმცა მათ მინდა შევახსენო, რომ მოლდოვა ოსმალეთის იმპერიის ულმობელი უღლიდან სწორედ რუსეთის იმპერიამ და რიგითმა რუსმა ჯარისკაცებმა, დიდი მსხვერპლის ფასად დაიხსნეს. ეს მიწა ჩვენი წინაპრების სისხლითა არის მორწყული და ამიტომ, დიახ, ჩვენც გვაქვს აქ ცხოვრების სრული უფლება. ამას ყველაფერს თან ერთვოდა კიშინიოველ მოლდოველთა დიდ ნაწილში შოვინისტურ-ფაშისტური იდეების გაძლიერება და რუმინეთთან შეერთების სურვილი. რუმინული ოკუპაციის დღეები კი ჩვენი მშობლების თაობას ძალიან მწარედ ახსოვდათ. გვეშინოდა იმისა, რომ „დიდი რუმინეთის“ აღორძინების იდეით შეპყრობილი რუმინელები და მოლდოველები მეორე ხარისხის ხალხად შეგვრაცხავდა, ჩვენს ცხოვრებას გაუსაძლისს გახდიდა და გვეტყოდა, რომ მათ წმინდა მიწაზე ჩვენი ადგილი არ იყო. სწორედ ამან მაიძულა დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლაში აქტიურად ჩავრთულიყავი. იარაღი ხელში კი მხოლოდ მას მერე ავიღე, რაც დავინახე, რომ მოლდოვის ხელისუფლებამ ჩვენთან მოლაპარაკებას, ჩვენთან ომი არჩია“,¹ – თქვა ბელოუსოვმა ჩემთან საუბრისას.

¹ ინტერვიუ სსრკ არმიის თადარიგის ოფიცერთან, დიმიტრი ალექსანდრეს ძე ბელოუსოვთან. 28.01.16.

აღსანიშნავია, რომ მსგავს საფრთხეებსა და რისკებზე საუბრობდნენ სხვა დნესტრისპირელებიც. მათაც მიაჩნდათ, რომ მოლდოველები რუმინეთისაკენ შეერთებას ლამობდნენ, რაც რესპუბლიკის რუსულენოვან მოსახლეობას კარგს არაფერს უქადდა. თავისი ნეგატიური როლი „სახელმწიფო ენის სტატუსის შესახებ“ კანონმაც ითამაშა. შიშებს იზიარებდნენ მეტწილად პრორუსულად განწყობილი გაგაუზებიც, რომელთა საკმაოდ დიდი ნაწილი დნესტრისპირეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებისას ადგილობრივ სეპარატისტებს გულშემატკივრობდა.

მეორე რესპოდენტი, ალექსანდრე გრაური დნესტრისპირეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს 22 წლის იყო. ის რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და პოლიტიკოსი ლიდერების გამოსვლებს სკეპტიკურად აფასებდა, თუმცა, როდესაც ჩათვალა, რომ მის სამშობლოს დახმარება სჭირდებოდა, იარაღით ხელში მისი ტერიტორიული მთლიანობის სადარაჯოზე დადგა.

„რუსებისადმი არასდროს არანაირი სიძულვილის გრძნობა არ მქონია. კიშინიოვში რუსული მოსახლეობის რაოდენობა ყოველთვის მაღალი იყო. საბჭოთა დროს ჩვენთან ეთნიკური ნიშნით ადამიანების გარჩევა არასდროს ხდებოდა. რუსული ენა კი იმდენად ხშირად გამოიყენებოდა, რომ ჩვენც ოჯახში მეტწილად რუსულად ვსაუბრობდით. თუმცა, დიახ, 1990-იან წლებში იყვნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი არაადეკვატური განცხადებებით, ნებსით თუ უნებლიერ, ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ. ამით მათ კონფლიქტის გაღვივებას ხელი შეუწყეს. მე პირადად დემონსტრაციებზე არასდროს ვყოფილვარ, თუმცა ჩემი ბევრი მეგობარი დადიოდა ამ აქციებზე და მიტინგებზე. დღეს მათი აბსოლუტური უმრავლესობა ძალიან ნანობს ამას და ყოველივეს ახალგაზრდულ დაუფიქრებლობასა და წინდაუხედაობას მიაწერენ. ჩემი აზრით, მოლდოვური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება მაშინ, როდესაც ეს გადაწყვეტილება საზოგადოების საკმაოდ სოლიდურ ნაწილში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური და არასწორი ნაბიჯი იყო. ისე კი უცნაურია, ის მოლდოველი ორატორები, რომლებიც ყველაზე ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდნენ, მათ შორის რუმინეთთან შეერთებაზე, აგინებდნენ რუსებს და რუსეთს, რითაც ადგილობრივ რუსებს აღიზიანებდნენ და აქეზებდნენ, დღეს ან რუსეთის ფედერაციაში არიან გადახვეწილნი, ან ადგილობრივ პრორუს პოლიტიკოსებს უჭერენ მხარს. მიმაჩ-

ნია, რომ ეს იყო თითიდან გამოწოვილი მიზეზების გაბუქების შედეგად წარმოქმნილი კონფლიქტი, რომელიც კრემლის ინტერესებში შედიოდა.

პირადად მე იარაღი ხელში მაშინ ავიდე, როდესაც დავინახე, რომ ჩემი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე ემუქრებოდა. ომში მოხალისედ წავედი და 1992 წლის 12 აპრილს ფრონტის ხაზზე აღმოვჩნდი. იქ კი აღმოვაჩინე, რომ ჩემს ბატალიონში პირადი შემადგენლობის 30-35% ეთნიკურად რუსი იყო. ისიც მინდა გითხრათ, რომ მოწინააღმდეგე სეპარატისტთა რიგებში ძალიან ბევრი დნესტრისპირელი მოლდოველი იბრძოდა. პარადოქსული სიტუაცია იქმნებოდა, როდესაც მოლდოველი სეპარატისტი ტყვიას ესროდა რუსს, რომელიც მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად იბრძოდა¹ – თქვა ვასილი გრაურმა ჩემთან საუბრისას.

რაც შეეხება რიგით მოლდოველებს, რომლებსაც მოლდოვაში ყოფნისას ვესაუბრე, ისინი კონფლიქტის არსს შემდეგში მიიჩნევენ: ადგილობრივი რუსულენოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილი მოლდოვურ ენას არ ფლობდა, თუმცა ეს მათ წარმატებული კარიერისა და სამსახურეობრივი წინსვლის საქმეში, გასაგები მიზეზების გამო, ხელს არანაირად არ უშლიდა. სსრკ-ს დაშლისა და მოლდოველების მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში ეს რეალობა, რა თქმა უნდა შეიცვლებოდა. მოლდოველების დიდ ნაწილს სამართლიანად აღიზიანებდა ის გარემოება, რომ მაგალითად, კიშინიოვში დაბადებულმა და გაზრდილმა რუსი ეროვნების მოქალაქემ მოლდოვური ენა არ, ან ძალიან ცუდად იცოდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ამ ენის სწავლას ისინი არ მიიჩნევდნენ საჭიროდ. იმ ქვეყნის სახელმწიფო ენის ცოდნა, რომელშიც ცხოვრობ, აუცილებელია და შენი მხრიდან ამ სახელმწიფოსა და ხალხის პატივისცემაზე მეტყველებს. სხვათა შორის, სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში მაცხოვრებელი რუსულენოვანი მოსახლეობის დიდ ნაწილსაც ენობრივი საკითხისადმი მსგავსი მიდგომა ჰქონდა, რაც მათსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს შორის ანტაგონიზმს უფრო ზრდიდა და დაპირისპირებისათვის შესაბამის ნიადაგს ქმნიდა.

¹ ინტერვიუ ვასილი გრაურთან. მოლდოვური არმიის მოხალისესთან. 25/01/16

დასკვნა

რა გახდა ამა თუ იმ შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი, იყო ის ეთნიკური, პოლიტიკური თუ ტერიტორიული, ეს ის კითხვებია, რომლებზე პასუხის გაცემას ყველა პოლიტოლოგი თუ კონფლიქტოლოგი ცდილობს. დნესტრისპირეთის შემთხვევაში ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ არის მარტივი. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ეს იყო ეთნიკური კონფლიქტი. კეთილი, მაგრამ მაშინ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ სეპარატისტული შეიარაღებული ფორმირებების რიგებში არაერთი ათეული ადგილობრივი, ეთნიკურად მოლდოველი იბრძოდა და პირიქითაც, მოლდოვის სამთავრობო ჯარების პირადი შემადგენლობის სოლიდური ნაწილი ეთნიკური რუსებითა და უკრაინელებით იყო დაკომპლექტებული? ან ის, რომ ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური, ან თუნდაც სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტებისაგან განსხვავებით, სადაც ეთნიკური ფაქტორი მეტად გამოკვეთილი იყო, რიგით მოლდოველებს ყოველგვარი პრობლემებისა და გართულებების გარეშე შეუძლიათ მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპიროზე გადასვლა და მეამბოხე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოფნა? ამასთან, პოსტსაბჭოთა კონფლიქტური რეგიონებისაგან განსხვავებით, დნესტრისპირეთში, საბედნიეროდ, ეთნიკური წმენდის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. ამასთან, რეგიონში საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე არსებული დემოგრაფიული სურათი პრაქტიკულად არ შეცვლილა. ყარაბახის, აფხაზეთისა თუ ე.წ. სამხრეთ ოსეთისაგან განსხვავებით დნესტრისპირეთიდან ათობით ათასი მოქალაქე იძულებით გადაადგილებულ პირად არ ქცეულა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ კონფლიქტში ტირასპოლის მხარეს „უნა-უნსოელი“ უკრაინელი ნაციონალისტების ჯგუფის იბრძოდა. ეს ერთგვარი სლავური სოლიდარობის გრძნობით შეიძლება იქნას ახსნილი. თუმცა ამ გარემოების გამო დნესტრისპირეთის კონფლიქტში ეთნიკურ ფაქტორი იდენტურობის ყველა სხვა განმსაზღვრელზე, მათ შორის რელიგიაზე, ძლიერიცაა, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს ერთი საერთო იდეა აერთიანებთ. ასე, მაგალითად, დნესტრისპირელთა და გაგაუზთა ძალიან დიდი ნაწილი საბჭოთა კავშირისადმი ნოსტალგიური გრძნობებით არის განმსჭვალული. მათთვის სსრკ რატომდაც „სტაბილურ ცხოვრებასა და კეთილდღეობას-

თან“ ასოცირდება. მსგავსი განწყობები მდინარე დნესტრის ორივე ნაპირზე მცხოვრებ მოლდოველებშიც შეინიშნება. სსრკ-ს სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციაში კი ისინი საბჭოეთის რეინკარნაციას ხედავენ. ეს კი მოსკოვისადმი სიმპათიას ზრდის. პირად საუბრებში მოლდოველების ნაწილი თავიანთი ქვეყნის რუსეთთან გაერთიანების იდეას არც თუ ისე მიუღებლად მიიჩნევს. სწორედ ძლიერი პრორუსული განწყობები გახდა მიზეზი იმისა, რომ დღესდღეობით მოლდოვას აშკარად პრორუსული ორიენტაციის მქონე პრეზიდენტი, იგორ დოდონი მეთაურობს.

დნესტრისპირეთის არალიარებული მოლდოვური რესპუბლიკისა და მოლდოვას მაცხოვრებლებთან გასაუბრებისას, მე მივედი დასკვნამდე, რომ აღნიშნული კონფლიქტი გახლდათ არა ეთნიკური, არამედ ტერიტორიულ-პოლიტიკური. ენობრივი საკითხი საკმაოდ ეფექტურად გამოიყენა კი ამ დაპირისპირების გაღვივებაში ყველაზე მეტად დაინტერესებულმა მხარემ – კრემლმა. სხვადასხვა არხების გამოყენებით, ადგილობრივ რუსულენოვან მოსახლეობაში ერთი მეორეზე უფრო საშიში და შემაძრწუნებელი ცნობები და ჭორები გავრცელდა, რომ თითქოს რუსებს მოლდოვაში დარჩენის შემთხვევაში ასიმილირება და მონობა არ ასცდებათ, რომ თითქოს რუსულ ენაზე არათუ სწავლა, საუბარიც კი აიკრძალება, რომ ეთნიკურ-ლინგვისტური ნიშნით ადგილი ექნება ადამიანების სეგრეგაციას, დისკრიმინაციას, სამსახურებიდან დათხოვნას და ა.შ. ეს ძველი და ნაცადი ხერხია. როგორც ნაცისტური გერმანიის მთავარი იდეოლოგი, იოზეფ გიორგელსი ამბობდა, „რაც უფრო შემაძრწუნებელია ტყუილი, მით უფრო დამაჯერებელია იგი“. აღსანიშნავია, რომ მოსკოვმა სულ ახლახანს, 2014 წლის დასაწყისში, უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში – დონბასსა და ყირიმში სეპარატისტული მოძრაობების ჩამოყალიბება-გაძლიერების საქმეში მეტად წარმატებით გამოიყენა. საუბარია ე.წ. „ჰიბრიდულ ომზე“, რომელსაც რუსული სპეცსამსახურები დღეს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგაც ეფექტურად ახორციელებს. უკრაინის მოქალაქეების მიერ კიევის მაიდანზე მოწყობილ ე.წ. „დირსების რევოლუციას“, რომელმაც ქვეყნის განვითარების პროდასავლური კურსი განსაზღვრა, კრემლმა თავისი მეტად სასტიკი და ცბიერი პასუხი გასცა. ყირიმის ნახევარკუნძულსა და დონბასის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი პრორუსულად იყო განწყობილი და, შესაბა-

მისად, ინფორმაციას მეტწილად რუსული მედიასაშუალებებიდან იღებდა, შთააგონა, რომ უკრაინაში მოხდა გადატრიალება და ძალაუფლება ხელში „ბანდერო-ფაშისტურმა“ მალებმა ჩაიგდეს. ადგილობრივთა დიდმა ნაწილმა მართლაც დაიჯერა, რომ ახალი ხელისუფლება მათ უკეთეს შემთხვევაში მეორეხარისხოვან მოქალაქეებად აქცევდა და მათ ასიმილირებას მოახდენდა. ამასთან თავს მოახვევდა ე.წ. „ევროპულ ღირებულებებს“ (რუსული პროპაგანდის წყალობით კი მათ გულწრფელად დაიჯერეს, რომ ევროპული ღირებულებები ერთსქესიანთა ქორწინება, პედოფილია, მართლმადიდებლური რელიგიის განადგურება და მსგავსი ქმედებებია). შესაბამისად, რუსულ სპეცსამსახურებს აღნიშნულ რეგიონში თავისი მზაკვრული საქმის კეთება გაუადვილდათ და დღეს უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონები საბრძოლო მოქმედებების ასპარეზად იქცა. დონბასის ტერიტორიის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს ამ ეტაპზე პრორუსი სეპარატისტები აკონტროლებენ.

1990-იანი წლების დასაწყისში, მოლდოვაში განვითარებული დრამატული მოვლენების მთავარი მიზეზი, როგორც ეს სადისერტაციო ნაშრომის დასაწყისშიც აღვნიშნე, იყო კრემლის სურვილი, დაესაჯა და მასზე დამოუკიდებულად ექცია „ურჩი და არასაიმედო“ რესპუბლიკები, მათ შორის იყო 1940 წელს იმულებით „გაწითლებული“ მოლდოვა. დიახ, მოსკოვში ეშინოდათ, რომ დამოუკიდებელი კიშინიოვი შეიძლება რუმინეთთან გაერთიანებულიყო. რუმინეთი კი ნიკოლაე ჩაუშესკუს დიქტატორული რეჟიმის დამხობის შემდეგ განვითარების პროდასავლურ კურსზე იყო დამდგარი. ესეც რომ არა, მოსკოვს არ სურდა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების სახით მიეღო ძლიერი სახელმწიფოები, როგორც ჩანს, მას ერჩივნა გარშემორტყმული ყოფილიყო რთულ სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებით. რატომ? იმიტომ რომ ამ შემთხვევაში კრემლს მათზე გავლენის სერიოზული ბერკეტები ექნებოდა და ზედმეტად „დამოუკიდებელი და ურჩი“ პოლიტიკის გატარების შემთხვევაში ამ მექანიზმებს წარმატებულად გამოიყენებდა. სწორედ ალბათ ამითაც იხსნება ის გარემოება, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველა კონფლიქტმა მანცდამაინც 1990-იანი წლების დასაწყისში იფეთქა. ზემოთქმულს საქართველოს მაგალითიც ადასტურებს. რომ არა რუსული სპეცსამსახურების მიერ ინსპირირებული შეიარაღებული სამოქალაქო დაპირისპირება, აფხაზური თუ ოსური სეპარატიზმის წახალისება-ხელშეწყობა

და მხარდაჭერა, დღეს საქართველო უკონომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით ბევრად უფრო სტაბილური და განვითარებული ქვეყანა იქნებოდა. შესაბამისად, დასავლური სტრუქტურებისათვის იგი ბევრად უფრო მიმზიდველი და სასურველი პარტნიორი იქნებოდა და ჩვენი ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის გზა ბევრად უფრო მარტივი, კონკრეტული და ხანმოკლე იქნებოდა. იგივე შეიძლება ითქვას მოლდოვაზე. ამ სახელმწიფოში არსებული კონფლიქტური რეგიონი, უზარმაზარი რუსული სამხედრო კონტინგენტი, რუსული სპეცსამსახურების ხელშეწყობით შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური დესტაბილიზაცია რომ არა, დიდი ალბათობით მოლდოვა დღეს უკვე ნატო-სა და ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი იქნებოდა. რაც შეეხება რუსულენოვან მოსახლეობას, რომლის უფლებებისა და თვითგამორკვევის პროცესის დაცვითაც ამართლებდა მოსკოვი თავის აგრძესიას, როგორც დრომ გვიჩვენა, კრემლისათვის ისინი უბრალოდ ინსტრუმენტები იყვნენ, რომელთაც, ნებსით თუ უნებლიერ, თავიანთი იმპერიული გეგმებისა და ანგარიშსწორებისათვის იყენებდნენ. დღეს კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები ამ ადამიანების (იქნება ეს დნესტრისპირეთი, დონბასი, ყირიმის ნახევარკუნძული, ცხინვალის რეგიონი თუ აფხაზეთი) ცხოვრების დონე ძალიან დაბალია, თუმცა რუს მაღალჩინოსნებს ეს აღარ ადარდებთ. ამ ადამიანებმა თავიანთი ამოცანა შეასრულეს და ისინი უკვე მათთვის უკვე საჭირონი აღარ არიან.

ნაშრომის ისტორიული ნაწილის გაცნობისას ნათელი ხდება, რომ მოლდოვური სახელმწიფოს აღმოსავლეთი საზღვრები, თვით მისი ძლიერების ზენიტში ყოფნის დროსაც კი მდინარე დნესტრზე, კერძოდ კი მის მარჯვენა სანაპიროზე გადიოდა. მის მარცხენა სანაპიროზე კი მეტწილად სლავური მოდგმის ხალხი (ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სლავური მოდგმის ხალხში არ ვგულისხმობ რუსებს, ანუ მათ, ვინც დღეს ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს. დნესტრის პირას შუა საუკუნეებში მაცხოვრებელი სლავები დღევანდელი უკრაინელების წინაპრები უფრო იყვნენ – ვ.შ.) სახლობდა.

მოლდოველები, რა თქმა უნდა, მშვენივრად ხვდებიან იმას, რომ დღევანდელი დნესტრისპირეთის არაღიარებული მოლდოვური რესპუბლიკის ტერიტორია მათი სამშობლოს შემადგენლობაში 1940 წლამდე არასდროს ყოფილა. ამის შესახებ ისტო-

რიული წყაროები და იმდროინდელი რუკებიც ნათლად მეტყველებენ. მიუხედავად ამისა, ისინი სამართლიანად იბრძვიან მიწისათვის მდინარე დნესტრის მარცხენა ნაპირზე. რატომ? იმიტომ, რომ ეს ტერიტორია მათ იმ ჭეშმარიტად, როგორც დემოგრაფიული, ასევე ისტორიული გადმოსახედიდან, მოლდოვური მიწების – ბუკოვინასა და ბუჯაკის (ამ უკანასკნელის დაკარგვის გამო მოლდოვას არ გააჩნია გასასვლელი შავ ზღვაზე, რაც მოლდოვის ეკონომიკაზე ნეგატიურად ისახება) სანაცვლოდ მიიღეს, რომელიც 1940 წელს, იძულებითი გასაბჭოებისას კომუნისტებმა ჩამოაჭრეს. შესაბამისად, მოლდოველებს აქვთ სრული უფლება ამ ტერიტორიაზე სამართლიანი პრეტენზია გამოხატონ.

არსებობს კიდევ ერთი კითხვა, რომელზე პასუხის გაცემა ყველა პოლიტოლოგსა თუ კონფლიქტოლოგს, და არა მხოლოდ მათ, სურს. შეიძლებოდა თუ არა დაპირისპირების თავიდან აცილება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა როგორც დნესტრისპირეთის, აგრეთვე სხვა კონფლიქტების შემთხვევაში ძალიან რთული და სამარჩიელო საქმეა. ეს შეკითხვა ადგილობრივ, რიგით თუ იმ დრამატული მოვლენების უშუალო მონაწილე, ბარიკადების ორივე მხარეს მდგომ პირებს დავუსვი. პასუხი არაერთგვაროვანი იყო. დნესტრისპირელები მოლდოვის იმდროინდელ ხელისუფლებას სიჯიუტესა და მათი პოზიციის აბსოლუტურ უგულებელყოფაში ადანაშაულებენ, ხოლო მოლდოველები მათ ბრალს ღალატსა და სეპარატიზმში სდებენ. თუმცა დღევანდელი გადმოსახედიდან პროცესების შეფასებისას ნათლად იკვეთება ის გარემოება, რამაც ე.წ. „მესამე ძალას“ თავისი შავბნელი საქმიანობის განხორციელება გაუადვილა. ნებისმიერი კონფლიქტის მთავარი მიზეზი არის ინფორმაციის არასრული, ან დამახინჯებული ფორმით გავრცელება, გაურკვევლობა, რაც საზოგადოებაში სხვადასხვა შიშებისა და ნეგატიური განწყობების შექმნას ამარტივებს. ფაქტია, რომ კიშინიოვმა მაშინ რუსულ პროპაგანდისტულ მანქანასთან საინფორმაციო ომი წააგო. ამ უკანასკნელმა შესძლო და დააჯერა ადგილობრივ რუსულენოვან მოსახლეობას ის, რისი გაკეთებაც მოლდოველებს არათუ გეგმაში არ ჰქონდათ, არამედ აზრადაც არ მოსვლიათ. ბევრი ადგილობრივი, რომელიც ეწერებოდა მეამბოხე სეპარატისტთა უკანონო შეიარაღებულ ბანდფორმირებებში, გულუბრყვილოდ იჯერებდა იმას, რომ ამით იგი საკუთარ ოჯახს იცავდა „მოლდოველი და რუმინელი ფაშისტებისაგან“, რომლებიც

მათ უკეთეს შემთხვევაში საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან იძულების გზით გასახლებას უქადდნენ. სამწუხაროდ, მოლდოვამ, ისევე როგორც მოგვიანებით თბილისმა და შემდეგ კიევმა, რუსულ სპეცსამსახურებთან წააგეს მთავარი ბრძოლა – საინფორმაციო ომი. კრემლმა პერიფერიებში მაცხოვრებლები დააჯერა, რომ ცენტრი მათ განადგურებასა და ასიმილაციას გეგმავდა და მათი ერთადერთი ხსნა აჯანყებაში იყო. არსებული რეალობის შენარჩუნებას რუსული პროპაგანდისტული მანქანა დღესაც საკმაოდ წარმატებულად ახერხებს.

აღსანიშნავია მედიის როლიც არსებულ სიტუაციაში. კრემლის მიერ კონტროლირებადი მედიასაშუალებები (ისეთი რუსული ტელეარხები, როგორებიცაა მაგალითად Россия, OPT, HTB, Russia Today და სხვ. დნესტრისპირეთში, აფხაზეთსა თუცხინვალის რეგიონში ძალიან მაღალი რეიტინგითა და ნდობით სარგებლობენ, რაც რუს პროპაგანდისტებს საქმეს უადვილებს, რადგანაც მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობა ინფორმაციის მიღების აღტერნატიული წყაროებით ნაკლებად სარგებლობს – ვ.შ.) დნესტრისპირეთში ყველანაირად ცდილობენ, რომ 1990-იან წლებში შექმნილი მითი, თითქოს კიშინიოვს დნესტრისპირელების, თბილისს აფხაზებისა და ოსების, კიევს კი დონბასელების სრული განადგურება აქვს განზრახული. ამასთან, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ ქართველების, მოლდოველებისა და უკრაინელების პროდასავლური ორიენტაციის დისკრიმინაციას, ავრცელებენ რა მითს, რომ დასავლეთ ევროპა ზოგადად მართლმადიდებლური ქრისტიანობისა და მათთვის ძვირფასი ღირებულებების დაუმინებელი მტერია, რომ თითქოს ევროპა თანამედროვე სოდომისა და გომორას რეინკარნაციაა, მაშინ როდესაც რუსეთი სულიერებისა და ქრისტიანული რწმენის ერთგული მოდარაჯე და დამცველია. ადგილობრივი, კონსერვატიულად განწყობილი მოსახლეობა, სამწუხაროდ იოლად ეგება რუსული პროპაგანდის ანკესზე და ფაქტია, რამდენადაც თბილისი, კიევი და კიშინიოვი უახლოვდებიან თავიანთ უმთავრეს მიზანს – ევროინტეგრაციას, იმდენად შორდებიან ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ადამიანებს, რადგანაც რუსული პროპაგანდის წყალობით ამ უკანასკნელთ საკმაოდ დიდ ნაწილს ბრმად სწამს, რომ ევროინტეგრაცია ეს მათი ისტორიის, კულტურისა და ფასეულობების განადგურების ტოლფასია. მართალია, ქართველი, მოლდოველი და უკრაინელი ჟურნალისტები თავიანთ ტელესიუჟე-

ტებში თუ სტატიებში მაქსიმალურად ცდილობენ რუსული პროპაგანდის მიერ შექმნილ „ფეიკ ნიუსებთან“ ბრძოლას, თუმცა მეტწილად ამაოდ. სეპარატისტულ რეგიონებში მაცხოვრებელთა უდიდესი ნაწილი მათ მტრულად აღიქვამს და, შესაბამისად, მათდამი ნდობის კოეფიციენტი ძალიან დაბალია. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თვით თბილისისა და კიშინიოვის მიერ კონტროლირებად საქართველოსა და მოლდოვის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოქალაქეებიც კი ხშირად რუსული პროპაგანდის მიერ გავრცელებული ნარატივების ზეგავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი. რუსი პროპაგანდისტები და პოლიტიკოსები ამით ხშირად ბოროტად სარგებლობენ. საზოგადოებრივ აზრსა და ზოგადად სიტუაციას კი, როგორც ცნობილია, აკონტროლებს ის, ვინც ინფორმაციის გავრცელების წყაროებს ფლობს.

ჩნდება კითხვა, ამდენი ხნის განმავლობაში, მოლდოვაში, საქართველოსა თუ უკრაინაში, რატომ ვერ ხერხდება კონფლიქტის დარეგულირება, რატომ ვერ ახერხებენ მხარეები საერთო ენის გამოძებნას?! რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია, თუმცა, როგორც აღინიშნა, არსებობს ძალა, რომელსაც მიზეზთა გამო ეს არ უნდა. სწორედ ის თამაშობს დესტრუქციულ როლს მშვიდობის დამყარების საქმეში, რადგანაც ის, რომ აღნიშნულ რეგიონებს კონფლიქტურის სტატუსი რაც შეიძლება დიდხანს ჰქონდეთ, თავისი აზრით, სწორედ მის სასიცოცხლო ინტერესებში შედის.

ისე კი, მშვიდობის დამყარება ომის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, შესაძლებელია. ამაზე ჩეჩნეთის მაგალითიც ნათლად მეტყველებს. რუსეთის ფედერაციას თავის ამ სუბიექტში კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად ორი ერთმანეთზე უფრო სასტიკი, სისხლისმღვრელი და არაადამიანური ომის წარმოება დასჭირდა. შედეგად, ათიათასობით ჩეჩენი, მეტწილად მშვიდობიანი მოქალაქე იქნა მოკლული. თუმცა, მოსკოვში მალევე მიხვდნენ, რომ პრობლემას მხოლოდ ველური სიმხეცით ვერ გადაჭრიდნენ. ამიტომაც ისინი ადგილობრივი ელიტის ნაწილს გაურიგდნენ და გარკვეული მატერიალური თუ პოლიტიკური დივიდენდების სანაცვლოდ, მათი ერთგულება იყიდეს. მართალია რიგითი ჩეჩნების უმეტესობას დღემდე მწარედ ახსოვს რუსი ძალოვნების სისასტიკე, დღემდე გლოვობენ „ფედერალების“ მიერ დაუნდობლად დახოცილ თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულ ნათესავებს, მაგრამ ჩეჩნეთის მმართველი ძალა მათ ამაზე ხმამაღლა საუბრის საშუალებას არ აძლევს. ის კი, ვინც მათ არ უშინდება და ბე-

დავს არსებულ სიტუაციაზე თავისი აზრის დაფიქსირებას, უკეთეს შემთხვევაში შე-
თითხნილი ბრალდებებით ციხეში ხვდება. კრემლმა რეგიონში რიგი ეკონომიკური
და ინფრასტრუქტურული პროექტები განახორციელა, აღადგინა თავისივე ბრძანე-
ბით, რუსული ავიაციისა თუ არტილერიის მიერ მიწასთან გასწორებული დასახლე-
ბული პუნქტები და დღეს ჩეჩნეთში მშვიდობა სუფევს, ის რუსეთის ფედერაციის შე-
მადგენელი სუბიექტია და მის დამოუკიდებლობასა თუ სუვერენიტეტზე საუბარიც
კი არ არის.

თუკი მოსკოვმა შესძლო და დაამყარა მშვიდობა რეგიონში, სადაც სისხლის გუ-
ბეები დააყენა, რატომ ვერ ახერხებს იგივეს კიშინიოვი, თბილისი ან კიევი?! მით უმ-
ეტეს, რომ სისასტიკითა თუ სისხლისღვრის მასშტაბებით ქართულ-ოსურ, ქართულ-
აფხაზურ, ან მოლდოვეთ-დნესტრისპირეთის კონფლიქტს ჩეჩნეთის ომთან ვერც კი
შევადარებთ. საქმე იმაშია, რომ მშვიდობის დამყარების პროცესში კრემლს ხელს არ-
ავინ უშლიდა, არავინ ავლებდა მავთულხლართებს, არავინ აწყობდა პროვოკაციებს,
არავინ უშლიდა ხელს რეგიონში მიმდინარე აღდგენით პროცესებს და შედეგმაც არ
დააყოვნა. თბილისისა თუ კიშინიოვის ყველა სამშვიდობო ინიციატივას კი ადგი-
ლობრივი ოსური. აფხაზური თუ დნესტრისპირული პოლიტიკური ელიტის მხრი-
დან, რომელიც რუსეთის ფედერაციის ინტერესების გამტარნი არიან, პასუხად სასტი-
კი ირონია, გულგრილი დამოუკიდებულება და პროვოკაციები ეგებება. კონფლიქტის
ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტის სცენარს, საბედნიეროდ, კიშინიოვი და თბი-
ლისი არც კი განიხილავენ, რამეთუ კარგად უწყიან, რომ მიუხედავად იმისა, რომ
იურიდიული თვალსაზრისით, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და
კონსტიტუციური წესრიგის დამყარების უფლება აბსოლუტურად ყველა სუვერენულ
სახელმწიფოს აქვს, რუსეთი ამ ფაქტს სათავისოდ გამოიყენებს და სამთავრობო ჯა-
რებს სეპარატისტების ნაცვლად სწორედ რუსულ არმიასთან მოუწევს ბრძოლა. თუმ-
ცა კი ჩეჩნეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებისას მოსკოვი სწორედ ზემოხსენე-
ბული პრინციპებიდან გამომდინარე მოქმედებდა. ესეც რომ არ იყოს, ომს თან ნგრევა
და მსხვერპლი ახლავს, რაც მხარეთა შორის უფსკრულს კიდევ უფრო მეტად გაზრ-
დის და გააღრმავებს. ეს კი ამოცანას – „დავიბრუნოთ არა მხოლოდ ტერიტორიები,
არამედ ადამიანთა გულები“ – ფაქტიურად შეუძლებელს გახდის. შესაბამისად, ეს

ფაქტი აღნიშნულ ქვეყნებში არსებულ კონფლიქტურ რეგიონებში მშვიდობის აღდგენას შეუძლებელს ხდის, რამეთუ დაძაბული საშინაო ვითარება ნიშნავს სტაგნაციას, ის მოლდოველების, უკრაინელებისა და ქართველებისათვის დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სწრაფვას მეტად ართულებს, ეს კი კრემლს საშუალებას აძლევს ისინი გააკონტროლოს და თავის დაქვემდებარებაში ამყოფოს .

რა გზა რჩება თბილისს, კიშინიოვსა და კიევს აღნიშნული ტერიტორიული კონფლიქტების მოსაგვარებლად?! რიგითი აფხაზი, ოსი, დნესტრისპირელი თუ დონბასელი მოქალაქეების მთავარი საზრუნავი ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნაა, რამეთუ საკუთარი ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ჩვენგანისათვის აბსოლუტური ღირებულებაა. როგორც ვხედავთ სეპარატისტული რეჟიმების მმართველები და კრემლში მყოფი მათი მფარველები (აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელთ დიდად არც უშუალოდ რუსეთის ფედერაციის მაცხოვრებელთა უკიდურესად მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა ადარდებთ – ვ.შ.) ამ საკითხით არ არიან დაინტერესებულნი, შესაბამისად, სოხუმში, ცხინვალში, ტირასპოლში, ლუკანსკია თუ დონეცკში ადგილობრივი „ხელისუფლებების“ მიმართ მოსახლეობის მხრიდან ნდობისა და მხარდაჭერის კოეფიციენტი ძალიან დაბალია. თუმცა, სამწუხაროდ ცხოვრების ღირსეული დონე არც კიევის, კიშინოვისა და თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზეა. უმუშევრობა, სიღარიბე, დაბალი ხელფასები და პენსიები, უკრაინისა და მოლდოვის შემთხვევებში ყველა სხვა დანარჩენ „სიკეთეს“ დამატებული კორუფციის მაღალი მაჩვენებელი, სეპარატისტულ რეგიონებში მაცხოვრებელთათვის მიმზიდველი და ალტერნატიული ნამდვილად ვერ იქნება.

მოსკოვი სეპარატისტულ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებს დაუბრკოლებლად ურიგებს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის დამადასტურებელ პასპორტებს, რაც მათ მნიშვნელოვან ნაწილს ამ ქვეყანაში მუშაობისა და საკუთარი ოჯახების რჩენის საშუალებას აძლევს. ადგილობრივ პენსიონერებს რუსეთი უხდის პენსიას. მსგავსი ქმედებებით იზრდება მათი კრემლისადმი ეკონომიკური დამოკიდებულება. ამასთან, რუსული პროპაგანდა ქმნის ილუზიას, რომ მათი მთავარი საზრუნავი ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაა. თუმცა, ფაქტია, რომ აფხაზეთსაც, სამხრეთ ისეთსაც, დნესტრისპირეთსაც და უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილსაც ისინი მხოლოდ

თავიანთი სამხედრო ბაზების განსათავსებელ ტერიტორიად და ერთგვარ პლაცდარმებად განიხილავენ. იქ წარმოდგენილ რუსულ სამხედრო დაჯგუფებებს სხვა ფუნქციაც აკისრიათ. თუკი ადგილობრივი საზოგადოება მიხვდება, რომ მათი ამჟამინდელი ყოფა კონფლიქტურ რეგიონებში მშვიდობის დამყარებისა და ერთიან სახელმწიფო სივრცეში დაბრუნების შემდეგ უკეთესობისკენ შეიცვლება, ან რეალურ დამოუკიდებლობაზე დაიწყებენ საუბარს, სამხედრო მანქანა მათაც ისეთ „საკადრის პასუხს“ გასცემს, როგორიც ქართველებს, მოლდოველებსა და უკრაინელებს გასცა. შესაბამისად, მსჯელობა იმის შესახებ, რომ რუსული სამხედრო ძალა მსგავს რეგიონებში მშვიდობის გარანტია, არააღექვატურია. გავიხსენოთ ისიც, რომ 1992-1993 წლებში აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებისას რუსები იარაღს როგორც ქართულ, ასევე აფხაზურ მხარესაც აწვდიდნენ. მსგავსი რამ ხდებოდა და დღესაც ხდება ყარაბაღში. მოსკოვი ბაქოსა და ერევანს აირაღებს, თუმცა მშვენივრად უწყის რომ დაპირისპირებული მხარეებისათვის მიყიდული თითო ტანკი, ჭურვი თუ ავტომატი კონფლიქტის ხელახალი ესკალაციის საფრთხეს ზრდის.

სამწუხაროდ კიშინიოვი და თბილისი, მათი მოკრძალებული რესურსების გამო, მსგავს პროექტებს ვერ ახორციელებენ. თუმცა, საქართველოს ხელისუფლების პროექტი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოსი და აფხაზი მაცხოვრებლები უფასო, ძვირადღირებული სამედიცინო დახმარებით სარგებლობენ, ადგილობრივ საზოგადოებებში საკმაოდ პოპულარულია. ქართველი ექიმების წყალობით, ბევრ მათგანს სიცოცხლისათვის აუცილებელი სამედიცინო დახმარება სავსებით უფასოდ აღმოუჩინეს. სამწუხაროდ, მთლიან საზოგადოებრივ აზრზე ეს მაინცდამაინც დიდ გავლენას ვერ ახდენს, რადგანაც ისინი მარტივად გასაგებ მიზეზთა გამო ცდილობენ „მტრის ბუნაგად“ წოდებულ თბილისში თავიანთი ვიზიტის ფაქტები არ გაასაჯაროვონ.

ერთადერთი სწორი გზა, რომელიც კიშინიოვს, კიევსა და თბილისს აქვთ, ეს არის ეკონომიკურად ძლიერი, სამართლებრივი, დასავლეთ ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი სახელმწიფოს შექმნა, სადაც სიტყვისა და პირადი თავისუფლება, ბედნიერებისა და მატერიალური კეთილდღეობისაკენ სწრაფვა სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად ხელშეწყობილი იქნება. როდესაც აფხაზი, ოსი, დონბასელი თუ დნესტრის-

პირელი მოქალაქეები დაინახავენ, რომ ცენტრის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრების დონე ბევრად უფრო მაღალია, ხოლო მათი თვითმყოფადობისა და იდენტობის შეზღუდვის საფრთხე არ არსებობს, ისინი ბევრ რამეზე დაფიქრდებიან და ალბათ გარკვეულ დასკვნებსაც გამოიტანენ. რა თქმა უნდა, რუსეთის ფედერაციაში ამას მშვენირად ხვდებიან და ამიტომაც საშინაო თუ საგარეო ძალების გამოყენებით მაქსიმალურად ცდილობენ, რომ ქართული, მოლდოვური და უკრაინული სახელმწიფოები ვერ განვითარდნენ და მუდმივად სოციალ-პოლიტიკური კრიზისის რეჟიმში იმყოფებოდნენ. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე რუსულ სპეცსამსახურებსა თუ პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებს ეს ძალიან კარგად გამოსდით.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

წყაროები და დოკუმენტები მასალები:

1. *1991 წლის 17 მარტს ჩატარებული რეფერენდუმისას გამოყენებული ერთ-ერთი ბიულეტენის ფოტოსასლი.* https://commons.wikimedia.org/wiki/File:Soviet_Union_referendum,_1991.jpg?uselang=ru (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
2. *Council Common Position 2005/147/CFSP of 21 February 2005.* <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2005:049:0031:0033:EN:PDF> (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
3. *Documents on German Foreign Policy 1918-1945, Series D (1937-1945).* Vol. VII. US Government Printing Office, Washington, 1954.
4. *Documents on German Foreign Policy 1918-1945, Series D (1937-1945).* Vol. X. US Government Printing Office, Washington, 1957.
5. *Draft resolution Complete and unconditional withdrawal of foreign military forces from the territory of the Republic of Moldova.* <https://undocs.org/en/A/72/L.58> (ბმული უკანასკნელად ნანახია 25/05/2019).
6. Hofer, Walther. Der Nationalsozialismus Dokumente, 1933-1945. Frankfurt am Main, 1957.
7. Багрянородный К. Об управлении империи Константин Багрянородный. Москва, А.Н. СССР, 1991.
8. *Договор «О дружбе и сотрудничестве Приднестровской Молдавской Республики и Республики Абхазия».* http://abkhazia-pmr.org/files/documents/dogovor_o_drujbe_1993.pdf (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
9. *Договор о дружбе и сотрудничестве между Российской Федерацией и Республикой Молдова.* <http://kremlin.ru supplement/3400> (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
10. Иордан. «О происхождении и действиях Гетов». Вступительная статья, перевод, комментарий Е. Ч. Скржинской. Москва, Издательство восточной литературы, 1960.
11. Константин Багрянородный. Об управлении империи. Москва, 1991.
12. *Манифест Екатерины II «О принятии полуострова Крымского, острова Тамана и всей Кубанской стороны под Российскую Державу».* მანიფესტის ორიგინალი ტექსტის სვანიზებული ვერსია იხ.: https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/b/b8/1783_manifesto_on_annexation_of_Crimea.pdf?uselang=ru (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
13. *Меморандум Козака.* <https://regnum.ru/news/458547.html> (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
14. *Об указе Президента СССР от 22.12.90 «О мерах мер по нормализации обстановки в МССР».* <http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=309056&lang=2> (უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
15. *Отношения между Молдовой и ПМР при Воронине.* <http://www.pmr21.info/article.php?art=95> (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
16. Павел Алеппский. Путешествие Антиохийского патриарха Макария в Москву в XVII веке, 1628-1631. Москва, 1897.

17. *Повести древней Руси*. Изборник. Ред. Д. С. Лихачев. Москва, «Художественная литература», 1986.
18. *Постановление о толковании статьи 13 ч. (1) Конституции в соотношении с преамбулой конституции и декларации о независимости РМ (Обращение №8b-41b/2013)*. <http://constcourt.md/ccdocview.php?tip=hotariri&docid=476&l=ru> (ððўллó ўзабаўз-бўллар бабаўо 28/05/2019).
19. Прокопий Кесарийский. Война с Готами. Ответственный редактор Косминский Е. А. Москва, 1950.
20. Уголовный кодекс РФ, глава 34, статья 359. <http://www.zakonrf.info/uk/359/>. (ððўллó ўзабаўзбўллар бабаўо 28/05/2019).
21. Указ Президента Российской Федерации от 01.04.1992 №320. О переходе под юрисдикцию Российской Федерации воинских частей Вооруженных Сил бывшего СССР, находящихся на территории Республики Молдова. <https://www.lawmix.ru/expertlaw/270476> (ððўллó ўзабаўзбўллар бабаўо 28/05/2019).
22. Указ Президента СССР от 22.12.1990 N УП-1215 «О мерах по нормализации обстановки в ССР Молдова». <http://lawru.info/dok/1990/12/22/n1176695.htm> (ððўллó ўзабаўзбўллар бабаўо 28/05/2019).
23. Штанский Н. В. Переговорочный процесс между Приднестровской Молдавской Республикой и Республикой Молдова в документах. Бендеры, 2004.

ððтүзлүзжбо:

24. Әлмәшбеков, Ә. Қарбазлардің тарихы абағомдо. тәбиғи, 2010.
25. Һадархуроғи, Ә. Әтепбайұлардың қызындағы өмір. тәбиғи, 1998.
26. Bozhesku, Marian. Transnistria 1989-1992. Saarbrücken, 2008.
27. Dvornik, Frankis. The Slavs: Their Early History and Civilization. Boston, MA, 2005.
28. King, Charles. The Moldovans: Romania, Russia, and the Politics of Culture. Stanford, CA: Hoover Institution Press, 2000.
29. Алиев, Н. Армяно-азербайджанский нагорно-карабахский конфликт и приднестровский конфликт: современное состояние и перспективы урегулирования: Материалы Международной научно-практической конференции, Кишинев, Республика Молдова, 1 июня 2012 г. Кишинев, 2012.
30. Ангел, Ф. Гагаузская автономия, люди и факты (1989-2005). Кишинев, 2005.
31. Бабилунга, Н. В. Феномен Приднестровья. Тирасполь, 2003.
32. Бабилунга, Н. В., Бомешко Б. Г. Дубоссары – кровоточащая рана Приднестровья. Тирасполь, 1993.
33. Бабилунга, Н. В., Бомешко Б. Г. Приднестровский конфликт: Исторические, демографические политические аспекты. Тирасполь, 1998.
34. Бархатов, А. М. Генерал Лебедь. Москва, 1999.
35. Бергман, М. Вождь в чужой стае. Москва, 2004.
36. Буряко, И. В. Северо-Западное Причерноморье в VII-V вв. до н.э. Начало колонизации Нижнего Поднестровья. Саратов, 1993.
37. Волков, Э. Мирча Снегур – Откровенные диалоги. Кишинев, 2007.
38. Волкова, А. З. Референдумы в Приднестровской Молдовской Республике (1989-2003 гг.). Тирасполь, 2005.

39. Гамахария, Дж. Трагедия Абхазии, Грузия на суд российской общественности. Тбилиси, изд. «Саари», 2016.
40. Голубинский, П. Печенеги, Торки и половцы до нашествия татар. История южно-русских степей IX-XIII веков. Киевъ, 1884.
41. Голыженков, И. Битва на Калке 31 мая 1223г. Москва, изд. «Изограф», 1994.
42. Гросул, В. Я. История Приднестровской Молдавской Республики. В 2 томах. Тирасполь, 2000-2001.
43. Жуков, Д. Войны на руинах СССР. Москва, 2010.
44. Зелемчук, В. С. Население Бессарабии и Поднестровья в XIX веке – этнические и социал-демографические процессы. Кишинев, 1979.
45. Иванович, П. Н. Белоруссия и Литва. Исторические судьбы северо-западного края. СПб, 1890.
46. Косташ, И. Дни затмения, Хроника необъявленной войны. Кишинёв, изд. «Universul», 2010.
47. Лебедь, А. За державу обидно. Москва, 1995.
48. Лучинский, П. Молдова и молдоване. Кишинёв, изд. «Biblion», 2011.
49. Макаревич, Н. История Малороссии. Т. 4. Москва, 1842.
50. Мохов, Н. А. Формирование молдавского народа и образование молдавского государства. Кишинёв, 1958.
51. Паламарь, А. Приднестровская война, история в иллюстрациях. Тирасполь, 2012.
52. Семенова, Е. В. На этнической войне. Москва, 2010.
53. Стати, В. История Молдовы. Кишинёв, 2003.
54. Тельнов, Н. Археологические исследования в Приднестровье. Руссин №1(27), 2012.
55. Храпачевский, Р. П. Военная держава Чингисхана. Москва, 2005.
56. Худяков, В. В. В цветущих акациях город... Бендера: люди, события, факты. Бендера: изд. «Полиграфист», 1999.
57. Шурыгин, В. Белая книга ПМР. Москва: Изд. «Regnum», 2006.

პერიოდული პრესა და ინტერნეტმასალები:

58. ალადაშვილი, ი. ტანკების „მკვლელები“. „არსებალი“, №8 (13), 07.2005.
59. ბიბილოვი: „სწორი იქნება თუ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შევა“ <https://www.kvirispalitra.ge/politic/56010-bibilovi-qstsori-iqneba-thu-respublika-samkhreth-osethi-rusethis-federaciis-shemadgenlobashi-shevaq.html?device=xhtml> (ბმული უკანასკნელად ნანახია 10/08/2019).
60. როგორ აისახა ვიზალიბერალიზაციის პროცესი მოლდოვაზე. <http://idnews.ge/index.php?newsid=3421> (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
61. ფაჩულია, ვ. როგორ გვებრძოდნენ აფხაზეთის ცაში. „არსებალი“, №8 (13), 07.2005.
62. **15 августа 1992 года в Абхазию прибыла первая группа добровольцев, Представительство Абхазии в ПМР.** <http://abkhazia-pmr.org/news.php?id=649> (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
63. **15 новых независимых государств. Численность населения на начало года, 1950-2016, тысяч человек.** http://demoscope.ru/weekly/ssp/sng_pop.php (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).

64. <http://russia.bestpravo.ru/ussr/data01/tex10546.htm> (უკანასკნელად ნაბახია 28/05/2019).
65. Zile de Cumpăna – film cu evenimentele din Găgăuzia și Transnistria, 1990. <https://www.youtube.com/watch?v=42yXgwOPYns> (ბმული უკანასკნელად ნაბახია 28/05/2019)
66. Алексей Пушков: прочные отношения ПМР И РФ – это заслуга, прежде всего, Приднестровского народа, его представителей и России. – <https://novostipmr.com/ru/news/19-01-22/aleksey-pushkov-schitaet-chto-otkrytie-predstavitelstva> (ბმული უკანასკნელად ნაბახია 28/05/2019).
67. Американский дипломат: Запад не мог согласиться на военное присутствие России на Днестре. «Новый день», 29 ноября 2011 г. <https://newdaynews.ru/kishinev/360592.html> (ბმული უკანასკნელად ნაბახია 28/05/2019).
68. Беженцы. Независимая Молдова, №77 (125), 27/04-3/05.1992.
69. В Абхазскую армию набрали русский спецназ. <http://sukhumi.livejournal.com/924758.html> (ბმული უკანასკნელად ნაბახია 28/05/2019).
70. В помещении Тираспольского Дворца культуры состоялось мероприятие посвященное 23 годовщине Победы в Отечественной войне Народа Абхазии. <http://abkhazia-pmr.org/news.php?id=868>. (ბმული უკანასკნელად ნაბახია 28/05/2019).
71. В представительстве Абхазии прошел торжественный прием. <https://tv.pgtrk.ru/news/20130930/11485> (ბმული უკანასკნელად ნაბახია 28/05/2019).
72. Вадим Красносельский и Игорь Додон подвели итоги двухсторонней встречи. https://www.youtube.com/watch?v=4giqFBcs_DM&t=0s&list=LLv19tmDTkWf1tDSPxh_DwPg&index=17 (ბმული უკანასკნელად ნაბახია 25/05/2019).
73. Варварский мир в Приднестровье. <http://newspmr.com/istoriya-pmr/varvarskij-mir-v-pridnestrove> (ბმული უკანასკნელად ნაბახია 28/05/2019).
74. Великая отечественная война. <http://newspmr.com/istoriya-pmr/velikaya-otechestvennaya-vojna/4> (ბმული უკანასკნელად ნაბახია 28/05/2019).
75. Галущенко О. С. МАССР: исторический очерк. <http://www.pmr21.info/article.php?art=105> (ბმული უკანასკნელად ნაბახია 28/05/2019).
76. Генассамблея ООН приняла резолюцию о выводе российских миротворцев из Приднестровья. <https://news.mail.ru/politics/33874558/?frommail=1> (ბმული უკანასკნელად ნაბახია 25/05/2019).
77. Госдума РФ: <http://www.newsru.com/russia/06oct2006/pmr.html> (ბმული უკანასკნელად ნაბახია 28/05/2019).
78. Государственная комплексная программа обеспечения функционирования языков на территории Молдавской ССР. Советская Молдова, №228 (16883), 30.09.1989.
79. Дмитрий Козак: он просил прощения и называл себя обманщиком. 25.11.2005. <https://www.kommersant.ru/doc/629697> (ბმული უკანასკნელად ნაბახია 28/05/2019).
80. Договор между Приднестровской Молдавской Республикой и Республикой Абхазия о дружбе и сотрудничестве. <http://mfa-pmr.org/ru/dDJ> (ბმული უკანასკნელად ნაბახია 25/05/2019).
81. Договор о Дружбе и сотрудничестве между РФ и РМ. <http://kremlin.ru/supplement/3400> (ბმული უკანასკნელად ნაბახია 28/05/2019).
82. Договор о дружбе, сотрудничестве и партнёрстве между Приднестровской Молдавской Республикой и Республикой Южная Осетия. <http://mfa-pmr.org/ru/Pjf> (ბმული უკანასკნელად ნაბახია 25/05/2019).

83. Додон заявил об опасности резолюции Генассамблеи ООН по Приднестровью - <https://news.mail.ru/politics/33876440/?frommail=1> (ððўллo ўзaбaс3бeллað бaбaвoа 25/05/2019).
84. Додон: «Молдоване и румыны братья, но у каждого должен быть свой дом». <http://newsmaker.md/rus/novosti/dodon-moldavane-i-rumuny-bratya-no-u-kazhdogo-dolzhen-byt-svoi-dom-28578> (ððўллo ўзaбaс3бeллað бaбaвoа 28/05/2019).
85. Закон МССР о функционировании языков на территории МССР. *Советская Молдавия*, №199 (16854), 1.09.1989.
86. Игорь Додон – Об отношениях с НАТО и ЕС, гражданах Молдавии в России и ситуации в Приднестровье. <https://www.youtube.com/watch?v=dCrEL3XUflY&t=1724s> (ððўллo ўзaбaс3бeллað бaбaвoа 28/05/2019)
87. Конституционный суд Молдовы признал незаконными войска РФ в ПМР. http://news.liga.net/news/world/14743698-ks_moldovy_priznal_nezakonnymi_rossiyskie_voyska_v_pridnestrove.htm (ððўллo ўзaбaс3бeллað бaбaвoа 28/05/2019).
88. Крушеван, П. Бессарабия. Москва, 1903; <http://oldchisinau.com/lib/bessarabia/bessarabia3.html> (ððўллo ўзaбaс3бeллað бaбaвoа 28/05/2019).
89. МИД ПМР: ноябрь-2003 окончательно разрушил доверие к руководству Молдавии. «Новый день», 25 ноября 2008 г. <https://newdaynews.ru/pmr/208311.html> (ððўллo ўзaбaс3бeллað бaбaвoа 26/05/2019).
90. Мирча Снегур: «Жалею, что не удалось предотвратить Приднестровье». <https://republic.ru/posts/73536> (ððўллo ўзaбaс3бeллað бaбaвoа 28/05/2019).
91. Молдова: избиратели из Приднестровья и победа пророссийской партии. <https://www.youtube.com/watch?v=tzRfpC7kB2Y> (ððўллo ўзaбaс3бeллað бaбaвoа 28/05/2019).
92. «О присоединение к Румынии речи не идет» – Мирча Снегур. *Кишинёвские новости*, №2(16), 10.01.1992.
93. Памяти Александра Ивановича Лебедя. <http://приднестровец.рф/pridnestrovie-novosti/news/bendery/pamyati-aleksandra-ivanovicha-lebedya/> (ððўллo ўзaбaс3бeллað бaбaвoа 29/05/2019).
94. Парижский мирный договор с Румынией. https://ru.wikisource.org/wiki/Парижский_мирный_договор_с_Румынией (ððўллo ўзaбaс3бeллað бaбaвoа 25/05/2019).
95. Парламент Румынии считает полностью легитимным желание граждан РМ объединиться с ней. <https://point.md/ru/novosti/politika/parlament-rumynii-schitaet-polinostiu-legitimnym-zhelanie-grazhdan-rm-obedinitsia-s-nei> (ððўллo ўзaбaс3бeллað бaбaвoа 25/05/2019)
96. Пименов, Ю. Интервью. «Афган всегда в моей душе...» <http://kprfnsk.ru/inform/news/11792/> (ððўллo ўзaбaс3бeллað бaбaвoа 20/05/2019).
97. Президент Молдовы Игорь Додон: «Я опираюсь не на продажные элиты, а на народ». <https://www.kp.ru/daily/26686/3709860/> (ððўллo ўзaбaс3бeллað бaбaвoа 20/05/2019).
98. Приднестровье в VIII-X веках. <http://newspmr.com/istoriya-pmr/pridnestrove-v-viii-x-vekah> (ððўллo ўзaбaс3бeллað бaбaвoа 24/05/2019).
99. Приднестровье в XI-XV веках. <http://newspmr.com/istoriya-pmr/pridnestrove-v-xi-xv-vekakh/3> (ððўллo ўзaбaс3бeллað бaбaвoа 20/05/2019).
100. Приднестровье в XVIII веке. <http://newspmr.com/istoriya-pmr/pridnestrove-v-xviii-veke/3> (ððўллo ўзaбaс3бeллað бaбaвoа 20/05/2019).

101. **Приднестровье в XVI-XVII веках.** <http://newspmr.com/istoriya-pmr/pridnestrove-v-xvi-xvii-vekax> (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
102. **Приднестровье в Российской империи.** <http://newspmr.com/istoriya-pmr/pridnestrove-v-rossijskoj-imperii/2> (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
103. **Приднестровье в Российской империи.** <http://newspmr.com/istoriya-pmr/pridnestrove-v-rossijskoj-imperii/3> (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
104. **Приднестровье эпохи бронзы.** <http://newspmr.com/istoriya-pmr/pridnestrove-epoxy-bronzy> (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
105. **Принудительные миграции в годы второй мировой войны и после ее окончания (1939–1953).** <http://old.memo.ru/history/deport/> (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
106. **Рада разорвала пять военных соглашений с Россией.** <https://www.pravda.com.ua/rus/news/2015/05/21/7068579/> (ბმული უკანასკნელად ნანახია 25/05/2019)
107. **Рапорты российских спецназовцев воевавших в 1993 на восточном фронте против грузинских войск.** <http://suxumu.livejournal.com/1325373.html> (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
108. **Результаты референдума в ПМР.** <http://www.cikpmr.com/index.php/o-vyborakh-i-referendumakh/informatsiya-o-referendumakh/item/211-rezultaty-referenduma-17-sentyabrya-2006-goda> (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
109. **Российский офицер подбил из ПЗРК Ту-134 в небе над Абхазией.** <http://www.suxumi.info/2016/09/Russian-officer-knocked-out-Tu-134-in-sky-Abkhazia.html> (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
110. **Рябков Л. Экс-президент Молдовы сравнивал подписание «Меморандума Козака» с падением Берлинской стены... «Комсомольская правда в Молдове», 25 ноября 2013 г.** <http://www.kp.md/daily/26163. 5/3050796/> (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
111. **Соглашение между правительством РФ и Украиной о транзите через территорию Украины воинских формирований РФ временно находившихся на территории Республики Молдова.** <http://www.consultant.ru/cons/cgi/online.cgi?req=doc;base=EXP;n=231155Nº07890121968130805> (ბმული უკანასკნელად ნანახია 25/05/2019).
112. **Создание ПМР.** <http://newspmr.com/istoriya-pmr/sozdanie-pmr/5> (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
113. **Филатов С. Служили два товарища в одном полку** <http://biwork.ru/c42-obshchestvo/67910-sluzhili-dva-tovarishcha-v-odnom-polku.html> (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
114. **Цэрану А. Эволюция государственной политики и партийных платформ в Республике Молдова в вопросе урегулирования приднестровского конфликта (2001-2010).** http://www.ipp.md/public/files/Publicatii/2010/Taranu_pdf.pdf (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).

ენცოლოგედიური მასალები:

115. ქართული საბჭოთა ენცოლოგედია. ტ. 2. თბილისი, 1977.
116. ქართული საბჭოთა ენცოლოგედია. ტ. 7. თბილისი, 1984.

117. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 8. თბილისი, 1984.
118. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 10. თბილისი, 1986.
119. Брокгауз Ф. А., Ефрон И. А. Энциклопедический словарь. Т. 25(50). СПб, 1898.
120. Брокгауз Ф. А., Ефрон И. А. Энциклопедический словарь. Т. 3(6). СПб, 1892.
121. Брокгауз Ф. А., Ефрон И. А. Энциклопедический словарь. Т. 7. СПб, 1892.
122. Жирохов М. **Авиация в Абхазском конфликте**. Авиационная энциклопедия «Уголок неба», 21.01.2005. <http://www.airwar.ru/history/locwar/xussr/abkhazia/abkhazia.html> (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/06/2017).
123. **Молдавия.** http://www.krugosvet.ru/enc/strany_mira/MOLDAVIYA.html?page=0,7 (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/06/2017).
124. **Молдавская Советская Социалистическая Республика.** Молдавская Советская Энциклопедия. Т. 8. Кишинёв, 1979.
125. **Оттоманы: враги христианства.** <http://moldovenii.md/ru/section/714> (ბმული უკანასკნელად ნანახია 22/05/2019).
126. **Тархнишвили Важа.** https://ru.wikipedia.org/wiki/Тархнишвили,_Важа (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/05/2019).

ვიდეომასალები:

127. **დენისტრისპირელი მოხალისეები აფხაზეთში, ტამიშის ობერაცია.** https://www.youtube.com/watch?v=lJbIOMgYDlI&t=2s&index=3&list=LLOqkTany_ny3HrzJTkXdcmQ (ბმული უკანასკნელად ნანახია 28/05/2019).
128. **დენისტრისპირელი მოხალისეები აფხაზეთში.** <https://www.youtube.com/watch?v=JafjD2pLlvs&t=111s> (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/05/2019).
129. **დოკ. ფილმი „თვითგამორკვევა რუსულად“.** https://www.youtube.com/watch?v=26eb5PlC-_M&t=1042s (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/05/2019).
130. **А. Лебедь – оружие ПМР – 1992-1995 год.** https://www.youtube.com/watch?v=yu4-D6_vfxk&index=5&t=471s&list=LLDrMkKccun6feLc2EG_dOw (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/05/2019).
131. **Бегство в Молдавию: Приднестровье покинул его бывший президент.** <https://www.youtube.com/watch?v=CIoSdHuAs> (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/05/2019).
132. **Белый дом, черный дым (2013).** <https://www.youtube.com/watch?v=ZjBu5JSnfU&t=2131s> (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/05/2019).
133. **Валерий Хубулов – Герой Осетии, Абхазии, Кавказа.** <https://www.youtube.com/watch?v=CyYcZk3qIlk> (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/05/2019).
134. **Война в Приднестровье (ПМР)** https://www.youtube.com/watch?v=GW-DHjx9ZEw&index=3&list=LLOqkTany_ny3HrzJTkXdcmQ (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/05/2019).
135. **Встреча Президента Приднестровья Вадима Красносельского и Президента Молдовы Игоря Додона.** <https://www.youtube.com/watch?v=EpOnJ-lmySo&t=16s> (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/05/2019).
136. **Евгений Шевчук бежал на Мальту. Всё идет по плану?** <https://tsv.md/evgenij-shevchuk-bezhal-na-maltu-vsyo-idet-po-planu/> (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/05/2019).

137. **Переброска вооруженных осетин с территории РФ в Абхазию.** <https://www.youtube.com/watch?v=rS-Y9h1QbRE> (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/05/2019).
138. **Приднестровье. Срок для президента** <https://www.youtube.com/watch?v=fWX9iYNfDLU> (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/05/2019).
139. **Пресс-конференция генерала Лебедя 1992.** https://www.youtube.com/watch?v=eOyjEzMd15s&index=253&list=LLOqkTany_ny3HrzJTkXdcnQ (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/05/2019).
140. **Пресс-конференция Путина и Додона. Видео 17.01.2017.** <https://www.youtube.com/watch?v=-BWSM6SJEJc> (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/05/2019).
141. **Русский солдат в молдавском плену.** <https://www.youtube.com/watch?v=-UW6-rZpDvk> (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/05/2019).
142. **Хроника необъявленной войны. Приднестровье.** <https://www.youtube.com/watch?v=m3kaSAwQ0D4> (ბმული უკანასკნელად ნანახია 20/05/2019).

ინტერვიუები:

143. ინტერვიუ გადამდგარ პოლკოვნიკ ლეონიდ კონსტანტინეს ძე კარაევთან 25.01.16.
144. ინტერვიუ ვასილი გრაურთან. მოლდოვური არმიის მოხალისესთან. 25.01.16
145. ინტერვიუ პოლიტოლოგის მაგისტრთან, ერნესტ ვარდანიანთან, 22.01.16.
146. ინტერვიუ სსრკ არმიის თადარიგის ოფიცერთან, დიმიტრი ალექსანდრეს ძე ბელოუსოვთან. 28.01.16.